PRIME Time

N8 (258) ორშაბათი, 3 მარტი, 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

# სკანდალი ქარვასლაში და ეთნიკური ნიშნით დაბლოკილი სტუმრები

SCANDAL

ჯიჯი რეჯინი: „უკაცრავად - რას ნიშნავს, არ დამპატიჟეთ იმის გამო, რომ სომეხი ვარ...

თაკო ჩხეიძე: „სიები მე საერთოდ არ მეხებოდა. სიებზე „სოკარს“ დაურეკე“

## ვინ შეადგინა სტუმრების სია

# შსს-ს იური ვაზაგაშვილის საქმიანობის შესწავლას სთხოვენ

ირაკლი ფირცხალავა: „ის არის საქართველოში ნომერ პირველი კონტრაბანდისტი ფსიქოტროპულ წამლებში“

EXCLUSIVE

ირაკლი ქადაგიძე: „ჩვენ გვაქვს ინფორმაცია იმის შესახებაც, ვის გადმოაქვს მასთან ეს წამლები და ძალიან მალე მივაწვდით სამართალდაცველ ორგანოებს კონკრეტულ გვარს“

# „ნაციონალური“ ბიზნესტერორის სქემა გაშიფრულია

SCANDAL

## „პრაიმტაიმს“ ხელში სკანდალური დოკუმენტი ჩაუვარდა

EXCLUSIVE

რა დავალებას ასრულებდა და ვისი ბრძანებით ბლოკავდა საჯარო რეესტრი ბიზნესმენებს?!

## ორთვიანი ოპერატიული სამუშაოები „მაზავშიკების“ დაპატიმრებით დასრულდა

„წაგებული ფულის დაგვიანების შემთხვევაში, მოთამაშეებსა და ბრალდებულებს შორის იმართებოდა სისხლიანი გარჩევები, ხოლო რიგ შემთხვევაში, ეს გარჩევები თვითმკვლელობით მთავრდებოდა“

EXCLUSIVE

# სამშენებლო სამუშაოს 48 წლის მემანქანის სიცოცხლე შეეწირა

სამშენებლო მასალების გადაზიდვისას ამწე წაიქცა. კაბინაში მყოფი მემანქანე 40 მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდა

SCANDAL

# 12 წლის ქუთაისელი გოგონას გაუჩინარების სკანდალური დეტალები

EXCLUSIVE

35 წლის მამაკაცმა 12 წლის გოგონას ცოლად მოყვანის მიზნით შეხვედრა წითელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე დაუთქვა. არასრულწლოვანი ჯერ რესტორან „სიმონეთში“ წაიყვანა, ვითომდა დაოჯახების აღსანიშნავად, სადაც მას რამდენიმე ჭიქა კონიაკი დაალევინა, მოგვიანებით კი ქუთაისში მდებარე ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინაში მიიყვანა...

## ექსკლუზიური ინტერვიუ საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელთან

ირაკლი კოვზანაძე: „ახალი პორტის განსავითარებლად რამდენიმე პროექტი არსებობს, მათ შორისაა როგორც ადრე შემუშავებული, ასევე ახალი პროექტები. ამ პროექტის მიმართ ინტერესი უცხოელ პარტნიორებსაც აქვთ“

EXCLUSIVE

## „თიბისი ბანკი“ ცილისწამების წინააღმდეგ

მამუკა ხაზარაძე: „ჩვენი ღირსების შელახვას არავის ვაპატიებ“

EXCLUSIVE

## „ენერგო-პრო ჯორჯიას“ თანამშრომელი მოკლულია?! ოჯახი გამოძიებას ითხოვს!

EXCLUSIVE

„ეს იყო დაგეგმილი მკვლელობა... ჩემი ძმა იმ კორუფციული სქემის გამოაშკარავებისთვის მოკლეს, რომელიც ფარდას ხდიდა 5 მილიონი ლარის გათეთრებას“

## რა ხდება რეგიონებში?

EXCLUSIVE

ახვლედიანების კლანი ვანში და ასინეთოზაში დატრენინგებული სოფლის რწმუნებულები

EXCLUSIVE

## ანამ და დავითმა პატრიარქი მოატყუეს?!

„რადგან სამეფო ოჯახში ერთიანობის შენარჩუნება შეუძლებელია, რა თქმა უნდა, პატრიარქი გულნატკენი და ნაწყენი იქნება მომხდარზე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ობამა-ღარიბაშვილის „შემთხვევითი“ შეხვედრა თეთრი სახლის თხოვნით არ გასაჯაროვდა

ქეთი ხატიაშვილი

**ირაკლი ღარიბაშვილს აქვს შანსი, ჩამოყალიბდეს რეალურ და ძლიერ პოლიტიკურ ფიგურად. ეს ჯერ მხოლოდ შანსია და სერიოზული პერსპექტივები, რაც თეთრი სახლის შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა. შანსი იმიტომ, რომ საქართველოს პრემიერს პოლიტიკური გამოცდილება არ აქვს და თანაც საკმაოდ ახალგაზრდაა. განსხვავებით იგივე რესპუბლიკელებისგან, რომლებიც პოლიტიკაში საკმაოდ დიდი ხანი არიან. დღეს კი ისინი ირაკლი ღარიბაშვილის უპირატესობას აღიარებენ პოლიტიკაში და ხშირად სწორედ ღარიბაშვილი ახერხებს გადაწყვეტილების მიღებას და არა დავით უსუფაშვილი. ამის მაგალითია თუნდაც 50%-იანი ბარიერი. მმართველი კოალიცია პარლამენტში მხარს 40%-ს უჭერდა, პრემიერი ბარიერის 50%-მდე აწევის ინიციატივით გამოვიდა. ეს არ არის ერთეული შემთხვევები, ეს უკვე ტენდენციაა.**

ყველაზე ახალგაზრდა პრემიერი ევროპაში ამერიკის ინტერესს იწვევს. ღარიბაშვილი უკრაინის ექსპრეზიდენტის იანუკოვიჩის შემდეგ მეორეა, ვინც პოსტსაბჭოთა სივრცეში ხელისუფლებაში მშვიდობიანად, არჩევნების გზით მოვიდა.

მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო უკრაინაც. მაიდანმა დასავლეთი აიძულა, აღმოსავლეთ ევროპაში უფრო გააქტიურებულიყო. უკრაინის პროცესებში აქტიურად ჩართვისთანავე თეთრი სახლი უკვე ირაკლი ღარიბაშვილს მასპინძლობს, სულ მალე კი ვაშინგტონში მოლდოვას პრეზიდენტიც გაემგზავრება. თუმცა, ვარაუდობენ, რომ ბარაკ ობამა მასთან შეხვედრას არ გამართავს.

ასე რომ, ეს ირაკლი ღარიბაშვილისთვის საკმაოდ საინტერესო სტარტია და ახლა ყველა დაელოდება, როგორ გამოიყენებს ამ პერსპექტივას ღარიბაშვილი.

## „შემთხვევითი“ შეხვედრა

დიდ პოლიტიკაში შემთხვევითობა არ არსებობს. შესაბამისად, არც ობამა აღმოჩნდა შემთხვევით იმ ოთახში, სადაც ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენი პრემიერ ღარიბაშვილს ხვდებოდა. მოგვიანებით საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ჟურნალისტებს უთხრა, რომ შეხვედრის შესახებ ინფორმაცია თეთრი სახლის თხოვნის გამო არ გაავრცელეს.

**არასამთავრობო ორგანიზაცია „GRASS“-ის ერთ-ერთი დამფუძნებლის ელენე ხოშტარიას განმარტებით:**

– ბუნებრივია, ღარიბაშვილისა და ობამას შეხვედრა შემთხვევითი არ იყო, ამერიკის პრეზიდენტი კორიდორში არ დასეირნობდა და შემთხვევით არ შეუხედავს იმ ოთახში, ეს დაგეგმილი იყო. ობამას მხრიდან ასეთი „შემთხვევითობა“ ოფიციალურად მოწვევის ალტერნატიული ფორმაა. როცა ამერიკის პრეზიდენტი გიწვევს, ეს ყველაზე მაღალი დონის ვიზიტია. არ მინდა, ეს შეხვედრა, – იმ თვალსაზრისით, რომ ოფიციალური არ იყო, – დავაკნინო. ის, რომ ობამა ბაიდენთან ღარიბაშვილის შეხვედრაზე შევიდა და მათ 25 წუთი ისაუბრეს, ძალიან მნიშვნელოვანია. ეს სერიოზული მხარდაჭერაა და მისაღები ფორმაა. ამას თამამად შეგვიძლია დავარქვათ ობამა-ღარიბაშვილის შეხვედრა.

## შეფასებები

ობამა-ღარიბაშვილის შეხვედრა თბილისში ლამის სერიოზული დაპირისპირების მიზეზი გახდა. მმართველი კოალიციისთვის ეს შეხვედრა იმის დასტურიც აღმოჩნდა, რომ ნაციონალებმა დასავლეთზე მონოპოლია დაკარგეს.

**ლევან ბერძენიშვილი, მმართველი კოალიცია:**

– ეს არის პასუხი ჩვენი ოპოზიციისთვის, რომელსაც ეგონა, რომ, სააკაშვილის გარდა, არავის შესწევს უნარი, ვინმეს შეხვდეს და რომელსაც ჰგონია, რომ პრემიერ-მინისტრი არ არის მომზადებული ასეთი რამეებისთვის. მოუმზადებელ, უცოდინარ და უნიათო ხელისუფალს არავინ არსად იწვევს, არ ხვდება და თუ ხვდება, იმას ეუბნებიან, რაც ბოლოს ჩვენს ხელისუფალს უთხრეს, – შენ უნდა ნახვიდეო. რა დამავიწყებს, რომ იმავე თეთრ სახლში ასეთი შეხვედრაც იყო. იმ ფონზე, როდესაც ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთი კიბეებთან უდარაჯდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს.

მმართველი კოალიციაც და არასაპარლამენტოებიც ირწმუნებიან, რომ ნაციონალებმა ღარიბაშვილის ამერიკული წარმატება ვერ გადაიტანეს.

ნაციონალებმა, თავის მხრივ, შეხვედრა დადებითად შეაფასეს და სხვა დეტალებითაც დაინტერესდნენ.

**გიგა ბოკერია, „ნაციონალური მოძრაობა“:**

– წელინად-ნახევარი გავიდა, რაც საქართველოს ახალი მთავრობა ჰყავს და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უმაღლეს დონეზე შეხვედრა შედგეს სტრატეგიული პარტნიორობისთვის. ჩვენ მადლიერი ვართ პრეზიდენტ ობამასი, რომ ასეთ მომენტში, როდესაც რუსეთის ფედერაცია კვლავ სწევს საოკუპაციო ხაზს ჩვენი ტერიტორიის სიღრმეში, ასევე, უკრაინის მოვლენების ფონზე, კიდევ ერთხელ მკაფიოდ დააფიქსირა მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისადმი, ჩვენი თავისუფალი არჩევანის მიმართ. იმედი მაქვს, პრემიერი უკეთ იყო მომზადებული, ვიდრე მიუნხენის კონფერენციაზე. ჩვენ გვაინტერესებს, კონკრეტულად რა საკითხები დასვა მან, ეს არის მნიშვნელოვანი და იმედია, მოვისმენთ უფრო მეტს. მან ისაუბრა ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე, ეს კარგია, მაგრამ არის ერთი კონკრეტული საკითხი, რომელზე მოლაპარაკებების დაწყებაც იყო მიღწეული წინა შეხვედრაზე და ეს არის თავისუფალი ვაჭრობის მოლაპარაკების საკითხი. საინტერესოა, რა ეტაპზე ვართ ამ პროცესში.

**„ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი, დეპუტატი დავით ბაქრაძე აქცენტს იმ მესიჯზე აკეთებს, რომელიც თეთრმა სახლმა შეხვედრის შემდეგ გაავრცელა:**

– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ კარგად გაიაზროს ის ერთ-ერთი მთავარი გზავნილი, რომელიც მკაფიოდ მოდიოდა პრეზიდენტ ობამასგან, რომ საქართველოს სახელმწიფოსა და ქართულ დემოკრატიას სჭირდება თანამშრომლობა ყველა პოლიტიკურ ძალას შორის და არა დაპირისპირება და კონფრონტაცია. ამიტომ, მე ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილებიც იყო, მნიშვნელოვანი შეხვედრაც იყო და იმედი მაქვს, რომ ამ შეხვედრის შემდეგ ქართული სახელმწიფო და ქართულ-ამერიკული ურთიერთობები სწორი მიმართულებით განვითარებას გააგრძელებს.

ანუ მმართველი კოალიცია აქცენტს იმაზე აკეთებდა, რომ ნაციონალებმა დასავლეთში მონოპოლია დაკარგეს, რომ ირაკლი ღარიბაშვილის სახით ამერიკამ ახალი, ძლიერი და საინტერესო ლიდერი აღმოაჩინა. ნაციონალები, თავის მხრივ, თეთრი სახლის განცხადებაზე აპელირებენ, რაც, მათი აზრით, აღიარებასთან ერთად, პასუხისმგებლობასაც ნიშნავს. ამ პასუხისმგებლობაზე მიანიშნა სწორედ დავით ბაქრაძემ, როცა ხელისუფლებას ოპოზიციასთან თანამშრომლობაზე ისაუბრა. პარლამენტის ექსთავმჯდომარემ ნაციონალებთან ხელისუფლების გამწვავებულ ურთიერთობაზე გააკეთა აქცენტი.

**პარლამენტის მოქმედმა თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა კი თავისი კომენტარით იმ ეჭვებს უპასუხა, რომელიც საქართველოს საგარეო კურსთან მიმართებაში არსებობს. დავით უსუფაშვილის განმარტებით:**

– საქართველომ მოახერხა არა მხოლოდ შენარჩუნება ამერიკის შეერთებულ შტატებთან მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობის, არამედ მისი კიდევ უფრო გაღრმავება და გუშინდელი მოვლენა ამის დემონსტრირება იყო.

## ექსპერტი

რა პასუხისმგებლობა აქვს ირაკლი ღარიბაშვილს და რას ნიშნავს რეალურად ეს შეხვედრა? მოხსნა თუ არა ობამა-ღარიბაშვილის შეხვედრამ საგარეო პოლიტიკის მიმართულებით კითხვები? **ელენე ხოშტარიას** განმარტებით, რომელიც ადრე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის

საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე იყო, საქართველოს ხელისუფლებამ ამ შეხვედრიდან მაქსიმალური მოგება უნდა ნახოს და გამოიყენოს ეს იგივე ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში:

– უნდა გვესმოდეს, რა კონტექსტში შედგა ეს შეხვედრა. პირველ რიგში, საქართველოს ისტორიაში პირველად მოხდა ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარება, ეს დიდი მიღწევაა საქართველოსთვის, დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით. ეს არის ყველას დამსახურება. არ შეიძლება, ცალკეულ ადამიანებზე ვილაპარაკოთ. ამ ხარისხობრივად ახალ ეტაპს დემოკრატიულ განვითარებაში ჩვენი მეგობრები ამ შეხვედრით ხაზს უსვამენ.

მეორე და მთავარი მამოძრავებელი ამ შეხვედრისა, ეს არის უკრაინის მოვლენები. ანუ ის გეოპოლიტიკური ცვლილებები, რაც უკრაინის მოვლენებმა გამოიწვია. კერძოდ, უკრაინამ აჩვენა, რომ რუსეთი მეზობლებთან – საქართველოსთან და უკრაინასთან მიმართებაში, ძალიან აგრესიულ ფაზაშია. საქართველოსთან ომიდან მან არათუ არ გამოიტანა გაკვეთილი, რომ ეს არ არის მეზობლებთან ურთიერთობის ფორმა, არამედ აგრესიული გახდა და უკრაინაზე ძლიერ ზეწოლას ახდენს. რა თქმა უნდა, ამან დასავლეთი – ამერიკა და ევროკავშირი სერიოზულად გამოაფხიზლა. მათი ჩართულობა რეგიონის პრობლემატიკაში ბევრად უფრო მაღალია. ისინი მიხვდნენ, რომ ეს მათი უსაფრთხოების პრობლემაა და თუ არ იმოქმედებენ, მაშინ ევროპის უსაფრთხოებას პრობლემები გაუჩნდება. ამიტომ მათ პროცესებში ბევრად უფრო სერიოზული ჩართვა დაიწყეს. სხვათა შორის, მოლდოვაც მიწვეულია ბაიდენთან შეხვედრაზე... ჩანს, რომ ამერიკა რეგიონში გააქტიურდა. ეს არის ის ჩარჩო, რომელშიც შედგა ეს შეხვედრა.

**– რა პასუხისმგებლობას აკისრებს ობამასთან შეხვედრა ღარიბაშვილს?**

– ჩვენ შეგვიძლია ამ შეხვედრის იმპულსი გამოვიყენოთ და მაქსიმალურად ვეცადოთ, ეს შეხვედრა ჩვენი ქვეყნისთვის კონკრეტულ შედეგად ვაქციოთ, ან შეგვიძლია, გავფლანგოთ. სამწუხაროდ, გაფლანგვის ისტორია მდიდარი გვაქვს. ამ მთავრობასაც დაუგროვდა კაპიტალის გაფლანგვის გამოცდილება.

პირველ რიგში, არც ერთი ხარვეზი საქართველოს დემოკრატიას არ უნდა ჰქონდეს. არანაირი კითხვები არ უნდა გაჩნდეს საქართველოში დემოკრატიის ხარისხის ზრდასთან დაკავშირებით. ცალსახად, ეს იქნება „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ურთიერთობა, სასამართლო რეფორმა, მედია თუ სხვა – აქ ყველაფერი მაქსიმალურად კარგად უნდა იყოს, რომ ამ კითხვების საფუძველი არ გაჩნდეს.

მეორე, ჩვენ ძალიან კონკრეტულ შედეგებამდე უნდა მივიდეთ. პირველ რიგში, უნდა დავიწყოთ საუბარი საერთაშორისო მექანიზმების შექმნაზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ეს რთული საკითხია. ის, რომ დღეს ოკუპირებულ ტერიტორიებს მხოლოდ რუსეთი აკონტროლებს, – ის არის მილიტარიზებული ტერიტორია, – პროვოკაციებისა და სამხედრო აფეთქებების საფრთხეს ქმნის. უნდა ვიფიქროთ, როგორ შევქმნათ იქ საერთაშორისო კონტროლის მექანიზმები. სხვა კიდევ ბევრი საკითხია, რაც ჟენევაში განიხილება. თუმცა, ამ შეხვედრის იმპულსი უნდა გამოვიყენოთ, რომ მნიშვნელოვან საკითხებში (კონფლიქტებთან დაკავშირებით) წინ ნავიწიოთ.

ეს არის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა, რაც ქარტიის ნაწილია. იყო კონკრეტული ამოცანები, რასაც ამერიკა გვპირდებოდა და აქაც წინ უნდა ნავიწიოთ.

მესამე, ნატოში ინტეგრაციის პროცესი. სექტემბრის სამიტისთვის ეს შეხვედრა სერიოზული იმპულსია. უნდა ვეცადოთ, გამოვიყენოთ ეს იმპულსი, რომ შედეგს მივაღწიოთ. ეს, ასევე, არის ეკონომიკურ სავაჭრო ურთიერთობებში პოტენციალი, რაც, აგრეთვე, უნდა გავაძლიეროთ. აქ იყო საუბარი, მაგალითად, თავისუფალ სავაჭრო რეჟიმზე ამერიკასთან.

**ელენე ხოშტარია: „ის, რომ ობამა ბაიდენთან ღარიბაშვილის შეხვედრაზე შევიდა და მათ 25 წუთი ისაუბრეს, ძალიან მნიშვნელოვანია. ეს სერიოზული მხარდაჭერაა“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ომი დაიწყო

## დასავლეთის პასუხი დღეს გახდება ცნობილი

ქეთი ხატიაშვილი

**უკრაინაში მოვლენები იმდენად სწრაფად იცვლება, რომ ძნელია ერთი და მით უფრო ორი დღით ადრე ამ თემაზე დაწერა. თუმცა, მაიდანი და ყირიმი იმდენად სიმბოლური და მნიშვნელოვანი ხდება დღეს არა მხოლოდ საქართველოსთვის ან რეგიონისთვის, არამედ მთლიანად მსოფლიოსთვის, რომ ამ თემას, ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლიდით.**

უკრაინა თავისუფლების სიმბოლოდ იქცა, ყირიმი – რუსული აგრესიისა და ინტერვენციის.

გორბაჩოვს ბალტიისპირეთი და პოლონეთი დაუსხლტა ხელიდან, ელცინს – აღმოსავლეთ ევროპის დანარჩენი ნაწილი, საქართველოს ჩათვლით. რას იზამს პუტინი? მან უკვე მიიღო ფედერაციის საბჭოს თანხმობა რუსეთის ჯარების შეყვანის უფლებაზე. რუსეთის კონსტიტუცია, ალბათ, ერთადერთია, რომელიც სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ჯარების შეყვანის უფლებას აკანონებს რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვის მიზნით. ამ ნორმის გამოყენებას რუსეთი ბალტიისპირეთშიც შეეცადა, თუმცა, ისინი უკვე იყვნენ ნატოსა და ევროკავშირში, ამიტომაც მოსკოვი ვითარების გამწვავებას მოერიდა.

როცა საქართველო კრემლის გაგებით სახიფათოდ მიუახლოვდა ნატოს, პუტინმა და მედვედევმა აგვისტოს ომი წამოიწყეს. მოგვიანებით კი აღიარეს, რომ 2008 წელს ომი ნატოს შესაჩერებლად დასჭირდათ. შედეგად, მათ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი აღიარეს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნები. ახლა, როცა უკვე უკრაინა დადგა, კრემლის გაგებით, საკმაოდ სახიფათო ზღვართან ევროპასთან, ომი ყირიმში დაიწყო.

**საინტერესო ისტორიული პარალელი გაავლო ზურაბ ჭიაბერაშვილმა, როცა პეტრე პირველის სამსაუკუნოვანი დოქტრინა გაიხსენა:**

„1709 წელს პოლტავასთან (უკრაინა) გადაწყდა ბევრი რამ, ყოველ შემთხვევაში, აღმოსავლეთ ევროპისათვის, როდესაც პეტრე I-მა გადამწყვეტი ბრძოლა მოუგო კარლოს XII-ს.

გაგახსენებთ პეტრე I-ის დოქტრინას: რუსეთს ორი ფანჯარა აქვს ევროპაში – ბალტიისა და შავი ზღვები. სამი საუკუნეა, ეს დოქტრინა განსაზღვრავს რუსეთის სტრატეგიას დასავლეთის მიმართულებით.

ბალტიის სამი სახელმწიფოს ნატოში გაწევრიანებამ, კალინინგრადის ოლქის არსებობის მიუხედავად, მნიშვნელოვნად დაავიწროვა ეს ფანჯარა.

ევრომაიდანის – უკრაინის ევროპული არჩევანის გამარჯვება რუსეთისთვის ნიშნავს „შავი ზღვის ფანჯრის“ დავიწროებას და ზრდის უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანების შანსს.

**„უკრაინა თავისუფლების სიმბოლოდ იქცა, ყირიმი – რუსული აგრესიისა და ინტერვენციის“**

სამი საუკუნის შემდეგ დღეს ისევ პოლტავასთან წყდება აღმოსავლეთ ევროპის მომავალი, მათ შორის, ჩვენიც“.

ისტორიას თუ გავაგრძელებთ, ყირიმი თავის დროზე ხრუშოვმა დაუბრუნა უკრაინას. ხრუშოვი თავად უკრაინელი იყო და პირველი, რაც მან საბჭოთა კავშირის გენერალურ მდივნად დანიშვნის შემდეგ გააკეთა, სწორედ ყირიმის საკუთარი სამშობლოსთვის დაბრუნება გახლდათ. ამის გამო ის დიდ ნაციონალურ გმირადაც კი იქცა, საქართველოში ბევრი პარალელს სტალინთან ავლებდა, რომელსაც საქართველოსთვის მსგავსი არაფერი გაუკეთებია. მაგრამ მოგვიანებით, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა და უკრაინამ სწორედ ყირიმის გამო ევროპისკენ, ბალტიის მსგავსად, თამამი ნაბიჯები ვერ გადადგა, ექსპერტებმა ხრუშოვის ეს გადაწყვეტილება დიდ ხაფანგად შეაფასა.

შავ ზღვაში ვითარება პუტინის მმართველობის დროს უკვე მეორედ დაიძაბა, ერთხელ 2008 წელს და, ალბათ, ახლა მაინც არავის აღარ უნდა შეეპაროს ეჭვი იმაში, რომ ომი ნამდვილად რუსეთმა დაიწყო, და მეორედ ახლა როცა უკრაინული და რუსული ფლოტის გემები ერთმანეთის პირისპირ დგანან და მზად არიან ისროლონ.

შავ ზღვაში აშშ-ს ფლოტის გამოჩენას ჯერ კიდევ გუშინ ელოდნენ. რა სახეს მიიღებს გამოცხადებული ომი, ჯერ გაურკვეველია – გადაიზრდება ის ფართომასშტაბიან ომში, რისი საფრთხეც რეალურია, თუ პუტინი მოახერხებს ყირიმის, აფხაზეთისა და ცხინვალის მსგავსად, მითვისებას? პუტინი უკანდახევას არ აპირებს და როგორც ჩანს, დასავლეთიც არ შემოიფარგლება მხოლოდ აღშფოთებით. ჯერ კიდევ ორი დღის წინ ობამამ პუტინი უკვე გააფრთხილა, – სამხედრო ინტერვენციას თავისი ფასი ექნებაო.

რა გეგმას შეიმუშავებს დასავლეთი, ალბათ, უფრო დღეს გახდება ცნობილი.

უკრაინის კრიზისმა რუსეთის დაშლის თემა გააქტიურა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ქუთაისში 12 წლის გოგონას გაუჩ

**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

**ქუთაისში 12 წლის გოგონას გაუჩინარების ამბავი აქტიურად შუქდებოდა პრესასა და სოციალურ ქსელებში. გოგონა 21 თებერვალს სახლიდან გავიდა და რამდენიმე დღის განმავლობაში მის კვალს ვერ მიაგნეს. ბავშვის მოძიება მხოლოდ მას შემდეგ მოხერხდა, რაც ოჯახმა საქმეში სამართალდამცველები ჩართო. პოლიციის მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად არასრულწლოვანი ქუთაისში, ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში იპოვეს და მშობლებს ჩააბარეს. პირველ ეტაპზე, გოგონა იმდენად მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ სამართალდამცველებს ჩვენების მიცემაზე უარი უთხრა, თუმცა მეორე დღეს ის საგამოძიებო ორგანომ ფსიქოლოგისა და პედაგოგის თანდასწრებით დაკითხა.**

ბავშვის მშობლები ჟურნალისტებთან საუბარს თავს არიდებენ, თუმცა სკოლაში, სადაც მ.ს. სწავლობს, რამდენიმე თანამშრომელმა გოგონას გაუჩინარების სკანდალური დეტალები მოგვიყვა. როგორც ახლობლები ამბობენ, ქუთაისში მცხოვრებმა 35 წლის მამაკაცმა ბავშვი მოტყუებით წაიყვანა და მასზე ძალადობის განხორციელება სცადა. როგორც „პრაიმტაიმს“ ოჯახის ახლობელი უყვება, გოგონამ 35 წლის მამაკაცი, სახელად მირზა, ჯერ კიდევ იანვარში სოციალურ ქსელ „ოდნოკლასნიკების“ მეშვეობით გაიცნო. გოგონას უთხრა, რომ არის მეუღლესთან გაშორებული და სურს მისი ცოლად მოყვანა. 35 წლის მამაკაცმა მ.ს-ს ცოლად მოყვანის მიზნით შეხვედრა 21 თებერვალს წითელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე დაუთქვა. არასრულწლოვანი სახლიდან ჩუმად გადის და დათქმულ დროსა და ადგილას ხვდება მირზას, რომელსაც არასრულწლოვანი ჯერ რესტორან „სიმონეთში“ მიჰყავს, ვითომდა დაოჯახების აღსანიშნავად, სადაც მას რამდენიმე ჭიქა კონიაკს ასმევს, მოგვიანებით კი – ქუთაისში მდებარე ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინაში.

„როგორც ირკვევა, აქ უკვე ძალადობის მცდელობას ჰქონდა ადგილი. მართალია, ბავშვს უთქვამს, რომ ის საკუთარი ნებით გაჰყვა ამ კაცს, რადგან თითქოს დაქორწინებას აპირებდნენ, მაგრამ ხომ გესმით, ეს 12 წლის ბავშვია, ის ამხელა კაცი. როგორ შეიძლება, ასე მოექცე ბავშვს. ასეთი პიროვნება ლინჩის წესით უნდა გაასამართლო. წარმოიდგინეთ, ბავშვი იმ დონეზე დაარწმუნა, ცოლად უნდა მოგიყვანოო, რომ თავის ფეხით გაჰყვა. თურმე ჰპირდებოდა, საბერძნეთში წაგიყვან და იქ ვიცხოვრებთო“, – უყვება „პრაიმტაიმს“ ოჯახის ახლობელი, რომლის თხოვნითაც მის ვინაობას არ ვასახელებთ.

მისივე თქმით, სანამ გოგონას ოჯ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ინარეგის სკანდალური დეტალები

**35 წლის მამაკაცმა 12 წლის გოგონას ცოლად მოყვანის მიზნით შეხვედრა წითელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე დაუთქვა. არასრულწლოვანი ჯერ რესტორან „სიმონეთში“ წაიყვანა, ვითომდა დაოჯახების აღსანიშნავად, სადაც მას რამდენიმე ჭიქა კონიაკი დაალევინა, მოგვიანებით კი ქუთაისში მდებარე ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინაში მიიყვანა... გოგონა პოლიციამ სწორედ ამ ბინაში იპოვა**

# EXCLUSIVE

ახი და ახლობლები ეძებდნენ, „საქმრომ“ ის ნათესავებსაც გააცნო აბაშის რაიონში, სადაც სამი დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ. როგორც არასრულწლოვანი ახლობლებს უყვება, მირზამ სთხოვა, ოჯახში დაერეკა და შეეტყობინებინა, რომ გათხოვდა. მ.ს-მ მართლაც განახორციელა ორი სატელეფონო ზარი სახლის ტელეფონზე და დედამისს აცნობა, რომ გათხოვდა. დედის თხოვნა კი მამაკაცს გადასცა, – ოჯახი სახლში დაბრუნებასა და „სიძის“ გაცნობას სთხოვდა, თუმცა უშედეგოდ. გოგონა შინ არ დაბრუნებულა. მ. ს. იმერეთის სამხარეო პოლიციის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად იმ ბინაში იპოვეს, სადაც ის პირველი შეხვედრის შემდეგ წაიყვანა 35 წლის მამაკაცმა. ჩვენი რესპონდენტის მონაყოლით ირკვევა, რომ გოგონას კამათი ჰქონდა მირზას დედასთან, რა დროსაც ის არასრულწლოვანს ფიზიკურადაც გაუსწორდა. ჰქონდა თუ არა ძალადობას ადგილი, ეს საბოლოოდ ექსპერტიზის შედეგად გაირკვევა. ოჯახი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე თანახმაა.

„პრაიმტაიმმა“ გაუჩინარებული გოგონას საქმის სკანდალური დეტალების დაზუსტება იმერეთის შს სამხარეო სამმართველოს უფროსთან, ზაზა ჩუბინიძესთან სცადა. ის ადასტურებს, რომ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და დანიშნულია სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

„ჩვენ მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად მოძიებულ იქნა ქუთაისში გაუჩინარებული არასრულწლოვანი, რომელიც ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინაში იმყოფებოდა. განხორციელდა მისი დაკითხვა ფსიქოლოგისა და პედაგოგის თანდასწრებით. ამჟამად, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ თავს შევიკავებთ სხვა დეტალების გახმაურებისგან. მიმდინარეობს გამოძიება და დამატებით ინფორმაციას მოგვიანებით გაგაცნობთ“, – აცხადებს სამხარეო პოლიციის უფროსი.

ზაზა ჩუბინიძე

გამომდინარე იქიდან, რომ საქმე ეხება არასრულწლოვანს და ბევრი ინფორმაცია ჯერ კიდევ დაზუსტებას საჭიროებს, ჩვენ თავი შევიკავეთ სხვა დეტალების გახმაურებისგან. არ არის გამორიცხული, გამოძიების პროცესში, სხვა, საკმაოდ სკანდალური დეტალები გამოიკვეთოს. როგორც სამართალდამცველები განმარტავენ, საქმეზე აქტიური საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება.

**P.S. ეს არ არის ერთადერთი საქმე, როდესაც არასრულწლოვანზე ძალადობის მცდელობა ხორციელდება. არცთუ დიდი ხნის წინ „პრაიმტაიმი“ წერდა თბილისში მომხდარი პეფოფილიის ფაქტის შესახებ. ამ შემთხვევაში საუბარია არა თუ ძალადობის მცდელობაზე, არამედ 11 წლის გოგონასთან სქესობრივი კავშირის დამყარებაზე. მაშინ სამართალდამცველებმა, ბრალდებულის სახით, მალევე დააკავეს 32 წლის მამაკაცი რომელსაც სასამართლომ 2-წლიანი პატიმრობა და 50 000 ლარის გადახდა დააკისრა. გაირკვა, რომ მამაკაცმა და თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში მცხოვრებმა 11 წლის მოზარდმა ერთმანეთი ტელეფონის საშუალებით გაიცნეს, ისინი მალევე დაახლოვდნენ და შეხვედრაზეც შეთანხმდნენ. შეხვედრა ვარკეთილში მდებარე სასტუმრო „დონეში“ შედგა, სადაც არასრულწლოვანსა და 32 წლის მამაკაცს შორის სქესობრივი კავშირი დამყარდა. ერთ-ერთი ვერსიით, მამაკაცმა 11 წლის გოგონა სასტუმროში მოტყუებით მიიყვანა, თუმც არსებობდა მეორე ვერსიაც, რომლის თანახმადაც სქესობრივი კავშირის ინიციატორი თავად მოზარდი იყო. „პრაიმტაიმში“ გამოქვეყნებული ამ სტატიის შემდეგ სასტუმრო „დონემ“ ფუნქციონირება შეაჩერა, მამაკაცი კი პეფოფილიის ბრალდებით პასუხისგებაში მისცეს.**

**ზაზა ჩუბინიძე: „განხორციელდა მისი დაკითხვა ფსიქოლოგისა და პედაგოგის თანდასწრებით. ამჟამად, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ თავს შევიკავებთ სხვა დეტალების გახმაურებისგან“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სკანდალი ქარვასლაში და ეთნიკუ

my View

თამარ გონგაძე

**28 თებერვალს თბილისის ისტორიის მუზეუმში - „ქარვასლაში“ აზერბაიჯანული ჟურნალის „ნარგისის“ პრეზენტაციაზე დაგვპატიჟეს. სტუმრად მისულს შორიახლოს მობილიზებული შავი ჯიპები და დაცვის კოლონა გამზადებდა, რომ მიმხვდარიყავი, ამ ღონისძიებაზე ფული დაიხარჯა. მეორე, რასაც გარეთ მდგომი დაცვა ითხოვდა, წითელი ხალიჩა იყო, თუმცა უწითელხალიჩობას ის დაბნეულობა უცებ გავიწყებდა, რაც „ქარვასლის“ კარებთან მისულს გეჩეხებოდა. მოსაწვევს „მეორე სართული“ ეწერა, კარში კი გვითხრეს, ზემოთ ადით და დაბრძანდითო. დავიბენით, ჩვენი მოსაწვევი დანომრილი არ იყო, თანაც პოდიუმი იყო ქვევით, სკამებით, მთავარ დარბაზში და არა ზევით, სადაც გადაგვამისამართეს. „ქარვასლაში“ 500-მდე სტუმარი მივიდა, როგორც რელიზი გვატყობინებდა და როგორც ადგილზე ნანახი სურათით გავარკვიეთ, სხვადასხვა სტატუსებად და კატეგორიებად დაყოფილი - მთავარ სტუმრებად და მეორეხარისხოვან სტუმრებად. სტუმრები დაბნეულნი ჩანდნენ. მთავარი დარბაზიც ნახევრად ცარიელი იყო. სტუმრები ეძებდნენ ადგილებს, ახლობლებს, ორგანიზატორებს, რომ ადგილებისთვის მიეგნოთ. მეორე, მესამე სართულზე განაწილებული სტუმრები სულ სხვა ღონისძიებაზე მისულებს ჰგავდნენ. ადგილებიდან ვერ ხედავდნენ მთავარ დარბაზში რა ხდებოდა, ვერც სხვა სტუმრებს ხედავდნენ თუ მანამდე შესასვლელში არ ჰყავდათ ნანახი. ჩვენების დროს მოდელები ჩამოსვლას მესამე სართულიდან იწყებდნენ და პირველ სართულზე, მთავარ სცენაზე ჩადიოდნენ. ადამიანები თითქოს გააუცხოეს ერთმანეთთან, კატეგორიებად დაყვეს. ფრაკებში გამოწყობილი ბიჭები კი ფოტოგრაფებს პოდიუმთან ჩასვლის ნებას არ რთავდნენ. ჩემს ფოტოგრაფს უთხრეს, ქვევით ჩასვლა არ შეიძლებაო. კითხვა ვერ მოვასწარი, ვისი გადაღება არ შეგვეძლო. თვალებით განსაკუთრებულ სტუმრებს ვეძებდი. პოდიუმის გასწვრივ პირველ რიგებში ცნობილი ქართველები და აზერბაიჯანელი სტუმრები ისხდნენ. პრესა ფოტოგრაფის გარეშე ვერ მუშაობს, შესაბამისად, თავი უფუნქციოდ ვიგძენი.**

ეს პირველი და ვიზუალური შეფასება. ახლა შინაარსი და უმთავრესი. პაატა საბელაშვილმა, რომელსაც სტუმრებს შორის თვალი მოვკარი „ფეისბუქის“ გვერდზე სტატუსი დადო. „მოვიკითხე თუ რატომ არ იყო რამდენიმე ჩემი მეგობარი და შოუს ორგანიზატორებმა მითხრეს, რომ ისინი სომხური წარმომავლობის გამო დაბლოკეს. გასაგებია, რომ შაბაშებს ვინც იძლევა ის სემპლავს კიდეც, მაგრამ - ამას ისე აკეთებენ, რომ ასე ჩემს ყურამდე მაინც არ მოვიდნენ. მე ვარ შეურაცხყოფილი, განადგურებული, რადგან ყველამ ეს ყველაფერი იცოდა და მაინც დათანხმდა ამაში მონაწილეობას. ძალიან განვიცდი ამ ამბავს“.

მეგობრები, რომლებსაც პაატა გულისხმობს, ჯიჯი რეჯინი და კრისტი ყიფშიძე არიან. ჯიჯიმ სიმონიკო მაჩაბლის (ამ პრეზენტაციაზე სარა ალიევას ჩვენების გარდა მისი ჩვენებაც მოეწყო) კოლექციის საიმიჯო ფოტოები გადაიღო, „ნარგისში“ კრისტის ფოტოებიც მოხვდა.

**პაატა საბელაშვილი:** „როგორც მითხრეს, ქართველმა ორგანიზატორებმა შეადგინეს სია და გადასცეს აზერბაიჯანულ მხარეს, რომელმაც ამოყარა ის ხალხი, ვისზეც ჰქონდათ ინფორმაცია, რომ სომხური წარმოშობის იყვნენ. მე ამ ღონისძიებაზე პირდაპირ ასეთი პასუხი მივიღე. მართლა სამარცხვინო საქციელია. ჩვენ რა ვქნათო, მიპასუხეს. რა უნდა გექნათ და ფული არ უნდა აგეღოთ და არ უნდა გაგეკეთებინათ ღონისძიება-მეთქი“.

ჟურნალ „ნარგისის“ დამფუძნებელია აზერბაიჯანის პირველი ლედის, მეჰრიბან ალიევას დისშვილი ულვია რახმანოვა. 396 გვერდიანი ჟურნალი მოდაზე, კულტურაზე, ხელოვნებაზე, ისტორიაზეა... თუმცა ის ქალთა ჟურნალის ფორმატს სცდება. პრეზენტაციაზე ჟურნალის მეექვსე ნომრისა და „NARGIS Welcome to Georgia“-ს პრეზენტაცია შედგა. როგორც რელიზში წერია, ჟურნალ „ნარგისის“ პრეზენტაცია წარმოადგინა კომპანია „სოკარმა“, რომელზეც 500-მდე სტუმარი იყო მოწვეული, მათ შორის აზერბაიჯანიდან. ბუნებრივია, დავინტერესდი, ვის ეხებოდა სტუმართა სია, რომლებმაც სიიდან ამოიღეს ჯიჯი რეჯინი და კრისტი ყიფშიძე, რომლებიც, ყველა ლოგიკით, ამ ტიპის გლამურული ჟურნალის პრეზენტაციაზე უნდა ყოფილიყვნენ. პირველად ამ ღონისძიების პიარს დავუკავშირდი, რომელიც ჩაბარებული ჰქონდა ჯაბა სიხარულიძეს. ჯაბა „ქარვასლის“ შესასვლელში სიით ხელში იდგა და მოსულ სტუმრებს აღნუსხავდა ხოლმე.

**ჯაბა სიხარულიძე:** - „სოკარმა“ ცალცალკე დაიქირავა სეგმენტის ხელმძღვანელები. ჩემი სეგმენტი იყო პიარი.

**- ვის ეხებოდა სტუმართა სიის შედგენა და მათი მოწვევა?**

- რა თქმა უნდა, კომპანია „სოკარს“.

**- ღონისძიების ორგანიზება?**

- კომპანია „სოკარს“. ეს იყო „სოკარის“ ღონისძიებით მოწყობილი „ნარგისის“ ღონისძიება. მე არ ვარ უფლებამოსილი, დაუკავშირდით კომპანია „სოკარს“.

ღონისძიების პიარმენეჯერმა „სოკართან“ გადაგვამისამართა. „პრაიმტაიმი“ მის წარმომადგენელს, კორპორატიული ბიზნეს კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ირაკლი ზუბიტაშვილს დაუკავშირდა. მისი თქმით, „სოკარ ენერჯი ჯორჯია“ ჟურნალის პრეზენტაციისა და ჩვენების გენერალური სპონსორი გახლდათ.

**- ორგანიზატორი ვინ იყო?**

- რამდენიმე კომპანია იყო შერჩეული ორგანიზატორებად, რომლებმაც განახორციელეს ღონისძიება. რა გაინტერესებთ?

**- სტუმრების სია და დაპატიჟება ვის ეხებოდა?**

- მე ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ, საქმის კურსში არ ვარ. სპონსორის მხარე სტუმართა სიასთან ურთიერთობას არ ითვალისწინებდა. თქვენ აზერბაიჯანულ მხარეს და ჟურნალს უნდა დაუკავშირდეთ.

**- როგორც მითხრეს, ქართულ მხარეს ამოაღებინეს სიიდან ადამიანები. ვინ არის ის ქართული მხარე, ვისაც სიაზე მიუწვდებოდა ხელი?**

- წარმოდგენა არ მაქვს, აზერბაიჯანელებს უნდა ჰკითხოთ.

**- ღონისძების პიარმენეჯერმა, ჯაბა სიხარულიძემ გვითხრა, რომ „სოკარია“ ღონისძიების ორგანიზატორი და სტუმართა სია მას ეხებოდა.**

- სტუმრებთან მიმართებაში ვერაფერს გეტყვით, ჩვენი პრეროგატივა არ არის. მე ვარ „სოკარის“ წარმომადგენელი, სპონსორი და არა ორგანიზატორი.

**„კრისტი ყიფშიძე, რომელმაც მოდელი რესპონდენტი გახადა ჟურნალისტისთვის და ჯიჯი, რომელმაც ფოტოგრაფი ცნობილ სახედ აქცია, ამ ტიპის პრეზენტაციაზე არ დაპატიჟეს და ეს ისე გაატარეს, ვითომც არაფერი მომხდარა“**

**პაატა საბელაშვილი:**
**„ქართველმა ორგანიზატორებმა შეადგინეს სია და გადასცეს აზერბაიჯანულ მხარეს, რომელმაც ამოყარა ის ხალხი, ვისზეც ჰქონდათ ინფორმაცია, რომ სომხური წარმოშობის იყვნენ. მე ამ ღონისძიებაზე პირდაპირ ასეთი პასუხი მივიღე. მართლა სამარცხვინო საქციელია... ბევრი ლაფსუსი იყო. მაგრამ ორგანიზატორები ამ ლაფსუსებზე თავს დიდად არ იწუხებდნენ, ფული აიღეს და მორჩა“**

# ვინ შეადგინა სტუმრების სია



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რი ნიშნით დაბლოკილი სტუმრები




EXCLUSIVE

**ჯიჯი რეჯინი:** „უკაცრავად - რას ნიშნავს, არ დამპატიჟეთ იმის გამო, რომ სომეხი ვარ, თუ დედა მყავს სომეხი? გაცილებით უფრო მისაღებია ჩემთვის ეთქვათ, არ მოგვწონხარ და არ გვინდა აქ იყოო. არ მინდა იფიქროთ, რომ ნაწყენი ვარ. უბრალოდ, არ მინდა, რომ ჩემს ქვეყანაში ასეთი რამ ხდებოდეს“

**კრისტი ყიფშიძე:** „500 კაციდან ეთნიკური წარმოშობის გამო სიიდან რამდენიმე კაცი იყო ამოღებულიო, მითხრეს. არ დაეზარათ 500 კაცში ეს ამოექექვა? ან რატომ ჩაატარეს პრეზენტაცია „ქარვასლაში“, რომელიც სომხების აშენებულია?“

# რატომ ვერ მოხვდნენ ჟურნალ „ნარგისის“ პრეზენტაციაზე ჯიჯი რეჯინი და კრისტი ყიფშიძე

# SCANDAL

პრეზენტაციაზე ქართველი და აზერბაიჯანელი დიზაინერების - სარა ალიევასა და სიმონიკო მაჩაბელის ჩვენებები მოეწყო. 40-მდე კოსტიუმი სამოდელო სააგენტო „ჯეიმოდელსის“ მოდელებმა წარმოადგინეს. „ჯეიმოდელსი“ თაკო ჩხეიძის სააგენტოა.

**ჯიჯი რეჯინი:** - მე შორიდან ვიცნობ ამ ორ გოგოს, ულვიასა და სარას. მათზე კარგის მეტი არაფერი მსმენია. როგორც ვიცი, მათ არ აინტერესებთ წინაპრების უთანხმოება აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის. ჰყავთ სომეხი მეგობრები. გამიკვირდა და ამიტომ არ მინდა მათ მხარეს დავაბრალო ასეთი საქციელი. ალბათ, ეს ჩვენებს არ უნდა დაეშვათ.

**- ვინ ჩვენებმა დაუშვეს?**

- ეგ არ ვიცი. ალბათ, „სოკარმა“.

**- „სოკარის“ წარმომადგენელი ამბობს, სპონსორები ვართ და ეს ჩვენ არ გვეხებაო.**

- აბა, მაშინ თაკო ჩხეიძესთან ვმეგობრობ, ვთანამშრომლობ და ის იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი. მე ასე ვიცი. ბევრი სხვადასხვა ინფორმაცია მომივიდა. ზოგი მწერს, რომ სტუმართა სიიდან „სოკარმა“ ამომაგდო. „სოკარს“ ჩემთან თანამშრომლობა და პროექტების გაკეთება უნდოდა, რანაირად ამომადგებდა? თუმცა შეიძლება ამომაგდო. მე ორგანიზატორებთან პრეტენზია არ მაქვს. თაკოსთან წლებია ვთანამშრომლობ, ჯაბა სიხარულიძე - პიარმენეჯერია, რომელიც ხვალ ზეგ ჩემს პერსონალურ გამოფენაზე იმუშავებს და თაკოს მსგავსად ისიც ჩემი მეგობარია. ამ ორ აზერბაიჯანელ გოგოზე კარგის მეტი არაფერი მსმენია. თანაც არ მგონია, დამსხდარიყვნენ და განეხილათ, ის დაპატიჟეთ, ეს არ დაპატიჟოთო. ვერ ვხდები ამ სამი მხრიდან ვის შეიძლებოდა ეს გაეკეთებინა. გაურკვევლობაა. მწყინს, რომ ეს ჩემს ქალაქში მოხდა, მოხდა ღონისძიებაზე, რომელიც პირდაპირ მე მეხებოდა. „ნარგისი“ მაღალი პრემიუმ კლასის მოდის ჟურნალია, მე რვა წელია ამ ბიზნესში ვმუშაობ და სხვა ქვეყნებში მეპატიჟებიან მსგავს ღონისძიებებზე. სადაც უნდათ იქ მოიქცნენ ასე, მაგრამ ჩემს ქვეყანას თავისი კანონები აქვს, ჩვენთან ეს დისკრიმინაცია არ შეიძლება. კარგია, რომ პაატამ ამას სახელი დაარქვა და დისკრიმინაცია უწოდა. უკაცრავად - რას ნიშნავს, არ დამპატიჟეთ იმის გამო, რომ სომეხი ვარ, თუ დედა მყავს სომეხი? გაცილებით უფრო მისაღებია ჩემთვის ეთქვათ, არ მოგვწონხარ და არ გვინდა აქ იყოო. არ იფიქროთ, რომ ნაწყენი ვარ, უბრალოდ, არ მინდა, რომ ჩემს ქვეყანაში ასეთი რამ ხდებოდეს.

**თაკო ჩხეიძემ ზარზე პასუხი ვერ მოახერხა, მან მესიჯით გვიპასუხა:** „სიები მე საერთოდ არ მეხებოდა. სიებზე „სოკარს“ დაურეკე. მე მოდის მხარე - მოდელები, მათი მაკიაჟი და თმა მქონდა ჩაბარებული“.

**პაატა საბელაშვილი:** „ჟურნალს რომ დავხედე და ჯიჯის ფოტოები ვიცანი, ერთ-ერთ ორგანიზატორს ვკითხე, სად არის ჯიჯი-მეთქი. აქვთ ასეთი არგუმენტი, როდესაც ბიზნესი გაქვს, შენი საქმეა ვის დაპატიჟებ და ვის არაო. მაგრამ საქართველოში შრომის კანონისა და კოდექსის მეორე მუხლის მესამე პუნქტი ანტიდისკრიმინაციულია. ეთნიკური წარმოშობა ერთ-ერთ პირველ ადგილას არის. კერძო ბიზნესის წარმომადგენელი ხარ, თუ სახელმწიფო დაწესებულება, ერთნაირად გეხება. მე ვამაყობ, რომ ამ ქალაქის შვილი ამიტომ ვარ, რომ აქ სომხებს და აზერბაიჯანელებს შორის ეს პრობლემა არასდროს არსებულა, ყარაბახის ომის დროსაც კი. დღეს კი, 2014 წელს, ნავთის ფულით, ამიტომ, რომ ამ საქმეში ალიევების ოჯახია ჩართული, ქართველმა ოჯახებმა გადაწყვიტეს, რომ ამით უნდა იცხოვრონ. ჩემთვის ძალიან სამარცხვინოა, სად გამოვყო თავი არ ვიცი. მე დავიბადე, გავიზარდე ამ ქალაქში, ძველ თბილისში, რომელიც ისეთივე აშენებულია სპარსის, სომეხის, აზერბაიჯანელის, როგორც ქართველის. ამ ქალაქის კონცეფციას ეწინააღმდეგება ასეთი მიდგომა. თუ მნიშვნელობას ანიჭებ - ვინ სომეხია და ვინ აზერბაიჯანელი, ხარ ჩვეულებრივი სოფლელი. თუმცა ვერც ერთი სოფლის მკვიდრს ვერ მივაყენებ ისეთ შეურაცხყოფას, რომ ამ ნიშნით ვუწოდო „სოფლელი“, როგორი სოფლელობაც ამ ჟურნალის პრეზენტაციაზე მოხდა“.

**ჯიჯი რეჯინი:** „დალოოდის“ დამფუძნებელი, მაკა კვიციანი და სიმონიკო მაჩაბელი ჩემი მეგობრები არიან. მე გოლა დამიანის ჩვენებისთვისაც გავაკეთე საიმიჯო ფოტოსესია, ისევე, როგორც ახლა სიმონიკო მაჩაბლის ჩვენებისთვის. მითხრეს, 500 სკამზე იყო დადებული ჩემი ნამუშევარი, ჩემი სახელითა და გვარით, უბრალოდ, იქ არ ვიყავი. მეგონა, მხოლოდ მე არ ვიყავი, აღმოჩნდა, რომ დაპატიჟებული არ იყო რამდენიმე ადამიანი, ვინც დედით, მამით ან ორივე მხრიდან სომხები არიან. მე ყველაზე მეტად მეწყინა ის, რომ ჩემს ქვეყანაში და ჩემს ქალაქში მოხდა ეს ყველაფერი. ქსენოფობიასთან დაკავშირებით ბავშვობიდან მოყოლებული ბევრჯერ მქონია პრობლემა, მაგრამ თბილისი ერთ-ერთი ყველაზე კომფორტული ქალაქია, სადაც სომეხი ხარ თუ აზერბაიჯანელი, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ამიტომ, ვფიქრობ, აქ ეგ არ უნდა მომხდარიყო. ნაწყენი ვარ იმაზე, რომ ეს თემა აქტუალური გახდა. სირცხვილია და ძალიან შეურაცხყოფილი ვარ. ვისაც ამის პრობლემა აქვს, თავის ქვეყანაში ჰქონდეს, კი ბატონო, მაგრამ საქართველოში - არა. პრეზენტაციის დაწყებამდე ორი წუთით ადრე მირეკავს ჩემი თბილისელი აზერბაიჯანელი მეგობარი და მეუბნება, ვერ გხედავ და სად ხარო? ჩვენ ერთად გავიზარდეთ და მე რა უნდა მეთქვა? ვერ ვუთხარი, მე არ ვარ დაპატიჟებული, იმიტომ რომ“...

ღონისძიებაზე ვერ მოხვდა კრისტი ყიფშიძეც. ის გაოცებულია.

**კრისტი ყიფშიძე:** „მე პირადად ვიცნობ სარასაც და ულვიასაც და 2011 წელს მათთან ვიყავი სტუმრად, ძალიან თბილად და კარგად მიმიღეს. მათგან კარგის მეტი არაფერი მახსოვს. ერთი თვის წინ ირაკლი რუსაძის პირით მოკითხვაც გადმომცეს. ვერ მივხვდი, ვისი მხრიდან მოხდა სიიდან ჩემი ამოღება, აზერბაიჯანელების მხრიდან თუ ქართველების მხრიდან. ცილისწამებას ვერ დავიწყებ. ფაქტია, მე არ ვიყავი დაპატიჟებული, რითიც მე კი არაფერი დამაკლდა, მათი მინუსი და პრობლემაა. 500 კაციდან ეთნიკური წარმოშობის გამო სიიდან რამდენიმე კაცი იყო ამოღებულიო, მითხრეს. არ დაეზარათ 500 კაცში ეს ამოექექვა? ან რატომ ჩაატარეს პრეზენტაცია „ქარვასლაში“, რომელიც სომხების აშენებულია? ძალიან სასაცილოა. 21-ე საუკუნეში ასეთი ჩლუნგი გონების ადამიანების არსებობა მაცინებს. ძალიან აპოლიტიკური ვარ. არც ვარ ნამყოფი ყარაბახში, არც კი ვიცი, რა მოხდა და რა მიზეზით. მტრულად განწყობილი რომ ვყოფილიყავი, არც კი ჩავიდოდი ბაქოში. ჩემი წინაპრები იყვნენ თბილისელი სომხები, ერევანში არ მყავს ნათესავები. მენტალურად ქართველი ვარ, ჩემი შვილიც ქართველია. გარდა ამისა, 20 წელია მოდის სფეროში ვარ. ვფიქრობ, საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული მოდელიც. მე მგონი უჩემოდ ქართული მოდა წარმოუდგენელია. სიგიჟემდე მიყვარს ეს სფერო. ერევანში ჩემი ინტერვიუ ერთმა წარმატებულმა ჟურნალმა გამოაქვეყნა, ყდაზე ქართველი მოდელი დამიწერეს. საქართველოში ვცხოვრობ, ვმუშაობ და ამ საქმეს საქართველოსთვის ვაკეთებ. არ ვიცი საიდან წამოვიდა ეს დაბლოკვა. ღონისძიებაზე ბევრი ადამიანი იყო, ვისი დედა ან ბებია იყო სომეხი. მაშინ არც ისინი უნდა დაეპატიჟათ. მე რომ ორგანიზატორი ვყოფილიყავი, იმ მხარეს სხვანაირად დაველაპარაკებოდი. პაატა საბელაშვილმა დიდი სტატუსი დადო. ამ შემთხვევაში ვიღაც აზერბაიჯანელი წყვეტს ჩემ გვერდით ვინ დაჯდება. დიკსრიმინაციის მომენტი იყო და არ შეიძლება, რა უფლებით? მართლა მეცინებოდა ამ ყველაფერზე“.

**პაატა საბელაშვილი:** „ცუდად არ იყო ორგანიზებული, მაგრამ შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ორგანიზატორებსაც არ სჯეროდათ იმის, რასაც აკეთებდნენ. ბევრი ლაფსუსი იყო. მაგრამ ორგანიზატორები ამ ლაფსუსებზე თავს დიდად არ იწუხებდნენ, ფული აიღეს და მორჩა. სამოდელო სააგენტოს დაქირავებული ადამიანები ფრაკებში ჰყავდათ და თითქოს ყველაფერი ერთი ამოსუნთქვით უნდა ყოფილიყო. თბილისი პარიზი და მილანი არ არის და ადამიანებს არ აქვთ ერთმანეთში ასეთი ურთიერთობები. შოუ „ალი და ნინოთი“ დაიწყეს. მოდა ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლა არ არის. ამით საჯარო პოლიტიკაც ზიანდება და ხელოვნებაც. მე დიზაინერებს - სიმონიკო მაჩაბელსა და სარა ალიევას ჩრდილს არ ვაყენებ. სიმონიკო კარგი დიზაინერია. სიტუაცია გამოიყენა, რომ თავისი ხელოვნება წარმოეჩინა. მან ხომ ეს დეტალები არ იცის. რაც შეეხება სარა ალიევას ჩვენებას, რა გითხრათ - ტანსაცმელზე გადატანილი ჰქონდა მეჰრიბან ალიევას პრინტები. მოდა და დიზაინი აზერბაიჯანში ალიევების ოჯახს არ სცდება. კრისტი ყიფშიძე, რომელმაც მოდელი რესპონდენტი გახადა ჟურნალისტისთვის და ჯიჯი, რომელმაც ფოტოგრაფი ცნობილ სახედ აქცია, ამ ტიპის პრეზენტაციაზე არ დაპატიჟეს და ეს ისე გაატარეს, ვითომც არაფერი მომხდარა. ეს ჩემი ქვეყნის მთლიანობის გამხლეჩი მომენტია. როდესაც ორგანიზატორი ხარ, ასეთ რამეს გეუბნებიან და შენ ხალხს სიიდან იმის გამო ამოყრი, რომ „სოკარი“ ფულს გიხდის, ამაზრზენია“.

ჟურნალის დამფუძნებლებს და მის წარმდგენს ლამაზი ღონისძიების მოწყობა სურდათ, ამისთვის არანაირი ძალისხმევა არ დაუშურებიათ, თუმცა შემდეგი შედეგი დაიდო - ფული დაიხარჯა, ეთნიკური ნიშნით სტუმრები დაიბლოკა და საღამო ვერ შედგა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# შსს-ს ყოფილი მაღალჩინ
# ვაზაგაშვილის საქმიანო

**my View**
**მირიან ბოქოლიშვილი**

**რა გზით შემოდის საქართველოში ფსიქოტროპული მედიკამენტები და რატომ ადანაშაულებენ იური ვაზაგაშვილს კონტრაბანდაში? შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნები, ირაკლი ფირცხალავა და ირაკლი ქადაგიძე „პრაიმტაიმთან“ საუბრისას წლების განმავლობაში კარგად აწყობილ სქემაზე საუბრობენ და საგამოძიებო ორგანოებს იური ვაზაგაშვილის საქმიანობის შესწავლისკენ მოუწოდებენ. რა კავშირი აქვს ზურა ვაზაგაშვილის მამას მედიკამენტების უკანონო შემოტანასთან? ამაზე ოდნავ ქვემოთ, მანამდე კი შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას, „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე შსს-ს ყოფილმა მაღალჩინოსნებმა იური ვაზაგაშვილი ყაჩაღურ თავდასხმაშიც დაადანაშაულეს. საქმე ეხება 1979 წლის 5 სექტემბერს ყაზბეგის რაიონის სოფელ ხურთისში ქემაშვილების ოჯახზე განხორციელებულ შეიარაღებულ ყაჩაღურ თავდასხმას.**

**ადვოკატი: „რეპუტაციის შემლახავი ცრუ ინფორმაციის გავრცელების გამო, მოვითხოვთ საჯაროდ ბოდიშის მოხდას. არ არის გამორიცხული, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად გარკვეული თანხაც იყოს მოთხოვნილი“**

ყოფილი პოლიციელების თქმით, ბოროტმოქმედებმა 80 წელს მიღწეული მოხუცი ცოლ-ქმარი ჯერ დააბეს, შემდეგ კი განსაკუთრებული სისასტიკით აწამეს.

„დანისა და ელექტროსადენებით ნაწამები ქემაშვილებისგან გაიტაცეს 77 ათასი მანეთის 3% ობლიგაცია, 17 ათასი მანეთი და 2 ათასი მანეთის ღირებულების ოქროული. ბოროტმოქმედებმა უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოხუცი ცოლ-ქმარი დაბმულ მდგომარეობაში დატოვეს“, – განაცხადეს ყოფილმა პოლიციელებმა.

მათ წარმოადგინეს სასამართლოს განაჩენიც, რომელიც აღნიშნულ საქმეზე დადგა. გასამართლებულ ხუთ პირს შორის ფიგურირებს იური ვაზაგაშვილის სახელიც. რომელსაც კრიმინალურ სამყაროში „ოსი იურას“ სახელით იცნობენ.

თავად იური ვაზაგაშვილი კი შსს-ს ყოფილი თანამდებობის პირების ირაკლი ფირცხალავასა და ირაკლი ქადაგიძის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელს შეიტანს. როგორც ვაზაგაშვილის ადვოკატმა გაგი მოსიაშვილმა განაცხადა, ფირცხალავას განცხადება სახელის, პატივისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციაა, რაც სარჩელის საფუძველი გახდა.

„ხდება შეურაცხმყოფელი ინფორმაციის გავრცელება. იური ვაზაგაშვილს რამდენიმე წლის წინათ, დასწამეს ცილი, რომ ის ქურდია, მერე სხვადასხვა სახის მართლსაწინააღმდეგო ქმედება დააბრალეს, ბოლოს ყაჩაღობაშიც დასწამეს ცილი. ფირცხალავას ერთადერთი მიზანი არის ის, რომ მოხდეს იური ვაზაგაშვილისა და მისი ოჯახის სამოქალაქო საზოგადოებაში დისკრედიტაცია“, – განაცხადა ადვოკატმა.

ყოფილი სამართალდამცველები კი ამტკიცებენ, რომ იური ვაზაგაშვილი დღესაც აქტიურად განაგრძობს უკანონო საქმიანობას, რაც ფიქსოტროპულ-ნარკოტიკული საშუალებების უკანონო რეალიზაციაში გამოიხატება.

**ირაკლი ფირცხალავა, შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი:**

– ვაზაგაშვილი წარმოშობით გახლავთ ყარაფილელი. ეს სოფელი არის ე.წ. სამხრეთ ოსეთის გამყოფ ზოლთან. შესაბამისად, მან „კანალი“ ააწყო ჯერ კიდევ წლების წინათ, როდესაც საქართველოში აქტიურად შემოედინებოდა კონტრაბანდა. ძალიან ხშირად სტუმრობს თავის სოფელს. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია იმის შესახებაც, ვის გადმოაქვს მასთან ეს წამლები და ძალიან მალე მივაწვდით სამართალდამცველ ორგანოებს კონკრეტულ გვარს. თითქმის ყოველ კვირა მასთან ორი დიდი ჩანთით შემოდის ფსიქოტროპული მედიკამენტები, ეს ჩამოაქვს მის კუთვნილებაში არსებულ აფთიაქ „ჯაზუში“, რომელიც რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს. ამ წამლებს აძლევს ნაცნობებს, თავისი შვილის მეგობრებს. მისი ვაჟი, ჯაბა 8-ჯერ არის ნარკოტიკებზე დაჭერილი, მათ შორის 4-ჯერ ამ ხელისუფლების პირობებში, 2013 წელს. სპეციალური ოთახი აქვთ გამოყოფილი, სადაც ყოველგვარი ჩეკებისა და რეცეპტების გარეშე ახალგაზრდებზე ყიდის ამ წამლებს. ეს არის იატაკქვეშა ბიზნესი, რომლითაც ძალიან დიდი ფული იშოვა.

**– იური ვაზაგაშვილი აქტიურად ითხოვს სამართლიანობის აღდგენას და მისი შვილის გარდაცვალების რეალურ გამოძიებას... ეს ხომ არ განაპირობებს თქვენს დაპირისპირებას, ვინაიდან იმ ცნობილ სპეცოპერაციას სწორედ თქვენ ხელმძღვანელობდით...**

– კი, წლების განმავლობაში ის აქტიურად იყენებს ამ თემას. „დაიცავი სიცოცხლე“ – ასეთი ორგანიზაცია აქვს ჩამოყალიბებული. სირცხვილია მართლა და მართლა. ვისი სიცოცხლე უნდა დაიცვას მან, როცა უამრავ ახალგაზრდას წამლავს და პირიქით, სიცოცხლეს უსწრაფებს. ვისი სიცოცხლე უნდა გადაარჩინოს მაგ ყაჩაღმა. უთო ეჭირა თავად ხელში, რომ მოხუცი ცოლ-ქმარი დაეუთოვებინა. მშრომელი ცოლ-ქმარი იყვნენ და


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ოსნებზი გამოძიებას იური ...ბის შესწავლას სთხოვენ

## ირაკლი ფირცხალავა: „ის არის საქართველოში ნომერ პირველი კონტრაბანდისტი ფსიქოტროპულ ნამლებში“

## ირაკლი ქადაგიძე: „ჩვენ გვაქვს ინფორმაცია იმის შესახებაც, ვის გადმოაქვს მასთან ეს ნამლები და ძალიან მალე მივანვდით სამართალდაცველ ორგანოებს კონკრეტულ გვარს“

მაგის მერე დიდხანს ვეღარც იცოცხლეს, ორივე გარდაიცვალა. ფული ჩაყარა მერე და აიცილა პასუხისმგებლობა. ხომ იცით, მაშინ როგორ ხდებოდა.

**ირაკლი ქადაგიძე, შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი:**

– ჩვენ ცალკე შეგვაქვს სარჩელი, რომ დაიწყოს ძიება და დაინტერესდნენ ამ კაცის საქმიანობით. გაარკვიონ, რა კავშირი აქვს ციხეებში მასობრივი მღელვარების გამოწვევასთან. გვაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ მას აქვს კავშირები კრიმინალურ სამყაროსთან და ცდილობს სიტუაციის პროვოცირებას. ეს კაცი არის თავისი პლეადის ქურდებთან კავშირზე. მას ახალგაზრდობაში უნდოდა ქურდობა, მაგრამ სწორედ ქემაშვილების საქმის გამო ვერ გახდა ქურდი. ფული „მოტეხა“. შვილებსაც ამ მენტალიტეტით ზრდიდა, დღეს გამოდის და საზოგადოებას ჭკუას ასწავლის, ყვირის, – დაიცავი სიცოცხლეო. ის ვერასდროს დაიცავს სიცოცხლეს, რადგან ჩვენი ახალგაზრდობის მთავარ სატკივარს, ამ ფსიქოტროპულ წამლებს, წლების განმავლობაში ძალიან ლაღად ყიდის.

**– და თუ ეს კონტრაბანდული წამლებია, ღიად როგორ ყიდის აფთიაქ „ჯაზუში“?**

– რა თქმა უნდა, ოფიციალურადაც აქვს შემოტანილი ფსიქოტროპული მედიკამენტები, მაგრამ ძირითადი ნაწილი შემოაქვს კონტრაბანდულად, რომელიც არსად არ ფიქსირდება. დაკვირდით, ახლა შს მინისტრის მოადგილეს ლევან იზორიას ესხმის თავს. არ გაინტერესებთ, რატომ? იმიტომ რომ იზორიაა ანტინარკოტიკული კანონპროექტის ავტორი, რითაც მის შავ ბიზნესს სერიოზული პრობლემები ექმნება. იზორიას რა კავშირი ჰქონდა კორტების სპეცოპერაციასთან, მაგრამ მასაც უტევს, თითქოს ადრე სხვაგვარად ფიქრობდა და ახლა სხვა რამეს ამბობსო. რეალურად მას თავს ესხმის, როგორც ამ კანონპროექტის ავტორს. სამწუხაროდ, დღეს ეს კაცი მიდის ყველანაირ სიბინძურეზე, საკუთარი ბიზნესის გამო, შვილის ცხედრით სპეკულირებასაც კი არ ერიდება. შეამოწმონ მისი გადასახადები და ძალიან ბევრ რამეს აეხდება ფარდა.

**– თქვენ როდესაც იყავით შსს-ს მაღალ თანამდებობებზე მაშინ არ გქონდათ ეს ინფორმაცია? რატომ არ მოახდინეთ რეაგირება, თუ ფსიქოტროპული მედიკამენტების კონტრაბანდასთან გვაქვს საქმე?**

– რამდენჯერაც დავიწყეთ მოქმედებები ამის შესასწავლად, იმდენჯერ გაგვაჩერეს ზევიდან. არ გინდათ, არ გაეკაროთ, შვილმკვდარი მამაა და ატეხს ამბავსო. ერთხელ ბათუმიდან ჩამოვიდა გამომძიებელი, ჩამოიტანა სასამართლოს დადგენილება, რომ ავტომანქანა, რომელიც ვაზაგაშვილის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა, სინამდვილეში გატაცებული იყო და ეს მანქანა უნდა ამოგვეღო. როდესაც ღონისძიება დაიგეგმა და გატაცებული მანქანის ამოღება ტარდებოდა, სასამართლოს დადგენილების აღსრულების მიზნით, იური ვაზაგაშვილმა მოაწყო მიტინგი, – ჩემი შვილი მოკლეს, მე მანქანას მართმევენ და ა.შ... როგორც ის მცირეოდენ საფრთხესაც კი გრძნობს თავის უკანონო ქმედებებზე, ეგრევე იწყებს სპეკულირებას 2 მაისის სპეცოპერაციით. ეს მანქანა მაინც ამოვიღეთ.

**ირაკლი ფირცხალავა, შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი:**

– ჩვენ დავამტკიცებთ, რომ 90-იან წლებში მას დიდი თანხა აქვს გადახდილი, რომ ძებნა მოხსნოდა და საერთოდ გამქრალიყო მისი საქმე. ეს ადამიანი სამართლებრივი მოედნიდან პოლიტიკურ მოედანზე გადავიდა და ჩვენ მას ამ მოედანზე ვერ გადავყვებოდით. როგორც ჩანს, ჩვენს დროსაც ანგარიშს უწევდნენ და გასდიოდა. ფაქტია, რომ როგორც კი ქმედებებს ვიწყებდით, გვაჩერებდნენ. დღესაც, პოლიტიკური კოტექსტიდან გამომდინარე, ერიდებიან აქტიური ღონისძიებების განხორციელებას. ხომ ხედავთ, როგორც კი კანონი შევიდა განსახილველად ფსიქოტროპულ ნამლებზე, ეგრევე აყვირდა და დაარტყა შსს-ს მოქმედ ხელმძღვანელობას.

**– საზოგადოების ნაწილს გაუჩნდება ეჭვი, რომ თქვენი ბრალდებებით ცდილობთ, გადაფაროთ 2 მაისის სპეცოპერაციის თემა და ის, თუ რამდენად კანონიერად მოხდა ზურაბ ვაზაგაშვილის ლიკვიდაცია...**

– არავინ არ დაინტერესებულა სასამართლოს ჩვენებით. არავის გაუსაჯაროებია ფუთრაძისა და სინდოიანის ჩვენებები, რომლებმაც აღიარეს, რომ ყაჩაღობაზე მიდიოდნენ, რომ იარაღი ჰქონდათ და სროლა დაიწყეს. იური ვაზაგაშვილი ადგა ამ დროს და ორივეს ბოზები ეძახა. ძალიან სამწუხაროა ნებისმიერი ადამიანის გარდაცვალება, მით უმეტეს ახალგაზრდის, მაგრამ სირცხვილია, კრიმინალებს მემორიალებს ვუხსნიდეთ, მსგავსი რამ რუსეთშიც კი არ ხდება. ეს მოხდა იუსტიციის სახლის წინ თეა წულუკიანის მიერ.

**– ციხეში არეულობის ორგანიზებაზეც საუბრობთ... რა გაძლევთ ამის საფუძველს?**

– შეხედეთ, რა მოხდა გეგუთში. მისი წარმომადგენლის მიერ მოხდა ბუნტის მცდელობის ინიცირება გეგუთის კოლონიაში, ატეხენ ხმაურს, აქეთ კაკაბაძე შემოუერთდებათ და არის ერთი ამბავი, თითქოს პატიმრები იჩაგრებიან. დღეს იჩაგრებიან პატიმრები? აგერ ერთი კვირის წინ „კავკასიის“ პირდაპირ ეთერში რეკავს ადამიანი და ამბობს, – მე ვარ ესა და ეს, უვადო პატიმარი და გირეკავთ ციხიდანო. ის, რომ ტელევიზიაში რეკავს, ხომ შეიძლება ნებისმიერ მოქალაქეს დაურეკოს, დააშინოს ან მსგავსი რამ. ამ ფონზე იმის ყვირილი, რომ პატიმრები იჩაგრებიან, სრული სისულელეა. ეს არის მართული პროცესი და ამაში ჩართულია კრიმინალური სამყარო, რომლის აქტიური მხარდამჭერია იური ვაზაგაშვილი. დაიწყოს გამოძიება, დაკითხონ, გაატარონ ოპერატიული ღონისძიებები და ნახავენ, რა შედეგსაც მიიღებენ. რაც შეეხება ფსიქოტროპული წამლების ჩამოტანას, მაგის მანქანას არ აჩერებენ, რადგან შვილმკვდარი მამაა და ვინ აკადრებს გაჩხრეკას. მანქანაში უდევს ხოლმე ფსიქოტროპული მედიკამენტებით გატენილი ჩანთები. მხოლოდ ორი ჩანთით 100 ათას ლარამდე მოგებას ნახულობს. თან ეს არის აღურიცხავი, „გამაგამა“, „კოალაქსი“, „ლირიკა“, „დიაზეპამი“ და კიდევ რამდენიმე წამალი.

შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნების ბრალდებებზე „პრაიმტაიმმა“ კომენტარი იური ვაზაგაშვილსაც სთხოვა, თუმცა მან განმარტების გაკეთება არ ისურვა. მან ამ ყველაფერს დეზინფორმაცია უწოდა და აღნიშნა, რომ ცილისმწამებლური კამპანიისთვის სამართლებრივი გზით მოსთხოვს ყველას პასუხს. ვაზაგაშვილის ადვოკატი, გაგი მოსიაშვილი კი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ აქტიურად მიმდინარეობს ვაზაგაშვილის ოჯახის დისკრედიტაცია, რის გამოც ისინი სასამართლოს მიმართავენ და საჯარო ბოდიშის გარდა, შესაძლოა, მორალური ზიანის ანაზღაურებაც მოითხოვონ.

**გაგი მოსიაშვილი, ადვოკატი:**

– სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში გააქტიურდა იური ვაზაგაშვილის დისკრედიტაციის კამპანია. ჯერ კიდევ 2006 წელს, შვილის ლიკვიდაციის შემდეგ ბატონ იურის დააბრალეს ავტომობილის ქურდობა, რომელიც არ დადასტურდა. არსებობს სასამართლოს განაჩენი, რომლითაც დასტურდება, რომ ის პირი, რომელსაც ეს ინფორმაცია გააჟღერებინეს, ცრუ დასმენისთვის მისცეს პასუხისგებაში. ამის შემდეგ შეავიწროეს მისი ბიზნესი. დღეს უკვე ყაჩაღად შერაცხეს. ჩვენ წარმოვადგინეთ ცნობა ნასამართლობის შესახებ შსს-ს მომსახურების სააგენტოდან, რითაც დგინდება, რომ ეს პიროვნება ნასამართლევი არ არის.

**– თუმცა ისინი ამბობენ, რომ თავის დროზე საკმაოდ დიდი ფული დახარჯა ვაზაგაშვილმა, რომ მისი ნასამართლობა არსად ასახულიყო...**

– სამწუხაროდ, მათ სხვა გზა არ აქვთ, გარდა იმისა, რომ ამგვარ იაფფასიან ტრიუკებს მიმართონ. კიდევ ერთხელ ვამბობ, იური ვაზაგაშვილის მიმართ ბუნებაში არ არსებობს სასამართლოს განაჩენი. რაც შეეხება იმას, რომ ის არის ფსიქოტროპული ნივთიერებების კონტრაბანდისტი... თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, ეს ინფორმაცია, რომ რეალობას შეესაბამებოდეს, თავად ეს ბატონები შსს-ს მაღალ თანამდებობებზე როცა მუშაობდნენ, ხელიდან გაუშვებდნენ ამ საქმეს?

**– ეს კითხვა მეც გამიჩნდა, თუმცა, მათი თქმით, რამდენჯერაც დაიწყეს სამართლებრივი ქმედებები ამ მიმართულებით, იმდენჯერ ზევიდან დაბლოკეს ეს თემაო...**

– ანუ გამოდის, რომ ვიღაცამ ზევიდან მათ დანაშაულის დაფარვა მოსთხოვა? ამის გამო, მათზე კიდევ დამატებითი პასუხისმგებლობაა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იური ვაზაგაშვილის მიმართ ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია, რაც არის ამორალური საქციელი. ჩვენ როგორც ცივილიზებული და კანონმორჩილი ადამიანები, მივმართავთ შესაბამის ორგანოებს და სასამართლოს, სადაც რეპუტაციის შემლახავი ცრუ ინფორმაციის გავრცელების გამო, მოვითხოვთ საჯაროდ ბოდიშის მოხდას. არ არის გამორიცხული, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად გარკვეული თანხაც იყოს მოთხოვნილი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ორთვიანი ოპერატიული სამუშაოები „მაზავშიკების“ დაპატიმრებით დასრულდა

my View

მირიან ბოქოლიშვილი

**ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მოახლოებასთან ერთად, ტრადიციულად აქტუალური ხდება ე.წ. მაზავშიკების თემა. როგორც წესი, ეს ის პერიოდია, როდესაც არალეგალური ტოტალიზატორებით საკმაოდ დიდ ფულს შოულობენ და ხშირად საქმე კრიმინალურ გარჩევებამდეც მიდის, ხშირია სუიციდის შემთხვევებიც. გასული მსოფლიო ჩემპიონატის დროს რამდენიმე შემთხვევა სწორედ თვითმკვლელობით დასრულდა. ცნობილია, რომ ერთმა პიროვნებამ გერმანია-არგენტინის თამაშზე მთელი ქონება წააგო, რომელიც საკმაოდ სოლიდური იყო. სასოწარკვეთილმა კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. კიდევ ერთი ტრაგიკული ისტორია კი იტალიის ქართველ გულშემატკივარს უკავშირდება, რომელმაც ნახევარი მილიონი წააგო, როცა იტალიის ნაკრები ჩემპიონატიდან გამოვარდა. ამბობენ, ფულის შოვნის იმედი რომ გადაეწურა, ქალაქგარეთ თავი ცეცხლსასროლი იარაღით მოიკლაო.**



# „ეს თანხები მიემართება ე.წ. „ობშიაკებში“, რომელიც ემსახურება სწორედ კრიმინალური სამყაროს გაძლიერებას“

შინაგან საქმეთა სამინისტროში ადასტურებენ, რომ უკანონო ფსონების მიღება ხშირ შემთხვევაში ფატალური შედეგითაც მთავრდება. ჭიკაიძის უწყება „მაზავშიკების“ წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას გეგმავს. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ გასულ კვირას, კრიმინალურმა პოლიციამ ქვეყნის მასშტაბით არაერთი პირი დააპატიმრა, რომელთაც ბრალი ედებათ რეგისტრაციის ნებართვისა და ლიცენზიის გარეშე განხორციელებულ უკანონო სამეწარმეო საქმიანობაში (სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლი, რაც 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). შსს-ში განმარტავენ, რომ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი ორი თვის განმავლობაში უწყვეტად ატარებდა კომპლექსურ ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებებს, რომლის შედეგად დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები – ე.წ „მაზავშიკები“: ვასილ ლ., მამუკა კ., ბუბა ბ., ნუგზარ დ., გიორგი ჯ., გრიგოლ ლ. და ლუკა მ. დააკავეს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა საშუალებით, სპორტული თამაშების შედეგებთან დაკავშირებით უკანონო ფსონებს იღებდნენ. მოთამაშეები წაგებული თანხის გადასახდელად და სოლიდური თანხების შესაგროვებლად სხვადასხვა სახის დანაშაულს, კერძოდ, ქურდობას, ძარცვასა და ყაჩაღობას სჩადიოდნენ, რაც სამართალდამცავმა ორგანოებმა არაერთხელ აღკვეთეს. გამოძიებამ, ასევე, დაადგინა, რომ მოთამაშეები წაგებული ფულის სანაცვლოდ გადასცემდნენ ან ალომბარდებდნენ უძრავ-მოძრავ ქონებას ბინებისა და ავტომანქანების სახით. წაგებული ფულის დაგვიანების შემთხვევაში, მოთამაშეებსა და ბრალდებულებს შორის იმართებოდა სისხლიანი გარჩევები, ხოლო რიგ შემთხვევაში, ეს გარჩევები თვითმკვლელობით მთავრდებოდა“, – განაცხადა შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა. მისივე თქმით, დაკავებულთაგან ორი, წარსულში ანალოგიური დანაშაულისთვის იხდიდა სასჯელს.

სქემა, რომლითაც „მაზავშიკები“ მოქმედებენ, ერთი შეხედვით საკმაოდ კარგადაა ორგანიზებული: მოქალაქე „მაზავშიკთან“ სიტყვიერ გარიგებას დებს, ანუ სასურველ გუნდზე სასურველ ფსონს ჩამოდის, მოგების შემთხვევაში „მაზავშიკი“ ვალდებულია, მას თანხა გადაუხადოს, ხოლო წაგების შემთხვევაში, მოთამაშემ დადებული სიტყვა უნდა შეასრულოს და წაგებული თანხა გადაიხადოს. „მაზავშიკების“ მუშაობის სქემა იგივეა, რაც ტოტალიზატორის, განსხვავება მხოლოდ ერთია, აქ თამაში ფულის დადების გარეშეც შეგიძლია. „მაზავშიკმა“ რომ გათამაშოს, ის უნდა გენდობოდეს, ნდობის ფაქტორი აქ ბევრს ნიშნავს. არსებობს „გამაზვის“ კიდევ ერთი ვარიანტი, შუამავალი. ადამიანი შუამავლის მეშვეობით დებს „მაზს“. თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, ბუნებრივია, პასუხისმგებლობას შუამავალი იღებს, ეს კი გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული. სიტყვიერად დადებული ფსონები, ტოტალიზატორში დადებულ ფსონებთან შედარებით, გაცილებით დიდია – დიდი თანხის მოგების იმედით. თუმცა, სამწუხაროდ, ადამიანები, ასეთი გარიგებით, ძალიან დიდ თანხებს აგებენ და ზოგჯერ ეს ციფრი იმდენად დიდია, მისი გადახდა შეუძლებელი ხდება. სწორედ ამიტომ, წაგებულებს უხდებათ ბინების, ავტომობილების ან სხვა ძვირფასი ნივთების გაყიდვა. ფულის ამოღების ხერხები კი საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს. როგორც „პრაიმტაიმს“ კრიმპოლის ყოფილი შეფი, ზაზა ჭაია უყვება, ქურდული სამყარო აქტიურად არის ჩართული ამ ბიზნესში.

**ზაზა ჭაია, კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსი:**

– ე.წ. გამაზვა, რა თქმა უნდა, არალეგალური საქმიანობაა, საიდანაც ამოღებული თანხების დიდი ნაწილი შავი სამყაროს სალაროში მიდის. აქედან მიღებული თანხები მიემართება ე.წ. „ობშიაკებში“. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ბრძოლა „მაზავშიკების“ წინააღმდეგ არის ბრძოლა ქურდული სამყაროს წინააღმდეგ. ეს თანხები ემსახურება სწორედ კრიმინალური სამყაროს გაძლიერებას. მოგეხსენებათ, ამ პროცესმა ძალიან ბევრი ადამიანი დააზარალა, უამრავმა გაყიდა სახლი და მთელი ქონება, რათა წაგებული თანხა მიეტანა, ზოგი საერთოდ უსახლკაროდ დარჩა. ლეგალურ ტოტალიზატორებთან ამ საქმიანობას საერთო არაფერი აქვს.

**– რამდენად ხშირია შემთხვევები, როცა ე.წ. ხელზე გამაზვას შემდგომში სხვადასხვა სახის კრიმინალური გარჩევები მოსდევს?**

– რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს მოსდევს საქმის გარჩევები, ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტების ჩართვა ამა თუ იმ მხრიდან. ხშირად ამას გამოუწვევია ადამიანის მკვლელობა, მძიმედ დაჭრა და ა.შ. იყო შემთხვევები, როცა ეს კრიმინალური დაპირისპირებები საზღვრებსაც გასცდენია და უცხოეთში გაგრძელებულა ე.წ. „რაზბორკები“. ხშირია თვითმკვლელობის შემთხვევებიც, გამომდინარე იქიდან, რომ საკმაოდ დიდ თანხებზეა საუბარი, ზოგ შემთხვევაში თანხები ნახევარ მილიონსაც კი აღწევდა. სამწუხაროდ, იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ამ საქმიანობაში ჩაითრიეს სრულიად ჯანსაღი, არაკრიმინალური წარსულის ახალგაზრდა, რომელმაც, საბოლოო ჯამში, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. იყო შემთხვევები, როცა საკმაოდ ცნობილი ადამიანებიც კი იყვნენ ჩათრეული ამ სიტუაციაში. საბედნიეროდ, სახელმწიფო ახერხებს ამ სენთან ბრძოლას და რაც უფრო ეფექტური იქნება ბრძოლა, მით უკეთესი.

## წაგებული ფულის დაგვიანების შემთხვევაში, მოთამაშეებსა და ბრალდებულებს შორის იმართებოდა სისხლიანი გარჩევები, ხოლო რიგ შემთხვევაში, ეს გარჩევები თვითმკვლელობით მთავრდებოდა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მასპინძრებელი პიზ

# SCANDAL

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 9 | 8 | 203839490 | სს ცირკი | პატარკაციშვილი | 06.01.2012-ისევ დაიბლოკა კოტე იოსელიანის მოთხოვნით sms-სოფო ჭავჭანიძესთან (მითითებით პატარკაციშვილი)-სოფოსგან sms-ეკა ხომერიკთან. ამ გრაფაში მითითებული განბლოკვის შესახებ ინფორმაცია ძველია-06.01.2012 განიბლოკა-27.07.2011-კოტე იოსელიანი |
| 10 | 9 | 204423454 | შპს საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი | პატარკაციშვილი | ამოღებულია იოსელიანი 24.02.2011წ.-ისევ დაიბლოკა 25.02.2011 კოტე იოსელიანის მოთხოვნით-შესაძლოა შემოსტანონ ცვლილებაზე და უნდა ავიყვანოთ კონტროლზე-საბოლოოდ განიბლოკა-28.02.2011-კოტე იოსელიანი |
| 11 | 10 | 204432676 | შპს ცენტრინვესტი | პატარკაციშვილი | |
| 12 | 11 | 206027217 | შპს იურიდიული კომპანია ლობი | პატარკაციშვილი | |
| 13 | 12 | 204450272 | შპს „ტბს" | პატარკაციშვილი | |
| 14 | 13 | 204438705 | შპს „დაცვის საერთაშორისო სამსახური | პატარკაციშვილი | |
| 15 | 14 | 206176476 | შპს „მთაწმინდა ლინქსი | პატარკაციშვილი | |
| 16 | 15 | 204430570 | შპს „სოციალურ კვლევათა ცენტრი | პატარკაციშვილი | |
| 17 | 16 | | შპს „ატვ" ყოფილი შპს „ვერა XXI" | პატარკაციშვილი | |
| 18 | 17 | 206163765 | შპს ოკნო-სისტემური ტექნოლოგიები | პატარკაციშვილი | მოიხსნა ბლოკირება დამორეკა კობამ (პაატა სირაძის მოთხოვნით) 27.04.2012წ. შემოსულია ლიკვიდაციის დაწყებაზე |
| 19 | 18 | 202206978 | შპს „ბეტა | პატარკაციშვილი | |
| 20 | 19 | 202198095 | საქართველოს ოლიმპიური ფონდი | პატარკაციშვილი | |
| 21 | 20 | 202211123 | შპს „გამა+" | პატარკაციშვილი | |
| 22 | 21 | 202217261 | შპს „ტლ კომპანი" | პატარკაციშვილი | |
| 23 | 22 | 202061589 | შპს „მაუდი პატრული | პატარკაციშვილი | |
| 24 | 23 | 202179935 | შპს „საფეხბურთო კლუბი მაუდი | პატარკაციშვილი | |
| 25 | 24 | 202261266 | შპს ჟღეოლაბი ყოფილი შპს „მედიკამენტებისა და ალკოჰოლური სასმელების სამეც. კვლევითი ლაბორატორია | პატარკაციშვილი | |
| 26 | 25 | 206109806 | ა. პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდი | პატარკაციშვილი | |
| 28 | 27 | 202059743 | შპს „პროფესიული საკალათბურთო კლუბი თბილისი დინამო" | პატარკაციშვილი | |
| 29 | 28 | 203862837 | საფეხბურთო კლუბი „დინამო" თბილისის გულშემატკივართა კავშირი | პატარკაციშვილი | |
| 30 | 29 | 202186222 | სს „ი-მედია | პატარკაციშვილი | |
| 31 | 30 | 202188729 | შპს „ტექნომედია | პატარკაციშვილი | |
| 32 | 31 | 202158770 | ინტერ-პრესი | პატარკაციშვილი | |
| 33 | 32 | 204978248 | სი-აი სერვისი | პატარკაციშვილი | |
| 34 | 33 | 204968259 | საქართველოს კომერციული ცენტრი | პატარკაციშვილი | |
| 35 | 34 | 204976240 | ლინქსი | პატარკაციშვილი | |
| 36 | 35 | 204982206 | რადიო იმედი | პატარკაციშვილი | |
| 37 | 36 | 204968268 | ჯი ემ ჯი კონსალტინგ გრუპ | პატარკაციშვილი | |
| 38 | 37 | 204996371 | ტრასტ კომპანი | პატარკაციშვილი | |
| 39 | 38 | 204379733 | შპს საჩოგბურთთ კლუბი „დინამთ | | ამოღებულია (30.09.2010წ. (იოსელიანი) |

Sheet1 Sheet2 Sheet3

# „ნაციონალური" პიზნესტერორის სქემა გაშიფრულია

მარიამ ნადირაძე

**სანამ ნაციონალები ყვირიან, – პოლიტიკურად ვიდევნებითო, ქვეყნის მამები – ევროპასა და ამერიკაში თავს იმართლებენ, კანონის უზენაესობას ვიცავთო, ხალხი კი ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენის შესახებ დაპირებას ახსენებს და შფოთავს, ათეული წლის განმავლობაში ხელყოფილი კერძო საკუთრებათა გრძელი ჩამონათვალი ისევ ხელმყოფლების ხელში რჩება და ამის შესახებ ზემოთ ჩამოთვლილმა ყველა სეგმენტმა ძალიან კარგად იცის. და თუ ვინმეს თავის მოკატუნება მოუნდება, „პრაიმტაიმი" საშინელ ისტორიებს შეახსენებს და თანაც ერთი დოკუმენტის კარნახით. ეს დოკუმენტი მუშა ვერსიად გამოიყენებოდა იმ უწყებაში, რომლითაც ნაციონალები დღემდე თავს ინონებენ და სადაც ექსკურსიებზე თურმე ევროპელებიც კი ჩამოდიოდნენ.**

ამასობაში კი...

ამბის პრეისტორია ასეთია: 2012 წელს, არჩევნებში დამარცხების შემდეგ, საჯარო რეესტრის ნაციონალურმა „ვერხუშკამ" თანამშრომლების შიდა ქსელის ე.წ. „შავი ბაზის"განადგურება მოითხოვა. ზოგადი წარმოდგენისთვის მონაცემთა ამ ბაზის ფოტომასალას წარმოგიდგენთ, თუმცა აქვე გეტყვით, რომ მას შეიძლება პირობითად დაერქვას გასაკოტრებელი კომპანიების შავი სია, რომელზეც არ უნდა გაცემულიყო არც ერთი დოკუმენტი, არც ამონაწერი და საერთოდ, თუ განმცხადებელი რომელიმე ამ კომპანიაზე რამე ოპერაციის განხორციელებას მოითხოვდა და რეესტრის თანამშრომელი ბაზაში აღმოაჩენდა, რომ ის დაბლოკილი, ანუ გაწითლებული იყო, განცხადებას მიიღებდა, მაგრამ ის ბლოკის მოხსნამდე არც ერთ შემთხვევაში არ დაკმაყოფილდებოდა. ყველა ასეთ კომპანიას, თუ ფიზიკურ პირს ბაზაში ჰქონდა თავისებური მინაწერი, ვთქვათ, ასეთი: დაიბლოკა 27.01.2011-ში ს.ნ.-ს მოთხოვნით. ს.ნ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი, სოსო წიქარიშვილი გახლდათ. თუმცა, როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, ის არ იყო ერთადერთი, ვინც მსგავს მითითებებს იძლეოდა...

მკითხველი, ცხადია, ამ შესავალითაც მიგვიხვდება, რომ ეს სკანდალური დოკუმენტი წელიწად-ნახევრის შემდეგ „პრაიმტაიმის" ხელში აღმოჩნდა. დოკუმენტის თითოეული გრაფა, შეიძლება ითქვას, ცალკე ისტორიაა, რომლითაც პროკურატურა უსათუოდ უნდა დაინტერესდეს, თუ, რა თქმა უნდა, მის ამ პირდაპირ, კანონისმიერ მოვალეობას (რეაგირება მოახდინოს პრესაში გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე) ხელს არ შეუშლის ის ფაქტორი, რომ ზოგიერთი პროკურორი, რომელიც რეესტრს მსგავსი დაბლოკვის მითითებას აძლევს, დღესაც მოქმედი თანამშრომელია.

## გილაურის 50-ლარიანი ჯარიმა და გაუცემელი ამონაწერები

„პაკარდი", „თემი და და ჯგუფი", „ფისკი", „არტ იმედი", „იმედი კონტაქტი", „მთავარი გაზეთი",„უნივერსალი", ცირკი", „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი", „ცენტრ ინვესტი", „იურიდიული კომპანია ლობი", „ტბს", „დაცვის საერთაშორისო სამსახური", „მთწმინდა ლინქსი", „სოციალურ კვლევათა ცენტრი", „ატვ", „ოკნო სისტემური ტექნოლოგიები", „ბეტა", „საქართველოს ოლიმპიური ფონდი", „გამა+", „ტლ კომპანი", „მაუდი პატრული", „საფეხბურთო კლუბი მაუდი", „ჯეოლაბი", „ა. პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდი", „პროფესიული საკალათბურთო კლუბი თბილისის დინამო", „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისის გულშემატკივართა კავშირი", „ი-მედია", „ტექნომედია", „ინტერ-პრესი", „სი აი სერვისი", საქართველოს კომერციული ცენტრი", „ლინქსი", „რადიო იმედი", „ჯი ემ ჯი კონსალტინგ გრუპ", „ტრასტ კომპანი", „საჩოგბურთო კლუბი დინამო" – წარმოდგენილი დოკუმენტი ამ ჩამონათვალით იწყება და მკითხველი, ალბათ, უკვე მიხვდება, რომ საქმე ბადრი პატარკაციშვილის დაფუძნებულ კომპანიებს ეხება. ამ კომპანიების სარეესტრო კონტროლი, როგორც ირკვევა, საჯარო რეესტრის ერთ-ერთი ყოფილი მაღალჩინოსნის, კოტე იოსელიანისგან ხორციელდებოდა, რა თქმა უნდა, „ზემოდან" მითითებით. თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ ერთ-ერთ მინაწერს ს.ს. ცირკთან დაკავშირებით – 06.01.2012-„ისევ დაიბლოკა კოტე იოსელიანის მოთხოვნით. sms სოფო ჭავჭანიძესთან (მითითებით პატარკაციშვილი). სოფოსგან sms ეკა ხომერიკთან. განიბლოკა 27.07. 2011 – კოტე იოსელიანი".

ბუნებრივია, მკითხველს აინტერესებს, ვინ არიან ეს ადამიანები, რომლებიც ამ უკანონო საქმიანობას ეწევიან (სავარაუდოდ, არა თვითნებურად. – მ.ნ.).

როგორც „პრაიმტაიმმა" გაარკვია, იოსელიანი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ხელმძღვანელი გახლდათ, ხოლო ჭავჭანიძე და ხერხეულიძე, სავარაუდოდ, დღესაც უნდა მუშაობდნენ ამ სისტემაში (?!-მ.ნ.).

სხვათა შორის, პატარკაციშვილის ოჯახს მოუხდა განცხადების გაკეთება „თბილისის დინამოს" გასხვისებასთან დაკავშირებით. ეს განცხადება საინტერესო სწორედ იმით არის, რომ პირდაპირ პასუხობს ჩვენს დღევანდელ თემას: „ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ, ჩვენი ოჯახი აგრძელებდა საფეხბურთო კლუბი „დინამოს" დაფინანსებას და მის განვითარებას. თუმცა იმ ზეწოლის გამო, რომელიც ხორციელდებოდა წინა ხელისუფლების მიერ ჩვენი ოჯახისა და მის მფლობელობაში არსებულ აქტივებზე, „დინამოს" შემდგომი განვითარება დადგა კითხვის ქვეშ. ჩვენ ამონაწერებსაც კი ვერ ვიღებდით კლუბის შესახებ რეესტრიდან, რომ კლუბს მისცემოდა საშუალება, თამაშებზე პრობლემების გარეშე გამგზავრებულიყო. ამიტომ, კლუბის ინტერესებიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, ინვესტორი გვეპოვა".

ინვესტორი მოიძებნა კიდეც. ეს საზღვარგარეთ მოღვაწე ბიზნესმენი, რომან ფიფია იყო, რომელიც სააკაშვილთან დაახლოებულ ბიზნესმენთა რიცხვში ითვლებოდა და პრესაში ხშირად ნაციონალური ხელისუფლების დროს „გაბლატავებულ" ძმებ შარანგიებთან ასოცირდებოდა. გასხვისების შემდეგ რეესტრში ბლოკიც იხსნება...

პატარკაციშვილის ზოგიერთი კომპანიის დაბლოკვაში, როგორც ირკვევა, მხოლოდ რეესტრის მაღალჩინოსნები არ მონაწილეობდნენ. სწორედ ამას გვიდასტურებს მინაწერი შპს „ოკნო სისტემურ ტექნოლოგიებზე" – „მოიხსნა ბლოკი. დარეკა კობამ პაატა სირაძის თხოვნით". კობა არის იგივე კობა ბახტურიძე, მაშინდელი საჯარო რეესტრის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურის უფროსი. ხოლო რაც შეეხება პაატა სირაძეს, მის შესახებ აქვე მოგახსენებთ:

ხსენებული კომპანია ს.ს. „ი-მედიაში" შემავალი სუბიექტი იყო. პაატა სირაძე კი ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ „ი-მედიას" დირექტორად გვევლინება. ის ამავდროულად ყოფილი ვიცე-მერის, მამუკა ახვლედიანის მეგობარია და საკმაოდ საეჭვოდ ჩნდება თავის დროზე „სითი-პარკის" საქმეშიც. როგორც თავის დროზე იმუნიტეტდატოვებული დეპუტატი, კობა ბექაური აცხადებდა, ის „სითი-პარკის" მრჩევლად იყო დანიშნული და სწორედ ის აკონტროლებდა ებრაული მხარის შემოსავლებისა და მოგების ხელისუფლების მაღალჩინოსნებზე გადანაწილების პროცესს.

საჯარო რეესტრის მიერ პატარკაციშვილის კომპანიების პარტიზანულ დაბლოკვასთან დაკავშირებით, „პრაიმტაიმი" ოჯახის ადვოკატს, ლაშა ბირკაიას დაუკავშირდა, რომელმაც დაადასტურა ეს პროცესი. უფრო მეტიც, ერთი ისტორიაც გაგვახდო: „2009 წელს სასამართლო დავა გვქონდა „ტელეკომპანია იმედთან" დაკავშირებით. სასამართლოზე ვერაფრით წარვადგინეთ რეესტრიდან ამონაწერი. მოსამართლემ მისი მიღება მოითხოვა, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს ეს ნიკა გილაურს დაავალა. მაინც ვერ მივიღეთ ამონაწერი, მიუხედავად იმისა, რომ გილაურს მოსამართლემ 50-ლარიანი ჯარიმაც კი დაადო ამის გამო".

## ქართუ ჯგუფი

იმ დროს, როდესაც „პრაიმტაიმი" ამ თემას იკვლევდა, ერთ ძალიან საინტერესო განცხადებას წააწყდა, რომლის ავტორი „ქართუ ჯგუფის იურიდიული განყოფილების უფროსი, ალა კახნიაურია". „მე ვფიქრობ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის სოსო წიქარიშვილის პასუხისმგებლობა უნდა დადგეს, რადგან არც ერთი ჩვენი განცხადება



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნესმენეპის მავი სია

# „პრაიმტაიმი“ საჯარო რეესტრის საიდუმლო დოკუმენტს ასაჯაროებს

EXCLUSIVE

მაკა ასათიანი

ჯაბა ებანოიძე

ბადრი პატარკაციშვილი

სოსო წიქარიშვილი

არ კმაყოფილდებოდა. თუ 200-ლარიანი ქვითრით შევიტანდით განაცხადს და მოვითხოვდით სასწრაფო რეგისტრაციას, ის საერთოდ არ ატარებდა ამ ქონებას რეგისტრაციაში. აჩერებდა ჩვენს ნებისმიერ მოთხოვნას, გარიგების დამოწმებას. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ საჯარო რეესტრის ხელმძღვანელსაც ჰქონდა ბრძანება მიღებული, რომ არავითარი გადაწყვეტილება არ უნდა მიეღო. ეს ხდებოდა როგორც თბილისის საჯარო რეესტრში, ასევე, რესპუბლიკის მასშტაბით“.

„ქართუ ჯგუფის“ მიმართულებით რომ განსაკუთრებით შეკრული და ერთსულოვანი იყო ყოფილი ხელისუფლება, ამის შესახებ უკვე ვიცით. განსაკუთრებით კი მისი პოლიტიკაში გამოჩენის მერე. სწორედ ამ დროს ემთხვევა საჯარო რეესტრის წარმოდგენილ დოკუმენტში განსაკუთრებული მითითებები მის კუთვნილ, ან მასთან ასოცირებულ კომპანიებზე კონტროლის გამკაცრება. მკითხველს თავს აღარ შევაწყენთ ამ კომპანიებზე ცალ-ცალკე საუბრით, თუმცა აქვე დაგიდასტურებთ, რომ მათი დაბლოკვა ხდებოდა ჯ.ე.-ს, იგივე ჯაბა ებანოიძის ხელმძღვანელობით, რომელიც თავის დროზე საჯარო რეესტრის, შემდეგ კი შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელი გახლდათ. ჯაბა ებანოიძე წინა ხელისუფლების დროს მერაბიშვილის კადრად იყო მიჩნეული. თუმცა, ხელისუფლების ცვლის შემდეგ, როდესაც ის „ქართუ ბანკის“ საქმეზე დაკითხეს, როგორც ამბობენ, ყველაფერი დაფქვა. ხმამაღლა კი განაცხადა, – ნაწილობრივ ვცანი თავი დამნაშავედო.

გულწრფელმა აღიარებამ მას მდგომარეობა შეუმსუბუქა კიდეც, თუმცა, რატომღაც პასუხი არავის მოუკითხავს პროკურატურის იურიდიული სამსახურის ყოფილი უფროსისთვის, ლევან მახარაშვილისთვის, რომელიც 2012 წელს ბლოკავდა „ქართუსთან“ დაკავშირებულ კომპანიებს. ამას კი ჩვენ მიერ შესწავლილი, ახლა კი უკვე მკითხველისთვის წარმოდგენილი დოკუმენტის ამონაწერი მოწმობს.

## „შეთქმულებაში“ მონაწილე პროკურორები

ლევან მახარაშვილი სულაც არ იყო ერთადერთი მაღალჩინოსანი პროკურატურიდან, რომელიც ხსენებულ დოკუმენტში იკვეთება:

საჰაერო ტვირთების გადამზიდავი კომპანიის, „საჰაერო კარიბჭის“ შესახებ ისტორია თავის დროზე ჩვენს მკითხველს შევთავაზეთ. ვისაც ეს არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ მისი დამფუძნებლის მტკიცებით, მისი სისხლის სამართლებრივი დევნისა და ტერორის შედეგად, ეს ბიზნესი მას საბოლოოდ დავით კეზერაშვილმა წაართვა. ზოგიერთი სამხედრო ექსპერტი, რომლებიც ირწმუნებიან, რომ დავით კეზერაშვილს ხელი იარაღის ბიზნესში ჰქონდა გასვრილი, იმასაც გვარწმუნებენ, რომ ეს ბიზნესი მას სამხედრო ტვირთების გადასაზიდად სჭირდებოდა ემბარგოდადებულ ქვეყნებში. ასეა თუ ისე, ჩვენთვის კარგად ნაცნობი ეს კომპანია რეესტრის შავ სიაშიც აღმოვაჩინეთ, მინაწერით – „დაიბლოკა ს.ნ.-ს და ლეპარტის მოთხოვნით (სოფო ჭავჭანიძის მეილი 24.05.2011)“. სოსო წიქარიშვილისა და სოფო ჭავჭანიძის შესახებ ზემოთ უკვე მოგახსენეთ. რაც შეეხება დავით ლეპარტს, ის იმ დროისთვის მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის დეპარტამენტის უფროსი გახლდათ. მისივე მოთხოვნით 30.08.02011-ში იბლოკება შპს „ტექნოსერვისი“, შპს „რეალთი ჯორჯია“, შპს „ტექნო ბუმი“, შპს „რუგე კაპიტალი“.

როგორც ინფორმირებული ადამიანები გვიყვებიან, ლეპარტი პროკურატურაში მურთაზ ზოდელავას მოადგილის, უგულავას პროტექციით მოხვდა. უგულავას კი დღეს საადვოკატო ბიურო აქვს გახსნილი და ნაციონალების ინტერესებს ახლა ამ პოზიციებიდან იცავს.

პროკურატურიდან რეესტრის ამ „შავ“ საქმიანობაში ერევა კიდევ სხვა პროკურორიც, მარშავა, რომელიც 2011 წელს აბლოკინებს შპს „მენეჯმენტ“ კონსალტინგს. მარშავა ფიგურირებს ნიკა გვარამიას საქმეშიც...

განსაკუთრებით მსხვილი კომპანიები ჰქონდა აყვანილი კონტროლზე კიდევ ერთ „ბობოლა“ პროკურორს, დავით გაგნიძეს, რომელსაც პროკურატურაში ადეიშვილის ფავორიტად იცნობდნენ. ეს კომპანიებია:

„ოლიმპიური ვარსკვლავი“, „ოლიმპი-ბიზნეს ჯგუფი,“ „საბურთალო 2000“, „ორთაჭალა 2007“, „მორკინალი 2010“, „მათა+“, „მორკინალი-1“, „მორკინალი 2“. ისინი 2012 წლის 30 მაისს იბლოკება.

დავით გაგნიძეს ადვოკატებზე მონადირე პროკურორადაც იცნობდნენ. თავის დროზე ანზორ ქოქოლაძის საქმეზე დაკავებული აუდიტორი, მაია ფეიქრიშვილი წერდა: „9 საათს ვიყავი დაკითხვაზე ადვოკატის გარეშე, სხვადასხვა ადამიანი მკითხავდა. აქტიურობდა კაპანაძე, რომელიც ქოქოლაძის ციხეში გაშვების შემდეგ დაანინაურეს. დავით გაგნიძე სასტიკ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებდა – მეუბნებოდა, რომ, თუ ქოქოლაძეს ხელს არ დავადებდი, 3 წლით გამიშვებდა ციხეში. მე ეს არ გავაკეთე. გაგნიძე მიყვიროდა, – შენ რა, ქურდობა გინდა, ძველებიჭურს აწვებიო. მისი არ მეშინოდა. ვუთხარი, რომ ერთ დროს როლები შეიცვლება და ამ თარიღს გავახსენებდი“.

ცნობილ პროკურორს, ზაზა ქაჩიბაიას, რომელიც წლების მანძილზე საგამოძიებო ნაწილს ხელმძღვანელობდა, თავის დასაცავად თავის დროზეც დაუჭერია თადარიგი. მის მიერ 20-მდე კომპანიაა დაბლოკილი, თუმცა არ არის მითითებული დასახელებები. სახეზე მხოლოდ მათი საიდენტიფიკაციო ნომრებია...

რაც შეეხება მის მოადგილეს, ალეკო მგელაძეს, რომელიც ქაჩიბაიას გვერდის ავლით პირდაპირ კავშირზე იყო დავით ჩხატარაშვილთან (სხვათა შორის, ჩხატარაშვილის ინტერესებს დღეს ქაჩიბაია იცავს. – მ.ნ.), ჯაბა ებანოიძესთან ერთად დაბლოკილი ჰქონდა შემდეგი კომპანიები: შპს „ნეზლობა“, შპს „თ.ბ.თ. ჯგუფი“, შპს „ვესტ ინვესტ ტრეიდინგი“, შპს „ვესტ ქოლდი“, შპს „დაუნთაუნი“, შპს „აზია-ვეი“, შპს „ბბპ“, შპს „ამერიქოლდი“, შპს „გ.ს.კ.“, სამხედრო ოპერაციებში გარდაცვლილი მოსამსახურეთა და დაზარალებული ოჯახების დახმარება. ფონდი „თანადგომა“, შპს „ძველი ქუჩა 2010“. ამ კომპანიებზე ბლოკი 17 ნოემბერს არის დადებული, მოხსნილია იმავე წლის მაისში. ალეკო მგელაძე ზაურ ცხადაძის, ვაზაგაშვილის, „სენტას“ და კიდევ სხვა მნიშვნელოვან საქმეებშიც ფიგურირებს.

აქამდე ჩამოთვლილი პროკურორები დღეს სისტემაში აღარ მუშაობენ, ხოლო ქალბატონი მირანდა მელქაძე, რომლის მოთხოვნითაც, ამ დოკუმენტის მიხედვით ვანო ჩხარტიშვილის ქალიშვილის, ნათია ჩხარტიშვილის კომპანია „პრინცესა“ იბლოკება, დღესაც ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელი გახლავთ.

## საინფორმაციო საშუალებები

თუ ჩვენს მკითხველთა შორის არის ისეთი ადამიანიც, რომელიც ნაციონალური ხელისუფლების პირობებში არ ცხოვრობდა საქართველოში, მარტო ამ დოკუმენტის გაცნობის შემთხვევაში აღმოაჩენს, რა ხდებოდა ამ დროისთვის ქვეყანაში. იმასაც ნახავს, რომ განსაკუთრებული ყურადღება ხელისუფლებას ბიზნესის ერთ საყურადღებო სეგმენტზე – მედიაბიზნესისკენ ჰქონდა მიმართული. როგორც ირკვევა, დაბლოკილი იყო თითქმის ყველა ტელევიზია, მათ შორის რეგიონალურებიც. ამასთანავე, გაზეთი „რეზონანსიც“... მათზე კონტროლს რეესტრის ხელმძღვანელი, სოსო წიქარიშვილი ახორციელებდა.

როდესაც ამ მონაცემებს ვეცნობოდით, აღმოვაჩინეთ, რომ, როცა ტელეკომპანია „გურია“ დაიბლოკა, ეს თარიღი მის გასხვისებას დაემთხვა.

შპს „იგრიკა“ კი დაიბლოკა სოსო წიქარიშვილის მოთხოვნით, 2011 წლის 28 დეკემბერს. მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება, რა ხდებოდა ამ ტელეკომპანიის გარშემო ამ პერიოდში. ირკვევა, რომ მისი მფლობელი „მაესტროს“ გენერალური დირექტორი, ბაჩო კიკაბიძე იყო. ამ დროისთვის კი ტელევიზია მართვის უფლებით შპს „აქცეპტს“ გადაეცა, რომლის ოთხმოცი პროცენტის მფლობელი ბიძინა ივანიშვილის მეუღლე, ეკატერინე ხვედელიძეა.

ტელეკომპანია „თანამგზავრი“ 2012 წლის 27 თებერვალს დაიბლოკა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ტელეკომპანია „თანამგზავრს“ ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან პრობლემა არაერთხელ შეექმნა. „თელავის გამგეობიდან ჩვენი კორესპონდენტებისთვის პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ნებისმიერი საჯარო ინფორმაციის მიღება. 2005 წლის ნოემბერში თელავის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის, გოჩა მამაცაშვილის დავალებით, ტელეკომპანიაში ფინანსური პოლიცია შემოიჭრა, რამაც „თანამგზავრის“ მუშაობა შეაფერხა. ჟურნალისტებს სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ. ვერაფერი რომ ვერ მოგვიხერხეს, ბოლოს ფინანსური პოლიცია ყველა იმ საწარმოში შევიდა, ვისაც სარეკლამო მომსახურებას ვუწევდით. ზეწოლისა და ზედმეტი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ამ ორგანიზაციებმა ჩვენთან თანამშრომლობაზე საერთოდ უარი თქვეს“, – აცხადებდა იმ დროს „თანამგზავრის“ ჟურნალისტი და საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი ნატო მეგუთნიშვილი. 2006 წლის 1-ელ თებერვალს სამართალდამცავებმა ტელეკომპანია „თანამგზავრის“ დირექტორი ენრი კობახიძეც დააკავეს...

შპს „ტელეარხი-25“ 2012 წლის 24 თებერვალს დაიბლოკა. სწორედ ამ დღეს მისი მფლობელები, ბიზნესმენი ჯემალ ვერძაძე და წალენჯიხის მაშინდელი მაჟორიტარი დეპუტატი, რა თქმა უნდა, ნაციონალი ლევან ქარდავა გახდნენ. მაშინ საზოგადოების ნაწილის დაეჭვება იმანაც გამოიწვია, რომ მფლობელების ვინაობის ცვლილების შესახებ საჯარო რეესტრის ამონაწერი 24 თებერვალს გვიან საღამოს, არასამუშაო საათებში 23:11-ზე დარეგისტრირდა...

იმავე წლის 10 აპრილს იბლოკება მაკა ასათიანის კომპანია შპს „აკაც“. ამ კომპანიის შესახებ იმ დროს მაკა ასათიანმა განცხადებაც გააკეთა: „ამის შედეგი იოლი მისახვედრია, მოხდება კომპანიის სრული განადგურება და ჩემი და ჩემი ოჯახის წევრები დაკარგავენ საკმაოდ დიდი აქტივების მქონე ბიზნესს. მიმდინარე ქმედებები პირდაპირ არის დაკავშირებული აქტივებთან, რომელიც ტელეკომპანია „მაესტროში“ გამაჩნია. ამას ეწირება მამაჩემის, კახი ასათიანის დანატოვარი ქონება და ბიზნესი. მოცემულ ქმედებებს ვაფასებ, როგორც პოლიტიკურ ანგარიშსწორებას ჩემზე და ჩემი ოჯახის წევრებზე...

„ზურაბ ადეიშვილს ღიად და პირდაპირ მივმართავ და ვეუბნები არა-ს. ამასთანავე, ვაფრთხილებ, რომ ასეთი მეთოდებით ჩემზე ზეწოლის განხორციელების საშუალებას შეძლებისდაგვარად არ მივცემ. კვლავ ვაგრძელებ და უფრო მეტად და აქტიურად ტელეკომპანია „მაესტროს“ დაფინანსებას...“

*გაგრძელება მეთოთხმეტე გვ.*

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა დავალებას ასრულებდა და ვისი ბრძანებით ბლოკავდა საჯარო რეესტრი ბიზნესმენებს?!

EXCLUSIVE

*მეცამეტე გვერდიდან*

**მკითხველი, ბუნებრივია, გვისაყვედურებს, თუ არ ვუამბობთ იმ ცნობილი ბიზნესმენების შესახებაც, რომლებმაც ნაციონალური ტერორის ძალა ყველაზე მკაცრად იწვნიეს, მით უმეტეს, რომ დოკუმენტში, რომელზეც დღეს ვაკეთებთ სწორებას, ერთი ფრაზითაც ძალიან ბევრ ინფორმაციას ამოვიკითხავთ.**

## ჯოზეფ ქეი

მის სახელთან დაკავშირებული კომპანიები „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი“ და „ტექნო მედია“ სოსო წიქარიშვილის მითითებით 2008 წლის 17 დეკემბერს, „ი-მედია კონსეპტი“ კი 23 დეკემბერს იბლოკება. იქვე მითითებულია, რომ არაფერი უნდა გაკეთდეს მისი თანხმობის გარეშე.

სწორედ 2008 წლის 17 დეკემბერს რეგისტრირდება „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი“, რომლის ერთპიროვნული ხელმძღვანელი გიორგი არველაძეა.

რაც შეეხება „ქართულ ფოლადს“, რომელიც ჯოზეფ ქეიმ ახალი ხელისუფლების პირობებში დაიბრუნა, კოტე იოსელიანის მითითებით 2011 წლის 27 ოქტომბერს განიბლოკა. სასამართლოს განჩინებით 2011 წლის 19 დეკემბერს დაიწყო ქართული ფოლადის რეაბილიტაციის გეგმა. სხვათა შორის, ეს ის დროა, როდესაც პატარკაციშვილის ოჯახსა და სახელმწიფოს შორის ცნობილი სკანდალური შეთანხმება დაიდო და „იმედის“ სანაცვლოდ სხვადასხვა კომპანიებთან ერთად ოჯახმა ეს ბიზნესიც დაიბრუნა. ამ პროცესებზე თავის დროზე კომპანიის დირექტორი, ნათია ჯაყელი აცხადებდა: „2011 წლის 6 ივლისს, მიხეილ სააკაშვილსა და ინა გუდავაძეს შორის შეთანხმების გაფორმების შემდეგ, ს.ს. „ქართული ფოლადის“ მენეჯმენტს იძულებით დაატოვებინეს ქარხანა, ხოლო თავად საწარმოს აქტივები ხელოვნური გაკოტრებისა და უკანონო გარიგებებით გადაეცა სახელდახელოდ შექმნილ შპს „რუსთავის ფოლადს“, რომლის მეპატრონე რეალურად ინა გუდავაძეა“.

იმავე წლის 29 დეკემბერს იოსელიანმა განბლოკა საფეხბურთო კლუბი რუსთავის „ოლიმპიც“, რომელიც ბოლო წლებში გუბერნატორ დავით კირკიტაძის სახელს მჭიდროდ დაუკავშირდა. შენიშვნაში ნათქვამია, რომ ის ქართული ფოლადის გამო იყო დაბლოკილი. .

## პანტიკო თორდია

„თბილავიამშენის“ ისტორიები ყველას კარგად ემახსოვრება. როგორც ირკვევა, ის რეესტრში 2010 წლის 29 ოქტომბრამდე იყო დაბლოკილი. ეს სწორედ ის წელია, როდესაც პანტიკო თორდიას ქონება იძულების წესით ჩამოერთვა. 2010 წლის 19 ივნისს საწარმოში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლები შევიდნენ და სასამართლოს ბრძანების საფუძველზე დოკუმენტები ამოიღეს. კანონის მოთხოვნის მიუხედავად, ამოღების ოქმები არ შედგენილა და დოკუმენტაცია მხოლოდ მას შემდეგ დააბრუნეს, რაც აქციონერებმა ქონება სახელმწიფოს აჩუქეს. ამასთანავე, კომპანიის დირექტორი და ყველაზე მსხვილი პარტნიორი, პანტიკო თორდია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში დაიბარეს, სადაც მას ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილება წარუდგინეს.

პრობლემების თავიდან ასაცილებლად კი „თბილიავიამშენის“ აქციონერებმა ქონება დათმეს. ეს ქონება დღეს ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა და ახალმა ხელისუფლებამ დირექტორად „ქართუ ჯგუფის“ ყოფილი პრეზიდენტი, გიგა ჩრდილელი დანიშნა.

ჯოზეფ ქეი

## გენადი მალაზონია

შავ სიაში მოხვდა სს „ენერჯი-ინვესტიც“. ბლოკი ამ კომპანიას 2010 წლის 3 დეკემბერს დაედო. ამას კი წინ მთელი პროცესები უსწრებდა. კომპანიის დირექტორი, გენადი მალაზონია იმ წლის 19 მაისს დააკავეს. პროკურატურა მალაზონიას გადასახადების დამალვასა და უკანონო სამეწარმეო საქმიანობაში, ასევე, ხელმძღვანელობის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში სდებდა ბრალს. საუბარი იყო 170 მლნ ლარამდე უკანონო შემოსავალზე. მანამდე 8 წლის განმავლობაში მალაზონია საბანკო ბიზნესში იყო, ხოლო 5 წელი, საქართველოს მთავრობაში მაღალ თანამდებობებზე იმსახურა: იყო საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (1999-2000), საქართველოს ეკონომიკის, ინდუსტრიისა და ვაჭრობის მინისტრის მრჩეველი და შემდეგ მოადგილე (2001), საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი (2001), ქონების მართვის მინისტრის მოადგილე (2001-2003), განათლების, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრების მოადგილე (2003-2004), სახელმწიფო მინისტრის კადრების უფროსი (2004). „ენერჯი ინვესტი“ რუსთავის „აზოტს“ 2004-2010 წლებში ფლობდა.

2010 წლის დეკემბერში კი, რუსთავის ქიმიური ქარხანა რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენის რომან ფიფიას კუთვნილმა ბიზნესჯგუფმა შეიძინა. რომან ფიფიას შესახებ ზემოთ უკვე მოგახსენეთ, როდესაც პატარკაციშვილის მფლობელობაში არსებულ „თბილისის დინამოს“ გასხვისებაზე გესაუბრებოდით. რუსთავის „აზოტის“ მართვას მას შემდეგ კომპანია „კარატ+“ ახორციელებდა.

## ძმები ნიჟარაძეები

როდესაც შავ სიაში ნუკრი და თამაზ ნიჟარაძეები აღმოვაჩინეთ, ბუნებრივია, გაგვახსენდა რამდენიმე თვის წინანდელი ისტორია:

29 მაისს თბილისში, მარაბდის ქუჩაზე, დილით ძლიერი აფეთქება მოხდა. დაიწვა ბიზნესმენ თამაზ ნიჟარაძის მეუღლის ავტომანქანა. ნიჟარაძე მისი მეუღლის ავტომანქანის დაწვას თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის პირად ანგარიშსწორებად მიიჩნევდა. ბიზნესმენის განმარტებით, 2010 წელს დავით კეზერაშვილმა და ვანო მერაბიშვილმა მას ბიზნესი, ფოთის ნავთობტერმინალი ისე ჩამოართვეს, რომ მისთვის არაფერი გადაუხდიათ, გარდა ამისა, იგი მარაბდის ქუჩაზე მდებარე მის კუთვნილ სახლში იმყოფებოდა შინაპატიმრობაში და სამართალდამცავები მის სახლში ცხოვრობდნენ.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, თამაზ ნიჟარაძემ მიმართა პროკურატურას, ფინანსურ პოლიციას და შსს-ს დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრასთან დაკავშირებით. როგორც დაზარალებული ბიზნესმენი აცხადებდა, მისთვის საინტერესო იყო, დავით კეზერაშვილის ყველა ბიზნესის ბიზნესმენ დავით იაკობაშვილზე გადაფორმების ფაქტიც.

„გარკვეული ძვრები დაიწყო, რომ სიმართლე დადგენილიყო, თუმცა დაახლოებით 10 დღის წინ დავით კეზერაშვილი შვილის ფიზიკური განადგურებით დამემუქრა. ჩემი შვილი ლონდონში სწავლობს და მომიწია დაცვის დაქირავება შვილის უსაფრთხოებისთვის. მუქარები დავით კეზერაშვილმა მეგობრის, სოსო მგელაძის სახელით შემომითვალა“, – აცხადებდა თამაზ ნიჟარაძე.

რეესტრის შავ სიაში მისი და მისი ძმის გვარები 2011 წლის 18 დეკემბრამდე იყო დაბლოკილი. მერე კი საჯარო რეესტრის რეგისტრაციისა და კადასტრის უზრუნვ-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნესმენეპის მავი სია

# „პრაიმტაიმს“ SCANDAL ხელში სკანდალური დოკუმენტი ჩაუვარდა

ელყოფის სამსახურის უფროსის, ვანო ცერცვაძის მითითებით განიბლოკა.

### ჭუტა წერეთელი

გასაკვირია, მარამ ამ სიაში შპს „საქართველოს თამბაქოს წარმოებაც“ მოხვდა. ის დაბლოკილი იყო 2010 წლის ნოემბრამდე. შემდეგ 2011 წლის მარტში.

მის უსიამოვნებებთან დაკავშირებით ნაციონალურ ხელისუფლებასთან ერთი კურიოზული ისტორია აღმოვაჩინეთ, რაც, რაც არ უნდა უცნაურად გამოიყურებოდეს, ერთ კურიოზულ ამბავს ეხება.

გთავაზობთ ამონაწერს ერთ-ერთ მედიასაშუალებაში გამოქვეყნებული პუბლიკაციიდან: „სამეგრელოს რეგიონში გაყინული ხორცით ახალი ხორცის ჩანაცვლება წერეთელმა, როგორც ამბობენ, მას შემდეგ დაიწყო, რაც საპრეზიდენტო არჩევნებში 2 მილიონი ჩადო. მართალია, თავდაპირველად ბიზნესი ცოტა ძნელად ვითარდებოდა, მაგრამ შემდეგ, თანდათან, თითქმის, ყველა რეგიონი მოიცვა კახეთის გარდა. როგორც ჩანს, წერეთელმა ტრადიციულ კახურ მწვადს ვერაფერი მოუხერხა და ვერც კახელების გული მოიგო. სამაგიეროდ, სამეგრელოში აღარ იკვლებოდა განთქმული მეგრული ღორი და მის ნაცვლად, რეგიონში არსებულ ყველა რესტორანში მხოლოდ გაყინული ხორცის მწვადებს აშიშხინებდნენ.

სამეგრელოში, ამ საქმეში წერეთელთან ერთად ბიზნესს ერთ-ერთი დეპუტატი (ვინაობას შეგნებულად არ ვაკონკრეტებთ) აკეთებდა. ხორცი, რომლითაც წერეთელი საქართველოს კვებავდა, იმდენად უვარგისი იყო, დეპუტატმა კარგად იცოდა, რომ მისი ჭამა არაფრით შეიძლებოდა. ამიტომ, განსაკუთრებული სტუმრებისთვის პარტნიორებმა, გაყინულ ხორცთან ერთად, ღორების მოშენებასაც მიჰყვეს ხელი. თუმცა, როგორც ჩანს, ზედმეტი ფულის ხარჯვა დაენანათ და ღორებს ადამიანის განავალს აჭმევდნენ.

სხვაზე ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ზუგდიდელებისთვის მიხეილ სააკაშვილი ყოველთვის ითვლებოდა განსაკუთრებულ სტუმრად და შესაბამისად, მას ჭუტას იმპორტირებულ გაყინულ და უვარგის ხორცს ვერ შესთავაზებდნენ. სამაგიეროდ, ქვეყნის პირველ პირს, ზუგდიდში სტუმრობისას, ადამიანის ფეკალიებით ნაპატივებ ღორებს კი უკლავდნენ.

ბოლოს და ბოლოს, ეს ამბავი გასკდა და, სწორედ იმ ღამეს, დეპუტატი გულის შეტევით გარდაიცვალა. რაც შეეხება წერეთელს, ის თითქოს იოლად გადარჩა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე მილიონს, რომელიც „მშობლიურ პარტიაში“ კიდევ ერთხელ შეატანინეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ საქმისთვის წერტილი ჯერ არ დაუსვამთ. როგორც ინფორმირებული წყარო გვატყობინებს, მალე ჭუტა წერეთლის ბიზნესებსაც მიადგებიან და ამ ცნობილ ისტორიას კიდევ მრავალჯერ შეახსენებენო“.

საოცარი დამთხვევაა, მაგრამ წერეთლის ბიზნესის დაბლოკვა, სწორედ ამ ამბავს ემთხვევა დროში...

ჭუტა წერეთელი

### ბესო ხარძიანი

შპს „კუს ტბა კალასთან“ დაკავშირებით სკანდალურ დოკუმენტში ღია ტექსტს ვკითხულობთ: „ხარძიანებიდან გასხვისება არ უნდა დარეგისტრირდეს“. ეს შენიშვნა მითითებულია 2011 წლის 20 მარტიდან 28 სექტემბრამდე დადებულ ბლოკზე. ბესო ხარძიანი 2011 წელს დაკავეს. მისი საქმე ერთ-ერთი გახმაურებული საქმეა, რომელშიც გია უდესიანი ფიგურირებს. უდესიანი ხარძიანის ბიზნესპარტნიორი იყო და „კუს ტბა კალაში“ წილსაც ფლობდა. ოჯახი ხარძიანის დაპატიმრებას სწორედ გია უდესიანსა და ხარძიანების ბიზნესის გადანაწილებას უკავშირებდა.

### „აშტრომი“

შპს „აშტრომ კონტრაკტინგ ჯორჯია“ (სამშენებლო კომპანია) და შპს „აშტრომ ინტერნეიშენალი“ საქართველოს წარმომადგენლობა – განიბლოკა კოტე იოსელიანის მითითებით 21.12.2011. „თუ ვინმეს რამე აქვს, უნდა გაიშვას – სოფო ჭავჭანიძის მეილი ეკა ხომერიკთან“ – მითითებულია შენიშვნაში.

ბესო ხარძიანი

კომპანია „აშტრომ ინტერნეიშენალის“ საქმიანობას საგამოძიებო დეპარტამენტი სწავლობდა. საქმე კომპანიის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობას შეეხებოდა. ის საბოლოოდ პროექტიდან მოიხსნა კიდეც.

### „გაერთიანებული ტელეკომი“

სს „გაერთიანებული ტელეკომის“ შესახებ არსებობს მინიშნება, რომ მხოლოდ ამონაწერის განახლების მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და სხვა ტრანზაქცია – არა! მასზე ბლოკი 2011 წლის 7 ივლისს მოიხსნა. სწორედ ამ დროს მიდის დავა „გაერთიანებულ ტელეკომსა“ და „ახალ ქსელებს“ შორის. როდესაც „გაერთიანებული ტელეკომი“ „სილქნეტი“ ხდება, მასაც იგივე ბლოკი ედება იგივე ტექსტით და ეს გადაწყვეტილება ისევ 2011 წლის 7 ივლისს ხდება.

იგივე მინაწერი აქვს აჭარის ტელეკომსა და „ვანექსს“.

აღნიშნული კომპანიების შერწყმით ეროვნულ სატელეკომუნიკაციო მომსახურების ბაზარზე ახალი შპს „სილქნეტი“ გაჩნდა.

### „პოპული“

„პოპული“ ბლოკირებული იყო 2010 წლის 30 ივლისამდე.

სწორედ ამ დროს „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი დეპუტატის არჩილ გეგენავასა და მასთან ასოცირებული სუპერმარკეტების ქსელ „ფუდმარტის“ წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შევიდა. სარჩელის ავტორი „პოპულის“ ქსელის შემქმნელი ევგენი ფიჩხაია იყო. ევგენი ფიჩხაია „პოპულის“ აქციების 12%-მდე წილის მფლობელი გახლდათ. აქციების დანარჩენი 88%-ის მფლობელმა „იოლმა“ აქტივები „ფუდმარტს“ ისე მიჰყიდა, რომ ამის შესახებ ევგენი ფიჩხაიამ, როგორც თვითონ აცხადებდა, გარიგების დასრულების შემდეგ შეიტყო. „ფუდმარტი“, SEAF CAUCASUS GROWTH FUND LP-მა „პოპულის“ აქციების შეძენამდე ცოტა ხნით ადრე დააფუძნა. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ კი მისი 30%-იანი წილი „ფუდსერვისს“ გადასცა და იმავე კომპანიის კაპიტალში 10%-იანი წილი მიიღო.

**დაბოლოს**
**რა თქმა უნდა, ეს არ არის სრული ინფორმაცია, რასაც ის სკანდალური დოკუმენტი შეიცავს და რომლის განადგურებასაც არჩევნებში დამარცხებული „ნაციონალური მოძრაობა“ ითხოვდა. „პრაიმტაიმი“ მზადაა, დაინტერესების შემთხვევაში, დოკუმენტი სამართალდამცველებს გადასცეს. ამასთანავე, მზად ვართ, დაინტერესებულ კომპანიებსაც მივაწოდოთ ინფორმაცია მათი ბიზნესის დაბლოკვის თარიღებთან დაკავშირებით.**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ინვესტიციების ჩასადებად საქართველოში ყველა წინაპირობაა შექმნილი“

ხათუნა მგალობლიშვილი

EXCLUSIVE

## ირაკლი კოვზანაძე: „ახალი პორტის განსავითარებლად რამდენიმე პროექტი არსებობს, მათ შორისაა როგორც ადრე შემუშავებული, ასევე ახალი პროექტები. ამ პროექტის მიმართ ინტერესი უცხოელ პარტნიორებსაც აქვთ“

**საპარტნიორო ფონდის საქმიანობა ძირითადად სახელმწიფოს პრიორიტეტების მიხედვით განისაზღვრება. ფონდისთვის წინა პლანზე ავტომატურად დგება ის პროექტები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, ინფრასტრუქტურა და უძრავი ქონება ფონდისთვის ყველაზე პრიორიტეტული სექტორებია. თუმცა, ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფონდი სხვა, დანარჩენი სექტორებით არ ინტერესდება. პროექტების შერჩევის პროცესში თავად პროექტის კომერციულ პოტენციალს ენიჭება დიდი მნიშვნელობა. თუმცა ერთ-ერთი უმთავრესი პირობა არის ის, რომ პროექტის საერთო საინვესტიციო მოცულობა მინიმუმ 30 მილიონი ლარი უნდა იყოს. ხოლო სოფლის მეურნეობის – 5 მილიონი ლარი. მოთხოვნას მარტივი მიზეზი განაპირობებს: პროექტების განხორციელებისას საპარტნიორო ფონდი არ უნდა გახდეს საბანკო სექტორის კონკურენტი.**

**ირაკლი კოვზანაძე, საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი:**

**– რა პროექტებს ახორციელებთ ამ ეტაპზე და რომელ პროექტებს უწევს თანაინვესტირებას საპარტნიორო ფონდი?**

– ვფიქრობ, ჩვენი ფონდის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, საქართველოში დღეს არსებული გრძელვადიანი კაპიტალის დეფიციტის შევსება. ვცდილობთ, დავაფინანსოთ ის პროექტები და იმ დარგებში, სადაც სახელმწიფოს აქვს პრიორიტეტები. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა: ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, წარმოება, ინფრასტრუქტურა და უძრავი ქონება. უძრავ ქონებაში ვგულისხმობ სასტუმროებს და მასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურას. ჩვენ გვაქვს ასევე მეორე, მთავარი ფუნქცია: იმ სახელმწიფო სტრატეგიული აქტივების მართვა, რომელიც ჩვენს კაპიტალშია. ფონდის აქტივები დღევანდელი მდგომარეობით 5 მილიარდ ლარს აჭარბებს. უკვე შესრულებულ პროექტებზე რომ ვისაუბროთ, აღსანიშნავია, რომ შარშან ფონდმა დაასრულა სამი პროექტი. თანამედროვე სასტუმრო კომპლექსები „ჯინოველენესი“ ახალციხეში და სასტუმრო კომპლექსი „როიალ ბატონი“ ყვარელში. ჩვენს პარტნიორებთან ერთად ჩვენ ერთ-ერთი საუკეთესო სასტუმროები შევქმენით. მიმაჩნია, რომ ნებისმიერი ტურისტი, რომელიც ახალციხეში ჩავა, ამ სასტუმროებს გვერდს ვერ აუვლის. ახალციხის სასტუმროს პროექტის მოცულობა 5 მილიონი აშშ დოლარს აღემატება. ამ ეტაპზე ფონდი გამოვიდა ამ პროექტიდან და ჩვენ ჩაგვენაცვლა სლოვაკეთის „ექსიმბანკი“. რაც შეეხება ყვარელში, ილიას ტბაზე არსებულ სასტუმროს, ამ შემთხვევაში ინვესტიციის მოცულობა 2,3 მილიონი ამერიკული დოლარით განისაზღვრა. სასტუმროს ამუშავების შემდეგ მან დაახლოებით 50-მდე ადგილობრივ მეწარმეს გაუჩინა დამატებითი შემოსავალი. რაც შეეხება მესამე პროექტს, ის განხორციელდა სოფლის მეურნეობაში. ჩვენს პარტნიორებთან, კომპანია „გეო-აგროსთან“ ერთად თეთრი წყაროს რაიონის სოფელ კოდაში განვახორციელეთ 10 მილიონი დოლარის ღირებულების ღორების ფერმის პროექტი. მენეჯმენტის გათვლებით, კომპანიის პროდუქცია 20-25%-ით ჩაანაცვლებს იმპორტირებულ ღორის ხორცს ადგილობრივ ბაზარზე.

საინტერესოა, ასევე, ენერგოსექტორში წელს დაწყებული ახალი პროექტი. იანვარში დავიწყეთ გარდაბნის შერეული ციკლის თბოელექტროსადგურის პროექტის განხორციელება, რომელიც უპრეცედენტო მასშტაბისაა. მისი დადგმული სიმძლავრე 230 მეგავატია და ის 50%-ით უფრო ენერგოეფექტური იქნება ქვეყანაში არსებულ სხვა თბოელექტროსადგურებთან შედარებით. გარდაბნის თბოელექტროსადგური ექსპლოატაციაში შევა 2015 წლის ბოლოდან და წელიწადში 1.8 მილიარდ კილოვატ/საათს გამოიმუშავებს. მინდა აღვნიშნო, რომ თბოელექტროსადგური იმუშავებს როგორც გაზზე, ასევე ორთქლზე, ხოლო გამომუშავებული ელექტროენერგია სრულად მოხმარდება ადგილობრივ ბაზარს. ქვეყნის ენერგეტიკულ სისტემაში ნებისმიერი პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში, გარდაბნის სადგური უმოკლეს ვადებში უზრუნველყოფს სისტემის ელექტროენერგიით უწყვეტ მომარაგებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. პროექტის მთლიანი საინვესტიციო ღირებულება 200 მლნ აშშ დოლარს აღემატება. ის ფინანსდება ფონდისა და შვილობილი კომპანიის „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ ერთობლივი დაფინანსებით. ჩვენი კონტრაქტორი არის თურქული ჰოლდინგი „ჩალიკ ენერჯი“.

**– როდისთვის არის დაგეგმილი მისი დასრულება?**

– პროექტის განხორციელებას სჭირდება 740 დღე, ის დასრულდება 2015 წლის ბოლოს. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მსგავსი სიდიდის ენერგოპროექტი არ განხორციელებულა. ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება, ასევე, ლიკანში. ცნობილი სახელმწიფო რეზიდენცია ყველასთვის ცნობილია, სწორედ მასზე მიმდინარეობს მუშაობა. წლის ბოლოსთვის სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი, ვფიქრობ, დასრულდება. ჩვენი პარტნიორები ამ პროექტში არიან ყაზახები. დაახლოებითი საინვესტიციო მოცულობა არის 38 მილიონი დოლარი. აქ განთავსდება ცნობილი ბრენდი, „რიქსოსის“ სასტუმრო.

**– ამჟამად რამდენ პროექტზე მუშაობს საპარტნიორო ფონდი?**

– წლევანდელი წელი განსაკუთრებით იქნება დატვირთული. შარშან ექვს პროექტზე ვმუშაობდით და წელს ოცამდე პროექტზე ვმუშაობთ. ზოგიერთი მათგანი განხილვის პროცესშია, ხოლო ზოგიერთი მათგანის განხორციელება უკვე დაწყებულია. განხილვის პროცესშია სვანეთში, მდინარე ნენსკრაზე 210-მეგავატიანი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საკითხი. პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 570 მლნ აშშ დოლარი. ფონდს უკვე დახარჯული აქვს 10 მილიონ ლარზე მეტი. რაც მთავარია, ეს პროექტი არ გამოიწვევს განსახლებას, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ გვინდა, რომ ეს პროექტი საერთაშორისო სტანდარტების დაცვით განხორციელდეს, ამიტომ ჩვენ თხოვნით მივმართეთ საქართველოს მთავრობას. მივიღეთ ნებართვა, რომ კონსულტანტად ავიყვანოთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია „IFC“. ამ კონკრეტული პროექტით ბევრი უცხოური ინვესტორია დაინტერესებული. განხორციელების შემთხვევაში ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის წლიური გამომუშავება იქნება 1,194 მეგავატი საათში. სიახლე გვაქვს წარმოების კუთხით: ადგილობრივ კომპანია ICES-თან ერთად ვიწყებთ სამშენებლო მასალის ე.წ. „სენდვიჩ პანელების“ წარმოების პროექტის განხორციელებას. პანელი გამოიყენება ინდუსტრიული დანიშნულების შენობების მშენებლობისას და არ არის შეზღუდული რომელიმე კონკრეტული სექტორის მოხმარებით. მშენებლობაში პანელების გამოყენება რკინა-ბეტონის კონსტრუქციაზე იაფია და მისი მონტაჟი ნაკლებ დროს მოითხოვს. პროექტის ჯამური ღირებულება არის 6 მლნ აშშ დოლარი.

**– ცნობილია, რომ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება შავი ზღვისპირეთში ახალი პორტის მშენებლობასთან დაკავშირებით, რა ეტაპზეა ეს პროექტი?**

– ჩვენ ამ პროექტს ვეძახით საქართველოს შავი ზღვის ასაშენებელ პორტს. გასული წლის დეკემბრის დასაწყისში მივიღეთ მთავრობის დადგენილება და სწორედ ახლა დასრულდა იმ კომპანიის შერჩევა, რომელიც პორტის ადგილმდებარეობას შეისწავლის, სად უნდა აშენდეს ის.

**– ანუ ჯერ გადაწყვეტილი არ არის, სად განთავსდება ეს პორტი?**

– უახლოეს ორ-სამ თვეში დადგინდება კონკრეტული ადგილმდებარეობა. ადგილი შეირჩევა გეოგრაფიულად ყველაზე კარგი, ყველაზე ღრმა ადგილის მიხედვით. ასევე, ჩატარდება ჰიდროლოგიური და სხვა სახის კვლევები. ამ ყველაფერს სჭირდება დეტალური ანალიზი. ვფიქრობ, დაახლოებით 90 დღეში ამ პროექტზე დეტალური დასკვნა გვექნება.

**– ამის შემდეგ დაიწყება უკვე მუშაობა პროექტზე?**

– დიახ, ჩვენ უკვე ჩატარებული გვაქვს გარკვეული სამუშაოები რკინიგზის მაგისტრალის მიყვანასთან დაკავშირებით არსებულ ტერიტორიაზე, მიწის რა ნაკვეთები დაგვჭირდება და სხვა. ახალი პორტის განსავითარებლად რამდენიმე პროექტი არსებობს, მათ შორისაა როგორც ადრე შემუშავებული, ასევე ახალი პროექტები. ამ პროექტის მიმართ ინტერესი უცხოელ პარტნიორებსაც აქვთ. ამ საკითხზე, მაგალითად, სულ ახლახან ამერიკული ჯგუფი „კონტი“ იყო ჩამოსული.

**– და ყველა მათგანის განხილვა მოხდება?**

– ბუნებრივია, ყველა მათგანი განიხილება. თუმცა უმთავრესია, ჯერ პორტისთვის შეირჩეს ოპტიმალური ადგილმდებარეობა.

**– რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მოხდეს და მუშაობს თუ არა ამ მიმართულებით ხელისუფლება?**

– უნდა ითქვას, რომ ინვესტიციებს ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ნებისმიერ ინვესტორს, რომელიც ქვეყანაში ფულს აბანდებს, სჭირდება რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი: პოლიტიკური სტაბილურობა, ფინანსური სტაბილურობა, საკანონმდებლო ბაზა, დამოუკიდებელი სასამართლო. ამ კუთხით საქართველოში ყველა წინაპირობა შექმნილია, რადგან ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება სტაბილურია, გამართულად მუშაობს ყველა ფინანსური ინსტიტუტი, კანონმდებლობა საკმაოდ მიმზიდველ გარემოს ქმნის ინვესტორებისთვის. 2013 წლის პირველ 9 თვეში საქართველოში უფრო მეტი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, ვიდრე 2012 წლის ანალოგიურ პერიოდში. საქართველოს მთავრობა საკმაოდ აქტიურად მუშაობს უცხოელ ინვესტორებთან, რასაც მოწმობს ბოლო პერიოდში საქართველოს მიმართ გაზრდილი საინვესტიციო აქტივობა.

**– პირადად თქვენი ფონდი რას აკეთებს ინვესტიციების მოსაზიდად?**

– საპარტნიორო ფონდიც აქტიურად მუშაობს როგორც არსებული საინვესტიციო პროექტების განვითარების, ასევე ინვესტორების დაინტერესებისა და ახალი პროექტების დაწყების მიმართულებით. ბოლო პერიოდში საპარტნიორო ფონდს სტუმრობდნენ და სამუშაო შეხვედრები ჰქონდათ სხვადასხვა ქვეყნების ბიზნესდელეგაციებს. მათ შორის: შვედეთის, უნგრეთის, ნორვეგიის, სლოვაკეთის, ბულგარეთის, ისრაელის, შვეიცარიის, ჩეხეთის, ბრაზილიის, თურქეთის, ყაზახეთის, რომლებიც ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობების გასაცნობად იმყოფებოდნენ ქვეყანაში. შედეგად, არსებობს რეალური მოლოდინი, რომ უახლოეს მომავალში და კერძოდ, 2014 წელს საქართველოში რამდენიმე ახალი საინვესტიციო პროექტი დაიწყოს და ქვეყანაში დამატებითი ინვესტიციები შემოვიდეს. ჩვენს ხელთ არსებული რესურსებით ვიწვევთ უცხოელ ინვესტორებს. ჩვენ ვთავაზობთ მათ პროექტებში მონაწილეობას, თანაპარტნიორობას. პროექტებში საინვესტიციო მოცულობა, რომლებსაც ჩვენ ვგეგმავთ, აღემატება 1 მილიარდ 900 მილიონ ლარს. ფონდში ძალიან ბევრი შეხვედრა იმართება, შემიძლია ვთქვა, რომ დღე არ გავა, ინვესტორებს არ შევხვდეთ. მაგალითად, გასულ კვირას პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ავღანეთის ბიზნესდელეგაციაც კი იყო სტუმრად მოსული.

**– შეგიძლიათ გვითხრათ, რით დაინტერესდნენ ისინი?**

– მათ აინტერესებთ, ხომ არ შეიძლება, ერთობლივი საწარმოების გაკეთება, ან რაიმე. ეს მათი მხრიდან პირველი მოსინჯვა იყო. ზოგადად, ბევრი ქვეყნის ბიზნესდელეგაცია ჩამოდის ხოლმე. ჩვენ ვაკეთებთ ფონდის პრეზენტაციას უცხოელი ინვესტორებისთვის, ვაცნობთ ადგილობრივ გარემოს, ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით წელს მნიშვნელოვანი წინსვლა იქნება და ინვესტიციების მოცულობა გაცილებით გაიზრდება.

**„ჩვენი ფონდის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, საქართველოში დღეს არსებული გრძელვადიანი კაპიტალის დეფიციტის შევსება“**

**„ნებისმიერ ინვესტორს, რომელიც ქვეყანაში ფულს აბანდებს, სჭირდება რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი: პოლიტიკური სტაბილურობა, ფინანსური სტაბილურობა, საკანონმდებლო ბაზა, დამოუკიდებელი სასამართლო. ამ კუთხით საქართველოში ყველა წინაპირობა შექმნილია“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „თი-ბი-სი“ ბანკი „გუდვილის“ და „ელიტელექტრონიქსის“ წინააღმდეგ

## მამუკა ხაზარაძე:

# „ჩვენ მოტყუებას და გაბითურებას არავის ვაპატიებ“

სალომე გოგოხია

**ახალი ამბავი აღარ არის, რომ ჰიპერმარკეტი „გუდვილი“ დიდ ფინანსურ კრიზისშია. თუმცა, რამ მიიყვანა კომპანია გაკოტრებამდე, ეს, ალბათ, ცოტამ თუ იცის. წლების განმავლობაში ჰიპერმარკეტს „თი-ბი-სი“ ბანკი აფინანსებდა.**

მოგვიანებით ბანკისთვის ცნობილი გახდა, რომ „გუდვილის“ მფლობელი გოგი შევარდნაძე ბანკის წინაშე აღებულ ვალდებულებებს არაკეთილსინდისიერად ასრულებდა და ბანკს გაყალბებულ ფინანსურ დოკუმენტაციას უგზავნიდა.

საბოლოო ჯამში, კომპანია გაკოტრების პირამდე მივიდა. დღეისთვის „გუდვილს“ ბანკის 80 მილიონი მართებს. ამის გარდა, მომწოდებელი კომპანიების მიმართ დამატებით კიდევ 30 მილიონი ლარი.

გასულ კვირას „თი-ბი-სი“ ბანკის დამფუძნებელმა მამუკა ხაზარაძემ რამდენიმეწლიანი დუმილი დაარღვია და იმ ბრალდებებს უპასუხა, რაც პირადად მისი და ბანკის მისამართით პრესაში გაჟღერდა.

„არსებობს სამართლებრივი სივრცე და ყველას პასუხს მოვთხოვთ ცილისწამებისთვის, ცრუ ბრალდებებისთვის“, - განაცხადა მამუკა ხაზარაძემ მედიასთან გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე.

მისი თქმით, „გუდვილის“ და კომპანია „ელიტ ელექტრონიქსის“ მხრიდან მისი და ბანკის მისამართით გაჟღერებული ბრალდებები საეჭვოდ დაემთხვა ერთ-ერთ ბეჭდურ მედიაში მისი მისამართით გამოქვეყნებულ ბრალდებებს.

სამივე საქმესთან დაკავშირებით ბანკმა სამართალდამცავ ორგანოებს ფაქტის გამოძიების მოთხოვნით მიმართა.

რაც შეეხება ორი დიდი კომპანიის და „თი-ბი-სი“ ბანკის ურთიერთობებს. დავიწყოთ „გუდვილის“ ისტორიით.

ქართულ ბაზარზე „გუდვილი“ ათი წლის წინ გამოჩნდა. 2003 წელს „გუდვილსა“ და „თი-ბი-სი“ ბანკს შორის ფინანსური ურთიერთობა დაიწყო.

2012 წლისთვის „გუდვილს“ შვიდი ჰიპერმარკეტი და ერთი საწარმო „მარშე“ აქვს, რაც „თი-ბი-სი“ ბანკის დაფინანსებით განხორციელდა.

როგორც მამუკა ხაზარაძე აცხადებს, 2009-2012 წლებში „გუდვილი“ ბანკს გაყალბებულ დოკუმენტაციას აწვდის. ეს ფაქტი ბანკისთვის მხოლოდ 2013 წელს გახდა ცნობილი. ირკვევა, რომ 2010-2012 წლებში „გუდვილი“ არამიზნობრივ ხარჯებს ეწეოდა.

**მამუკა ხაზარაძე:** - 2013-2014 წლებში „გუდვილის“ მფლობელი გოგი შევარდნაძე „თი-ბი-სი“ ბანკის წინააღმდეგ ცილისმწამებლურ კამპანიას იწყებს. ამასთან დაკავშირებით ჩვენ პროკურატურას მივმართეთ. ჩვენი ამოცანაა „გუდვილის“ გადარჩენა, მაგრამ მოტყუებას და გაბითურებას არავის ვპატიობთ. 2013 წელს ვხედავთ, რომ „გუდვილს“ სერიოზული პრობლემები აქვს. ამის მიუხედავად, ბანკი საფინანსო აქციებს უზრდ-

ის, რომ კომპანია არ გაჩერდეს, უჩერებს გადახდის პროცენტებს და დავალიანების შემცირების გამო მთლიანი თანხის 80% გადააქვს ქონებაში, იმ პირობით, რომ დამფუძნებლებს კომპანიის მფლობელობაში დაბრუნება ნებისმიერ დროს შეუძლიათ. „გუდვილის“ როგორც ბრენდის მიმართ პრეტენზია, არ გაგვაჩნია. პრეტენზია გვაქვს დამფუძნებლის და მისი მენეჯმენტის მიმართ. ბიზნესში დოკუმენტაციის შესწავლის, ხელშეკრულებების გაფორმების მერე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ადამიანურ ურთიერთობებს. ეტყობა, ჩვენი მხრიდანაც დავუშვით შეცდომა და ბანკმა ნდობა გამოიჩინა კომპანიის მიმართ და საერთაშორისო აუდიტის დასკვნას, რომელიც კომპანიას დამატებით ხარჯად დააწვებოდა, არ ვთხოვდით. 2013 წელს, როცა შევნიშნე, რომ კომპანიაში სერიოზული კრიზისია, ამ დროს მოდის „გუდვილის“ დამფუძნებელი გოგი შევარდნაძე და აცხადებს, რომ ორი წლის განმავლობაში „თი-ბი-სი“ ბანკს გაყალბებულ დოკუმენტაციას აწვდიდნენ. ამან შეგვაშფოთა და ადამიანურადაც შეგვაწუხა. ორი წლის განმავლობაში სისტემური დანაშაული ხდებოდა. კომპანიის წლიური შემოსავალი 130 მილიონი ლარია. წარმოიდგინეთ, რა ტიპის სამუშაოები უნდა ჩაატაროს მენეჯმენტმა საბუთების გაყალბებისთვის. ეს არანორმალური პროცესია. ჩვენ ეჭვი გვქონდა, მაგრამ მათ უამრავი მიზეზი მოჰყავდათ, რომ კომპიუტერული ბაზა გადაიწვა და ა.შ. საბოლოო ჯამში არაფერი იმალება. ჩვენი დავალიანების გარდა, „გუდვილს“ მომწოდებლების 30 მილიონი მართებს. ძალიან დიდი ძალისხმევა დამჭირდა ბანკის მენეჯმენტის დასარწმუნებლად, რომ კომპანია არ გაგვეჩერებინა, რადგან მის უკან მრავალი ადამიანი მუშაობს და არ შეიძლება ერთ ადამიანს ბრენდი გადააყოლო. კომპანიაში რამდენიმე ფინანსური მრჩეველი მივავლინეთ. გავაჩერეთ ვალები, კრედიტორებს დაველაპარაკეთ და „გუდვილის“ რეაბილიტაცია დავიწყეთ. ორი კვირა „გუდვილი“ დაცარიელებული იყო, გერმანიიდან რამდენიმე დიდი პარტია დავაფინანსეთ, რომ ჩვეულ რიტმში ემუშავა. ჩვენს ბანკს საზოგადოების ერთმა მესამედმა ნდობა გამოუცხადა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მათი ფული სწორად ვმართოთ. უამრავი კომპანია კრიზისიდან გამოვიყვანეთ. როცა ადამიანები თავის კვალიფიკაციას ვეღარ ზრდიან, მენეჯმენტს პროფესიონალიზმი არ ჰყოფნის და კრიზისულ მდგომარეობაშია, თაღლითური გზით ცდილობენ სიტუაციიდან გამოსვლას. საქმე გვაქვს ფინანსურ თაღლითობასთან. ეტყობა, პროკურატურამ ჯერ ვერ მოიცალა ჩვენი საქმისთვის, რიგში ვდგავართ და ვსარგებლობ შემთხვევით და მივმართავ, რომ ეს ფაქტი ძალიან სწრაფად გამოიძიონ. თუ ვინმეს შერჩა თაღლითობა, მაშინ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ვერ განვითარდება. გოგი შევარდნაძეს კაცურად ვუთხარი, რომ სასამართლოში, სამართალდამცავ ორგანოებში სარჩელს შევიტანდი. ეს არის დიდი ინსტიტუციონალური დარღვევა. კანონმდებლობაში პირდაპირ წერია, რომ ბანკიდან გატანილი თანხა არამიზნობრივად არ უნდა დაიხარჯოს. სარჩელი შარშან ზაფხულში შევიტანეთ. ეს ის პერიოდია, როცა კომპანია მეტ-ნაკლებად სუნთქავს და ხალხი ხელფასს იღებს.

**-როგორ აპირებთ დავის გადაწყვეტას?**

-პოლემიკას არ ვაპირებთ. აქ არის ორი გზა - ერთია სამართლებრივი, ჩვენ ველოდებით, რომ სამართალდამცავი ორგანოები პასუხს მოსთხოვენ ყველას, ვინც ეს თაღლითობა ჩაიდინა. აქ საუბარია მსხვილ თანხებზე.

**- რაც შეეხება კომპანია PKF-ს, საუბარი იყო, რომ „გუდვილის“ რეაბილიტაციის პროცესში სწორედ ეს კომპანია მიიღებდა მონაწილეობას, თუმცა, ბანკი ამის წინააღმდეგი იყო, რატომ?**

- ჩვენ მხარი დავუჭირეთ PKF-ს. უაზრო ბრალდება იყო, თითქოს ვიღაცებს მხარს ვუჭერდით. მათთან სხვა ბიზნესზეც გვიმუშავია და ვიცით მათი რეპუტაცია. „გუდვილი“ არის რეაბილიტაციის რეჟიმში. მზად ვართ კომპანია გადავარჩინოთ. სამი ინვესტორი გვყავდა მიყვანილი - ორი უცხოელი და ერთი ქართველი, რომლებიც მზად იყვნენ ბანკის ვალდებულებები აეღოთ. უზარმაზარი ზარალია. 100-ზე მეტი მომწოდებელი კომპანიაა, რომელსაც „გუდვილში“ პროდუქცია შეაქვს. ამ თანხის არგადახდა ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს. ჩვენ ერთადერთი ამოცანა გვაქვს, გადავარჩინოთ „გუდვილი“.

ანალოგიური ისტორია მოვისმინეთ კომპანია „ელიტ ელექტრონიქსის“ ყოფილ დამფუძნებელთან ანზორ ქოქოლაძესთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში კომპანიის ფინანსური მხარდამჭერი „თი-ბი-სი“ ბანკი იყო. მამუკა ხაზარაძის განცხადებით, ქოქოლაძის მხრიდან ადგილი ჰქონდა დოკუმენტაციის გაყალბებას და ფინანსურ მაქინაციას.

მისივე განცხადებით, „თი-ბი-სი“ ბანმა „ელიტელექტრონიქსის“ დაფინანსება 2005 წელს დაიწყო. 2009 წელს კი ოთხმა წამყვანმა ბანკმა დააფინანსა. თუმცა, ქოქოლაძის მხრიდან ბრალდებები მხოლოდ „თი-ბი-სი“-ს მისამართით გაისმა. 2009 წელს სესხის რესტრუქტურიზაცია დაიწყო. ამავე პერიოდში, „თი-ბი-სი“-მ კომპანიის რეაბილიტაცია დაიწყო. 2010 წელს კი ქოქოლაძე დირექტორის პოსტიდან გადააყენეს.

„ეჭვი გვეპარებოდა, რომ მისი ხელწერით თანხების არასწორი მართვა ხდებოდა. მას კაცურად შევთავაზე, რომ ამ თანამდებობიდან გადამდგარიყო“, - ამბობს ხაზარაძე.

2009 წელს „ელიტ ელექტრონიქს“-ს 32 მაღაზია და 1 200 თანამშრომელი ჰყავდა. ხაზარაძის განცხადებით, ამ პერიოდში კომპანიის დავალიანებამ ბიუჯეტის მიმართ 7,5 მილიონი ლარი შეადგინა.

„2009-2010 წლებში ქოქოლაძე ახდენს თანხების გადინებას პარალელურ ბიზნესებში. 2010 წელს კი მაღაზიათა ახალი ქსელი „ტექნო ბუმი“ იხსნება. თავისი დისგან 1 000 ლარიანი კომპანია იყიდა და იგივე პროფილის ბიზნესი წამოიწყო. „ტექნო ბუმში“ ხვდება „ელიტ ელექტრონიქსის“ ნომრიანი საქონელი“, - ამბობს ხაზარაძე.

2014 წელს „ელიტ ელექტრონიქს“-ს დამატებით ჯარიმა - ექვსი მილიონი ლარი დააკისრეს, 2007 წელს ჩადენილი დარღვევების გამო.

ჯამში, „თი-ბი-სი“ ბანკმა ორივე კომპანიისგან - „გუდვილი“ და „ელიტ ელექტრონიქსი“ - 39 მილიონი ლარით იზარალა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# თიბისი ბანკი საქართველოში ემიგრანტული ლიტერატურის ჩამოტანას დააფინანსებს

**თიბისი ბანკი საქართველოში ემიგრანტული ლიტერატურის მოძიებასა და საქართველოში ჩამოტანას დააფინანსებს. მემორანდუმს ამის შესახებ ხელი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, მამუკა ხაზარაძემ და ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ მოაწერეს.**

მემორანდუმზე ხელმოწერის შემდეგ გიორგი კეკელიძემ და მამუკა ხაზარაძემ ექსპოზიცია გახსნეს ქართული ემიგრაციის დარბაზში, სადაც წარმოდგენილი იყო ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული ემიგრანტული ლიტერატურა. კერძოდ, ქართველი ემიგრანტების შთამომავლების მიერ საჩუქრად გადმოცემული არქივები. მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოტანილი ოთარ და გივი ზალდასტანიშვილებისა და გრიგოლ დიასამიძის არქივები, რომლებიც ცნობილი საზოგადო მოღვაწეების წერილებს, მემუარებს, ნაშრომებს, საქართველოში აქამდე უცნობ დოკუმენტებს მოიცავს.

ემიგრაციის დარბაზშია ასევე განლაგებული ლევილის მამულიდან ჩამოტანილი უნიკალური კოლექცია, რომელიც მოიცავს ქართველ ემიგრანტთა ხელნაწერებს, ემიგრანტულ ლიტერატურასა და პერიოდულ გამოცემებს. მათ შორისაა ნოე ჟორდანიას შთამომავლებისა და დავით საღირაშვილის არქივები, ნუცა ჩოლოყაშვილის მიერ გადმოცემული ლიტერატურა და ეროვნული მთავრობის წევრთა პირადი ნივთები.

„მე ვთვლი, რომ ასეთი არქივის შეკრება ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ჩვენი შვილებისა და ჩვენი მომავლისთვის, რადგან უნდა ვიცოდეთ, საიდან მოვდივართ, რა ქარტეხილები გაიარა ქართულმა ემიგრაციამ და დღეს, როდესაც საქართველოს ჯერ კიდევ არ დაუსრულებია ბრძოლა გაერთიანებისათვის, ემიგრანტების ჩანაწერები, მათი სულიერი ტკივილები ორმაგად საგულისხმო და აქტუალურია. ამდენად, ეს არქივი, მიმაჩნია, რომ არის კარგი საშუალება იმისთვის, რომ პარალელები გავავლოთ აწმყოს, წარსულსა და მომავალს შორის, ასე რომ, ჩვენ ამ პროექტს დიდი სიამოვნებით დავუჭერთ მხარს,“- განაცხადა მამუკა ხაზარაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

გიორგი კეკელიძის თქმით, ეს არის პირველი პრეცედენტი, როდესაც ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტს აფინანსებს კერძო ბიზნესი. მისივე თქმით, თიბისი ბანკის მხარდაჭერით მოხდება უნიკალური მასალის მოძიება და ტრანსპორტირება, რაც, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ ძვირი ჯდება, ამიტომ თიბისი ბანკის ფინანსურ მხარდაჭერას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

„ცოტა ხნის წინ ქალბატონების რუსუდან გორგილაძისა და ლიზი ზალდასტანიშვილის დახმარებით, საქართველოს დაუბრუნდა ქართული ემიგრაციის მნიშვნელოვანი დანატოვარი, კერძოდ, დიასამიძეებისა და ზალდასტანიშვილების ოჯახის არქივი. თიბისი ბანკი გააგრძელებს ამ დიდ საქმეს და მისი დახმარებით მოხდება ემიგრანტული არქივების ჩამოტანა და განთავსება ემიგრაციის დარბაზში, რომელიც დროთა განმავლობაში კიდევ უფრო შეივსება. მას დაემატება უნიკალური მასალა: უცხოეთში გამომავალი ქართული პერიოდიკა, წიგნები, ემიგრანტების ჩანაწერები, ფოტო, აუდიო და ვიდეო მასალა. მნიშვნელოვანია, რომ ეს არქივი იქნება ღია და ხელმისაწვდომი ყველა მსურველისათვის, მკვლევარისა და იმ ადამიანებისათვის, ვინც დაინტერესებულია ეროვნული მემკვიდრეობით“,- თქვა გიორგი კეკელიძემ.

ახალი ემიგრანტული მასალა საქართველოში მაისის ბოლოს ჩამოვა.

Ⓐ

# ნმ. ნიკოლოზის სახელობის სკოლის მოსწავლეები გინესის რეკორდებისთვის ემზადებიან

თეა ხომერიკი

**ქართველი მოსწავლეები მსოფლიო მასშტაბის პროექტში ერთვებიან - Voices Around The World, რომელიც ყოველწლიურად ყველა კონტინენტის ბავშვების ხმებს აერთიანებს; წმინდა ნიკოლოზის სახელობის სკოლა, როგორც ამ პროექტში გამორჩეული, წელსაც მიიღებს მონაწილეობას. ამ ინფორმაციას სოციალურ ქსელებში და ფორუმებში უკვე აქტიური განხილვა მოჰყვა და ქართველი მოსწავლეების გულშემატკივრობაც დაიწყო.**

თავად პროექტი Voices Around The World, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსოფლიოს ხუთივე კონტინენტიდან ბავშვების ხმების შეგროვებას და მის ერთ სიმღერაში გაერთიანებას ითვალისწინებს.

როგორც სკოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ნინო მგელაძე აცხადებს მათი სკოლისთვის ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია, მისი მასშტაბურობიდან გამომდინარე.

**ნინო მგელაძე (ბრიტანული ცენტრის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი):**

- ჩვენი სკოლა აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო სკოლებსა და ორგანიზაციებთან ბავშვების ერთიან გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ჩართვის კუთხით, თუმცა, ეს პროექტი Voices Around The World განსხვავებული და მასშტაბებით სრულიად უნიკალურია. ეს გახლავთ ბრიტანული პროექტი, რომლის იდეაც პირველად 2012 წელს დაიბადა და მიზნად მსოფლიოს 5 კონტინენტიდან 1000 ბავშვის ხმის შეგროვებას და მის ერთ სიმღერაში გაერთიანებას ისახავდა. პირველ წელს პროექტში 40 ქვეყნიდან 300-მდე სკოლა იყო ჩართული და მას არნახული გამოხმაურება მოჰყვა არა მხოლოდ პროექტში მონაწილე ქვეყნების და სკოლების, არამედ მსოფლიო მედიის მხრიდან. შარშან აღნიშნულ პროექტში ჩვენი სკოლის მოსწავლეებმაც მიიღეს მონაწილეობა. ჩვენი ბავშვები თავიდანვე დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ ამ პროექტს და მაქსიმალურად შეეცადნენ საუკეთესო კუთხით წარმოეჩინათ საკუთარი სკოლა და ქვეყანა. პროექტი Voices Around The World წელს კიდევ უფრო მასშტაბურ სახეს იღებს და ერთ სიმღერაში ბავშვების უპრეცედენტო რაოდენობის ხმების გაერთიანებას გეგმავს. წლის ბოლოს კი გინესის რეკორდების წიგნში შესვლას აპირებს.

პროექტში ჩართული მოსწავლეებს წარმატების იმედი აქვთ.

**ანუკა მაისურაძე (მე-4 კლასის მოსწავლე):**

- როცა გავიგე, რომ ამ პროექტში უნდა მიმეღო მონაწილეობა, ძალიან გამეხარდა, რადგან ჩემი და ჩემი მეგობრების სიმღერას მთელი მსოფლიო მოისმენდა. სულმოუთქმელად ველოდებით შემდეგი სიმღერის ჩაწერას და იმედი გვაქვს, რომ გინესის რეკორდების წიგნში შევალთ.

**ამიკო ნიკოლეიშვილი ( მე-2 კლასის მოსწავლე):**

- სიმღერის ჩაწერის და გადაღებების დროს ძალიან გავერთეთ და თვითონ სიმღერაც ისე მომეწონა, რომ სადაც მივდიოდი ყველგან ამ სიმღერას ვმღეროდი. როდესაც კლიპში უცხოელ ბავშვებთან ერთად ჩვენი სკოლაც ვნახე, ძალიან გამეხარდა.

ბრიტანული ცენტრის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი საზოგადოებას მოუწოდებს აქტიურად ჩაერთონ ამ პროექტში და ქართველ მოსწავლეებს გულშემატკივარობა გაუწიონ.

**ნინო მგელაძე:** “პროექტის ორგანიზატორებმა, როგორც ერთ-ერთ გამორჩეულ სკოლას მომავალი წლის პროექტის პრომო ვიდეოში მონაწილეობა შემოგვთავაზეს. ჩვენმა ბავშვებმა დიდი სიხარულით მიიღეს დაკისრებული მისია მთელი მსოფლიოს ბავშვებს მოუწოდონ გაერთიანდნენ ერთი სიმღერის ირგვლივ და ერთიანი ძალებით იბრძოლონ გინესის რეკორდსმენთა რიგებში მოსახვედრად.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ შარშანდელ პროექტში ჩვენი სკოლიდან 30-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა, წელს მოსწავლეებში მოთხოვნა გაიზარდა და და ვიმედოვნებთ, რომ წლევანდელ პროექტში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც ამჟამინდელი ასევე ახლად ჩარიცხული მოსწავლეები.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მკითხველს მოვუწოდო მოიწონონ „დაულაიქონ“ ბავშვებს პროექტის ვიდეო რგოლი სოციალური ქსელი Facebook-ის გვერდზე fb ikonka St, Nicholas School

**საკონტაქტოები**
**მის: ლუბლიანას 21**
**ტელ: 218-38-28; 218-48-38**
**www.stnschool.ge**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ოჯახი „ენერგო-პრო ჯორჯიას“ თანამშრომლის ბუნდოვანი გარდაცვალების გამოძიებას ითხოვს

მირიან ბოქოლიშვილი

**51 წლის პაპუნა ქოჩუა წლების განმავლობაში კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯიას“ რიგითი თანამშრომელი იყო, ერთ-ერთ ქვესადგურზე... კომპანიის ხელმძღვანელობასთან დაპირისპირების გამო, სამსახურიდან გაათავისუფლეს, თუმცა როგორც მისი ოჯახის წევრები ყვებიან, პაპუნა აგრძელებდა მტკიცებულებების შეგროვებას კომპანიაში არსებული კორუფციული სქემის გამოაშკარავების მიზნით. როგორც ცნობილია, იმდროინდელი ოპოზიცია მმართველ გუნდს ბრალს სდებდა იმაში, რომ ის ენერგოკომპანიებს ყოველ კილოვატ ენერგიაზე „ატკატის“ სახით 0.5 თეთრს სძალავდა. 2011 წელს პაპუნა ქოჩუამ სასამართლოში კომპანიას წარუდგინა პირადი სარჩელი, რომელიც შემდეგში მტკიცებულებებზე გადავიდოდა – 4 წლის განმავლობაში 5 მილიონი ლარის გათეთრებაში მარტო იმ მიმართულებით, რომელ განყოფილებაშიც ის მუშაობდა. საუბარია 200 მკვდარი სულის კომპანიაში არსებობაზე. ქოჩუას მიაჩნდა, რომ ეს გახლდათ დაუფარავი ფულის გათეთრება, რომელიც კავშირში იყო „ატკატის“ სახით გაცემულ 0.5 თეთრთან.**

2011 წლის 2 სექტემბერს სენაკში დანიშნული იყო სასამართლო განხილვა, თუმცა ორი დღით ადრე, 2011 წლის 30 აგვისტოს, ექსკავატორის კოვშის ჩარტყმის შედეგად პაპუნა ქოჩუა გარდაიცვალა. გარდაცვლილის ძმა, მერაბ ქოჩუა „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამტკიცებს, რომ ეს იყო მკვლელობა, რომელიც ოჯახს ისე მიასაღეს, როგორც უბედური შემთხვევა.

„როცა მივხვდი, რომ ამ საქმეს მყრალი სუნი ასდიოდა, დავიწყე მოკვლევა. როგორც კი პირველი ნაბიჯები გადავდგი, 2011 წლის 19 დეკემბერს დაზარალებული მხარის მალულად ჩაატარეს სასამართლო და მკვლელს გამოუტანეს განაჩენი – 2000 ლარი, თანაც ამ პიროვნებას არ ჰქონდა ამ ტრანსპორტის მართვის უფლება, რაც გამოძიებამ და სასამართლომ გადამალა“, – ყვება „პრაიმტაიმთან“ საუბრისას მერაბ ქოჩუა.

მისივე თქმით, არსებობს უტყუარი მტკიცებულებები „ენერგო-პრო ჯორჯიაში“ 5 მილიონი ლარის გათეთრებისა და რაც მთავარია, პაპუნა ქოჩუას განზრახ მკვლელობის ალიბი.

**მერაბ ქოჩუა:**

– დოკუმენტირებული მტკიცებულებებით მივმართე სამეგრელო ზემო-სვანეთის პროკურორს, რამდენიმეჯერ საქართველოს მთავარ პროკურორს, იუსტიციის მინისტრს, თუმცა არანაირი რეაგირება... მე არ ვეძებ შემსრულებელს, ის ისედაც ცნობილია. მე ვეძებ დამკვეთს და, დარწმუნებული ვარ, დამკვეთი არის ხელისუფლება, რომელსაც არ აწყობდა მასშტაბური კორუფციული სქემის გამჟღავნება. 2011 წლის 2 სექტემბერს გარდაიცვალა ჩემი ძმა. დიახ, დარწმუნებული ვარ, რომ ის შეეწირა კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯიაში“ კორუფციული სქემის გამოაშკარავების საქმეს. ამაში ვარ დარწმუნებული. გარდაცვალებამდე ამბობდა, რომ თუ ის ამას დაამტკიცებს იმ ქვესადგურზე, სადაც მუშაობდა, ანალოგიური პრინციპით შეძლებდა 200-მდე ქვესადგურში არსებული კორუფციული სქემის გაშიფვრას. პაპუნა ეძებდა იმ 0,5 თეთრს, რომელსაც, როგორც იმდროინდელი ოპოზიცია ამბობდა ე.წ. ატკატის სახით „ტეხავდა“ ყოფილი ხელისუფლება. სასამართლოზე უნდა წარედგინა მთელი რიგი მტკიცებულებები. პირველი სასამართლო ჩატარდა 2011 წლის მაისში, მაგრამ ადვოკატმა უღალატა, არასწორად დაწერა სარჩელი. ჩემმა ძმამ მეორედ შეიტანა სარჩელი, შეთანხმებული იყო მოწმეებთანაც, რომლებიც უნდა წარედგინა პროცესზე, მაგრამ ორი დღით ადრე ექსკავატორის კოში ჩაარტყეს თავში. ეს არ ყოფილა არავითარი უბედური შემთხვევა. დარწმუნებული ვარ, ეს იყო მიზანმიმართული მკვლელობა.

**– როგორ მოხვდა, საერთოდ, ექსკავატორთან?**

– როდესაც ამ საქმეს ჩემი ძმა იძიებდა, ის უკვე აღარ მუშაობდა „ენერგო-პრო ჯორჯიაში“, იმ პერიოდში უკვე წყალმომარაგების კომპანიის თანამშრომელი იყო და სწორედ ამ კომპანიიდან იმყოფებოდა სამუშაოზე იმ ავბედით დღეს. რეალურად, ეს ორივე კომპანია ერთი „სასტავია“, ეს ყველასთვის ცნობილია. მათ ჰყავდათ მფარველები წინა ხელისუფლების დროს და როგორც ჩანს, არც ახლა არიან მფარველების გარეშე. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ჩემი განცხადებები რეაგირების გარეშე რჩება. მე მაქვს კონკრეტული მტკიცებულებები, რომ ეს იყო მიზანმიმართული ქმედება. გამოძიებას მივმართე წინა ხელისუფლების დროსაც, ახლაც შეტანილი მაქვს განცხადება, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. დიახ, მათ მფარველობენ გავლენიანი პირები. ალბათ, არ უნდათ, ისეთ მსხვილ კომპანიებს შეეხონ, როგორიც „ენერგო-პრო ჯორჯია“ და წყალმომარაგების კომპანიაა. თუ რეაგირება არ მოხდება, სტრასბურგის სასამართლოს მივმართავ. იყო მცდელობები, ჩვენი ოჯახი გაეჩუმებინათ. გარშემო გვივლიდნენ. თავს მოგვახვიეს ქელეხისა და დაკრძალვის ხარჯები. ცხადია, ეს იყო მინიშნება, რომ ჩვენ ხმა არ უნდა ამოგვეღო. კიდევ არ ვკარგავ იმედს, რომ საქმეს მსვლელობა მიეცემა, ჩაატარონ ექსპერიმენტი და დარწმუნებული ვარ, რომ უბედური შემთხვევა გამოირიცხება. თუ ამ საქმეს ხელს არ მოჰკიდებენ, იძულებული გავხდები, სტრასბურგის სასამართლოს მივმართო. ჩემი ძმის მკვლელობის ფაქტს მაინც დავამტკიცებ, მნიშვნელობა არა აქვს, სად მოხდება ეს – ქვეყნის შიგნით, თუ გარეთ.

**„ეს იყო დაგეგმილი მკვლელობა... ჩემი ძმა იმ კორუფციული სქემის გამოაშკარავებისთვის მოკლეს, რომელიც ფარდას ხდიდა 5 მილიონი ლარის გათეთრებას“**

მერაბ ქოჩუა

**„იყო მცდელობები, ჩვენი ოჯახი გაეჩუმებინათ. გარშემო გვივლიდნენ. თავს მოგვახვიეს ქელეხისა და დაკრძალვის ხარჯები. ცხადია, ეს იყო მინიშნება, რომ ჩვენ ხმა არ უნდა ამოგვეღო“**

ENERGO-PRO Georgia

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვის წინააღმდეგ აღიძვრება საქმე ემზარ კვიციანის ჩვენების საფუძველზე

## „ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ ძალიან ბევრი კითხვა არსებობს. მან მე, ნორა კვიციანს, კი არ უნდა გამცეს პასუხები, არამედ საზოგადოებას, ხალხს. თქვას, რატომ გააუქმა ბატალიონი, რატომ შეიყვანა ჯარი, რატომ დაბომბა კოდორი. განაჩენს ერი გამოიტანს“

EXCLUSIVE

ხათუნა მგალობლიშვილი

**„თავისუფლება ემზარ კვიციანს: ის დღეს ნაციონალების ტყვეა!!!“ – ამ სიტყვების ავტორი ემზარ კვიციანის რიგითი მხარდამჭერია. სავარაუდოდ, ის იმ კატეგორიიდან არის, რომლებმაც ერთ-ერთ ბოლო გამოკითხვაში „ოცნება“ ისევ ოპოზიციურ ძალად შემოხაზა. რომ არა დროში აცდენა, მოთხოვნა ნამდვილად ნაცნობი იქნებოდა. თუმცა ნაციონალების დროს მსგავსი მოთხოვნის ყველაზე გავრცელებული ფორმა ასეთი შინაარსის იყო: „თავისუფლება ცოტნე გამსახურდიას“. ცოტნე უკვე თავისუფალია და როგორც ამბობენ, მალე კვიციანიც მის ბედს გაიზიარებს. თუმცა რის სანაცვლოდ? ეს არის კითხვა, რომელზეც დღეს თავად კვიციანიც და მისი დაც მსუბუქი მინიშნებებით საუბრობენ. დეტალებზე სასაუბროდ თავად კვიციანი მზად არის, ოღონდ სამართალდამცავებთან. მან ეს საკუთარ „facebook“-გამოსვლაშივე აღნიშნა, როდესაც საკუთარი უახლესი გეგმების შესახებ მოიწერა: „მეგობრებო, დღეს მქონდა სასამართლო და ჩემი საოცნებო დეპორტიც მივიღე! ბილეთები აღებული მაქვს – 27.02.2014. 16:00 საათზე ვიქნები თბილისში! თქვენი თანადგომა დამჭირდება, ვისაც საშუალება გექნებათ, ძალიან დამავალებთ, თუ აეროპორტში მობრძანდებით! მაქვს ინფორმაცია, რომ ჩვენი ქვეყნის მტრები ჩვენივე თანამოქალაქეების ხელით პროვოკაციის მოწყობას გეგმავენ!!! დანარჩენს ადგილზე მოგიყვებით!!!“**

კვიციანს საქართველოში დაბრუნების პირველი მცდელობა ჩამოსვლამდე ზუსტად ერთი დღით ადრე ჰქონდა, თუმცა ის უშედეგოდ დასრულდა. საბაჟოდან გაურკვეველი საბუთის არარსებობის გამო უკან გაბრუნებულმა კვიციანმა მომლოდინეებს შეხვედრა მეორე დღისთვის გადაუდო და ეჭვიც გამოთქვა, რომ პრობლემა ხელოვნურად იყო შექმნილი მტრების მიერ, თუმცა ვის გულისხმობდა მტრებში, არ დაუკონკრეტებია. პრინციპში, დაკონკრეტების გარეშეც ნათელი იყო, რომ კვიციანი მტრებში ნაციონალებსა და ზოგიერთ ოპოზიციურ ძალას გულისხმობდა. უფრო კონკრეტულად კი ირაკლი ოქრუაშვილს.

კვიციანის ეჭვების მიუხედავად, საზოგადოებაში ჩამოსვლის პირველი მცდელობის ჩაშლამ მოსახლეობაში სხვა ასოციაციები უფრო გამოიწვია. სხვათა შორის, ეს ასოციაციებიც ირაკლი ოქრუაშვილს დაუკავშირდა, როდესაც 2011 წელს ბურჯანაძის მიერ გამართულ მიტინგებზე მყოფ ადამიანებს „დევნილმა“ ევროპიდან შემოუთვალა, გპირდებით, რამდენიმე დღეც და თქვენს გვერდით დავდგებიო... მისივე სიტყვებით, მიტინგს ის ზუსტად 25 მაისს უნდა შეერთებოდა, თუმცა 25-მა მაისმაც მის გარეშე ჩაიარა და რაც მთავარია, მომდევნო ღამემაც. მაშინ ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ ოქრომ ქართველი ხალხი „გადააგდო“. მოგვიანებით საკუთარი ღალატი ოქრუაშვილმა, კვიციანის მსგავსად, მტრებს გადაბრალა და თავის გასამართლებლად ინტერნეტში ნაყიდი ბილეთებიც გაავრცელა იმის დასტურად, რომ ნამდვილად აპირებდა საქართველოში გამოფრენას...

ამ ისტორიის გათვალისწინებით, ბევრმა კვიციანის ჩამოსვლის ისტორია, პირველი კრახის შემდეგ, ლოგიკურად ეჭვქვეშ დააყენა. ისიც ითქვა, რომ კვიციანმა, საკუთარი განცხადებით, ძალოვანი სტრუქტურები გადაამოწმა, რა რეაქციები ექნებოდათ. რეაქცია კი ნამდვილად ლოგიკური იყო. შინაგან საქმეთა სამინისტრომ კვიციანის საქართველოში ჩამოსვლისთანავე განცხადება გაავრცელა: „ემზარ კვიციანი ძებნილია. შესაბამისად, მისი ჩამოსვლის შემთხვევაში, კანონის შესაბამისად ვიმოქმედებთ“.

სწორედ ამ განცხადების შემდეგ ალაპარაკდა ემზარ კვიციანის და, ნორა კვიციანი, რომელმაც მოითხოვა ერთი-ორი დღე მაინც დამიტოვეთ 8 წლის უნახავი ძმა სახლშიო... აქცენტი კი ქალბატონმა ნორამაც ირაკლი ოქრუაშვილზე გააკეთა. აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტი კითხვა ოჯახს სწორედ ოქრუაშვილის მიმართ აქვს. ისინი პოლიტიკურად გააქტიურებული ოქრუაშვილისგან კონკრეტულ პასუხებს ითხოვენ, რატომ და ვისი ბრძანებით გააუქმა მან „მონადირე“. კითხვები კი, მათივე ლოგიკით, სწორედ წინა ხელისუფლების მაღალ ეშელონებამდე მიდის. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, ემზარ კვიციანის ჩვენების საფუძველზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრას წინა ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ და მათ შორის ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგაც. მით უფრო, რომ კვიციანი ოქრუაშვილის მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ აფიქსირებდა. სააკაშვილის ხელისუფლებასთან დაკავშირებით კი მან საკუთარი მოსაზრება საქართველოში გამომგზავრებამდე გაახმოვანა: „მე „ვარდების რევოლუციას“ არ მივესალმებოდი, იმიტომ რომ ვიცოდი, ცუდი დავალებით მოდიოდნენ. მიხეილ სააკაშვილს დავალება ჰქონდა ტერიტორიების გასხვისებისა და მან ეს დავალება შეასრულა. მე მანამდე ვიცოდი, რომ ესენი კოდორს ჩაბარებდნენ და ჩაბარეს კიდეც“. თემა მისმა დამ კიდევ უფრო განავრცო და კოდორის ხეობაში განვითარებულ მოვლენებზე სრული პასუხისმგებლობა სწორედ წინა ხელისუფლებას დააკისრა.

## ნორა კვიციანი: „ჩემს ძმას ერთი დანაშაული აქვს ჩადენილი – წინააღმდეგობა გაუწია ხელისუფლებას“

**ნორა კვიციანი, ემზარ კვიციანის და:**

– ჩემი ძმა ყველაფრისთვის მზადაა. ის თავად არის დაინტერესებული გამოძიებით, სურს, რომ სიმართლე გაირკვეს. ჩემი ძმა სულ ამბობდა, რომ ჩემს სამშობლოში მინდა, ცუდად თუ კარგად, არ გავურბივარ პასუხისმგებლობასო. ჩემს ძმას ერთი დანაშაული აქვს ჩადენილი – წინააღმდეგობა გაუწია ხელისუფლებას. წინააღმდეგობაც იმიტომ გაუწია, რომ არ მომხდარიყო კოდორის დაკარგვა, მაშინ აფხაზეთის აღიარება იმიტომ არ ხდებოდა, რომ კოდორი არ იყო აღებული, კოდორს კი სწორედ ამიტომ იცავდა ბოლომდე ჩემი ძმა და უამრავი მებრძოლი. ამ ბრძოლას ძალიან ბევრი შეეწირა, ჩემმა ძმამ თავი გაწირა, ჩვენ გაგვწირა, რა იხეირა ამით? ასე როგორ უნდა ჩაიაროს ყველაფერმა? მე უკანონო ფორმირებების შექმნა დამაბრალეს, იგივე მუხლი აქვს წაყენებული ჩემს ძმასაც. მაშინ როდესაც თავად აფინანსებდნენ „მონადირეს“, ხელფასებს უხდიდნენ, იარაღით ამარაგებდნენ, საპრეზიდენტო ფონდიდან ჰუმანიტარულ დახმარებას აძლევდნენ, ბოლოს კი საერთოდ კრიმინალებად გამოგვაცხადეს. ვინ ნორმალური გაჩერდებოდა იმ პერიოდში კოდორში, პატრიოტის გარდა? ჩემი ძმა ჩამოვა და ყველა კითხვას გასცემს პასუხს. 6 წელი და 4 თვე რისთვის დავისაჯე? ყველაფერი სახეზეა. პირადად ჩემს ამბავზე კი სასამართლოში საჩივრის შეტანას არ ვიცი, აზრი აქვს თუ არა... იგივე სასამართლოა, იგივე თავმჯდომარეა და არ ვიცი, საჩივარს რომ შევიტან, გამოიძიებენ თუ არა სამართლიანად. ეს მეორე საკითხია.

**– თქვენს ძმას ესაუბრეთ?**

– ძალიან დიდი ხანია, ჩემს ძმასთან არ მისაუბრია. ბოლოს რომ დარეკა, მარტო ის ვუთხარი, გილოცავ-მეთქი და ვერც დაველაპარაკე, ტირილი დავიწყე. როცა ჩამოვა, თუ მაინც უნდა დააკავონ, მაშინ ვთხოვ, ერთი-ორი დღე მაინც დაგვიტოვონ, რომ მოვეფეროთ და შემდეგ თავად გამოცხადდება, მაინც არ გაჩერდება ისე.

**– როდესაც საქმის ხელახალ გამოძიებაზე საუბრობთ, როგორ ფიქრობთ, ვისი ბრალეულობა შეიძლება გამოიკვეთოს?**

– ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ ძალიან ბევრი კითხვა არსებობს. მან მე, ნორა კვიციანს, კი არ უნდა გამცეს პასუხები, არამედ საზოგადოებას, ხალხს. თქვას, რატომ გააუქმა ბატალიონი, რატომ შეიყვანა ჯარი, რატომ დაბომბა კოდორი. განაჩენს ერი გამოიტანს. თქვას, ვისგან მიიღო ბრძანება, თუ აიძულეს, ეს ბრძანება შეესრულებინა, გამოვიდეს და განაცხადოს, რომ სააკაშვილმა მისცა ბრძანება და იძულებული იყო, ის შეესრულებინა. თუ ვაჟკაცია, ეს უნდა გააკეთოს.

**– კიდევ ვისი ბრალეულობა შეიძლება გამოიკვეთოს?**

– მთლიანად წინა ხელისუფლების ბრალია ყველაფერი, რაც მოხდა, მათი პასუხისმგებლობა არის, უპირველეს ყოვლისა. როდესაც „მონადირე“ გაუქმდა, რატომ დაგვიტოვეს ის უკანონო იარაღი, რომელიც შემდეგ ვითომ ჩემი ოჯახიდან ამოიღეს და სწორედ ეს იყო ჩემს წინააღმდეგ ერთ-ერთი ბრალეულობა. ირაკლი ოქრუაშვილმა ჩემი სახლის თავზე აღმართა საქართველოს დროშა. რა იზეიმა ამით ოქრუაშვილმა? ჩემი დაკავება? აი, ამ კითხვებზე უნდა გასცენ ერს პასუხი.

## „მთლიანად წინა ხელისუფლების ბრალია ყველაფერი, რაც მოხდა, მათი პასუხისმგებლობაა, უპირველეს ყოვლისა“

## „პირადად ჩემს ამბავზე კი სასამართლოში საჩივრის შეტანას არ ვიცი, აზრი აქვს თუ არა“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა ხდება რეგიონებში?

# ახვლედიანების კლანი ვანში და ასინეთოობაში დატრენინგებული სოფლის რწმუნებულები

მირიან ბოქოლიშვილი

**რა ხდება რეგიონებში? რამდენად მიზნობრივად იხარჯება მუნიციპალიტეტებისთვის გამოყოფილი სახსრები? ამის გარკვევას „პრაიმტაიმი“ ვანის რაიონის მაგალითზე შეეცადა, სადაც, როგორც ადგილობრივებმა გვაცნობეს, ნეპოტიზმი და სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა ყვავის. ვანის ამბებს ოდნავ ქვემოთ მოგიყვებით, მანამდე კი მინდა ჩვენს მკითხველს გავაცნო რეგიონული განვითარების სამინისტროს მიერ, სხვადასხვა მუნიციპალიტეტში სოფლის რწმუნებულებისთვის ჩატარებული ტრენინგების შესახებ. სოციალურ ქსელში დიდი პოპულარობით სარგებლობს ვიდეო, სადაც სამინისტროს წარმომადგენელი რწმუნებულებს მიმართავს და კონკრეტულ ინსტრუქციებს აძლევს.**

„სოფელში კაცი გქვია, გამგებელი ხარ, ისიც უნდა იცოდეთ, ვინ ვის ჰყვარობს სოფელში და ვინ ვისთან დაძვრება“, – განაცხადა რეგიონული განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა კოტე ხმალაძემ სოფლის რწმუნებულებთან შეხვედრისას. ამ ვიდეოს, სოციალურ ქსელში უკვე უწოდეს – ტრენინგი ასინეთობაში. მას შემდეგ, რაც ეს თემა სოციალურ ქსელში აქტიური განხილვის საგნად იქცა, სკანდალური ვიდეოს მთავარი გმირი, რეგიონული განვითარების სამინისტრომ სამსახურიდან გაათავისუფლა, თუმცა სამინისტრო მიზნობრივი ტრენინგების ჩატარებას ყველა მუნიციპალიტეტში გეგმავს... გამონაკლისი არც ვანის რაიონია, სადაც შესაძლოა, მალე ფინანსური შემოწმებაც ჩატარდეს. ადგილობრივები ყვებიან, რომ რაიონში საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ ხარჯვას აქვს ადგილი. მაგალითისთვის კი მოჰყავთ გადათოვლის სამუშაოებისა და საახალწლო ღონისძიებების დროს გამოვლენილი დარღვევები.

„იმ ფონზე, როდესაც რაიონში არ მუშაობს არც ერთი საავადმყოფო, სამშობიარო, ან რაიმე სპორტული კომპლექსი, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა გაურკვეველ ღონისძიებებში ხარჯავს ფულს. მაგალითად, ახალ წელს, ქალაქში მდგარ ბუნებრივ ნაძვის ხეზე რამდენიმე სათამაშოს ჩამოკიდება 1000 ლარი დაჯდა, საკმაოდ დიდი თანხა გაწერეს გადათოვლითი სამუშაოებისთვის. რეალურად, ამ თანხის დიდი ნაწილი, ადგილობრივი ჩინოვნიკების ჯიბეში მიდის. მე მაქვს ინფორმაცია, რომ ათასობით ლარია „მოტეხილი“. თქვენი გაზეთი აქ საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს, ამიტომ კარგია, თუ ამ ინფორმაციას გააჟღერებთ. საინტერესოა ისიც, რომ ქალაქ ვანის რწმუნებულად, ანუ მერის თანამდებობაზე „ქართული ოცნების“ გამგებელმა დანიშნა ცნობილი „ნაციონალი“ ვლადიმერ ხელაძე. მგონი, ხვდებით, რასთან გვაქვს საქმე“, – ყვება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი თანამშრომელი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას.

რესპონდენტი ვინაობის გამხელისგან თავს იკავებს, ვინაიდან ეჭვობს, რომ ამ თემებზე ღიად საუბრის გამო სამსახურს დაატოვებინებენ. ანონიმურობის დაცვით კი კიდევ რამდენიმე საინტერესო დეტალს გვიმხელს. საუბარია ვანის რაიონში არსებულ ნეპოტიზმზე. მისი თქმით, დღეს რაიონს ახვლედიანების კლანი განაგებს.

„მუნიციპალიტეტის გამგებელმა, მურად ახვლედიანმა არა მარტო საკვანძო თანამდებობებზე, არამედ რიგით თანამშრომლებადაც კი საკუთარი ნათესავები დანიშნა. მოადგილე გახლავთ მისი ბიძაშვილი გია ახვლედიანი, ბიძაშვილის სიძეა ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი. არ ჩათვალოთ, რომ მე რამეს ვითხოვ, უბრალოდ, უსამართლობას რომ ვხედავ, ვერ ვეგუები. იმის ნაცვლად, რომ ერთი სამშობიარო მაინც გახსნან, ან ახალგაზრდობას პირობები შეუქმნან, თუნდაც სპორტული დარბაზების შექმნის კუთხით, ძირითადად საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავენ. გამგებელი მურად ახვლედიანი საკუთარი ახლობლებისთვის კეთილდღეობის შექმნას ცდილობს. კი, ბატონო, არ გვაქვს პრეტენზია, მაგრამ გული მწყდება, რომ ამ ფონზე ვანის რაიონი შუასაუკუნეობრივ ქალაქს ემსგავსება. მაშინ, როცა თავად ახვლედიანის ქონება საგრძნობლად იზრდება“, – ყვება ჩვენი რესპონდენტი.

მისი ნაამბობის შემდეგ, ჩვენ დავინტერესდით, რეალურად რა ქონების პატრონია მურად ახვლედიანი. ოფიციალურ დეკლარაციაში მის სახელზე ვანის რაიონში უძრავი ქონება საერთოდ არ ფიგურირებს, თუმცა საკმაოდ შთამბეჭდავია მისი თბილისური ქონება. ვანის გამგებელი დედაქალაქში ოთხ სახლს ფლობს – დადიანის, მიქელაძის, კოსტავასა და ქინქლაძის ქუჩებზე. მისავე სახელზეა რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელში.

**„პრაიმტაიმთან“ საუბრისას მურად ახვლედიანი მისი მისამართით გაჟღერებულ ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებს და ამბობს, რომ მსგავს ინფორმაციებს ინტრიგანები უვრცელებენ.**

**– ბატონო მურად, ამბობენ, რომ მუნიციპალიტეტის წამყვან თანამდებობებზე თქვენი ნათესავები და ახლობლები დაასაქმეთ. მართალია?**

– ინტრიგანია, ვინც მაგას ამბობს. ნუ აჰყვებით ამ სისულელეებს. მერე რა, თუ მოადგილედ დავნიშნე ახვლედიანი. თუ მთელი ცხოვრება შრომობს და კაცური კაცია, რა მოხდა მერე, ამის გამო ნათესავი სამსახურში არ უნდა მივიღო? თუ უღირსი და არაკომპეტენტური პიროვნებაა, ეს სხვა საკითხია, მაგრამ, თუ ამ თანამდებობას იმსახურებს, რა უნდა ვქნა?!

**– რაც შეეხება არამიზნობრივ ხარჯებს... საუბარია იმაზე, რომ თითქოს საკმაოდ დიდი თანხა გამოჰყავით იგივე გადათოვლით სამუშაოებში, რომელიც რეალურად ამ სამუშაოებს არ მოხმარებია...**

– რას ჰქვია, არ მოხმარებია. თოვლი რომ უნდა გაიწმინდოს და გზა გაიხსნას, ეს არის არამიზნობრივი? ჰკითხეთ სოფლის რწმუნებულებს და ისინი გეტყვიან.



მურად ახვლედიანი

**P.S.** შრომა და კაცური კაცობა ნამდვილად მისასალმებელია, თუმცა ძნელი წარმოსადგენია, რომ მხოლოდ გამგებლის ახლობლებს აქვთ მთელი ცხოვრების მუშაობის სტაჟი, ან ვანში კაცური კაცები მხოლოდ ახვლედიანების რიგებში მოიძებნებიან. არადა, როგორც ჩვენი რესპონდენტი ყვება, გია ახვლედიანს, რომელიც მურად ახვლედიანის მოადგილედ დაინიშნა, საჯარო, ადმინისტრაციულ სამსახურში მუშაობის არანაირი გამოცდილება არ გააჩნია, უახლოეს წარსულში ის ბენზინგასამართ სადგურზე, ოპერატორად მუშაობდაო. რაც შეეხება მოსახლეობას, ადგილობრივებს სამედიცინო მომსახურების მიზნით სხვა, მეზობელ რაიონებში უწევთ ჩასვლა. ამ ფონზე კი, ვრცელდება ინფორმაცია, რომ შესაძლოა, მაკონტროლებელმა ორგანომ რამდენიმე მუნიციპალიტეტის ფინანსური საქმიანობა შეისწავლოს. შესამოწმებელ მუნიციპალიტეტებს შორის კი ვანის გამგეობაც სახელდება.

**გამგებელი: „თუ მთელი ცხოვრება შრომობს და კაცური კაცია, რა მოხდა მერე, ამის გამო ნათესავი სამსახურში არ უნდა მივიღო?“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ყაზბეგის გამზირზე მომხდარი

„მშენებლებს მხოლოდ ის უნდათ, რომ, რაც შეიძლება იაფად გამოვიდნენ და ჩვენზე ადარ ფიქრობენ. ჩვენისთანა ჯაცი ჯი, რომელიც სამუშაოს ვერ შოულობს, იძულებულია, ასეთ პირობებზე დასთანხმდეს, რომ შინ ორი ჯაჯიკი მიიტანოს“

„საწყალი ხელებს იქნევდა, მიშველეთო, მაგრამ ვინ უშველიდა. საშინელება მოხდა იმ დღეს“

„ეს ამწე 7 წელია, რაც აქ დგას და აქამდე არ წაქცეულა. მეორე მუშა, რომელმაც მცირე დაზიანებები მიიღო, ქვემოთ იდგა, როცა დაინახა, რომ ამწე ძირს წამოვიდა, გაიქცა და იქვე ორმოში ჩახტა. თავი ჰქონდა გატეხილი. მთავარია, გადარჩა. ამწის ნაწილი მოპირდაპირე მხარეს მდგომ შენობას დაეცა“

# ერთ-ერთი ვერსიით, ამწემ დაშვ
# ნორმაზე მეტი სიმძიმის ტვირთი

სალომე გოგოხია

**გასულ კვირას თბილისში, ყაზბეგის გამზირზე მდებარე მშენებლობაზე უბედური შემთხვევა მოხდა. სამშენებლო მასალების გადაზიდვისას ამწე წაიქცა. ამწეს კაბინაში მყოფი მემანქანე, 48 წლის ცეზარ ჭიტაძე დაახლოებით 40 მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდა. სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ბრიგადამ დაშავებული რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა. თუმცა, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.**

შემთხვევის შედეგად ერთი მუშა დაზარალდა. თუმცა, ის გადარჩა.

მიზეზები, თუ რატომ წაიქცა ამწე, ჯერ დადგენილი არ არის. სავარაუდოდ, ექსპერტიზის დასკვნა რამდენიმე კვირაში გახდება ცნობილი.

მანამდე კი მხოლოდ ვერსიებზე შეიძლება საუბარი. ერთ-ერთი ვერსიით, ამწეს დაშვებულ ნორმაზე მეტი ტვირთი ჩაუბეს, ტვირთის აწევისას ამწე მწყობრიდან გამოვიდა და წაიქცა. მეორე ვერსიით, უბედური შემთხვევა ამწის გაუმართაობამ გამოიწვია.

**თუმცა, ამ ვერსიას არ ეთანხმება „ესტ კომპანის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი მალხაზ ქუჩულორია.**

„ეს ამწე ჩვენმა კომპანიამ იქირავა და უკვე შვიდი წელია, რაც აქ დგას. აქამდე არასდროს წაქცეულა. როგორც ვიცი, ამ ამწით 3 ტონამდე ტვირთის აწევა იყო ნებადართული. თუმცა, მუშებს ყოველთვის ვაფრთხილებდი, რომ 2 ტონა აეწიათ. იმ დღეს, როცა ეს უბედურება მოხდა, წესით, მემანქანე არ უნდა ყოფილიყო, რადგან საქმე არ ჰქონდა. ჩვენი კორპუსის მშენებლობა დასრულდა. კორპუსის პატარა ნაწილის გადახურვა დაგვრჩა. თუმცა, იმ დღეს ამის გადახურვა არ იგეგმებოდა“, – გვითხრა ქუჩულორიამ.

„პრაიმტაიმი“ შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა. გავესაუბრეთ როგორც მუშებს, ასევე, მშენებლობის მეზობლად მცხოვრებ მოსახლეობასაც.

შემთხვევის ადგილზე ორი კორპუსი დგას. ერთის – 16-სართულიანი კორპუსის მშენებლობა დასრულებულია, მასში მობინადრეებიც ცხოვრობენ, ხოლო მეორე – 22-სართულიანი კორპუსის მშენებლობა ჯერ არ დასრულებულა.

თვითმხილველებმა გვიამბეს, რომ შემთხვევა დაახლოებით დღის ორიდან სამ საათამდე მოხდა. მემანქანეს მიმდინარე მშენებლობიდან სამშენებლო ნაგვის აღება სთხოვეს.

„ამ კორპუსის ამწე ისე დგას, რომ ამ ნაგავს ვერ უდგებოდა, ხოლო მეორე ამწე, რომელშიც ეს უბედური იჯდა, მეორე კორპუსს ჰყავდა დაქირავებული და მისთვის გაცილებით მარტივი იყო აწევა“. – გვითხრა ერთ-ერთმა მუშამ.

ერთ-ერთმა მუშამ ამწეს ასაღები ტვირთი ჩაუბა. ამწემ ასწია და ძალიან მალევე გადაყირავდა, ძირს დაეშვა. მოპირდაპირე მხარეს მდგომ ხუთსართულიან შენობას რკინის კონსტრუქციის მცირე ნაწილი შეეხება, თუმცა შენობამ ვერ შეაკავა და ამწე ძირს დავარდა. კაბინაში მყოფი მემანქანე 40 მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდა.

„საწყალი ხელებს იქნევდა, მიშველეთო, მაგრამ ვინ უშველიდა. საშინელება მოხდა იმ დღეს“, – გვითხრა ერთ-ერთმა თვითმხილველმა, რომელიც მშენებლობის მეზობლად ცხოვრობს.

**„ესტ კომპანის“ წარმომადგენლის თქმით, მათი კომპანია მომხდარში დამნაშავე არ არის. თუმცა, გარდაცვლილის დასაფლავების ხარჯებს გაიღებს და ოჯახს ფინანსურადაც დაეხმარება.**

„ჩვენ არ ვიცით, რამ გამოიწვია ამწის ჩამოვარდა. თუმცა, როგორც გამოცდილი მემანქანეები ამბობენ, სავარაუდოდ, დაშვებულ ნორმაზე მეტი სიმძიმის ტვირთია აწეული. ამან გამოიწვია ეს უბედურება. თუმცა, ეს ჯერ ექსპერტიზამ უნდა დაადგინოს. მე გეუბნებით მემანქანეების ვარაუდებს. ეს ამწე 7 წელია, რაც აქ დგას და აქამდე არ წაქცეულა. მეორე მუშა, რომელმაც მცირე დაზიანებები მიიღო, ქვემოთ იდგა, როცა დაინახა, რომ ამწე ძირს წამოვიდა, გაიქცა და იქვე ორმოში ჩახტა. თავი ჰქონდა გატეხილი. მთავარია, გადარჩა. ამწის ნაწილი მოპირდაპირე მხარეს მდგომ შენობას დაეცა. ერთი მეტრით წინ რომ წაწეულიყო, გადარჩენის მეტი შანსი იყო. ხედავთ, მანქანები დამსხვრეულია. ამ ყველაფერს ემველება, მიცვალებულს აღარ ემველება თორემ. ჩვენ არაფერ შუაში ვართ. ჩვენთან მშენებლობა დასრულებულია.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სამშენებლო სამუშაოს 48 წლის მემანქანის სიცოცხლე შეწირა

# ეგულ ასწია

მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, მეზობლად მცხოვრები მობინადრეები უკმაყოფილებას ხმამაღლა გამოთქვამდნენ.

„აქ არავის უსაფრთხოება დაცული არ არის. არც მუშები და არც ჩვენი. შენობიდან ყოველდღე რაღაც ცვივა. ეს ამწე მიმაგრებული კი არის, მაგრამ რა გარანტიაა, რომ ერთ დღესაც არ გადმოვარდება და თავზე არ დაგვეცემა. აქ ბავშვები დარბიან, თამაშობენ, ორსულები გვყავს. შიშისგან ღამეს თეთრად ვათენებ. ვინაა პატრონი და გამკითხავი". – **შემოგვჩივლა აფხაზეთიდან დევნილმა ლალი გოროზიამ.**

გარდაცვლილს მეუღლე და ორი მცირენლოვანი შვილი დარჩა. როგორც მშენებლობაზე გვითხრეს, ოჯახს ეკონომიურად უჭირს, ერთადერთი მარჩენალი სწორედ გარდაცვლილი იყო.

ცეზარ ჭიტაძე ვარკეთილში ცხოვრობდა.

„პრაიმტაიმი" გარდაცვლილის ოჯახში იმყოფებოდა. თუმცა, მომხდართან დაკავშირებით ოჯახს საუბარი არ სურს.

„ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ სანამ ექსპერტიზის დასკვნა არ იქნება, ვერ დაგელაპარაკებით. შემიძლია გითხრათ, რომ ჩემი ძმა ძალიან დადებითი პიროვნება იყო, ამწეზე მუშაობა მე ვასწავლე, რვა წელი მუშაობდა ამწეზე. რა და როგორ მოხდა იმ დღეს, ვერ გეტყვით. მე ჩემს ძმისშვილებზე ვფიქრობ და არ მინდა საქმე გავაფუჭო". – **გვითხრა გარდაცვლილის ძმამ ჯაბა ჭიტაძემ.**

საქმეს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მეორე განყოფილება იძიებს. გამოძიება მომხდართან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს.

**საგანგებო სამსახურის უფროსი თემურ გიორგაძე მიიჩნევს, რომ უბედური შემთხვევა გაუმართავმა ტექნიკამ გამოიწვია.**

„მშენებლობებზე უბედური შემთხვევები ხდება. თუმცა, ამნის მანქანიდან ვინმე გადმოვარდნილიყო და დაღუპულიყო, არ მახსენდება, მგონი, ეს პირველი შემთხვევაა. ამ ყველაფერს გამოძიება დაადგენს. ჩემი აზრით, გაუმართავი იყო ან დაძვებულ ნორმაზე მეტი ტვირთი ასწია". – გვითხრა გიორგაძემ.

დაცულია თუ არა უსაფრთხოების ნორმები მშენებლობაზე? ამ შეკითხვით მერიას მივმართეთ. მშენებლობის ნებართვას მერიის არქიტექტურის სამსახური გასცემს, ხოლო უსაფრთხოების ნორმები დაცულია თუ არა, ამის კონტროლის ზედამხედველობის სამსახური ამოწმებს.

„ზედამხედველობის სამსახურიდან მოდიან, ამოწმებენ, შესაბამისობაში მოდის თუ არა ნორმასთან. თუმცა, მშენებლობის პროცესს ისინი ვერ გააკონტროლებენ. ეს შეუძლებელია, მაშინ ერთი კაცი მუდმივად აქ უნდა იდგეს. გამოდის, ყველა მშენებლობაზე ერთი კაცი უნდა ჰყავდეთ", – **გვითხრა მალხაზ ქუჩულორიამ.**

ჩვენ მიერ გამოკითხული სხვადასხვა მშენებლობის მუშები კი ამბობენ, რომ საქართველოში მათი უფლებები დაცული არ არის.

„ნებისმიერ მშენებლობაზე გაიარეთ და ნახავთ, რომ მუშას ელემენტარულად „კასკაც" არ ახურავს, სხვა არაფერზე ვამბობ. რომელ უსაფრთხოების ნორმების დაცვაზეა საუბარი. რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე სამუშაოს ისე ვასრულებთ, რომ იტყვიან ღმერთის იმედად ვართ. განა ერთი და ორი შემთხვევაა, როცა ხარაჩოდან გადმოვარდნილა მუშა. მშენებლებს მხოლოდ ის უნდათ, რომ, რაც შეიძლება იაფად გამოვიდნენ და ჩვენზე აღარ ფიქრობენ. ჩვენისთანა კაცი კი, რომელიც სამუშაოს ვერ შოულობს, იძულებულია, ასეთ პირობებზე დასთანხმდეს, რომ შინ ორი კაპიკი მიიტანოს", – შემოგვჩივლეს მუშებმა.

24 თებერვლის ტრაგედია სამშენებლო კომპანიებისთვის გამაფრთხილებელი აღმოჩნდება თუ არა და რამდენად იზრუნებენ მუშების უსაფრთხოებაზე, ამას მომავალი გვიჩვენებს.



როცა დასკვნა დაიდება, შემდეგ, ალბათ, ვიღაცის პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება". – ამბობს ქუჩულორია.

შენობასთან მისასვლელი სამანქანო გზა ჩახერგილია. შემთხვევის შედეგად დამტვრეული ორი მანქანა იქვე დგას. საუბრის შემდეგ კორპუსის მეთერთმეტე სართულზე ავედით, საიდანაც სამშენებლო ობიექტი ხელისგულივით ჩანს. ამწე, რომელშიც მემანქანე იჯდა, ორ კორპუსს შორის დგას. რამდენიმე მეტრშია ის საბედისწერო ნაგვის ურნა, რომლითაც მას სამშენებლო ნაგავი უნდა გაეტანა.

**მშენებლობის ზედამხედველი ზურაბი ჩვენთან საუბარში მომხდარს იხსენებს:** „ამ ყველაფერს ვუყურებდი. მუშამ ჩააბა და შემდეგ მემანქანემ ასწია. თუმცა, მალე ძირს ჩამოვარდა, ამხელა ამწე შენობას დაეცა, რა გითხრათ, საშინელება მოხდა, კაცი იყო და აღარ არის".

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „მესმის, რომ დედა პარასკევას ბიზნესი „აახია“ საპატრიარქომ“



EXCLUSIVE **გია ნოდია:**

## „თუ 2 დღეში, დედა პარასკევას „ხილვის“ შემდეგ, გაყიდული სანთლებით შემოსულმა თანხამ 4 მილიონს გადააჭარბა, რამდენ მილიონამდე ავა დაახლოებით 30 დღეში სამებაში გაყიდული სანთლებით შემოსული თანხა?“

my View
ხათუნა მგალობლიშვილი

**გაჩნდა მოსაზრება, რომ სამებაში გაყიდული სანთლები დაიბეგროს... იდეას წინ უსწრებდა მორიგი მოსაზრება, რომ, პირველ რიგში, უნდა მოხდეს გამოანგარიშება, დაახლოებით რამდენი სანთელი გაიყიდება და მიღებული თანხა რამდენი მილიონი ლარით გაზრდის საქართველოს ბიუჯეტს... იყო მათემატიკური ამოცანის შედგენის მცდელობაც... ბუნებრივია, ეს მხოლოდ და მხოლოდ სოციალურ ქსელში გავრცელებული კერძო შეფასებები და მოსაზრებებია, რომელსაც არც ხელისუფლება მიაქცევს ყურადღებას და არც ეკლესია. თუმცა საზოგადოების დიდი ნაწილი თითოეულ ასეთ რეპლიკას კონკრეტულ მიზანს უკავშირებს. მით უფრო მძაფრად ცდილობენ ქვეტექსტის კითხვას პოლიტიკოსების მიერ გაკეთებულ შეფასებებში. ერთ-ერთი ასეთი განხილვის საგანი ექსპერტ გია ნოდიას „ფეისბუკის“ სტატუსი გახდა.**

ნოდიას მიაჩნია, რომ საპატრიარქომ დედა პარასკევას სანთლების ბიზნესი „აახია“, როდესაც მამა გაბრიელის საფლავი გახსნა და მოგვიანებით ის სამების ტაძარში გადმოაბრძანა.

**გია ნოდია, ექსპერტი:** „შოტლანდიაში ვარ და ჩამოვრჩი ქართულ რეალობას. მესმის, რომ დედა პარასკევას ბიზნესი „აახია“ საპატრიარქომ, სავსებით გასაგები მოტივია. მაგრამ რაღაც ოფიციალური და პოლიტკორექტული განმარტება არსებობს, რატომ ამოთხარეს ის კაცი საფლავიდან და ქვეყნის საღადაო გახადეს (ქვეყნის შედარებით რაციონალურ ნაწილს ვგულისხმობ). მამა გაბრიელი ჩემი ბიძა არ ყოფილა, მაგრამ ისე მეჩვენება, რომ მართლა სწამდა იმ კაცს ღმერთის და თუნდაც ამის გამო პატივისცემას იმსახურებდა, რას ერჩოდნენ? „გრეხია“, სამთავროსთან რომ ხარ დაკრძალული?“

თავად ნოდია კვლავ საზღვარგარეთ არის, შესაბამისად, მისი სტატუსის განხილვაც მის გარეშე აქტიურად მიმდინარეობს – ვერსია, რომ ეკლესიას მისი მაღალი რეიტინგის გამო პოლიტიკოსები ებრძვიან, უკვე მოძველებულია. ახალი ის არის, რომ მსგავსი შეფასებების გამო ადამიანები მალავენ საკუთარ დამოკიდებულებას ეკლესიის მიმართ.

„მე ვიყავი სამებაში მამა გაბრიელის წმინდა ნეშტის სანახავად, რამდენიმე საათიც ვიდექი რიგში და ბედნიერი ვარ, რომ მოვახერხე ტაძარში შესვლა, თუმცა მეორე დღეს, როდესაც ჩემ ირგვლივ მყოფებმა დაცინვა დაუწყეს იქ მისულ ადამიანებს, გავჩუმდი და დავმალე ჩემი ემოციები“, – მსგავს პოსტს დღეს სოციალურ ქსელში ბევრს არა, მაგრამ მაინც იპოვით. როგორ დაიწყო, ალბათ, ამას დიდი მნიშვნელობა აღარც აქვს. სამაგიეროდ ყველა ვხედავთ, როგორ გრძელდება. ფაქტია, რომ დღეს რელიგიის კრიტიკა მოდაშია. მით უფრო, იმ ადამიანების, ვისაც სწამს, სჯერა და, უბრალოდ, სურს, ახლოს მივიდეს მამა გაბრიელის ნეშტთან. თუმცა ფაქტია, რომ მათი რიცხვი დღითი დღე მატულობს.

სამებაში შესვლის მსურველთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ საპატრიარქომ გადაწყვეტილება მიიღო, კიდევ რამდენიმე კვირის განმავლობაში დატოვოს მამა გაბრიელის წმინდა ნაწილები ტაძარში: „ვითვალისწინებთ რა ხალხის უდიდეს სურვილს მამა გაბრიელის ნეშტთან მიახლებისა და კიდევ იმ მდგომარეობას, რომ მრევლი რამდენიმე საათის რიგში დგომის შემდეგაც ვერ ახერხებს ეკლესიაში შესვლას, საპატრიარქომ მიიღო გადაწყვეტილება, ღირსი მამა გაბრიელ სალოსი (ურგებაძე) კიდევ რამდენიმე კვირით დატოვოს დასვენებული სამების საკათედრო ტაძარში, რათა ხალხს თავისუფლად მისვლის შესაძლებლობა ჰქონდეს“.

**„მამა გაბრიელი ჩემი ბიძა არ ყოფილა, მაგრამ ისე მეჩვენება, რომ მართლა სწამდა იმ კაცს ღმერთის და თუნდაც ამის გამო პატივისცემას იმსახურებდა, რას ერჩოდნენ? „გრეხია“, სამთავროსთან რომ ხარ დაკრძალული?“**

პარალელურად ეკლესია ხელისუფლებასთან ერთად ზრუნავს მომლოცველების უსაფრთხოებაზეც. ამ მხრივ, თადარიგი საპატრიარქომ წინასწარვე დაიჭირა და ძალოვან სტრუქტურებს დახმარება მანამ სთხოვა, სანამ მამა გაბრიელის ნეშტს სამების ტაძარში გადმოაბრძანებდნენ. პოლიცია საქმეში პირველივე წუთებიდან ჩაერთო და საჭირო წესებიც დააწესა: „ქვეითად მოსიარულე მოქალაქეებმა ტაძრის დასავლეთ კარიბჭემდე მისასვლელად სამრეკლოს ქუჩით უნდა ისარგებლონ, საიდანაც სამების ცენტრალური შესასვლელიდან რკინის ჯებირებით მოწყობილი უსაფრთხოების დერეფნის გავლით შეძლებენ ტაძართან მისვლას. ტაძრიდან გამოსვლისას, მოქალაქეებმა სამხრეთის კარიბჭის მიმართულებით უნდა იმოძრაონ და სამების ეზო ერისთავის ქუჩის მხრიდან დატოვონ. გაუთვალისწინებელი შემთხვევები რომ არ მოხდეს და პოლიციამ ხალხის ნაკადის მოწესრიგება შეძლოს, შინაგან საქმეთა სამინისტრო ტაძარში შესვლის მსურველებს მოუწოდებს, დაემორჩილონ სამართალდამცველების კანონიერ მოთხოვნას, ხელი შეუწყონ მათ წესრიგის დაცვაში და პოლიციასთან ერთად კოორდინირებულად იმოქმედონ“.

ტაძრამდე მისასვლელი თითქმის ყველა სამანქანო გზა გადაკეტილია. მოსახლეობა ყველა მოთხოვნას ემორჩილება და ითვალისწინებს. ყოველ შემთხვევაში ამ მომენტამდე სამებასთან არ დაფიქსირებულა ექსცესის არც ერთი ფაქტი. ადამიანებს ტაძარში საკუთარი დაავადებული შვილები, ახლობლები მიჰყავთ და სწამთ, რომ მადლი თავის კვალს დატოვებს. სწამდეთ სასწაულის – ეს ადამიანების ნებაა. ისევე როგორც დანარჩენებს აქვთ არჩევანი, არ აღიარონ ან, უბრალოდ, არ მივიდნენ სამებაში. თუმცა არის მესამე კატეგორია – ისინი მომლოცველებს ძირითადად ერთი სიტყვით ახასიათებენ – ბნელები. ასეთი ადამიანები განსაკუთრებით სოციალურ ქსელებში აქტიურობენ, ხმამაღლა საუბრისგან თავს იკავებენ და ამბობენ, რომ ეს ზედმეტად პირადულია.

თითქმის ყოველ ჯერზე, როდესაც კითხვა რელიგიურ თემებს ეხება, რესპონდენტები კომენტარზე უარს აცხადებენ. სწორედ ასეთივე პასუხი მივიღეთ უმრავლესობისგან, როდესაც გია ნოდიას მოსაზრების შესაფასებლად დავუკავშირდით.

ნოდიას მოსაზრებას ინტერნეტში რამდენიმე ათეული კომენტარი მოჰყვა. ალბათ, გასაკვირი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მათი უმრავლესობა, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, უარყოფითი იყო. რაც შეეხება ორ გამონაკლისს – ერთი მათგანი საკმაოდ ცივილიზებული ფორმით შეეცადა ნოდიას მისამართით თავდამსხმელთა აგრესიის მოგერიებას: „იწყევლებით, ილანძღებით იმის გამო, რომ ადამიანის აზრს არ იზიარებთ, არ ეთანხმებით. ახლა ღმერთის თვალში რომელი უფრო მოსაწონია, ადამიანმა დაასკვნა თავისი ლოგიკით და შეიძლება გულწრფელია, თუ ცდება, დაარწმუნეთ საპირისპიროში ქრისტიანულად, რას იწყევლებით, იმუქრებით და ილანძღებით?“ და რამდენიმე ათეულიდან მხოლოდ ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც ნოდიას აზრს სრულად უჭერდა მხარს: „მე ვფიქრობ, ძალიანაც სწორს ამბობს ეს კაცი. პარასკევამ რაღაც სიზმარი მოიგონა და იმდენი ხალხი მივარდა, 4 მილიონი სანთელი გაიყიდაო. სად წავიდა ის ფული, შესაწირს რომ ეძახიან? ახლა გაბრიელის საფლავიდან მიწასაც კი ტომრებით ზიდავდნენ, აგერ ნახავთ, თუ გრამობით არ გაყიდიან. ამ კაცს ვაჟკაცობა ეყო ამის სათქმელად“.

ნოდიას თემის გაგრძელება მათემატიკური ამოცანის შედგენის მცდელობა იყო. აღმოჩნდა, რომ საპატრიარქოს გადაწყვეტილებაში მხოლოდ ერთი ექსპერტი არ ხედავს ბიზნესგეგმას... „მთელი ღამე ერთი ამოცანა და მერე განტოლება მიტრიალებდა თავში. ეს შეიძლება უკვე ცინიკურადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ მაინც, მათემატიკაში ძალიან სუსტი ვარ, და იქნებ ვინმე დამეხმაროს ამოხსნაში. თუ 2 დღეში, დედა პარასკევას „ხილვის“ შემდეგ, გაყიდული სანთლებით შემოსულმა თანხამ 4 მილიონს გადააჭარბა, რამდენ მილიონამდე ავა დაახლოებით 30 დღეში სამებაში გაყიდული სანთლებით შემოსული თანხა?

2 = 4 000 000 მილიონ ლარს

30 = x

X = ?“ – ეს მორიგი დაინტერესებული ადამიანია, რომელმაც, სხვათა შორის, სამებაში შესვლის მსურველთა გრძელ რიგში, ასევე, ბევრი საათი გაატარა...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დავა არარსებულ ტახტზე - რა ხდება სამეფო ოჯახში?

## ანამ და დავითმა პატრიარქი მოატყუეს?!

## „მათი შერიგება შეუძლებელია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთმანეთს მტრად გადაეკიდონ“

სალომე გოგოხია

**მას შემდეგ, რაც დავით და ანა ბაგრატიონები განქორწინდნენ, საზოგადოებამ თითქმის არაფერი იცის, როგორ წარიმართა სამეფო ოჯახის შემდგომი ცხოვრება. ოჯახი დუმილს არჩევს, რაც თავისთავად საფუძველი ხდება საზოგადოებაში ჭორ-მართალის გავრცელებისა. სამეფო ოჯახის კანცლერმა სიმონ კოპაძემ „პრაიმტაიმს“ განუცხადა, რომ სხვის ოჯახზე საუბარი არ სურს.**

თუმცა, წყვილის განქორწინებამდე კოპაძე პრესასთან ურთიერთობაზე უარს არ ამბობდა. როდესაც მონარქიის აღდგენაზეა საუბარი და ამ თემას საზოგადოებაც აქტიურად განიხილავს, სხვა საკითხია უარყოფითად თუ დადებითად, სამეფო ოჯახი მინიმუმ, ოფიციალური განცხადებით მაინც უნდა შემოიფარგლოს. მედიასთან ურთიერთობა მათსავე ინტერესებში უნდა შედიოდეს, რადგან ეს ხელს შეუწყობს საზოგადოებისთვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას.

როგორც ამბობენ, ეს ქორწინება კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ოცნება ყოფილა, საერთო მემკვიდრის ამქვეყნად მოვლინებით ბაგრატოვანთა ორი შტო სამუდამოდ გაერთიანდა. წყვილის განქორწინების შემდეგ, გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს პატრიაქმა განაცხადა, რომ ანამ და დავითმა ის მოატყუეს.

ამ ინფორმაციის გადამოწმება საპატრიარქოში ვცადეთ. თუმცა, პატრიარქის პრეს-მდივანმა მამა მიქაელ ბოტკოველმა ამ თემაზე საუბარი არ ისურვა.

„ამ თემაზე ნუ დამირეკავთ, ჩემ კომპეტენციაში არ შედის“, - გვიპასუხა მამა მიქაელმა.

შერიგდებიან თუ არა ანა და დავითი, ამის პროგნოზირება შეუძლებელია. თუმცა სამეფო კლუბის წევრი გია ბურჯანაძე „პრაიმტაიმთან“ საუბარში აცხადებს, რომ შერიგება შეუძლებელია. ამ ქორწინებას იგი „პოლიტიკურს“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ მთავარი მოვლენა ის არის, რომ სამეფო ოჯახს დღეს მემკვიდრე ჰყავს.

მისივე თქმით, ყოფილ სიძე-სიმამრს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, რაც დავა სამეფო ტახტის მემკვიდრეზე დაიწყო.

სამწუხაროდ, ისტორიას არაერთი ფაქტი ახსოვს, როცა ტახტის გამო ოჯახის წევრები ერთმანეთს მტრად მოჰკიდებიან. ამიტომ, ორმაგად სამწუხაროა, როცა დავა არარსებულ ტახტს ეხება.

რა ხდება სამეფო ოჯახში, ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ გია ბურჯანაძეს ესაუბრა.

**- ბატონო გია, მას შემდეგ, რაც დავით და ანა ბაგრატიონები განქორწინდნენ, რა ხდება სამეფო ოჯახში?**

- მთავარია, ბავშვი არსებობს და ოცი წლის შემდეგ საზოგადოება გადაწყვეტს როგორი უნდა იყოს ქვეყანა.

**- მათი მხრიდან შერიგების მცდელობა არის?**

- შერიგება შეუძლებელია. მათი შეუღლებაც გარკვეული მიზეზების გამო მოხდა. მოგეხსენებათ, ეს არ იყო ორი ადამიანის ერთმანეთთან დაკავშირება. ეს უფრო პოლიტიკური ქორწინება იყო. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ადამიანები ერთმანეთს მტრად უნდა გადაეკიდონ. თუმცა, მე არ მესმის ბევრი იმ ადამიანის ქმედება, რომლებიც ჩართულები იყვნენ ამ ოჯახის შექმნის პროცესში. ფაქტობრივად, სიძე-სიმამრი ერთმანეთს დაუპირისპირდა და არასერიოზული დამოკიდებულება გაჩნდა.

**- იქნებ დააკონკრეტოთ ვის გულისხმობთ?**

- ბატონ ბაგრატიონ-გრუზინსკის, ანას მამას და სიძეს, დავით მუხრანბატონს. იმაზე საუბარი წავიდა ვის აქვს უფლება იყოს უფლისწული. ამ შემთხვევაში საუბარია ვინ იქნება საქართველოს მომავალი მეფე. ეს ის თემაა, რომელზეც არ შეიძლება საუბარი. მეტად ცუდი დამოკიდებულება წამოვიდა უკვე პრესიდანაც. მათ არაერთხელ მივმართეთ და ვურჩიეთ, რომ ასეთი განცხადებებისგან თავი შეეკავებინათ. ისეთი განცხადებების, რომელიც საერთო საქმეს გააფუჭებდა.

**- ანუ სიძე-სიმამრი არარსებულ სამეფო ტახტზე დაობენ?**

- ჰო. ჩვენ ხომ გვინდა ნორმალური, ღირსეული ადამიანი იყოს და როდესაც გაიზრდება ბავშვს პრობლემა არ შეექმნას და მისი უფლებები საქართველოს ტახტზე კითხვის ნიშნის ქვეშ არ იყოს. ეს ქორწინებაც ამიტომაც შედგა. მას სხვა აზრი, შინაარსი არ ჰქონდა. თუ დაპირისპირება დაიწყება და ისეთი განცხადებები, რომელიც ბატონი გრუზინსკის კანცელარიამ გააკეთა, ეს საერთო საქმეს ხელს არანაირად არ შეუწყობს.

**- მოგეხსენებათ, რომ ბაგრატოვანთა ორი შტოს გაერთიანება, ეს ქორწინებაც პატრიარქის დიდი ხნის ოცნება ყოფილა. როგორ ფიქრობთ, მათ პატრიარქს იმედი გაუცრუეს?**

- ეს დინასტიური ქორწინება იყო. ამას უნდა მოჰყოლოდა უმნიშვნელოვანესი, კანონიერი, ყველა მხრიდან აღიარებული ტახტის მემკვიდრე. ეს არის მთავარი. ამ შემთხვევაში პატრიარქი, როგორც ერის სულიერი მეთაური, ვალდებულია ყველაფერი გააკეთოს, რომ შეინარჩუნოს ნომერ პირველი ოჯახი ქრისტიანული, მართლმადიდებლური გაგებით და ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ ეს ოჯახი იყოს მაგალითი სხვა ქართული ოჯახებისთვის. მაგრამ რადგან ეს არ ხდება და რადგან სამეფო ოჯახში ერთიანობის შენარჩუნება შეუძლებელია, რა თქმა უნდა, პატრიარქი გულნატკენი და ნაწყენი იქნება მომხდარით. ამ შემთხვევაში ეს არ არის მთავარი. ამ ბავშვის სახით ჩვენ მივიღებთ ისეთ სამეფო სახლის მეთაურს, რომელშიც იქნება ყველა ქართული მეფის, დაწყებული პირველი ბაგრატიონებით, შემდეგ დავით აღმაშენებლის, თამარის თუ ერეკლეს, ყველა, აბსოლუტურად ყველა მხრიდან და არ იქნება იმაზე საუბარი ვინ ვინ არის და როგორ არის. დარწმუნებული ვარ, რომ სულიერი მამა ნაწყენი იქნება, მაგრამ ის ბედნიერი იქნება, რომ საქართველოს სამეფო ოჯახს მომავალი აქვს.

**- სად არის პატარა უფლისწული, მისი აღზრდით ვინ არის დაკავებული?**

- როგორც მოგეხსენებათ, ის დაიბადა ესპანეთში. დედასთან იზრდება. მამას რომ წაეყვანა სადმე, ამას ყველა გაიგებდა. ბავშვი დედამ უნდა გაზარდოს. შემდეგ როგორ მოილაპარაკებენ, ეს მათი საქმეა. ბავშვი ქართულად ლაპარაკობს.

**- თუ იცით სად იმყოფება დავით ბაგრატიონი? ჩვენი ინფორმაციით, მან საქართველო დატოვა.**

- მეც ასეთი ინფორმაცია მაქვს, რომ ესპანეთშია. ერთ-ერთმა საფეხბურთო კლუბმა „ვალენსიამ“ თავისი საფეხბურთო პერანგი გადასცა გიორგი ბაგრატიონს. ის საპატიო პოლიციელად აირჩიეს. ესპანეთში საკმაოდ პოპულარული ბავშვია. დავითი თავისუფალი ადამიანია და სადაც უნდა იქ წავა. ერთმანეთს დაშორდნენ და მის ნაბიჯებს ვერ გავაკონტროლებთ. ყოველ შემთხვევაში, დიპლომატიურ ნაბიჯებს დგამს, რომ ევროპულ საზოგადოებას სხვანაირად გააცნოს თავისი შვილი.

**- ბატონო გია, წყვილი ქორწინებიდან მოკლე ხანში დაშორდა ერთმანეთს, იყო საუბარი იმაზეც, რომ თავად ანას სურდა განქორწინება.**

- ეს დამალული არ არის. მათი დაცილება ქორწინებიდან 2-3 თვეში მოხდა, ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. გახსოვთ, პროვოკაციები იყო, ვითომ მსახიობი ქალის გამო, რომელიც ამტკიცებდა, რომ დავითი მისი საყვარელი იყო. ტელევიზიით გამოდიოდა.

**- მსახიობ შორენა ბეგაშვილს გულისხმობთ?**

- კი. განსაკუთრებული არაფერია. ყველა ოჯახში არის უსიამოვნებები. ცუდია, მაგრამ ასე მოხდა.

**- ამჟამად დავით ბაგრატიონის ცხოვრებაში თუ არის სხვა ქალი?**

- ალბათ, გამოჩნდებოდა. ამას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, მემკვიდრე არსებობს. ესპანეთმა იცის, რომ ასეთი გვარის შთამომავალი უკვე სამეფო ოჯახის წევრია და სამეფო ოჯახის მეთაური გახდება. თქვენ იმაზე ნუ ამახვილებთ ყურადღება სხვა ცოლს მოიყვანს თუ არა. ინტრიგაზე მთავარი ის არის, რომ ჩვენ პატიოსნად მივუდგეთ საკითხს და უფლისწული ისეთი ადამიანი გაიზარდოს, რომელიც ქვეყანას გამოადგება, პატრიოტი იქნება, ქართველი ეყვარება და იმ შეცდომებს არ დაუშვებს, რაც მისმა უახლოესმა წინაპრებმა, მისმა მამამ, ბაბუამ და სხვებმა დაუშვეს.

**- სამეფო ოჯახმა ლევან ვასაძეს რაინდის წოდება მიანიჭა, ის, კარგა ხანია, რაც საზოგადოების წინაშე არ გამოჩენილა. ამბობენ, საქართველოში არ იმყოფება. თქვენ იცით ამის შესახებ?**

- არ ვიცი. ეს არის დიდი შეცდომა, საქართველოში ასეთი რამ არ არსებობდა - რაინდების, ჰერცოგების წოდებები. ეს არის დიდი სისულელე, დანაშაული ისტორიის წინაშე, რაც ჩაიდინა ლევან ვასაძემ. შეიძლება ძალიან დამსახურებული ადამიანია, მაგრამ ეს არ არის ქართული წესი, მით უმეტეს მორწმუნე ადამიანმა ასეთი რამ არ უნდა გააკეთოს.

**- როგორ ფიქრობთ, სამეფო ოჯახი თქვენს შენიშვნას მომავალში გაითვალისწინებს?**

- თუ არ გაითვალისწინებენ ცუდი იქნება. ეს საკითხი რეფერენდუმზე უნდა დადგეს. თუ ასე გააგრძელებენ, ეს იქნება აღქმული, როგორც გარკვეული კლანის მიერ გარკვეული ფენის შექმნის მცდელობა, რათა შემდეგ ძალაუფლება ხელში ჩაიგდონ. უბრალო ადამიანისგან ასე იქნება აღქმული და ასეც მოხდა. ოჯახურმა დაპირისპირებებმა, რაც ამ წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით მოხდა, საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა ამ იდეას. ჩვენ გვინდა სიტუაცია დაწყნარდეს. ოჯახური, კლანური დაპირისპირებები დამთავრდეს და გადავიდეთ საქმის კეთებაზე. 20 წლის წინ სამეფო ოჯახის შექმნის იდეა გაჩერებული, მკვდარი იყო. გავაცოცხლეთ. თავის დროზე არასწორი მოქმედებით მოსპეს და ახლა მეორედ უნდათ. ოჯახის გადასაწყვეტია. ბევრ რამეს ჩვენ ვერ გავაკეთებთ თუ ხელშეწყობა არ იქნა.

**„ეს არის დიდი სისულელე, დანაშაული ისტორიის წინაშე, რაც ჩაიდინა ლევან ვასაძემ. შეიძლება ძალიან დამსახურებული ადამიანია, მაგრამ ეს არ არის ქართული წესი, მით უმეტეს მორწმუნე ადამიანმა ასეთი რამ არ უნდა გააკეთოს“**

მკითხველს შევახსენებთ, რომ ანას და დავითის ჯვრისწერა 2009 წლის 8 თებერვალს წმინდა სამების საკათედრო ტაძარში გაიმართა. როგორც სასულიერო პირები აცხადებდნენ, თავის დროზე სწორედ პატრიარქის ოცნება ყოფილა, რომ ანას და დავითს ოჯახი შეექმნათ. თურმე, მას ყოველთვის სჯეროდა, რომ ბაგრატიონ-გრუზინსკებისა და ბაგრატიონ-მუხრანელების ორი ძლიერი შტო მათი საერთო მემკვიდრის დაბადებით გაერთიანდებოდა.

ქორწინების შემდეგ წყვილი ესპანეთში ცხოვრობდა. სამშობლოში 2013 წელს მემკვიდრესთან, უფლისწულ გიორგი ბაგრატიონ-ბაგრატიონთან ერთად დაბრუნდნენ. პატარა 2011 წლის 27 სექტემბერს ესპანეთში, მადრიდში დაიბადა.

გიორგი ბაგრატიონი 2013 წლის 3 ნოემბერს სვეტიცხოველში მონათლეს. უფლისწულს 4 ნათლია ჰყავს - ბიზნესმენი ლევან ვასაძე, მიხეილ ახვლედიანი, და უფლისწულის ბიძები - გურამ და ირაკლი ბაგრატიონები. ისინი უფლისწულის მამის, დავითის ძმები არიან. ნათლობის ცერემონია ჩატარდა სვეტიცხოველში, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აღასრულა.

ჯერ კიდევ ანასა და დავითის დაქორწინებამდე ითქვა, რომ თუ ვაჟი დაიბადებოდა, მას აღზრდიდნენ, როგორც ტახტის მემკვიდრეს. ბაგრატიონების ახლობლების განცხადებით, გიორგი ასეც აღიზრდება, რაც საზოგადოებამ არ უნდა ჩათვალოს ოჯახის მცდელობად, უფლისწული ხალხის ნების საწინააღმდეგოდ აკურთხონ მეფედ.

ბაგრატიონების წყვილის განქორწინების შესახებ ინფორმაცია თავად დავით ბაგრატიონისგან გახდა ცნობილი, რომელიც მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსდა:

„დიდი დანანებით, ანა ბაგრატიონთან ჩემს ქორწინებას დასრულებულად ვაცხადებ. მადლობას ვუხდი მას საერთო შვილისთვის, მისი სამეფო უმაღლესობისთვის გიორგი ბაგრატიონ-ბაგრატიონისთვის, რომელიც ნათლობის დღეს 2013 წლის 3 ნოემბერს ბაგრატიონთა დინასტიის მემკვიდრედ გამოაცხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ და რომელიც მისი მამის, ბაბუისა და წინაპრების მსგავსად, მუხრანის პრინცის ტიტულს დაეუფლება“, - ნათქვამია დავით ბაგრატიონის განცხადებაში.

გავრცელებული ინფორმაციით, დავით ბაგრატიონი ესპანეთში იმყოფება. რაც შეეხება უფლისწულს, ის დედასთან ერთად საქართველოში ცხოვრობს.

**„მთავარია, ბავშვი არსებობს და ოცი წლის შემდეგ საზოგადოება გადაწყვეტს როგორი უნდა იყოს ქვეყანა“**

**„რადგან სამეფო ოჯახში ერთიანობის შენარჩუნება შეუძლებელია, რა თქმა უნდა, პატრიარქი გულნატკენი და ნაწყენი იქნება მომხდარზე“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა მოთხოვნების გამო ჩაშალა ნინო ბურჯანაძემ ოპოზიციური ერთობა

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

**ნინო ბურჯანაძე ორ რამეს ვერასოდეს გადაეჩვევა: პოლიტიკურ ვაჭრობასა და პოლიტიკური ერთობების ჩაშლას. ეს მისთვის იგივე მნიშვნელობისაა, რაც ფეხბურთელისთვის გოლის გატანა, ჩოგბურთელისთვის „ეისის“ ჩაწოდება და კალათბურთელისთვის სამქულიანის ჩაგდება. აქსიომაა, სადაც ბურჯანაძეა, იქ კატეგორიული ტონიც არის, მოთხოვნებიც, პირველ ნომრად აღიარების მცდელობაც და უპირობოდ საკუთარი მოთხოვნების შესრულებაც. ოღონდ, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ცალმხრივია და თანაც ყოველთვის ერთი კონკრეტული ძალის მხრიდან. რა თქმა უნდა, საუბარი ისევ ნინო ბურჯანაძეზეა. მან მორიგი ოპოზიციური ერთობა სულ რამდენიმე დღის წინ ჩაშალა და ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, როდესაც წაგებული პარტიის ლიდერად გადაიქცევა, არც ერთი წამით არ დაფიქრდება, რამ გამოიწვია მარცხი. საკუთარ შეცდომებს ის ვერასოდეს ხედავს. სამაგიეროდ მისგან ბევრჯერ „გადაგდებული“ პარტიები კიდევ ერთხელ დადებენ პირობას, რომ არასოდეს დაიჭერენ საქმეს ბურჯანაძესთან, თუმცა ეს პირობაც მაშინვე მიეცემა დავიწყებას, როგორც კი ახალი შანსი გაჩნდება ნაციონალების დამარცხებისა და არა საკუთარი გამარჯვების. პარლამენტსმიღმა დარჩენილი პარტიების მიზანი ერთადერთია – „ნაციონალური მოძრაობა“ უკანა პლანზე გადააჩოჩონ. როგორც საპარლამენტო უმრავლესობა აცხადებს, არასაპარლამენტო ოპოზიციას გაერთიანების შემთხვევაში ეს შანსი ნამდვილად აქვს. თუმცა კულუარებში უკვე ღიად საუბრობენ, რომ შანსი წინასწარვეა ხელიდან გაშვებული. ამის მიზეზი ბევრია. ერთ-ერთი უპირველესი კი ის არის, რომ საკანონმდებლო ორგანოს მიღმა მოქმედ პარტიებს უჭირთ დათმობებზე წასვლა. თუმცა ყველაზე ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით. მაგალითად, ჯონდი ბაღათურია და კახა კუკავა პარტიებით ერთიანდებიან. შესაბამისად, ერთ-ერთი მათგანი აშკარა დათმობაზე მიდის. მართალია, ამ ყველაფერს საკუთარი თავისთვის აკეთებენ, მაგრამ იმის აღიარებასაც, რომ ერთკაციან პარტიას სჯობს, პარტია საერთოდ გააუქმო და სხვასთან გაწევრიანდე, პოლიტიკური გამბედაობა სჭირდება. შესაბამისად, კუკავა-ბაღათურიას ბედი უკვე გადაწყვეტილია. ისინი ერთად ბრძოლას აგრძელებენ.**

**ჯონდი ბაღათურია, „ქართული დასის“ ლიდერი:**

– გავერთიანდებით ისეთი პოლიტიკური ძალები, რომლებიც შევძლებთ არსებული ხელისუფლების, ანუ „ქართული ოცნების“ დაბალანსებას და „ნაციონალური მოძრაობის“ გაძევებას ქართული პოლიტიკიდან.

**– თქვენი მიზანი ნაციონალების მესამე ადგილზე გადასმაა?**

– არა, ჩვენი მიზანი გამარჯვებაა, მაგრამ ამ ეტაპზე რაც მოსახერხებელია, იმისთვის ვიბრძვით. რეალისტურია, რომ რამდენიმე ქალაქში მოვუგოთ არჩევნები „ოცნებას“. ბევრში ვერა, მაგრამ ნაწილ ქალაქებში მოგების შანსს მე ნამდვილად ვხედავ.

**– სად გაქვთ მოგების შანსი?**

– მოგების შანსს ვხედავ თბილისში, ზუგდიდში, მარტვილში, სენაკში, ბათუმში, ქუთაისში, შესაძლოა გორშიც. ვმუშაობთ თელავსა და გურჯაანზეც. არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ პირადად მე ვმუშაობ ახალციხესა და ახალქალაქზე. რამდენად მოხერხებადია ეს, არ ვიცი, მაგრამ სულ 60-ზე მეტი ოლქია და აქედან 7-8 ქალაქში გვაქვს შანსი გამარჯვების. თბილისში განსაკუთრებით მაღალია გამარჯვების შანსი. ძალიან ძლიერი გუნდი და კანდიდატი გვეყოლება ბათუმში, შესაბამისად, იქაც გვაქვს გამარჯვების იმედი. დანარჩენ ოლქებში შესაძლოა, ვერ მოვიგოთ, თუმცა გვინდა, რომ დაძაბული კონკურენცია გავუწიოთ ოპონენტებს. რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, ჩვენი დიდი გაერთიანების გამო, უბრალოდ, უკანა პლანზე გადაინაცვლებენ, არჩევნებში დამარცხდებიან, აქტუალობას დაკარგავენ და პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრებიან.

**– რომელი ძალები უნდა გაერთიანდეთ, რომ ნაციონალები უკან გადასწიოთ?**

– ახლა ვერაფერს ვიტყვით, არ ვართ მზად, დავასახელოთ ის პოლიტიკური სუბიექტები, რომლებიც შევქმნით დიდ პოლიტიკურ ერთობას. პირადად ჩემი აზრია, რომ აქ, ამ ერთობაში, ყველა იმ ძალის ადგილი უნდა იყოს, ვისაც არასოდეს უღალატია სამშობლოსთვის. რაც ყველაზე მთავარია, ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ პროცესში ქართველი საზოგადოების თანამონაწილეობას.

ბუნებრივია, უკვე გაერთიანებულები არ აღიარებენ, რომ ბურჯანაძე „შეუვალი ციხესიმაგრეა“, ამით ისინი ცდილობენ, შიშის ილუზია მაინც შეუქმნან ოპონენტებს.

**კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი:**

– ჩვენ და ჯონდი ბაღათურია შევთანხმდით და ერთად ვიმუშავებთ. ნინო ბურჯანაძესთან კი ვაგრძელებთ კონსულტაციებს.

**– როდის გადაწყდება, ბურჯანაძე იქნება თუ არა თქვენთან ერთად?**

– შედარებით მოგვიანებით. თეორიულად შეიძლება კიდევ სხვა პოლიტიკური პარტიაც შემოგვიერთდეს. რაც შეეხება ქალბატონ ნინოს, ვფიქრობ, შიგნით პარტიაში მიმდინარეობს ჩამოყალიბების პროცესი.

როგორც ამბობენ, რამდენიმე შეხვედრა „დემოკრატიულ მოძრაობას“ და კიდევ რამდენიმე პარტიას შორის სწორედ ნინო ბურჯანაძის ოფისში შედგა. დიდი ოპოზიციური გაერთიანების შექმნის საკითხზე მსჯელობას არც ერთ ეტაპზე არ შეერთებიან ლეიბორისტები. მათ გარდა, თითქმის ყველა პარტია მონაწილეობდა მოლაპარაკებებში, თუმცა კონსულტაციებს რიგრიგობით გამოეთიშნენ ახლები, „ქრისტიან-დემოკრატები“, „თავისუფალი საქართველო“... მიზეზი ბურჯანაძის შემდეგი მოთხოვნა გახდა – მან ყველა პარტიის წარმომადგენელს არჩევნებზე „დემოკრატიული მოძრაობის“ პარტიული სიით გასვლა მოსთხოვა. ზუსტად ისე, როგორც თავის დროზე ბიძინა ივანიშვილმა მიიღო გია ჟორჟოლიანი, გია გაჩეჩილაძე და კობა დავითაშვილი. სამივე მათგანს საკუთარი პარტიები ჰქონდათ, თუმცა არჩევნებზე ბიძინა ივანიშვილის კოალიციის სიით გავიდნენ და გაიმარჯვეს კიდეც. თუმცა მათ გამარჯვება წინასწარვე ჰქონდათ გარანტირებული, რასაც ვერ ვიტყვით ბურჯანაძის შემთხვევაში. სწორედ აქ დაესვა წერტილი ახალ ერთობაზე ოცნებასაც. თავად ბურჯანაძისთვის კი, როგორც ამბობენ, ახლა ერთი მთავარი მიზანი არსებობს – საარჩევნო ცვლილებების შედეგად უფასო სარეკლამო დრო მიიღოს. ბუნებრივია, ოპოზიციაში არც შიდადაპირისპირებაზე ამბობენ რამეს ხმამაღლა და არც ბურჯანაძის არარეალურ მოთხოვნებზე, თუმცა ესეც მიღებული ფორმაა. ისინი მანამ ითამაშებენ, სანამ ამის საშუალება ექნებათ.

**მამუკა კაციტაძე: „ზოგიერთ არასაპარლამენტო ოპოზიციურ პარტიაში ერთობა ნამდვილად ჩამოყალიბდება, როგორი იქნება ეს კონფიგურაცია, ამის სათქმელად ჯერ კიდევ დროა საჭირო“**

**მამუკა კაციტაძე, ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერი:**

– ჩვენ, პარტიებს, თანამშრომლობის აქტიური ფაზა გვქონდა და ამ ეტაპამდე გვაქვს, ოღონდ ძირითადად საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებულ თემებზე. პრინციპში, ეს ეტაპი უკვე სრულდება. საარჩევნო კოდექსი მეორე მოსმენით გადის პარლამენტში და შესაბამისად, ამ მიმართულებით რაიმე დამატებითი ძალისხმევა საჭირო არ არის. ამ მხრივ რაიმეს შეცვლის რესურსი უკვე ამოწურულია. თუმცა აქვე დავამატებ, რომ ბოლო პერიოდში ჩვენ ვსაუბრობთ შესაძლო ურთიერთობაზე, შესაძლო თანამშრომლობაზე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის. გაერთიანების თვალსაზრისით, რაიმე სერიოზული და გაფართოებული შეხვედრა არ ყოფილა. ის, რაზეც მედიაში ხშირად საუბრობენ, ვგულისხმობ ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრას, იყო პარლამენტის თავმჯდომარესთან, დავით უსუფაშვილთან შეხვედრის ნინა მოსამზადებელი შეხვედრა. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ იქ კოალიციაზე, ბლოკსა და გაერთიანებაზე საუბარი ნამდვილად არ გვქონია. თუმცა ინდივიდუალურ რეჟიმში გვაქვს საუბრები სხვადასხვა პარტიებთან და ჩვენც ვართ ჩართულები ამ მოლაპარაკებებში.

**– ინდივიდუალური საუბრები რომელ პარტიებთან გაქვთ?**

– საუბრები პირადად მე მქონდა ქრისტიან-დემოკრატებთან, კუკავას პარტიასთანაც, ნინო ბურჯანაძესთან, ჯონდი ბაღათურიასთან, ოღონდ არა კოალიციურ რეჟიმზე. დეტალიზაციამდე პროცესი ნამდვილად არ მისულა. ჯერჯერობით მხოლოდ პერსპექტივაზე შეგვიძლია ვისაუბროთ, თუმცა ერთი რამ შემიძლია გითხრათ: საუბრებისას ძალიან მაღალ პოზიციებშია აზრების თანხვედრა, რაც თავისთავად კიდევ უფრო მეტ პერსპექტივას აჩენს. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ზოგიერთ არასაპარლამენტო ოპოზიციურ პარტიაში ერთობა ნამდვილად ჩამოყალიბდება, როგორი იქნება ეს კონფიგურაცია, ამის სათქმელად ჯერ კიდევ დროა საჭირო.

**ჯონდი ბაღათურია: „ჩვენი დიდი გაერთიანების გამო ნაციონალები, უბრალოდ, გადაინაცვლებენ უკანა პლანზე, არჩევნებში დამარცხდებიან, აქტუალობას დაკარგავენ და პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრებიან“**

# თინათი

ხათუნა მგალობლიშვილი

**თინა ხიდაშელი საკრებულოს უპირისპირდება. საპარლამენტო უმრავლესობის წევრს მიაჩნია, რომ დედაქალაქის მთავრობის მაკონტროლებლები ზედმეტად მონდომებულები არიან და სწორედ ამის დასამტკიცებლად ცდილობენ, შეგნებულად გაწელონ ბიუჯეტის მიღების პროცესი, რაც შედეგად არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე პარტიულ მმართველობას გამოიწვევს. პრინციპში, ხიდაშელის მოსაზრებას არა თუ პარლამენტში, არამედ საკრებულოს უმრავლესობაშიც კი იზიარებენ. „ოცნების“ განსაკუთრებით რადიკალურ მხარეს შიხიაშვილის პოზიცია აღაფრთოვანებს. ისინი თვლიან, რომ ანგარიშსწორება – ეს საუკეთესო მეთოდია. რაციონალური პოლიტიკოსები კი რეალობას სწორად აფასებენ და მიაჩნიათ, რომ ამდენი აგრესია, მაშინ, როდესაც პრობლემა 15 ივნისს თავისთავად გადაწყდება, არ ღირს.**

**თინა ხიდაშელი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:**

– მე არ ვიცი, საკრებულოში უმრავლესობას რა გეგმა აქვს, თუმცა ვფიქრობ, საკრებულოს მესვეურებს არგუმენტები უფრო მეტად უნდა ჰქონდეთ დასაბუთებული, როდესაც ბიუჯეტზე საუბრობენ. ძალიან ბევრი ადამიანისთვის, და მათ შორის ჩემთვისაც, ცოტა გაუგებარია, რატომ ხდება ამ თემის ასე აჟიტირება, მაშინ როდესაც წინ ძალიან მალე, სულ რამდენიმე თვეში, ადგილობრივი არჩევნებია. ვფიქრობ, ზედმეტად მონდომებულები არიან. მათთან, ვინც დღეს საკრებულოს უმრავლესობაშია, ნამდვილად არ მქონია ურთიერთობა, თუმცა შიხიაშვილთან და კიდევ რამდენიმე ადამიანთან ვურთიერთობდი. ეს იყო ხელისუფლების ის ნაწილი, ვისთანაც ურთიერთობა შეიძლებოდა, ყოველ შემთხვევაში, მუშტს მაინც არ იქნევდნენ.

თავად საკრებულოში ხიდაშელის პოზიციამ შიხიაშვილის გუნდი დააბნია. ყოფილმა ნაციონალებმა ჯერ საპარლამენტო უმრავლესობის წევრის სიტყვების სისწორეში შეიტანეს ეჭვი და კომენტარამდე მტკიცებულება მოითხოვეს. უკვე მოგვიანებით, როდესაც პირადად მოისმინეს რესპუბლიკელების ერთ-ერთი ლიდერის პოზიცია, პასუხისგან თავის არიდება ამჯობინეს. ირაკლი შიხიაშვილმა, ჯაბა სამუშიამ და კიდევ რამდენიმე წევრმა ჩვეულ ფორმას მიმართეს და ზარებს აღარ უპასუხეს. მოგვიანებით კი პრესცენტრის საშუალებით შემოგვითვალეს, ამ თემაზე კომენტარს არ ვაკეთებთო.

საკრებულოს უმრავლესობის მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ შიხიაშვილი საკრებულოს თავმჯდომარედ დანიშვნის მომენტიდან არასწორ სტრატეგიას ახორციელებდა. ახლა კი ის ცდილობს, საკუთარი უპირატესობა ახალ ხელისუფლებას დაანახოს და სწორედ ამით მოიპოვოს შანსი, მოხვდეს ახალ საკრებულოში.

რამდენად მოახერხებენ შიხიაშვილი და დანარჩენი ყოფილი ნაციონალები „ოცნების“სახედ ქცევას, ამას დრო გვაჩვენებს, თუმცა ფაქტია, რომ ამჟამინდელ თავმჯდომარეს საკუთარ უნყებაში უკვე განიხილავენ პრობლემად, რომელიც შეიძლება მალე მთელი კოალიციის ერთ დიდ პრობლემად გადაიქცეს.

**გულიკო ზუმბაძე, საკრებულოს წევრი:**

– ერთი მხრივ, მერიის მიერ პირველად შემოტანილი ბიუჯეტის პროექტი ჩაგდებას ექვემდებარებოდა, იმ მოტივით, რომ მერიამ არ გაითვალისწინა საკრებულოს ფრაქციებისა და კომიტეტების შენიშვნები. ბიუჯეტის 55-მილიონიან ნაწილზე შემოიტანა ძალიან ბუნდოვანი პუნქტები, აბსოლუტურად გაუგებარი იყო მათ მიერ განერილი ხარჯები. ანუ საკრებულოს მაშინდელი პოზიცია, პრინციპში, გასაგები იყო. ასევე, არ იყო მართალი მერია ბიუჯეტის პროექტის მეორედ შემოტანის დროსაც, რის მიხედვითაც იმ მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც საკრებულოს



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ᲐᲠ ᲕᲗᲕᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲓᲠᲝᲨᲘ, ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ, ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲐᲮᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲨᲘ“

**ᲗᲘᲜᲐ ᲮᲘᲓᲐᲨᲔᲚᲘ:**
**„ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡᲐᲪ, ᲪᲝᲢᲐ ᲒᲐᲣᲒᲔᲑᲐᲠᲘᲐ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲗᲔᲛᲘᲡ ᲐᲡᲔ ᲐᲭᲘᲢᲘᲠᲔᲑᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲬᲘᲜ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲐᲚᲔ, ᲡᲣᲚ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲗᲕᲔᲨᲘ, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲐ“**

## „ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲩᲐᲒᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲢᲘᲕᲔᲑᲘᲗ, ᲛᲝᲐᲮᲚᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲗ“

უმრავლესობას ჰქონდა, სხვადასხვა ქონების გაყიდვის შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი. შესაბამისად, საკრებულოს უმრავლესობამ კიდევ ერთხელ არ დაუჭირა მხარი ბიუჯეტის პროექტს. ერთი მხრივ, მერია მართლაც სცოდავს, რომ დღემდე არ შემოაქვს გამართული და აბსოლუტურად სწორად ორიენტირებული ბიუჯეტი, თუმცა, მეორე მხრივ, საკრებულოს უმრავლესობაშიც არ არის ის განწყობა, რომ ყველაფერი გაკეთდეს ბიუჯეტის მისაღებად. ბიუჯეტის ჩაგდების მცდელობაში ნამდვილად არის პოლიტიკური მოტივებიც, რაც, ბუნებრივია, გამოწვეულია მოახლოებული ადგილობრივი არჩევნებით. ასეთ ვითარებაში კი ყველაზე მეტად მოქალაქე და მისი ინტერესები ზარალდება. ფაქტია, რომ პროცესი მიდის ბიუჯეტის ჩავარდნისკენ, რაც ცენტრალური ხელისუფლების მმართველობის შემოღებას გამოიწვევს. ამ მიმართულებით უმრავლესობის მხრიდან ნამდვილად შეინიშნება მონდომებული მცდელობა, თუმცა ამას ჩემს თავზე ვერ ვიტყვი. მე ამას ყოველთვის ვაკრიტიკებდი, რადგან მიმაჩნია, რომ არ შეიძლება მსგავსი პრეცედენტის დაშვება. ქალბატონი თინა ხიდაშელის განცხადება იმის შესახებ, რომ უმრავლესობა ზედმეტად არის მონდომებული თბილისის ბიუჯეტის ჩაგდებით, ბუნებრივია, საფუძველსმოკლებული არ არის. ამ ვითარებაში, მამუკა კაციტაძესა და საკრებულოს სხვა წევრებს აქვთ ინიციატივა, მიმართონ პარლამენტს მოქმედი საკრებულოს უფლებამოსილების გაზრდის მოთხოვნით, რაც ითვალისწინებს მთავრობის წევრების მიმართ უნდობლობის გამოცხადების შესაძლებლობას. საკრებულოში რატომღაც ჩათვალეს, რომ ეს არის ერთადერთი გამოსავალი არსებული სიტუაციიდან. ანუ საკრებულო მიიღებს ბიუჯეტს იმ შემთხვევაში, თუ მათ გაეზრდებათ უფლებამოსილება. ამ საკანონმდებლო ინიციატივით საკრებულო პრობლემების გადაწყვეტის ვალდებულებას პარლამენტს აკისრებს. გამოდის, რომ საკრებულო პარლამენტს ულტიმატუმს უყენებს: თუ შენ არ მიიღებ საკანონმდებლო ცვლილებებს, ჩვენ ბიუჯეტს ჩავაგდებთ. არ ვთვლი, რომ ეს სწორი არჩევანია, რადგან არსებობს იმის რესურსი, რომ თუნდაც შემცირებული უფლებამოსილების ფარგლებში, ეფექტური კონტროლის მექანიზმები ავამუშაოთ. ერთ-ერთ ასეთ ბერკეტად საზოგადოებასთან თანამშრომლობა და მათი ჩართულობის გაძლიერება მიმაჩნია. ამ რესურსის გამოყენება რატომღაც არ სურს უმრავლესობას. ისინი ფიქრობენ, რომ მაინცდამაინც ხელის გადაგრეხის რეჟიმია უფრო მომგებიანი. დასაფიქრებელია ისიც, როგორ განვითარდება მოვლენები იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი არ მიიღებს ამ ცვლილებებს? კარგი ბიუჯეტიც რომ იყოს, მაინც უნდა ჩავაგდოთ იმ მოტივით, რომ რომელიმე გამგებელი მას არასწორად დახარჯავს?! ეს სუსტი არგუმენტი იქნება.

**– ფიქრობთ, რომ პროცესში პარლამენტის ჩართვით შიხიაშვილი საკუთარ პასუხისმგებლობას გაურბის?**

– მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს უფლებამოსილების გაზრდის ინიციატივა მამუკა კაციტაძეს ეკუთვნის, როგორც ჩანს, მას შიხიაშვილიც უჭერს მხარს. იგივე მოსაზრება შიხიაშვილს ადრეც ჰქონდა. მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი, რომ კანონები იმის მიხედვით ვცვალოთ, როგორც ეს მმართველ ძალას აწყობს მოცემულ სიტუაციაში. ამას აკეთებდა „ნაციონალური მოძრაობა“ და ჩვენ ეს არ უნდა გავიმეოროთ. „ნაციონალური მოძრაობა“ დღეს არ წარმოადგენს იმ ძალას, მათი კონკურენციის რომ შეგვეშინდეს ადგილობრივ არჩევნებზე. ასე ნამდვილად არ არის. ვფიქრობ, ჩვენ დღეს აქცენტი სწორად ორიენტირებულ ბიუჯეტზე უნდა გავაკეთოთ, მივიღოთ ის და უკვე შემდეგ ერთობლივად ჩამოვყალიბდეთ, როგორ ვაკონტროლოთ მისი ხარჯვითი ნაწილი. ბოლოს და ბოლოს, საკრებულოს ჰყავს სარევიზიო კომისია და არსებობს სამართალდამცავი ორგანოები. დავუშვათ, პარლამენტმა ჩათვალა, რომ ბიუჯეტის მიუღებლობას საკრებულოს მოთხოვნის დაკმაყოფილება სჯობს. ამ შემთხვევაში აქაც ჩნდება ერთი კითხვა: თუ ბიუჯეტის პროექტი მაინც არადამაკმაყოფილებელი იქნება, უფლებაგაზრდილი საკრებულო მას დაამტკიცებს? თუ არა, მაშინ პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებები ჰაერში გამოკიდებული დარჩება. ერთგვარი ჩიხური მდგომარეობაა, რაც შექმნა ერთი მხრივ მერიამ და მეორე მხრივ საკრებულოს ახალი უმრავლესობის არასწორმა სტრატეგიამ, რომლის წარმომადგენელი მეც გახლავართ. თუმცა ვთვლი, რომ ამ ვითარებიდან გამოსავალი არსებობს. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ შესაძლებლობა და მერიის ბოლოდროინდელ განცხადებაზე, საკრებულოს უმრავლესობის მიერ წარმოდგენილი პრიორიტეტების გათვალისწინების მზადყოფნის თაობაზე, ადეკვატური ნაბიჯებით ვუპასუხოთ. არ ვთვლი, რომ ასეთ მოკლე დროში, დაჩქარებული წესით, საკრებულოს ახირებით პარლამენტმა უნდა მიიღოს ცვლილებები კანონში. რა თქმა უნდა, ეს მოთხოვნა არ არის სწორი და კრიტიკას ნამდვილად ვერ გაუძლებს.

**„ᲮᲐᲖᲒᲐᲡᲛᲘᲗ ᲕᲐᲛᲑᲝᲑ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲒᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲢᲘᲞᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲓᲒᲔᲑᲝᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲓ“**

**– თქვენ თავის დროზე არ უჭერდით მხარს ირაკლი შიხიაშვილის საკრებულოს თავმჯდომარედ დანიშვნას, მიგაჩნიათ, რომ მას და, ასევე, რამდენიმე ყოფილ ნაციონალს, რომლებიც დღეს უმრავლესობის სახეები არიან, აქვთ შანსი ახალ საკრებულოში მოხვედრის? ან ხომ არ ფიქრობთ, რომ შიხიაშვილი თავისი ზედმეტი აქტიურობით სწორედ საკუთარი ერთგულების დამტკიცებას ცდილობს ახალი ხელისუფლების წინაშე?**

– ბუნებრივია, ელემენტარული ფსიქოლოგიური მდგომარეობაა იმ ადამიანისთვის, რომელმაც ერთი პოლიტიკური ძალა დატოვა და მეორეში გადავიდა. ის ცდილობს, დაამტკიცოს საკუთარი ერთგულებაც, უნარიც, შესაძლებლობებიც. შიხიაშვილი იქმნის ისეთ გარემოებებს, რომ მისი „უნარები“, „ძლიერი“, „შეუპოვარი“, „მიმწოლი ლიდერის“ პოზიციები გამოიკვეთოს. ხანდახან მგონია, რომ შიხიაშვილი ასეთ ველს შეგნებულად ქმნის. ჩვენს საქმიანობაში, ხალხთან ურთიერთობასა თუ ადმინისტრაციულ მართვაში, ისეთი მაღალი სტანდარტები უნდა შემოგვეტანა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივ მმართველ ძალას სხვა გზა არ დარჩებოდა, გარდა იმისა, რომ აჰყოლოდნენ ახალ დემოკრატიულ პროცესებს. ასეთ შემთხვევაში სულ სხვა ვითარება გვექნებოდა. ირაკლი შიხიაშვილს კი, სამწუხაროდ, ეს უნარები არ აღმოაჩნდა, რაც უნდა გაეთვალისწინებინათ იმ ადამიანებს, ვინც მხარი დაუჭირა მის კანდიდატურას. ხაზგასმით ვამბობ და ყველამ უნდა გაიგოს, რომ ასეთი ტიპის ადამიანი თვითმმართველობის საკრებულოს თავმჯდომარედ არ გამოდგებოდა.

**– ფიქრობთ, რომ ის არ იქნება ახალ საკრებულოში წარმოდგენილი?**

– შიხიაშვილი არ წარმოადგენს „რესპუბლიკურ პარტიას“, რას გადაწყვეტს რომელიმე პარტია და რომელიმე პოლიტიკური ძალა მასთან დაკავშირებით, მათი საქმეა. სამწუხაროდ, შეიძლება შიხიაშვილის პრობლემა მთლიანად კოალიციის პრობლემად იქცეს. საკრებულოს დღევანდელ თავმჯდომარეს, სამწუხაროდ, არ აქვს ის რეიტინგი, ის გავლენა, რომელიც კოალიციას წაადგება ადგილობრივ არჩევნებში მის წინა ხაზზე გამოყვანის პირობებში. ესეც გასათვალისწინებელია.

**„ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲨᲘᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲓ ᲘᲥᲪᲔᲡ“**

ᲒᲣᲚᲘᲙᲘ ᲖᲣᲛᲑᲐᲫᲔ

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

# რა ხდება არასაპარლამენტო პარტიებში

ქეთი ხატიაშვილი

## ბურჯანაძე, ზურაბიშვილი, კუკავა და ნათელაშვილი

## ვინ რას ელოდება, ვის რა ინტერესები აქვს და როგორია გეგმა „ბ“

**არასაპარლამენტო ოპოზიციამ კონსულტაციები დროებით შეწყვიტა. გამოკვეთილ პოლიტიკურ მაგნიტად ჯერ ვერავინ ჩამოყალიბდა. არ არსებობს ისეთი ქარიზმატული ფიგურა, რომელიც არასაპარლამენტოების გაერთიანებას შეძლებს, ისე როგორც ეს თავის დროზე მოახერხა ბადრი პატარკაციშვილმა. როგორც ჩანს, არც ისეთი ფინანსური წყარო გამოჩნდა, რომელიც პოლიტიკურად მიმზიდველ ფიგურას შექმნის.**

ამიტომაც არასაპარლამენტოები, სავარაუდოდ, სამ და მეტ ნაწილად დაიშლებიან.

ერთი მხრივ, ეს არის ნინო ბურჯანაძე, თავის 10%-ით საპრეზიდენტო მარათონში და მეორე მხრივ, შალვა ნათელაშვილი, თავისი თითქმის 3%-ით, თუმცა საკმაოდ საინტერესო პოლიტიკური აქტიურობებით.

შალვა ნათელაშვილმა თავიდანვე განმარტა, რომ არჩევნებზე, ტრადიციულად, ცალკე გამოვა და არავინ შემაწუხოთო. სამაგიეროდ ნინო ბურჯანაძეს ჰქონდა ფართო კონსულტაციები. არსებობს კიდევ მესამე, „მცირე“ ზომის პოლიტიკური ფიგურა – სალომე ზურაბიშვილი, რომელზეც ჯერ მხოლოდ საუბრებია. ჯერჯერობით სულ ეს არის, თუმცა, არჩევნებამდე საკმაოდ დიდი დროა იმისთვის, რომ კიდევ ვილაც გამოჩნდეს. მაგრამ ვინ?

არასაპარლამენტო პარტიები თავისი დაშლით აღიარებენ ორ მთავარ ძალას – კოალიცია „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“. დანარჩენები იბრძოლებენ მხოლოდ მინიმალური პროცენტისთვის. ის, ვინც 3%-ს გადალახავს, კვალიფიციური სუბიექტის სტატუსს მოიპოვებს.

მაინც რატომ ვერ ახერხებს ოპოზიცია გაერთიანებას? აქ, როგორც ჩანს, ყველა საკუთარ პირად ინტერესებზე ფიქრობს და ის რაღაც დიდი, რომელსაც ნაციონალების ჩანაცვლება ჰქვია, არავის ახსოვს.

არასაპარლამენტო პარტიებს გადარჩენისა და პოლიტიკაში დარჩენის პრობლემა გაუჩნდათ და ამ კონსულტაციებში, პირველ რიგში, სწორედ ამ პრობლემამ იჩინა თავი. როგორც სალომე ზურაბიშვილი იტყოდა ხოლმე ამ დროს, ეშმაკები დეტალებში იმალება. ეს დეტალი კი, თავის მხრივ, საარჩევნო კოდექსში დევს.

ნინო ბურჯანაძემ ზუსტად იცის, რომ შანსი აქვს, ადგილობრივ არჩევნებში კვალიფიციური სუბიექტის სტატუსი მიიღოს, ამიტომაც არ უნდა, სხვა პარტიებს გამოაყენებინოს თავი და ამავე სტატუსით ასარგებლოს. ის ასეთ პირობას აყენებს – თუ გინდათ, სიაში ჩაგწერთ, მაგრამ კოალიციას არ გავაკეთებო. კოალიციის გაკეთება სხვა პარტიებისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭებას ნიშნავს და არჩევნებით მოპოვებული ყველა სარგებლის გაყოფას ითვალისწინებს. გაყოფა კი პოლიტიკურ ფიგურებს უჭირთ.

ასე რომ, ამ „ეშაკებმა“ არასაპარლამენტოებს მეორე ძალისთვის ბრძოლის უფლება ჩამოართვა და ისინი პატარა ინტერესებში დატოვა. შალვა ნათელაშვილიც არ აპირებს, ვინმეს გაუყოს მოგება, ისევე როგორც სალომე ზურაბიშვილს არ დასჭირდება „სიმძიმე“. ამ პოლიტიკურ ეგოიზმსაც აქვს არგუმენტი. როგორც წესი, პატარა პარტიები კვალიფიციური სუბიექტის სტატუსით ვაჭრობენ. ანუ მათ პოლიტიკა პოლიტიკის კეთებისთვის კი არ სჭირდებათ, არამედ ბიზნესისთვის. ამის მაგალითიც ბევრი იყო და ვნახეთ. ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებზე ამ სტატუსს ერთ მილიონად ჰყიდდნენ. თითქოს ასეთი იყო მისი ფასი შავ ბაზარზე.

შესაძლოა, ამიტომ ვერ მოილაპარაკეს ერთმანეთში ნინო ბურჯანაძემ და სალომე ზურაბიშვილმაც. მათ ერთხელ უკვე მოასწრეს დიდი ჩხუბიც, როცა სალომეს მოხსნაში ნინომ იაქტიურა და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტის დატოვებისას ზურაბიშვილმა ბურჯანაძის მისამართით თქვა: ქაჯები მოდიანო, და დიდი შერიგებაც, როცა უკვე ოპოზიციაში გადასული ბურჯანაძე ზურაბიშვილთან ერთად იდგა მაისის აქციების დროს. თუმცა ამის შემდეგაც მათი გზები ისევ გაიყო. სავარაუდოდ, მათი კვლავ „შერიგების“ შანსი თითქმის აღარ არსებობს.

თუმცა, ჯერ არავინ იცის, რას იტყვის სალომე ზურაბიშვილი. ჩაებმება თუ არა ადგილობრივ არჩევნებში. ვისთან ივაჭრებს ის – ოპოზიციასთან თუ ხელისუფლებასთან?

ასე რომ, როგორ სახეს მიიღებს არასაპარლამენტო ოპოზიცია, ძნელი სათქმელია. ჯერ ნინოც დუმს, სალომეც და მხოლოდ კახა კუკავა აქტიურობს.

დიდი გაერთიანება დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, შესაბამისად, ახლა ყველა გეგმა „ბ“-ს შემუშავებაზე ზრუნავს. ეს კი მრავალკონფიგურაციის საშუალებას აჩენს. მათ შორის:

დიდი გაერთიანების ჩაშლის შემთხვევაში შეიქმნება სამი ძირითადი გაერთიანება: ნინო ბურჯანაძის, შალვა ნათელაშვილისა და სალომე ზურაბიშვილის. ამ უკანასკნელს მხარს დაუჭერენ: ახლები, ქდმ და კუკავა.

დიდი გაერთიანების ჩაშლისა და სალომე ზურაბიშვილის უარის შემთხვევაში კონფიგურაცია ასე დალაგდება: ნინო ბურჯანაძე, შალვა ნათელაშვილი და კახა კუკავა. ამ უკანასკნელს მხარს დაუჭერენ ახლები და ქდმ.

ნინო ბურჯანაძე მერობის პოსტზე მხარს დაუჭერს საკუთარი პარტიის წევრებიდან რომელიმეს, გიგლა ბარამიძეს, რომელიც მისი საარჩევნო შტაბის უფროსი იყო საპრეზიდენტო არჩევნებზე, და ირაკლი ბათიაშვილს. სიას, როგორც ჩანს, თავად ჩაუდგება სათავეში.

სალომე ზურაბიშვილის შემთხვევაში, მისი კოალიციის სარჩევნო სიას კახა კუკავა უხელმძღვანელებს. კახა კუკავას მერობის შემთხვევაში კი კოალიციას უკვე ლევან ვეფხვაძე ჩაუდგება სათავეში.

რას იზამენ სხვა პარტიები, ჯერ გაურკვეველია. როგორც ჩანს, კახა კუკავა უკვე გეგმა „ბ“-ზე გადავიდა და ამის შესახებ ჯერ კიდევ მაშინ გამოაცხადა, როცა საკუთარი თავი მერის პოსტზე დაასახელა. ეს იყო სიგნალი როგორც ბურჯანაძისთვის, ისე ზურაბიშვილისთვის.

ასე რომ, არასაპარლამენტო ოპოზიცია ადგილობრივ არჩევნებს ერთმანეთთან ბრძოლას გადაყოლებს.

ნინო ბურჯანაძე მაინც შეეცდება, რომ ცალკე გამოვიდეს საარჩევნო მარათონზე და მოგება არავის გაუყოს. ის შეეცდება 6-7% აიღოს და არა მხოლოდ კვალიფიციურის სტატუსი მიღოს, არამედ ცეს კოშიც მოიპოვოს ადგილი. და მაშინ, ფიქრობს, რა საჭიროა, ფინიშამდე სხვებიც გაიყვანოს?

არ არის გამორიცხული, ნინო ბურჯანაძეს დიდი გაერთიანების ჩაშლა ძვირად დაუჯდეს. ალბათ, დანარჩენები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ნინო 6%-ს არ მიუახლოვდეს და იმ მიზანს ვერ მიაღწიოს, რის გამოც დიდი ერთობა ჩაშალა.

ვარაუდობენ, რომ ბევრი რამ, თუ ყველაფერი არა, მარტის შუა რიცხვებისთვის გაირკვევა, როცა სალომე ზურაბიშვილი თბილისში ჩამოვა. და როცა ნინო ბურჯანაძე პოლიტიკურ ინტერესებსა და პირად სარგებელს შორის არჩევანს გააკეთებს. და სანამ ქალები ფიქრობენ, კახა კუკავა უკვე „ექშენშია“, ისევე როგორც შალვა ნათელაშვილი, რომელიც რამდენიმე ხმაურიანი პოლიტიკური შოუს შემდეგ ამერიკაშიც იმყოფებოდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვაშაძე თუ მელია

**ნიკა მელია: „არ ვაპირებ, შევეჯიბრო, ვინ უფრო ხმამაღლა იყვირებს მოედანზე ან მიკროფონში. ჩემი საქმე იქნება თბილისელებთან სიახლოვე“**

# ვინ გაჯდება ნარმანიას კონკურენტი

ქეთი ხატიაშვილი

**პოლიტიკოსი გიორგი ვაშაძე და მეურნე ნიკა მელია „ნაციონალური მოძრაობის“ პრაიმერისში მერობისთვის შემთხვევით არ იბრძოლებენ.**

**პრეზიდენტობისთვის გამართულ პრაიმერისს თუ შევადარებთ, სადაც დავით ბაქრაძე გამოკვეთილი ლიდერი იყო და თავად პრაიმერისში მონაწილე კანდიდატებიც კი მასზე მუშაობდნენ, მაგალითისთვის გია ბარამიძეს გაგახსენებთ, რომელიც თავადაც პრაიმერისის მონაწილე იყო და რომელმაც თბილისში დარბაზში შეკრებილ ნაციონალებს მოუწოდა, ხმა დავით ბაქრაძისთვის მიეცათ, ამჯერად, როგორც ჩანს, კონკურენცია გაცილებით აზარტული იქნება.**

პრაიმერისი არა მხოლოდ გამარჯვებულს გამოავლენს, ალბათ, იმასაც გასცემს პასუხს, როგორი მერი უნდათ თბილისელებს – მეურნე, მელიას სახით, თუ პოლიტიკოსი? და მაშინ გამარჯვებული ვაშაძე გახდება.

თუმცა, ამ პრაიმერისში ერთი მთავარი შეკითხვა მაინც გაჩნდა, რამდენად იმოქმედებს გიგი უგულავას ფაქტორი მელიას სასარგებლოდ, რომელიც ძველი თბილისის გამგებელია?

„ქართულმა ოცნებამ“ დიდი ხნით ადრე განაცხადა, რომ მერის პოსტზე დავით ნარმანიას კანდიდატურას უჭერდა მხარს. ბიძინა ივანიშვილმა განმარტებაც მაშინვე მოაყოლა და მის უპირატესობად სწორედ მისი აპოლიტიკური წარსული და მომავალი დაასახელა: ის მეურნე კაცია და თბილისს დღეს სწორედ მეურნე სჭირდებაო.

მეურნე თუ პოლიტიკოსი? ამის პასუხს ნაციონალები პრაიმერისით მიიღებენ. სავარაუდოდ, მელია გაიმარჯვებს და ორივე მთავარი პოლიტიკური ძალა საარჩევნო რინგზე მეურნეს აიყვანს.

საინტერესოა, რომ თავის გამოსვლაში როგორც ნარმანია, ისე მელია ხაზს უსვამენ თავიანთ აპოლიტიკურობასა და თბილისელობას.

**ნიკა მელიას გამოსვლა ყრილობაზე:**

– პოლიტიკოსი არ ვარ და არ გპირდებით, რომ ცხარე დებატებში ბეჭებზე დავცემ ჩემს ოპონენტს, თუმცა გპირდებით, თბილისელების პრობლემების მოგვარებას და მათთან სიახლოვეს... არ ვაპირებ, შევეჯიბრო, ვინ უფრო ხმამაღლა იყვირებს მოედანზე ან მიკროფონში. ჩემი საქმე იქნება თბილისელებთან სიახლოვე. არა მხოლოდ გაჭირვებულ თბილისელებთან, არამედ ნებისმიერთან, ვინც ურთიერთობას საჭიროებს. თბილისელობა პრაქტიკულად პროფესიაა, შეიძლება არ დაიბადო, არ გაიზარდო თბილისში, მაგრამ თბილისელად ჩამოყალიბდე. პირიქითაც შეიძლება, თბილისში დაიბადო და არ შედგე თბილისელად. დღეს ბევრია ისეთი, ვინც თბილისში დადის და თბილისს ვერ პოულობს.

**უფრო ადრე დავით ნარმანიამ თავის თბილისელობას გაუსვა ხაზი, როცა თქვა:**

– თუ ვინმეს „პივა“ არ დაულევია გასტრონომთან, ამით რამე იცვლება? თუმცა პასუხი ამ საკითხზე მეც მაქვს, გასტრონომთან ,,პივაც“ დამილევია და თევზიც მიმიყოლებია... თბილისი საქართველოს დედაქალაქია და დიდი მნიშვნელობა არ უნდა ენიჭებოდეს, ვინ სად დაიბადა და გაიზარდა. მოაზროვნე საზოგადოებისთვის მთავარია, ახალ მერს პრობლემის დანახვისა და მოგვარების უნარი შესწევდეს, ჰქონდეს რეპუტაცია და შეეძლოს ხალხთან საუბარი...

და კიდევ ერთი პარალელი, როგორც „ნაციონალურმა მოძრაობამ“, ისე „ქართულმა ოცნებამ“ აქცენტი არჩევნებზე ახალ სახეებზე გააკეთა. მაშინ როცა იგივე არასაპარლამენტო ოპოზიცია ძველ და გაცვეთილ ფიგურებს უტრიალებს.

**ყრილობაზე გიორგი ვაშაძეც გამოვიდა, რომელიც საინტერესო და თანაც ამბიციური პოლიტიკური ფიგურაა. თუმცა, მისი გამოსვლა ნამდვილად პოლიტიკურიც იყო და ემოციურიც. საინტერესოა, რა საყრდენი ჰყავს მას ნაციონალებში.**

– გადავწყვიტე, ვიბრძოლო ჩემს თანამოაზრეებთან ერთად ჩვენი მოქალაქეების უკეთესი მომავლისთვის... მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ბევრი სირთულისა, აქ ვართ და ეს დღე არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ ნაცვლად კაბინეტში მიღებული გადაწყვეტილებებისა, ყველა ერთად მივიღებთ გადაწყვეტილებას, რა არის უმჯობესი ჩვენი ქვეყნისთვის. სწორედ ეს არის საფუძველი იმისა, რომ თქვენი ხმა იქნება გაგონილი, რომ ჩვენს შორის აღარ იქნებიან შიხიაშვილები, თავზე ვეღარავინ ვერ მოგვახვევს კანდიდატს და ჩვენ თვითონ ავირჩევთ იმ ადამიანებს, ვინც ღირსეულად უნდა წარმოგვადგინოს ნებისმიერ არჩევნებში.

ხშირად მეკითხებიან, რატომ ვარ ამ პარტიაში. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ოფიციალურად 2012 წელს გავხდი. აქ ვნახე უამრავი ნიჭიერი ადამიანი, რომლებიც თავისი იდეალების ერთგულები დარჩნენ უმძიმესი დევნის მიუხედავად. ბევრმა ლიდერმაც კი ვერ გაუძლო იმას, რასაც თქვენ გაუძელით და ეს დასაფასებელია. დღეს ქვეყანა გაჩერებულია და სამწუხაროდ, ბევრ სფეროში სტაგნაციაა. ბევრ სფეროში ჩვენ ყოველდღიურად ვხედავთ ხელისუფლების არაპროფესიონალიზმს, უუნარობას. ამ გამოწვევების საპასუხოდ, გადავწყვიტე, ვიბრძოლო ჩემს თანამოაზრეებთან ერთად ჩვენი მოქალაქეების უკეთესი მომავლისთვის, რათა შევქმნათ წარმატებული თბილისი. მაგალითი არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის. ძლიერი თბილისი ძლიერი საქართველოს საწინდარია და ამას ჩვენ გავაკეთებთ, ყველანი ერთად... საჭიროა სახეების არა მექანიკური ჩანაცვლება, არამედ სისტემის სრული რეფორმირება, რასაც ვაკეთებთ ერთად. ეს არ არის მხოლოდ პრაიმერისი, ეს არის ჩვენი მოძრაობის პლებისციტი, რა გზას ვირჩევთ – რეალური განახლება თუ განახლების იმიტაცია, გამარჯვება თუ დამღუპველი თვითკმაყოფილება მხოლოდ 22 პროცენტისთვის, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

**პრაიმერისი თბილისის 10 რაიონში ჩატარდება, პროცედურა აპრილის შუა რიცხვებში დასრულდება. საარჩევნო შტაბს, ისევე როგორც თბილისის პარტიულ ორგანიზაციას, გიგი უგულავა უხელმძღვანელებს. ყრილობაზე მან იმ მიზეზებზეც ისაუბრა, რატომაც თქვა უარი მერობისთვის ბრძოლაზე.**

– მთავრობას გამოუცდელი, შეუფერებელი და ბევრისთვის შეურაცხმყოფელი კანდიდატი ჰყავს. შესაბამისად, ჩემი გამარჯვება ლოგიკური და რეალურია, მაგრამ თბილისის მერობაზე არ ვიყრი კენჭს, რადგან ღრმად მწამს, რომ ერთი და იგივე ადამიანი არ უნდა იყოს ერთ პოსტზე მიჯაჭვული. 10 წელი საკმარისია, ყველაფერს სჭირდება განახლება, ახალი სისხლი და ახალი თვალი. „ნაციონალური მოძრაობის“ პრაიმერისის მონაწილე ორივე კანდიდატს ვენდობი, ორივე ენერგიულ, გამბედავ და პრინციპულ ადამიანად მიმაჩნია და როგორიც არ უნდა იყოს არჩევანი, მზად ვარ, მათთან ერთად ვიბრძოლო გამარჯვებისთვის.

დაბოლოს, კიდევ ერთი პარალელი. ნაციონალების მსგავსად, ახლა „ქართული ოცნება“ ამბობს, რომ მას კონკურენტი არ ჰყავს. ანუ მმართველი კოალიცია არ აღიარებს ოპოზიციას, ისევე როგორც თავის დროზე 2008 წლის არჩევნებზეც ნაციონალები ერთიან ოპოზიციასაც კი არ აღიარებდნენ კონკურენტად.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# შიხიაშვილს პროკურატურა დაკითხავს?

## ცესკოდან პროკურატურის მიერ გამოთხოვილ სიებში ფიგურირებს საკრებულოს მოქმედი თავმჯდომარე, რომელიც 2010 წელს უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნებზე იქნა წარგზავნილი

**my View**
**მირიან ბოქოლიშვილი**

**თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს ბოლო ხანს სკანდალები არ აკლია... ჯერ იყო და, მას მხედრიონული წარსული გაუხსენეს, შემდეგ კი ნაციონალური ბეგრაუნდი... რამდენჯერმე მოუწია განმარტებების გაკეთება 26 მაისის „გაპრავებისა“ და „ქართუ ბანკის“ გაკოტრების საქმეში თანამონაწილეობის გამო... აღარაფერს ვამბობ ძვირადღირებულ უცხოურ ვოიაჟებზე, პრემიებსა და ბიუჯეტის ხარჯზე გამართულ ჭამა-სმაზე... როგორც ჩანს, ეს ყველაფერი არ არის... შიხიაშვილს მალე კიდევ ერთ თემაზე მოუწევს ახსნა-განმარტებების გაკეთება, თუმცა ამჯერად უკვე პროკურატურაში. როგორც ცნობილია, მთავარი პროკურატურა 2010 წელს, უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებზე ქართველი დამკვირვებლების ჩასვლის საქმეს სწავლობს. მკითხველს გავახსენებ, რომ საუბარია 2 ათასამდე ადამიანზე, რომლებსაც იმდროინდელი ოპოზიცია „უკრაინაში გადასხმულ ნაციონალების ზონდერჯგუფებს“ უწოდებდა. საგამოძიებო ორგანოს მტკიცებით, ეს ხალხი უკრაინაში თავდაცვის სამინისტროს ხარჯებით გაემგზავრა, შესაბამისად, არ არის გამორიცხული, თანხების არამიზნობრივი ხარჯვის გამო, თავდაცვის იმდროინდელ მინისტრს, ბაჩო ახალაიას ბრალი კიდევ ერთხელ დაუმძიმდეს.**

როგორც უკვე გითხარით, „ზონდერებს“ შორის (როგორც ამას მაშინდელი ოპოზიცია უწოდებდა) გახლდათ ყოფილი ნაციონალი და საკრებულოს ამჟამინდელი თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილიც. მას დღეს ამ ისტორიის გახსენება არ სურს. ყოველ შემთხვევაში ჩვენი არაერთგზის მცდელობისა, საკრებულოს თავმჯდომარესთან კომენტარის ჩაწერა ვერ მოხერხდა. თავის დროზე უკრაინაში წარგზავნილ დამკვირვებლებთან დაკავშირებით სპეციალური რეპორტაჟი მოამზადა სტუდია „ჯიენესმა“. ჟურნალისტი ნათია თოიძე, „პრაიმტაიმთან“ საუბრისას იხსენებს, რომ არსებობს აეროპორტში გადაღებული კადრები, სადაც სხვა პირებთან, მათ შორის კუდ-ისა და სამართალდაცველი უწყებების წარმომადგენლებთან ერთად, სწორედ ირაკლი შიხიაშვილიც ფიგურირებს. მედიას მაშინ შიხიაშვილის ფიგურისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია, ვინაიდან ის აქტიურ პოლიტიკურ სახეს არ წარმოადგენდა.

„დიახ, მაშინ ჩვენ მოვამზადეთ რეპორტაჟი საქართველოდან წარგზავნილ დამკვირვებლებთან დაკავშირებით. ჩვენ მიერ გადაღებულ კადრებში ნათლად ჩანს საკრებულოს ამჟამინდელი თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი, რომელიც მაშინ აქტიური სახე არ გახლდათ. არსებობს აეროპორტში ჩაწერილი მისი კომენტარიც, სადაც ბატონი ირაკლი ყვება, რომ ის, სხვებთან ერთად, დამკვირვებლის სტატუსით სტუმრობდა უკრაინას. იქვე ამბობდა, რომ უკრაინაში კვლავ 90-იანი წლებია და აღშფოთებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ არჩევნები გაყალბდა. მაშინ მისი ამ კომენტარისთვის, სიმართლე გითხრათ, დიდი ყურადღება არ მიგვიქცევია, ვინაიდან ის, როგორც გითხარით, აქტიურ პოლიტიკურ ფიგურას არ წარმოადგენდა. ის აღნიშნავდა, რომ უკრაინაში დამკვირვებლად იმყოფებოდა ორგანიზაცია „შავგვარდიელების“ მიწვევით და, სავარაუდოდ, ამავე ორგანიზაციის დაფინანსებით, თუმცა ვერც ერთ საძიებო სისტემაში მსგავსი ორგანიზაცია პირადად ჩვენ ვერ მოვიძიეთ. შიხიაშვილმა ასევე დაადასტურა, რომ სადამკვირვებლო მისია საქართველოდან უკრაინაში სრულიად კანონიერად იმყოფებოდა, თუმცა არაერთ ადამიანს შესვლის საშუალება არ მისცესო“, – **ამბობს ჟურნალისტი ნათია თოიძე.**

**„შიხიაშვილმა დაადასტურა, რომ უკრაინაში „შავგვარდიელების“ მიწვევით ჩავიდა და აღნიშნა, რომ სადამკვირვებლო მისია საქართველოდან სრულიად კანონიერად იმყოფებოდა“**

საინტერესოა, რას ფიქრობს ახლა ირაკლი შიხიაშვილი იმ გამოძიებაზე, რომელიც მთავარ პროკურატურაში დაიწყო? კვლავ მიიჩნევს თუ არა, რომ ქართველი დამკვირვებლები უკრაინაში კანონიერად იმყოფებოდნენ? სანამ საკრებულოს თავმჯდომარე დუმს, საგამოძიებო ორგანო დეტალურად სწავლობს დამკვირვებელთა სიას. როგორც იცით, ცესკო-დან ამ სიის გამოთხოვას სკანდალის გარეშე არ ჩაუვლია, რადგან საიდუმლო დოკუმენტი მოულოდნელად სოციალურ ქსელში გავრცელდა. როგორც პროკურატურა აცხადებს, წერილი მათთან შეუთანხმებლად „ფეისბუკის“ გვერდზე გამოქვეყნდა.

„მიმდინარეობს გამოძიება, რომლის ფარგლებში ცესკოდან გამოთხოვილ იქნა გამოძიებისთვის აუცილებელი ინფორმაცია. აღნიშნული წერილი აიტვირთა „ფეისბუქის“ გვერდზე ჩვენთან შეუთანხმებლად, რასთან დაკავშირებითაც პროკურატურა წერილობით მიმართავს ცესკო-ს, რომ დაიწყოს აღნიშნულ ფაქტზე მოკვლევა. როგორც მოგეხსენებათ, ეს არის სისხლის სამართლის საქმის მასალა, რომლის გასაჯაროების წესი მკაცრად რეგლამენტირებულია“, – **განაცხადა თემურ დოლიძემ.**

**თავის მხრივ, ცესკო-ს პრესსპიკერი ეკა აზარაშვილი ამბობს, რომ აღნიშნული ინფორმაცია ცესკო-ს არ გაუსაჯაროებია.**

„წერილი შემოსულია პროკურატურიდან, სადაც წერია, რომ სოციალურ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით უნდა ჩატარდეს მოკვლევა. წერილში არ წერია ის, გვქონდა თუ არა ჩვენ გავრცელების უფლება. წერილი ჩვენგან არ არის გასული და ვისგან და საიდან გავრცელდა, ეს უნდა დაადგინოს მოკვლევამ. ცესკო-ს ხელმძღვანელობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, დაიწყებს თუ არა მოკვლევას“, – განაცხადა ეკა აზარაშვილმა.

დაბოლოს... თანხა, რომლის მიზნობრიობასაც პროკურატურა ადგენს... რა დაუჯდა ახალაიას უწყებას ორი ათასი დამკვირვებლის წარგზავნა. ქართველი დამკვირვებლების მივლინების ხარჯები უკრაინაში მარტივი გამოსათვლელია: თბილისიდან უკრაინაში თვითმფრინავის ბილეთის ღირებულება (ორივე გზა) 560 ლარია, საშუალო ტიპის სასტუმროში ერთი ღამით გაჩერება 130-160 ლარამდე ჯდება, ელემენტარული კვებისთვის კი 30 ლარი ავიღოთ. საერთო ჯამში, 2000 დამკვირვებლის ჩასვლა უკრაინაში 2 მილიონ 340 ათასი ლარი დაჯდებოდა.



ეკა აზარაშვილი


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ფორუმი“ – ქართული პოლიტიკის მერვე საოცრება

ქეთი ხატიაშვილი

**ერთ დროს „ფორუმი“ ოპოზიციაში ყველაზე ძლიერი საყრდენი იყო. მათ ყველაზე მაღალი რეიტინგი ჰქონდათ და ყველაზე სერიოზული გავლენებით სარგებლობდნენ. თუმცა, „ფორუმმა“ პოლიტიკური ამინდის შექმნის შანსი ხელიდან გაუშვა. მათ სერიოზულ პოლიტიკურ პროცესებში არ მიიღეს მონაწილეობა, რასაც არჩევნები და პარლამენტი ჰქვია.**

შემდეგ იყო დიდი პაუზა და ახლა დიდი დუმილია, რომელიც გუბაზ სანიკიძემ დაარღვია პრეზიდენტის პარლამენტში სტუმრობის დროს. 15 წუთი სრულად გამოიყენა და იმ საფრთხეებზე ისაუბრა, რომელიც წინ გველის. მისი გამოსვლა საკმაოდ ხმაურიანი აღმოჩნდა. შესაძლოა, იმიტომ რომ ის თავისი პოზიციით მმართველ კოალიციას გაემიჯნა. „ქართული ოცნებიდან“ ის ერთადერთია, ვისაც იმ ხელისუფლების ტონალობა არ მოსწონს, რომლის ნაწილიც თავადაა. „მე არ მომწონს რიტორიკა და დამამშვიდებელი ტონალობა“, – განმარტა სანიკიძემ.

ხმები იმის შესახებ, რომ „ფორუმი“ კოალიციას ტოვებს, ისევ აგორდა. და ისევ დაიწყო საუბრები იმაზე, რას აპირებს გუბაზ სანიკიძე. სწორედაც რომ სანიკიძე, იმიტომ რომ „ფორუმს“ სხვა ლიდერი აღარ ჰყავს. კახა შარტავა უკვე ორი ნელია თვალით არავის უნახავს. ჩვენ მხოლოდ გადმოცემით, „ფორუმის“ სხვა წევრებისგან ვიცით, რომ ის ისევ პოლიტიკაშია.

სხვა გამოუცნობ ფაქტორებთან ერთად, ამიტომაც არის „ფორუმი“ ქართული პოლიტიკის მერვე საოცრება.

ადრე ამბობდნენ, რომ „ფორუმს“ ნინო ბურჯანაძესთან აქვს კავშირები და რომ ნინო შეეცდება, პარლამენტში ფრაქცია შექმნას. მოლაპარაკებები მართლაც იყო და არამხოლოდ ბურჯანაძის მხრიდან და არამხოლოდ „ფორუმთან“, მაგრამ ანტიდასავლური განწყობების ნიშნით პარლამენტში ფრაქცია ჯერ ვერავინ შექმნა.

გუბაზ სანიკიძემ თავის გამოსვლაში მსუბუქად გააკეთა ანტიდასავლური აქცენტები. თქვა, რომ დასავლეთი ვერ გვიშველის ჩვენს თავს თვითონ უნდა ვუშველოთ, რომ საქართველო კავკასიაა და არა ევროპა და რომ ახლა ჩვენთვის მთავარი საგარეო პოლიტიკა კი არა, განათლებაა.

გუბაზ სანიკიძე თავისი პოზიციებით არასაპარლამენტო ოპოზიციას უფრო დაუახლოვდა. მაგალითად, იგივე ბურჯანაძეს, კუკავას ან ნათელაშვილს. თუმცა, „ფორუმი“ მმართველ კოალიციაში რჩება და იტოვებს უფლებას, თავისი პოზიცია დააფიქსიროს მარგველაშვილის ან თუნდაც, საგარეო პოლიტიკის კუთხით.

**დავით უსუფაშვილსაც კი მოუწია, სანიკიძის გამოსვლაზე კომენტარი გაეკეთებინა. თუმცა, ეს უფრო ფაქტის კონსტატაცია იყო, ვიდრე რეალობის შეფასება:**

– გუბაზ სანიკიძე შეეცადა, კიდევ ერთხელ გაემახვილებინა ყურადღება იმაზე, რომ 2014 წელს ჩვენ ძალიან მძიმე გამოცდების წინაშე ვდგავართ.

**რაც შეეხება საფრთხეს, გუბაზ სანიკიძის განმარტებით, უკრაინის შემდეგ „საქართველოს ჯერია“. ანუ ეს იყო გაფრთხილება, რომელიც ასე იკითხებოდა: რუსეთი საქართველოსაც დასჯის, თუკი დასავლეთისკენ სვლა გაგრძელდება.**

– უკრაინაში გადის ჩვენი უსაფრთხოების წითელი ხაზი. დიდ საიდუმლოს არ გავამხელ, უკრაინის შემდეგ დადგება ჩვენი ჯერი. ბატონო პრეზიდენტო, მიმაჩნია, რომ თქვენ გაქვთ ამის უნარი და ხელგეწიფებათ, რომ ეს პრობლემა გადაწყვიტოთ საქართველოში. ჩვენ ჩვენი თავი ჩვენ თვითონ უნდა დავიცვათ. თუ ჩვენ, ქართველები, ვერ ვივარგებთ, მსოფლიოს იმედი დაგვრჩება ოხრად. მე არ მომწონს ეს რიტორიკა და დამამშვიდებელი ტონალობა ჩვენს ქვეყანაში, – ნუ გეშინიათ, ხალხო, დაგვიცავს დასავლეთი. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ ლაპარაკობს ამას. ჩვენ თუ არ მოვინდომებთ, არავინ არ დაგვიცავს, არავინ შეიწუხებს ჩვენთვის თავს, – თქვა სანიკიძემ.

**პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განმარტებით:**

– არა მგონია, გუბაზს იმის თქმა ნდომოდა, რომ უკრაინის შემდეგ ხვალ საქართველოში დაიღვრება სისხლი. მაგრამ ის, რომ ვილნიუსის სამიტამდე ორი თვით ადრე ჯერ სომხეთი და მერე უკრაინა გამოაკლდა იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებსაც ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება უნდა გაეკეთებინათ... ამ მხრივ, სულ სხვა გზით წავიდნენ.

„ფორუმის“ მისამართით ისევ გაჩნდა კითხვები. მალე პარტიის ყრილობა ჩატარდება. როგორც ჩანს, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სწორედ იქ მიიღებენ. რამდენად იქნება ყრილობის თემა მმართველ კოალიციასთან ურთიერთობა ძნელი სათქმელია. ვარაუდობენ, რომ ადგილობრივი არჩევნების წინ ფორუმი მმართველ კოალიციასთან ურთიერთობებს არ გაამწვავებს. ჯერ არ აწყობთ.

ახლა ყველა მობილიზებულია, საარჩევნო სიების შედგენის სეზონი იწყება და პარტიები, ბუნებრივია, დაინტერესებულნი არიან, გამსვლელი ადგილები დაიკავონ. ესეც რომ არა, შემდეგ საპარლამენტო არჩევნებამდე, როგორც ჩანს, სერიოზული გადაადგილება არ მოხდება, პარტიები მხოლოდ პოზიციებს დაიკავებენ. „ფორუმმა“ უკვე დაიკავა პოზიცია. ის აფიქსირებს, რომ საერთო არაფერი აქვს საპარლამენტო ოპოზიციასთან და არც მმართველ კოალიციას ჰგავს.

დანარჩენი, როგორც იტყვიან, მოვლენების განვითარების შესაბამისად მოხდება. „საქართველოს ჯერი“ თუ დადგა და ვითარება საქართველოშიც დაიძაბა, ხელშეკრულების ხელმოწერასთან ერთად, ამან შესაძლოა, პარტიათა გადაჯგუფებებს ხელი შეუწყოს.

ვითარების დაძაბვას კი, როგორც ჩანს, ელოდებიან. თუმცა, ყოფილი და მოქმედი პრემიერები სერიოზულ ესკალაციას გამორიცხავენ. მით უფრო მაიდანის შემდეგ. თუმცა, ეტყობა, ქართულ პოლიტიკაში მაიდანიც სხვადასხვანაირად იკითხება. ზოგისთვის ეს გაფრთხილებაა რუსეთის მხრიდან, რომელიც უძლეველია და შეუძლია დაგვაზიანოს, ზოგისთვის კი – თავისუფლებისთვის ბრძოლის ფასი, რომელიც უნდა გაიღო ისეთი ბოროტების დასამარცხებლად, როგორიც რუსეთია.

## გუბაზ სანიკიძე: „დიდ საიდუმლოს არ გავამხელ, უკრაინის შემდეგ დადგება ჩვენი ჯერი... ჩვენ თუ არ მოვინდომებთ, არავინ დაგვიცავს, არავინ შეიწუხებს ჩვენთვის თავს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# აფთიაქებიდან გაყიდული სიკვდილი...

## რა გზებით სალდება აკრძალული პრეპარატები ფსიქოტროპული და არაფსიქოტროპული აფთიაქებიდან?

მარიამ ნადირაძე

**როდესაც ნარკოტიკი ასეთი ძვირია, იაფი „კაიფისთვის“ გზა რისკით არის სავსე, მაგრამ ძალიან მოკლეა. ეს არის გზა უბნის აფთიაქამდე...**

სხვადასხვა დროს ამ გზაზე სხვადასხვა ტიპის კონტროლი წესდებოდა. ერთი მხრივ – პოლიციური, თუმცა ეს გზა მხოლოდ ნარკოლოგიურამდე მიდიოდა, სადაც შარდის ანალიზის აღების შემდეგ, ჯარიმით იფარგლებოდა... მეორე მხრივ კი – საკანონმდებლო, როდესაც „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ კანონში“ აკრძალული, ან რეცეპტით გასაყიდი წამლების სიას ახალი ასოთაწყობა ემატება...

...და ასე გრძელდებოდა დაუსრულებლად ცნობილი ადამიანის გარდაცვალებიდან სხვა ცნობილის გარდაცვალებამდე.

კონტროლის გამკაცრების ბუმი ახლაც დაწყებულია:

შინაგან საქმეთა და ჯანდაცვის სამინისტროები კოდეინის, ეფედრინის, ფსევდოეფედრინისა და ნორეფედრინის შემცველი საშუალებების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლს, ხოლო მათ რეალიზაციასთან დაკავშირებული წესების დარღვევაზე პასუხისმგებლობას ამკაცრებენ. ეს ის ფსიქოტროპული და ფსიქოაქტიური მედიკამენტებია, რომელთა გამოყენებითაც ნარკოტიკული საშუალებების კუსტარულად დამზადებაა შესაძლებელი.

კანონპროექტის მიზანია კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკების მოხმარების აღმოფხვრა და ლეგალური სამკურნალო საშუალებების არალეგალურ არხებში გადინების პრევენცია.

ნარკოტიკული საშუალებების კუსტარულად დამზადების მკვეთრი ზრდა 2009 წლიდან ფიქსირდება, ვინაიდან აფთიაქებში თავისუფლად იყიდებოდა ის საშუალებები, რომლითაც ე.წ. „კრაკადილი“, „ვინტი“ და „ჯეფი“ მზადდება.

ინფორმირებული წყარო გვიამბობს, რომ „კრაკადილი“ კოდეინის შემცველი პრეპარატებით მზადდება – კოდესანით (ხველების წამალი. – მ.ნ.), კოდეტერფინით, სედალგინით, ტემპალგინით (სიცხის დამწევი საშუალება. – მ.ნ). მათ ურევენ ბენზინს, იოდს, ასანთს და იღებენ საშუალებას, რომლის ე.წ. „პრინოდი“ ჰეროინისას ჰგავს. ეს მიღებული ნაზავი ოპიატის ჯგუფს განეკუთვნება, ისევე როგორც ჰეროინი და „მაკი“...

არსებობს კიდევ „კაიფის“ მიღების სხვა გზა, რომელსაც ნარკოტიკების მომხმარებლები ხშირად მიმართავენ. ეს არის სტიმულატორი, ე.წ. „ვინტი“. ამ ნაზავს იღებენ ტეოფედრინთან სხვადასხვა მინარევების გამოყენებით. ე.წ. „ჯეფისტები“ კი მინარევებში ჩვეულებრივ „მარგანცოვკასაც“ იყენებენ, რომელიც ტვინში ილექება და მათ მოძრაობას აბსოლუტურად არაადეკვატურს ხდის (უკუღმა დადიან. – მ.ნ). არის კიდევ სხვა პრეპარატი, აქტიფედი, რომელიც თავისი შემადგენლობით ტეოფედრინზე სუფთაა და მას ბენზინთან გაზავება არ სჭირდება სასურველი „ვინტის“ მისაღებად...

ზემოჩამოთვლილი პრეპარატების თავისუფლად გაყიდვა აფთიაქებში უკვე დიდი ხანია, აიკრძალა. იანვრის ბოლოს კი აკრძალული პრეპარატების სიას გრიმოდინი და ბაკლოსანი მიემატა. ეს წამლები ცოტა ხნის წინ ეპილეფსიით დაავადებულთათვის ინიშნებოდა, ვინაიდან ინვევს კუნთების მოდუნებას, და თავისუფლადაც იყიდებოდა.

ამ მედიკამენტებს „კალიკებს“ ეძახიან და ცოტა ხნის წინ ახალგაზრდებში მეტად პოპულარული „ლირიკას“ „მთამომავლად“ წარმოგვიდგებოდა. ქრონოლოგია კი ასეთი იყო: „ლირიკასაც“ ეპილეფსიის დროს უნიშნავდნენ ავადმყოფს, სანამ ვიღაცამ 2 ტაბლეტის ნაცვლად რამდენიმე ტაბლეტის მიღების შედეგად არ აღმოაჩინა, რომ გაბრუვდა, მოდუნდა და ფსიქომოტორული აღგზნება დაემართა. „ლირიკა“ მოგვიანებით ჰელიმონმა შეცვალა, მერე ტებალტინი, გაბაგამა, გაბაპენტინი... დაბოლოს, გრიმოდინი და ბაკლოსანი... დღეს ეს წამლები უკვე ფსიქოტროპულ აფთიაქებშია გადანაცვლებული და მისი ურეცეპტოდ გაყიდვა იკრძალება.

ჯერჯერობით გაუხმაურებელია პრეპარატი, რომელიც, როგორც გვეუბნებიან, ძალიან აქტუალურია 16-17 წლის ახალგაზრდებში. ეს არის მაგიტუსი, რომელიც ჯერ არ მოხვედრილა აკრძალული მედიკამენტების სიაში. ამ წამალს 10-მდე ოდენობით იღებენ, განსაკუთრებით კი კლუბებში ნასვლის წინ, ვინაიდან, როგორც მისი მომხმარებლები ამბობენ, „ხოდზე“ მოჰყავს ისინი. ეს პრეპარატი ფსევდოეფედრინს შეიცავს, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც რჩება თავისუფალ გაყიდვაში.

ამ მცირე მიმოხილვის შემდეგ, ალბათ, დროა, იმ მთავარ თემაზე გიამბოთ, რატომაც გადავწყვიტეთ ჩვენი მკითხველისთვის ამ სტატიის შემოთავაზება.

ჩვენი ინფორმირებული წყარო გვიამბობს, რომ მიუხედავად კონტროლის გამკაცრებისა, ჩამოთვლილი წამლები აფთიაქებიდან მაინც იყიდება: „აკრძალული წამლები თითქმის ყველა ფსიქოტროპული აფთიაქიდან იყიდება. ზუსტად ვიცი, რომ დიდ დიღომში, პეტრიწის ქუჩაზე მდებარე აფთიაქში, ნარკომომხმარებლებს თავისუფლად მიუწვდებათ ხელი კოდეინის შემცველ პრეპარატებზე. ასეთივე მდგომარეობაა დელისის მეტროსთან მდებარე აფთიაქშიც. მეტიც, გლდანში, „ა“ მიკრორაიონში „ბაურმების“ ჩაყოლებაზე არის 24-საათიანი ჩვეულებრივი, არაფსიქოტროპული აფთიაქი, სადაც 3 გოგო მუშაობს. ერთს ეთო ჰქვია. მათ თავისი კლიენტურა ჰყავთ, რომლებიც ტელეფონით უკავშირდებიან და აფთიაქის გარეთ გააქვთ აკრძალული მედიკამენტები, უკვე შეგულებული კლიენტისთვის მისაყიდად. ძირითადად კი აქტიფედს ყიდიან, რომელსაც ჩანაცვლებით თერაპიაში ჩართული პაციენტებიც მოიხმარენ. სამწუხაროდ, ამ აკრძალვებმა საქმეს არ უშველა. უბრალოდ, ეს წამლები საგრძნობლად გააძვირა, – გვიამბობს წყარო.

„პრაიმტაიმმა“ გლდანში მდებარე აფთიაქს მიაკითხა. ვიკითხეთ ეთო, მაგრამ გვითხრეს, აქ არავინ გვყავს ასეთიო. გავუზიარეთ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია, ტელეფონის ნომერიც დავუტოვეთ და ვთხოვეთ, რომ დირექტორი დაგვკავშირებოდა, ვინაიდან ფარმაცევტებმა გვითხრეს, რომ მათ არ ჰქონდათ კომპეტენცია, ჩვენი კითხვებისთვის ეპასუხათ.

**ცოტა ხანში მართლაც დაგვიკავშირდა დირექტორი, ეთერ კევლიშვილი:**

– ასეთი რამ ჩვენთან არ ხდება. დღეს ვის აქვს ორი თავი, ასეთი სისულელეებით რომ დაკავდეს? მართალია, ხშირად შემოდიან და კითხულობენ ჩვენთან ფსიქოტროპულ წამლებს, რადგან, რაკი აფთიაქთან კამერები გვიყენია, ფსიქოტროპულში ეშლებათ.

**– ჩვენი ინფორმაციით, აკრძალული წამლების რეალიზაცია კონკრეტულ კლიენტებზე ხდება, აფთიაქის გარეთ...**

– როგორ გეკადრებათ? ასეთი რამეს როგორ გავაკეთებთ? ადრე მქონდა ფსიქოტროპული აფთიაქი სოლოლაკში, მაგრამ ისეთი ჯარიმები იყო დაწესებული, რომ შევეშვი. სიმართლე გითხრათ, იქ რეცეპტიანის მოსვლა მიხაროდა. ძალიან მინდა, რომ ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს. ახლაც ჩვენს აფთიაქში ძალიან დიდი მოთხოვნაა შპრიცებსა და იოდზე. ესეც ძალიან მხვდება გულზე.

ბუნებრივია, ჩვენი რესპონდენტისგან თავიდანვე არ ველოდით „გულწრფელ“ აღიარებას. რაც შეეხება ჩვენი წყაროს ინფორმაციის რეალურობას, ამის დადასტურება, ალბათ, სულ სხვა კომპეტენციის სფეროა...

არადა, პოლიცია განსაკუთრებით ამ ბოლო დროს გააქტიურდა. მინისტრ ჭიკაიძის ინიციატივით, მალე ფსიქოტროპული მედიკამენტების ურეცეპტოდ გაყიდვა სისხლის სამართლის კოდექსით გახდება დასჯადი.

პირველივე ჯერზე მოხდება აფთიაქის მფლობელის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და ფარმაცევტული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა მინიმუმ 10 წლით.

ამ ინიციატივის იმედი აქვთ ნარკოლოგებსაც.

**„პრაიმტაიმი“ ექსპერტს, ზურაბ სიხარულიძეს ესაუბრა:**

**– ფსიქოტროპული წამლების რეალიზაციაზე კონტროლის გამკაცრების შემდეგ რა ვითარებაა ფარმაცევტულ ბაზარზე? აკრძალული პრეპარატები თავისუფლად აღარ იყიდება?**

– მასიურად აღარ იყიდება, მაგრამ პატარ-პატარა აფთიაქები, რომლებიც შედარებით უყურადღებოდ დარჩა, მაინც ახერხებენ ამას. შავი ხვრელი ყოველთვის იქნება. ეს ისეთი სერიოზული აკრძალვაა, რომ აუცილებლად გაჩნდება შავი ხვრელები.

**– ბატონო ზურა, თქვენ მეტადონის სახელმწიფო პროგრამას ახორციელებთ... ჩვენი ინფორმაციით, თქვენი პაციენტები ხშირად აკითხავენ ასეთ აფთიაქებს. ეს ჩანაცვლებითი თერაპიის ეფექტს საფრთხეს არ უქმნის?**

– არის პაციენტების გარკვეული კატეგორია, რომელიც მეტადონის შემდეგ ასეთ პრეპარატებს იმატებს. ამის უარყოფა ტყუილი იქნება. მაგრამ ამ გზას მცირე რაოდენობა მიმართავს, რომელიც ვერ მოერგო ამას. თუ ასეთი რამ მაინც ხდება, შემდეგ პროცესში ერთვება ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი. ამ პროგრამის მთავარი აზრი არის ის, რომ პაციენტს არ ჰქონდეს ეიფორია. ეს მიზანი, პრაქტიკულად, მიიღწევა.

**– რა უნდა გახდეს შემაკავებელი ასეთი პაციენტებისთვის, რომ აღარ მიმართონ ამ გზას?**

– რომ დაისჯება აფთიაქი სისხლის სამართლის წესით, მერე სხვებიც მიხვდებიან, რომ ასეთ გზას არ უნდა მიმართონ. თუმცა, ვიცი, რომ დიდი სააფთიაქო ქსელები უკვე გადასული არიან რეცეპტურაზე. არიან, რა თქმა უნდა, დარჩენილი ვიღაცები, რომლებსაც რაც უნდა შეზღუდვა დაუწესო, ის თავის ბინძურ საქმეს მაინც გააკეთებს, რადგან ის არაფრით განსხვავდება ვიღაც გადამყიდველისგან, რომელიც ასეთ პრეპარატებს სადღაც სარდაფში ყიდის. ამიტომ, შინაგან საქმეთა სამინისტრო მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რომ ეს შავი ხვრელები ამოქოლოს. თუმცა ეს ყველაფერი მომხმარებლებს კი არა, გამსაღებლებს უნდა შეეხოს.

**– სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა ტიპის პრეპარატების აკრძალვა ხდება. ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ეს დაუსრულებელი პროცესია...**

– ყველა ახლად გამოვლენილ შემთხვევაზე ეს მექანიზმი ხელახლა უნდა ჩაირთოს, ვინაიდან სანამ მსოფლიოში ნარკოტიკი არ გაქრება, ეს პრობლემა ყოველთვის იქნება.

**„აკრძალული წამლები თითქმის ყველა ფსიქოტროპული აფთიაქიდან იყიდება. ზუსტად ვიცი, რომ დიდ დიღომში, პეტრიწის ქუჩაზე მდებარე აფთიაქში, ნარკომომხმარებლებს თავისუფლად მიუწვდებათ ხელი კოდეინის შემცველ პრეპარატებზე“**

ზურაბ სიხარულიძე



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა ხდება მაშინ, როცა ფეხბურთი პოლიტიკას კვეთს

მაგდა კლდიაშვილი

**მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისას დანიშნული არჩევნები და დილემა საზოგადოებრივ მაუწყებელს - რატომ ვერ გამოაჩენს მატჩების მიმდინარეობისას პირველი არხი ეგზიტპოლებს და შეიზღუდება თუ არა საინფორმაციო გამოშვებების რაოდენობა. როგორ მოაგვარებს საკუთარ თავზე აღებულ ვალდებულებებს და როგორ შეძლებს FIFA-სთან დადებული კონტრაქტის შესრულებას საზოგადოებრივი მაუწყებელი? მოახდენს თუ არა არჩევნების აქტივობაზე გავლენას მუნდიალი - რა ხდება მაშინ, როცა ფეხბურთი პოლიტიკას კვეთს.**

საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღედ 15 ივნისი ჩანიშნა. ეს, სხვა დროს, წესით, პრობლემა არ იქნებოდა, მაგრამ საქართველოში გასამართ არჩევნებს და ნებისმიერ მსგავსს, თუნდაც ეს სხვა ქვეყანაში ყოფილიყო, ეს მოვლენა გადაფარავდა.

ამ მოვლენას კი მთელი მსოფლიო ოთხ წელიწადში ერთხელ სულმოუთქმელად ელის და მას ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი ჰქვია, რომელსაც წელს ბრაზილია მასპინძლობს და ერთთვიანი მარათონი სტარტს 12 ივნისს იღებს.

ფეხბურთის უმაღლესი მმართველი ორგანო თამაშების ტრანსლირების უფლებას ჩემპიონატის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე ყიდის და სქელტანიანი კონტრაქტების დადების შემდეგ, სხვადასხვა ტელეკომპანიებთან, თითოეულ დეტალს მკაცრად აკონტროლებს კიდეც.

მატჩების ლიცენზიის მოპოვება მხოლოდ მის ტრანსლირებას არ გულისხმობს. ეს არის მთლიანი პაკეტი, რომელიც მოიცავს შეხვედრის ჩვენებას, თავისი სარეკლამო ჭრებით, რომელიც ასევე შედის კონტრაქტში. ლიცენზიის მფლობელმა აუცილებლად გუნდების ჰიმნებზე უკვე ეთერში უნდა გაუშვას სიგნალი, რომელიც ათი წუთით ადრე შედის ტელეკომპანიაში. მატჩების შუალედში, 13 წუთიან შესვენებაშიც დაუშვებელია სხვა რეკლამის გაშვება, გარდა იმისა, რასაც კონტრაქტის პირობები ითვალისწინებს.

15 ივნისს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სამი მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია იგეგმება. პირველ არხს ვალდებულებები აქვს, როგორც ფიფას მიმართ, ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინაშე. არჩევნების დღეს, საღამოს რვა საათიდან საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ეგზიტ-პოლების შედეგები უნდა გაუშვას, მაგრამ ფიფასთან დადებული კონტრაქტით და ლიზენციის პირობების თანახმად, მის მფლობელს, მატჩის პირდაპირი რეპორტაჟისას და იმ მონაკვეთში, რომელის სრულად მოიცავს სატრანსლაციო პერიოდს, არც სხვა რეკლამის, არც საინფორმაციო გამოშვებისა და არც ეგზიტპოლების გამოჩენის ნებართვა არ აქვს.

როგორ აპირებს პირველი არხის ხელმძღვანელობა აღნიშნული ვალდებულებების შესრულებას?

როგორც „პრაიმტაიმთან“ საუბარში საზოგადოებრივი მაუწყებლის სპორტული კომენტატორი სანდრო ცნობილაძე განმარტავს, გარდა იმ ლიცენზიისა, რომელიც არხმა უკვე შეიძინა, არსებობს ხელშეკრულებები მთელ რიგ სპონსორებთან, რომელთაც ვერ დაარღვევს მაუწყებელი.

„დავიწყოთ იმით, რომ მთლად ადეკვატური გადაწყვეტილება ვერ მიიღეს მსოფლიო ჩემპიონატის დროს არჩევნების დანიშვნით. ასეთი მოვლენის დანიშვნა, თავად აკნინებს ამ მოვლენას. ოთხ წელიწადში ერთხელ, ერთი თვის განმავლობაში მთელი მსოფლიო ცხოვრობს და ზეიმობს ფეხბურთით. რაც შეეხება საზოგადოებრივ მაუწყებელს, ადეკვატურად შეძლებს თუ არა გააშუქოს მსოფლიო ჩემპიონატი და არჩევნები, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, უკვე არსებობს კონტრაქტები მთელ რიგ სპონსორებთან, რომელთა დარღვევაც არ გამოვა. ფიფასთან დადებული ხელშეკრულების და მოთხოვნის გათვალისწინებით, იკრძალება მატჩის რეპორტაჟის დროს ყველანაირი მორბენალი სტრიქონი, ტიტრის დადება, რაც ავტომატურ რეჟიმში გამორიცხავს იმას, რომ მატჩის მიმდინარეობისას ეგზიტპოლების ამონათება და ა.შ. ვერ მოხდება“, - აცხადებს სანდრო ცნობილაძე.

## იმოქმედებს თუ არა მსოფლიო ჩემპიონატი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების აქტივობაზე

კომენტატორი გამოსავალს იმაში ხედავს, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, რომლის დაქვემდებარებაშიც ორი არხი შედის, არჩევნებისთვის სწორედ მეორე არხი გამოიყენოს, რადგან ფიფას კონტრაქტში ერთ-ერთი მოთხოვნა ისაა, რომ ტრანსლირება ქვეყნის უმეტეს ნაწილში განხორციელდეს.

„მკვეთრ დაპირისპირებამდე არ უნდა მივიდეს საქმე, მაგრამ საზოგადოებრივი მაუწყებელი შედგება პირველი და მეორე არხისგან. როდესაც ფიფა გაძლევს ლიცენზიას ტრანსლირებაზე, შენი მაუწყებლობა უნდა ფარავდეს ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილს. აქედან გამომდინარე, მატჩები უნდა გავიდეს პირველ არხზე. გამონაკლისი მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ თამაშები პარალელურ რეჟიმში გადის, თამაშების გადატანას არ ვგულისხმობ მეორე არხზე, მისი დატვირთვა მოხდება პოლიტიკური მოვლენებით და შესაბამისად, ჩართვები ცესკოდან, ეგზიტპოლები და საინფორმაციოების დატვირთვას მეორე არხი აიღებს თავზე. საზოგადოებრივი მაუწყებელი გააშუქებს მუნდიალს“, - აცხადებს სპორტული ჟურნალისტი.

ცნობილაძის ვარაუდით, მუნდიალი გავლენას მოახდენს არჩევნების აქტივობაზეც, რადგან მსოფლიო ჩემპიონატი ერთი თამაშით არ იწყება და მთავრდება და ამას მთელი დღე სჭირდება.

„თუ გავიხსენებთ იმას, რომ მსგავსი ტიპის არჩევნები დიდი პოპულარობით არ სარგებლობს. საქართველოში ფეხბურთი ძალიან უყვართ და ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ მოსახლეობის ყურადღება სწორედ მსოფლიო ჩემპიონატზე იქნება გადატანილი, რაც არჩევნებში აქტივობას ხელს არ შეუწყობს“, - ვარაუდობს კომენტატორი.

როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, თიკო ბერძენიშვილი „პრაიმტაიმთან“ საუბარში განმარტავს, ამ ეტაპზე მიდის მუშაობა, თუ როგორ შეძლებს დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას არხი.

„წინა კვირას გამოცხადდა არჩევნების თარიღი. ახლა მიმდინარეობს მუშაობა, თუ როგორ უნდა გადანაწილდეს ეს ყველაფერი. აუცილებლად გამოვიყენებთ მეორე არხს. რატომღაც ხალხი საზოგადოებრივ მაუწყებელს მხოლოდ ერთ არხად აღიქვამს. გვაქვს რესურსი და ისე გადანაწილდება, რომ ჩვენ ყველა პირობის შესრულება შევძლოთ“, - განაცხადა თიკო ბერძენიშვილმა.

მსოფლიო ჩემპიონატი საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით 12 ივნისიდან, ერთი თვის განმავლობაში პირდაპირ ეთერში გადაიცემა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვინ იყო მამა

მაგდა კლდიაშვილი

**24 თებერვალს, საქართველოს საპატრიარქოს გადაწყვეტილებით, მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრის სასაფლაოდან მამა გაბრიელის ნეშტის ამოსვენება მოხდა. ცხედარი ჯერ სვეტიცხოველში დაასვენეს, შემდეგ კი სამებაში.**

დავით ჩიკვაიძე

## „სამებაში რომ მიხვალთ, დაინახავთ, რომ ადამიანების 90%, ვინც იქ მიდის, ძალიან სწრაფად ტოვებს ტაძარს, მისი მსახურების თხოვნით და ისინი ათთეთრიანი სანთლის ყიდვასაც ვერ ასწრებენ“

ბერი გაბრიელი ცნობილი იყო სასწაულებრივი კურნებებით და მის საფლავზე მისული მლოცველი ბევრჯერ გამხდარა ამის მომსწრე. წმინდანად შერაცხული ბერი გაბრიელის საფლავიდან წაღებული ზეთი და მამა გაბრიელისადმი აღვლენილი ლოცვა, ბევრ სნეულს შეწევნია და ბევრი ადამიანი დაუცავს განსაცდელისგან.

ცოტა ხნის წინ, დედა პარასკევას მიერ გამოცხადებული ხილვის გამო, რომ მამა გაბრიელის საფლავზე მისულ მლოცველს, ორი სურვილი შეუსრულდებოდა, ნახევარი საქართველო (თუ უმეტესი არა) მცხეთისკენ დაიძრა და გრძელი რიგების მიუხედავად, ყველა მაინც ბოლომდე ცდილობდა საკუთარი სურვილების მიტანას საფლავამდე.

როგორც მოგვიანებით დედა პარასკევამ განაცხადა, სამთავროს მონასტერმა იმ დღეებში 5 მილიონის შემოსავალი მიიღო. ამ ამბიდან, არც ისე დიდი ხნის შემდეგ, საქართველოს საპატრიარქომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მამა გაბრიელი საფლავიდან ამოესვენებინათ და ის ჯერ სვეტიცხოველში, შემდეგ კი სამებაში დაებრძანებინათ. სამების საკათედრო ტაძარში დასვენებიდან უკვე კვირაზე მეტი გავიდა, მაგრამ მომლოცველთა ნაკადი არც იქ წყდება. ტაძრის ეზოში, უხეშად რომ ვთქვათ, ზედახორაა და რამდენიმესაათიანი ლოდინის შემდეგაც კი ხშირად, ადამიანები ეკლესიაში შესვლას ვერ ახერხებენ.

თუკი იმას გავითვალისწინებთ, რომ დედა პარასკევას გამოცხადების შემდეგ, ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი მერკანტილური მიზნების გამო წავიდა მცხეთაშიც და ზოგიერთი შემდეგ არც ფარავდა, რომ სახლის კარგად გაყიდვასა და ამდაგვარ სურვილებს შესთხოვდა, რა გასაკვირია, რომ ახლაც, მსგავსად მოაზროვნე ადამიანები ცდილობენ ღმერთს „მეტი გამოსტყუონ“ და რაც მეტჯერ მივლენ სამებაში, მეტი „სარგებელი“ ნახონ. გაჭირვებულსა და უმნეოს საქართველოში რა გამოლევს, ამიტომ კარგი იქნებოდა, თუ ყველას მიეცემოდა წმინდა ნაწილებთან შეხების საშუალება.

სვეტიცხოველში მოღვაწე მამა პეტრე კვარაცხელიაც იმავე აზრისაა. მამა პეტრეს თქმით, იმ ადამიანებს, რომლებიც სასწაულს ეძებენ, არასდროს მიეცემათ იგი და არც ის არის მნიშვნელოვანი, ერთხელ მივლენ წმინდანის წმინდა ნაწილების სამთხვევად თუ მრავალჯერ.

„მაცხოვარი ჩვენი, უფალი იესო ქრისტე, სახარებაში ბრძანებს, რომ ადამიანი, რომელიც ეძებს სასწაულს, ის არასოდეს მიეცემა. მთავარია ვირწმუნოთ და შემდეგ თავისთავად დავინახავთ სასწაულს. ურწმუნო თომამ, რომელიც მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვრის სასწაულს არ იჯერებდა, არ დაუჯერა მოციქულებს, რომლებმაც უთხრეს, რომ მაცხოვარი მკვდრეთით აღდგა, მან თქვა, რომ სანამ ჩემი თვალით არ ვიხილავ, მკვდრეთით აღმდგარ მაცხოვარს და არ შევეხები იმ ჭრილობებზე, რომლითაც იგი კვარზე იქნა გაკრული, არ ვირწმუნებო. როდესაც მაცხოვარი შედის და ესალმება მოციქულებს, - „მშვიდობა შენთანა“, ურწმუნო თომას შერცხვა და აღიარა, - „უფალი ჩემი, ღმერთი ჩემი“. თუ ადამიანს რწმენა გააჩნია, მისთვის არ აქვს მნიშვნელობა, პირველი მივა, თუ ბოლო წმინდა გაბრიელის საფლავთან და რამდენჯერ ემთხვევა მის წმინდა ნაწილებს. ერთხელ მიახლებაც საკმარისია. თუკი მას რწმენა არ აქვს და ხშირად ივლის, ეს გადაიზრდება კერპთაყვანისცემაში. ვფიქრობ, ერთხელ საკმარსია და ამ ადამიანებმა სხვასაც უნდა დაუთმონ რიგი“, - ამბობს მამა პეტრე.

მამა პეტრე

მისი თქმით, ერთხელ კრძალვითა და რწმენით მისვლა საკმარისია, რადგან მეორე უკიდურესობაში არ აღმოვჩნდეთ, რადგან მთავარი მადლის მოპოვება არ არის, მთავარი მისი შენარჩუნებაა. მამა პეტრე მიიჩნევს, რომ ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, ნათლად მოწმობს, რწმენაში შეჭირვებას, რადგან მათ რწმენის გასაძლიერებლად სასწაულები სჭირდებათ.

„ბერმა გაბრიელმა თავისი ცხოვრების წესით უამრავი სასწაული მოახდინა. ეს სასწაულები ერისთვის საკმარისი არ არის, რომ ჯანსაღი რწმენა ჩამოუყალიბდეთ. ხშირად, საკუთარი თავის რწმენას, უფლის რწმენაზე წინ აყენებენ და ეს დამღუპველია. არსებობს ოქროს შუალედი და ამ გზით უნდა შევინარჩუნოთ ცხოველის სარწმუნოება, როგორც იტყვიან“.

ხომ არ იყო მამა გაბრიელის ნეშტის ამოსვენებით და ხალხის შეკრებით, ეკლესიის მიერ ძალის დემონსტრირება ხელისუფლებისადმი?! მამა პეტრე პასუხობს, რომ ეს მხოლოდ დამთხვევაა და ეკლესიას ძალის დემონსტრირება არაფერში სჭირდება, რადგან ქართული ეკლესიის ავტორიტეტი შეუვალია.

„ეს არაფერ შუაშია ამ ფაქტთან. ტრადიციის თანახმად, როდესაც ადამიანი წმინდანად შეირაცხება, უნდა გაკვეთონ საფლავი და ამოასვენონ წმინდანის ნეშტი, რათა ყველა მორწმუნემ შეძლოს წმინდა ნაწილებთან ლოცვა. ამას ისედაც აპირებდნენ და დაგეგმილი იყო, ბეთანიელი წმინდანების ამოსვენების შემდეგ. და თუ ვინმეს დღეს, ჯერ კიდევ ეპარება ეჭვი იმაში, რომ საქართველოში პატრიარქის ავტორიტეტი ყველაზე მაღალი რანგის ხელისუფალზე უფრო დიდი არ არის, ვფიქრობ, ჯერ კიდევ სიბნელეში ვართ“.

თეოლოგი, დავით ჩიკვაიძე აცხადებს, რომ საქართველოს საპატრიარქოს მიერ, მამა გაბრიელის ნეშტის კანონიზაციაზე განჩინება წელიწად-ნახევრის წინ მოხდა და დედა პარასკევას ხილვა და ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის განცხადება, მხოლოდ და მხოლოდ დამთხვევა იყო, ამიტომ იმას, რომ ეკლესიამ ძალის დემონსტრირება მოახდინა ხელისუფლებისადმი, არასერიოზულად აღიქვამს.

„სამებაში რომ მიხვალთ, დაინახავთ, რომ ადამიანების 90%, ვინც იქ მიდის, ძალიან სწრაფად ტოვებს ტაძარს, მისი მსახურების თხოვნით და ისინი ათთეთრიანი სანთლის ყიდვასაც ვერ ასწრებენ. იმის გამო, რომ ამხელა რიგები იყო, იქნა გათვალისწინებული თხოვნა და მამა გაბრიელის ნეშტი კიდევ უფრო დიდხანს დარჩა, მაგრამ მცხეთაში რომ გადაესვენებინათ, იქ არ იქნებოდა ზღვა ხალხი? სამთავროს მონასტერი, ისევე როგორც სამების საკათედრო ტაძარი, მცხეთა-თბილისის ეპარქიას მიეკუთვნება, მეუხერხულება ამაზე პასუხის გაცემა, მაგრამ თუ ეს ვინმეს ინტერესის სფეროა, სამთავროში იქნება დასვენებული თუ სამებაში, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, თანხის შემწირველი და სანთლის მყიდველი ორივეგან ერთნაირად მივა“, - აცხადებს დავით ჩიკვაიძე.

ბერ გაბრიელს თავის ცხოვრების განმავლობაში ბევრი სასწაული მოუხდენია. მცირე ისტორიული რაკურსისთვის, გავიხსენოთ, თუ რა რეპრესიებს გაუძლო და რა გზა გაიარა მან დაბადებიდან სიცოცხლის ბოლო წუთებამდე:

### ვინ იყო მამა გაბრიელი?

გოდერძი ურგებაძე თბილისში, თეთრიწყაროს 11 ნომერში დაიბადა. ოჯახში, სადაც ქრისტეს ხსენება მკაცრად იყო აკრძალული. მამა, ვასილ ურგებაძე კომუნისტური პარტიის წევრი იყო და, რასაკვირველია, ოჯახში მეუღლეს მკაცრად უკრძალავდა ქრისტიანულ ცხოვრებას, ფიზიკური ანგარიშსწორებითაც ემუქრებოდა. ბერი გაბრიელის მამა, ვასილ ურგებაძე, 1931 წელს შეთქმულებმა ჯერ ყელსახვევით გაგუდეს, შემდეგ კი ტყვიაც ესროლეს. მამის გარდაცვალების შემდეგ გოდერძი ურგებაძეს მამის სახელს, ვასიკოს ეძახდნენ მოფერებით. ბავშვობაში ის მოულოდნელად ავად გახდა, გადარჩენის იმედი არავის ჰქონდა, მაგრამ პატარა მოულოდნელად გამოჯანმრთელდა, თამაშიც დაიწყო.

განათლება თბილისის 24-ე საშუალო სკოლაში მიიღო. 1949 წელს სამხედო სამსახურში გაიწვიეს, ბათუმში მსახურობდა და მიუხედავად არმიაში არსებული სიმკაცრისა, გაბრიელი ოთხშაბათსა და პარასკევს მარხვასა და ეკლესიაში სიარულს ახერხებდა. სწორედ აქ შეისწავლა ხუცური დამწერლობა. სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ, მან თბილისში, თავის საცხოვრებელი სახლის ეზოში ოთხგუმბათიანი ეკლესია ააგო, სადაც კომუნისტების მიერ ჩამორთმეული, გადაყრილი თუ მიტოვებული ხატები დააბრძანა. მაშინდელი ხელისუფლება ბევრჯერ შეეცადა ეკლესიის დანგრევას, მაგრამ უშედეგოდ. ეკლესია დღემდე დგას თეთრი წყაროს ქუჩაზე. 1954 წელს მამა გაბრიელმა, ქუთათელ-გაენათელ ეპისკოპოსს, მეუფე გაბრიელს, დიაკვნად კურთხევასთან დაკავშირებით მიმართა. მისი კურთხევა „მოწამეთაში“ მოხდა. ქუთათელ-გაენათელმა ეპისკოპოსმა ის ბერად აღკვეცა და მისივე თხოვნით წმინდა გაბრიელ ათონელის სახელი უწოდა.

ამავე წელს მამა გაბრიელი მღვდელ-მონაზვნად იკურთხა. მალევე, ავადმყოფობის გამო, ბერ-მონაზონი საეკლესიო სამსახურიდან დათხოვნას ითხოვს, მაგრამ ვიდრე ის თხოვნას გაგზავნიდა, უკვე მიუვიდა განცხადება, რომ ის უკვე დათხოვნილია. 1956 წლის მაისში ის წმინდა ნინოს ეკლესიაში მთავარ დიაკვნად დაინიშნა, სიცოცხლის უკანასკნელი წლები კი მცხეთაში, სამთავროს მონასტერში გაატარა.

ალბათ, ბევრი სასულიერო პირი ვერ დაიკვეხნის კომუნისტური წყობის დროს რეპრესიის წინააღმდეგ ბრძოლით. მამა გაბრიელი იყო პირველი, ვინც გაბედა და კომუნისტების დროს ბერად აღიკვეცა და ეკლესია ააშენა.

1965 წლის პირველ მაისს კომუ-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

**„სამთავროში იქნება დასვენებული თუ სამებაში, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, თანხის შემწირველი და სანთლის მყიდველი ორივეგან ერთნაირად მივა. რაც შეეხება დედა პარასკევას „ბიზნესის დახევას“, ჟარგონზე რომ ვთქვათ, ცოტა სასაცილოდ მეჩვენება ეს საკითხი“**

# EXCLUSIVE

ნისტური აღლუმის დროს ბერმა გაბრიელმა ლენინის 12-მეტრიანი პორტრეტი საჯაროდ დაწვა. ამის გამო დაპატიმრებულმა გაბრიელმა დაკითხვაზე განაცხადა, რომ იქ ქრისტეს ჯვარცმა უნდა ეკიდოს და არა ლენინის სურათი. „კაცს რად უნდა დიდება, უნდა ეწეროს - დიდება ქრისტე ღმერთს“.

კრემლიდან გაიცა ბრძანება ბერის გაუსამართლებლად დახვრეტის შესახებ, რაც შემდეგ შეიცვალა უზენაესი სასამართლოს 1965 წ. 3 აგვისტოს განჩინებით, მამა გაბრიელი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას უკიდურესად არაჰუმანურად ეპყრობოდნენ.

მამა გაბრიელი ბოლო წლებში ცხოვრობდა მცხეთის დედათა მონასტრის ტერიტორიაზე არსებულ მეფე მირიან მესამის კოშკში. 1995 წელს ბერი წყალმანკით მძიმედ დაავადდა. გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე საქართველოს პატრიარქმა ილია II-მ გაბრიელ ბერი არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანა.

არქმინადრიტი გაბრიელი ამავე წლის 2 ნოემბერს გარდაიცვალა და მისი ანდერძისამებრ, ჭილოფში გახვეული, მცხეთის დედათა მონასტრის სასაფლაოზე დაკრძალეს. კიდევ ერთი სასწაული, რომელიც ბერ გაბრიელს უკავშირდება, ის არის, რომ ექიმმა-ქირურგმა, ზურაბ ვარაზაშვილმა სისხლი აიღო ანალიზის ჩასატარებლად და ის დღემდე უხრწნელია. მამა გაბრიელის საფლავზე ჩაუქრობელი კანდელიდან აღებული ზეთი კი სასწაულებრივი კურნების თვისებებით არის ცნობილი.

## ბერი გაბრიელის სასწაულები

2002 წელს ოთარ ნიკოლაიშვილმა წიგნი გამოსცა, ბერი გაბრიელის ღვთაებრივი სასწაულებისა და კურნებების შესახებ, სადაც მრავალმა ადამიანმა ის ისტორია მოგვიყვა, თუ როგორ განიკურნა სასწაულებრივად მამა გაბრიელის საფლავზე ლოცვითა და კანდელიდან აღებული ზეთით.

„3 წლის წინ ჩემს ძმას თავში ავთვისებიანი სიმსივნე აღმოაჩნდა. უკვე ბოლო სტადიაში იყო, მეტასტაზები ჰქონდა წასული, მხედველობა ორივე თვალში დაკარგული და გონებაც დაქვეითებული. წავიღეთ მამა გაბრიელის ზეთი. ორი კვირის შემდეგ ოპერაცია გავუკეთეთ. აღმოჩნდა, რომ ოპერაციის დროს სიმსივნე აღარ ჰქონდა. არადა ოპერაციას არ უკეთებდნენ. აზრი არ აქვსო. ხელიც მოგვაწერინეს, რომ პასუხს არ აგებდნენ. ისეთი ტკივილები უნდა ჰქონდეს, ვერ უძლებდესო. ჩვენ კი იმ ორი კვირის განმავლობაში წამალი არ დაგვილევინებია, მხოლოდ მამა გაბრიელის ზეთს ვუსვამდით. დღეს ჯანმრთელად და კარგად არის“.

„ჩემი ქალიშვილი და სიძე მანქანით ავარიაში მოყვნენ. ავარიამდე ოთხი დღით ადრე იყვნენ მამა გაბრიელის საფლავზე. ჩემმა ქალიშვილმა საფლავზე ცოტა ხნით დადო საათი და ბეჭედი.

ავარია უმძიმესი იყო. სამჯერ ამობრუნდა მანქანა „პაჯერო“. ყველაფერი დაილეწა, მანქანა გადასაგდები გახდა, არაფრად ვარგოდა. სიძე-ქალიშვილი კი მხოლოდ სუსტი ტრავმებით მიიყვანეს საავადმყოფოში. ჩემს ქალიშვილს ხელი მოყოლია მანქანაში. ხალხი ყვიროდა: ხელი მოწყდაო. ხელზე ზუსტად ის საათი და ბეჭედი ეკეთა, რომელიც მამა გაბრიელის საფლავზე დადო. ხელი ოდნავ გაეფხაჭნა და არც საათის ციფერბლატი გატყდა და არც გაჩერდა, ბეჭედიც უვნებელი დარჩა“.

„ოთხი წელი შვილი არ მყავდა. ბოლოს მივედი მამა გაბრიელის საფლავზე. ზეთი წავიღე, ვისვამდი და თან ვლოცულობდი. მამა გაბრიელმა ისმინა ჩემი ვედრება და მისი მეოხებით ღმერთმა მაჩუქა შვილი“.

ეს მხოლოდ მცირე ისტორიებია წიგნიდან, რომლის რამდენიმე ნაწილი გამოსცა გამომცემლობამ. მამა გაბრიელი სასწაულებს ახდენდა, როგორც მის სიცოცხლეში, ასევე მისი გარდაცვალების შემდეგაც.

რამდენიმე დღეში, წმინდანის ნაწილებს, კვლავ სამთავროს დედათა მონასტერში დააბრუნებენ და ამჯერად მას, ეზოს ნაცვლად, ტაძარში დაკრძალავენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლადო ბურდული „სიონის“ მთავა

მაგდა კლდიაშვილი

**„ყველაზე მაღალი ხელფასი ბოლნისის „სიონში“ 2 ათას 500 ლარია“**

**„მოედანზე მე მწვრთნელი ვარ და ცენზურა რომ ვიხმარო, „თავზე გადავუარო“ ხმას არავინ ამოიღებს“**

**მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამოსა“ და ეროვნული ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, ლადო ბურდულმა ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა, საფეხბურთო კლუბ ბოლნისის „სიონს“ მიაშურა და გუნდი კვალიფიციური კადრებითაც დაკომპლექტა. არც ისე დიდი ხანია, რაც 33 წლის ბურდული გენერალურ დირექტორობას მწვრთნელობას უთავსებს და ამას თავს, საკმაოდ კარგადაც ართმევს. ყოფილი მთავრობის წევრებიდან, ვინ და რატომ დაანებებინა ლადო ბურდულს ფეხბურთის თამაშზე თავი და რატომ აპირებს ის ბოლნისის „სიონის“ მთავარი მწვრთნელის პოსტის დატოვებას. რაზე ოცნებობს, რას ფიქრობს ჩაწყობილ თამაშებზე და რამდენს იღებს ხელფასს გენერალურ დირექტორობასა და მწვრთნელობაში - „პრაიმტაიმის“ ექსკლუზიური ინტერვიუ ლადო ბურდულთან.**

**- რამდენია ბოლნისის „სიონის“ წლიური ბიუჯეტი და არის თუ არა ეს იმისთვის საკმარისი, რომ გუნდმა მედლებისთვის იბრძოლოს?**

- გასულ წელს სიონის ბიუჯეტი ორი მილიონი ლარი იყო, მაგრამ წელს შემცირდა, რადგან ჩვენ, როგორც იცით, კაზრეთზე და იქ არსებულ საბადოზე ვართ დამოკიდებული. ახლა მილიონ-ნახევარი გვაქვს ბიუჯეტი.

**- კერძო ინვესტორსა და სპონსორებს არ ეძებთ?**

- როგორც იცით, ჩვენ, ცალკე, გარდა მუნიციპალიტეტისა, „მადნეულიც“ გვაფინანსებდა და სწორედ ის ყიდულობდა ჩვენთვის ეკიპირებას. ახლა ესეც პრობლემაა. წელიწადია ერთი ფორმა გვაქვს და მისი გამოცვლა ვერ მოვახერხეთ.

**- რამდენია საკმარისი იმისთვის, რომ ეროვნულ ჩემპიონატში გუნდმა ნორმალურად შეძლოს გამოსვლა, ჰქონდეს კარგი პირობები, კარგი ხელფასი და უცხოური შეკრებები დაგეგმოს?**

- მინდა ადამიანებს კარგად გავაგებინო, ბევრია უცოდინარი. ვისაც ჰგონია, რომ ორი მილიონი, ან მილიონ-ნახევარი საკმარისია იმისთვის, რომ თუნდაც მხოლოდ პირველმა გუნდმა იარსებოს. უამრავი ხარჯია - ტრანსპორტი, საცხოვრებელი, კვება. ამ ყველაფერში მხოლოდ პირველ გუნდს 350-400 ათასი ლარი სჭირდება. ვთქვათ, ზუგდიდში გვაქვს თამაში და მივდივართ ანაკლიაში, იქ სასტუმრო უნდა დავჯავშნო, კვება გავაკეთო. საჭმელი ვაჭამო გზაში ფეხბურთელს, დაიქირაო ავტობუსი, როდესაც შენ საკუთარი არ გყავს. ეს ყველაფერი არ გააჩნია გუნდს და ეს თანხა ამას უნდა გააწვდინო. გარდა ამისა, გყავს ოთხი გუნდი, დუბლშემადგენლობა და ასაკობრივი. მათაც ხომ უნდათ ტრანსპორტისა და კვების ფული. ამას დაუმატე, ბურთები, ფორმა. პირველი გუნდიც კი თბილისში თამაშობს და ვარჯიშობს, რადგან მოედანი არ არის ბოლნისში და სადაც ვთამაშობდით, იქ ახლა ყოველ კვირას რაგბის თამაშები იმართება, არაფრად აღარ ვარგა. თბილისში, „მერანის“ სტადიონზე ვვარჯიშობთ. იქ, სადაც რაგბი იმართება, შეუძლებელია თამაში, თანაც ტექნიკაც არ არსებობს, რომ მოედანი გაასწოროს.

**- გამოდის, რომ ის მოედანი დაიკარგა ფეხბურთისთვის?**

- კიდევ ერთხელ და მერამდენეჯერ დაგვპირდა უკვე ბოლნისის მუნიციპალიტეტი, რომ სტადიონის რეაბილიტაციისთვის მილიონ 60 ათასი ლარია ჩადებული. ტენდერი იყო გამოცხადებული და მოიგო ერთ-ერთმა კომპანიამ, რომლის შესახებაც მე არაფერი ვიცი. ბუნებრივი საფარი უნდა დაიგოს, ასე გვეუბნებიან, როგორ ეყოფა ამ ყველაფერს, არ ვიცი. დაპირებაა, რომ ახალ სეზონს ახალი მოედნით დავიწყებთ.

**- რა უჯდება ბოლნისის „სიონს“ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის ქირაობა?**

- გააჩნია. არის თამაშები, რომ 5 ათას ლარსს ვიხდით, მაგრამ ყოველთვის „ლოკომოტივზე“ არ გვიწევს თამაშების ჩატარება. გორსაც ვქირაობთ და ახლა „დინამოს“ ქირაობა მოგვიწევს, რადგან „მესხზე“ ეროვნული ნაკრები თამაშობს, გორში - ახალგაზრდული. სადაც მინდორი რჩება, იქ მივდივართ. როდესაც მოედანი კერძო გუნდისაა, იმ ფასს დაადებს, რაც მოუნდება. ფასი, საშუალოდ, 3 ათასიდან 5 ათას ლარამდე მერყეობს.

**- ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ეროვნულ ჩემპიონატში საპრიზო ფონდი გაუქმდა და 2 მილიონ 400 ათასი ლარი თანაბრად, (200 ათასი ლარი) 12-ივე კლუბს გადაუნაწილდება. ხომ არ დაუკარგეს ამით გუნდებს მოტივაცია, რომ ჩემპიონობისთვის იბრძოლონ, რამდენად სწორი გადაწყვეტილება იყო?**

- მინდა სწორად გაგვიგოს მკითხველმა, არ არის სწორი, მაგრამ მინდა მადლობა გადავუხადო თუნდაც „დინამოს“ ხელმძღვანელობას, საჩხერეს, რომლებსაც ფინანსური პრობლემები არ აქვთ და ჩვენნაირ გუნდებს კი ფინანსური სტრუქტურა არ აქვს აწყობილი და ყველაფერში ფულს ვიხდით. აქედან გამომდინარე, მოხდა ამ სეზონში, გამონაკლისის სახით, ისინი შევიდნენ ჩვენს მდგომარეობაში. არასწორია, მაგრამ იმისთვის გაკეთდა, რომ ჩემპიონატი არ ჩაიშალოს, „ვიტ ჯორჯია“ არ გაჩერდეს და ა.შ.

**- კი, მაგრამ რამდენ ხანს უნდა ეყოს ეს ფული გუნდებს?**

- მაქსიმუმ ერთი-ორი თვე გეყოს. 100-ზე ნაკლები სახელფასო ფონდი ვერ გექნება. 70 ათასი იმ შემთხვევაში, თუკი ფეხბურთელებს 500 ლარს უხდი ხელფასს. ძალიან კარგ პროექტს ჩაეყარა საფუძველი და ეს უშუალოდ, პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის დამსახურებაა. ამ ნაბიჯით, ქართული ფეხბურთი გადარჩება, თუკი მილიონ-ნახევარი ექნება ყველა კლუბს და თითო ქულაზე 10 ათას ლარს მიიღებს. ახლა ჩემს გუნდს 30 ქულა აქვს, დარჩენილ 13 თამაშში როგორ ვერ ავიღებ 10 ქულას, ანუ გამოდის, რომ 400 000 ლარს მიიღებს „სიონი“. კარგი პრინციპია და მივესალმები.

**- სახელმწიფოსგან, კერძო მუნიციპალიტეტების მიერ საფეხბურთო კლუბებისთვის საკმაოდ სოლიდური თანხები აქვს დახარჯული. ამ თანხების უმეტესობა ე.წ. „პადიომნებში“ იხარჯება, ხომ არ არის მოსასპობი ეს სისტემა საერთოდ?**

- საქართველოში სიტყვა „პადიომნი“ არასწორად არის გაშიფრული, ვამახინჯებთ. ვთქვათ, უკრაინაში, „სიმფერეპოლში“ ვთამაშობ და ნლიური ხელფასი 300 ათასი დოლარი მაქვს, რაც თვეში 25 ათასი დოლარი ხელფასია. შევდივარ კლუბის პრეზიდენტთან წინადადებით, რომ 150 ათასი წინასწარ მომცეს და დანარჩენი გადამინაწილოს. ესაა „პადიომნი“. ჩვენთან ფეხბურთელები მოდიან, ცალკე ხელფასს ითხოვენ, ცალკე „პადიომნის“, რომ მოვსპოთ, რას წავიწყდებით - ფეხბურთელების უმეტესობას აქვს ერთი პრობლემა და ეს არის ბანკის ვალი, ოჯახში პრობლემა. თავზე არავის გადასდის. აქედან გამომდინარე, მოდის ფეხბურთელი და იხვეწება, რომ 2 ათასლარიანი ხელფასის პირობებში, დამატებით 5 ათასი ლარი მივცეთ „პადიომნი“. ეს თანხა სასაცილოა, არ მისცემ და სხვასთან წავა, იმიტომ, რომ ის იხდის. გინდა, რომ შენმა მოთამაშემ არ იფიქროს იმაზე, თუ როგორ წაართმეს ბანკი სახლს და სრულად კონცენტრირდეს მოედანზე. ელემენტარულია და ადამიანს უნდა გაუმართო ხელი.

**- საერთოდ, ხელფასებზე საუბარი არაეთიკურია, მაგრამ საინტერესოა, რამდენია საშუალო ხელფასი „სიონში?**

- დასამალი არ მაქვს. ყველაზე მაღალი ხელფასი ბოლნისის „სიონში“ 2 ათას 500 ლარია, მხოლოდ ერთ ფეხბურთელს აქვს 3 ათასი.

**- რა არის წელს „სიონის“ მიზანი და თუკი გუნდი ევროსაგზურს მოიპოვებს, იქნება თუ არა მზად იმისთვის, რომ ღირსეულად გამოვიდეს ევროსარბიელზე?**

-ამ კითხვაზე პასუხი რომ გაგცეთ, ცოტა შორს უნდა წავიდე. სწორედ ამიტომ წავიყვანე ჩემი ფეხბურთელები თურქეთში შეკრებაზე და ამიტომ დავგეგმე კარგი სპარინგ პარტნიორები, რომ მენახებინა, თუ რისთვის ვიყავით ანტალიაში. ბევრ მწვრთნელს სჩვევია, შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ შეკრებაზე დაბალი დონის გუნდებთან ურჩევნიათ თამაში. ჩვენმა შეკრებამ გამოიღო კიდეც შედეგი, „ჩიხურასთან“ ფრედ ვითამაშეთ, „დინამოს“ მოვუგეთ. ფეხბურთელი ვარ და ვიცი, რომელ ეტაპზე, რა გაკეთდეს. შევარჩევდი მონინააღმდეგეებს ევროპის ქვეყნების მეორე ლიგებიდან, მოვიგებდი დიდი ანგარიშით, ჩამოვალ აქ და რეალობას შევეჯახები, ევროსარბიელზე წავაგებ 5:0. ავარჩიეთ ბელარუსის „ბატე“, რომელიც ქვეყნის წამყვანი გუნდია, „ბაიერნს“ მოუგო და სისტემატურად შედის ჯგუფურ ეტაპზე; უკრაინული „სიმფეროპოლი“, რომელსაც ძალიან კარგი ფიზიკური მომზადება აქვს, ავარჩიე უნგრული „გიორ ეტო“, რომელიც თავის ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და კარგი ინფრასტრუქტურა და დიდი სკოლა აქვს; ასევე უნგრული „ემტეკა“, რომელსაც კარგი თაობა ჰყავს. წავაგეთ თამაშები, მაგრამ ბიჭებს დავანახე, რომ არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ საქართველოთი, მოვუგოთ „დინამოს“, „ზუგდიდს“ და ამით დავკმაყოფილდეთ. ევროპაში სხვა სისწრაფეებია და დაახლოებით მაინც უნდა შეეჩვიონ სიტუაციას, ვიცოდეთ, რა დაბრკოლებები იქნება, თუკი ევროპაზე გავალთ.

**- „სიონი“ ერთ-ერთი იმ გუნდთაგანია, „ჩიხურასთან“ ერთად, რომელმაც ძირითადი შემადგენლობის შენარჩუნება მოახერხა. არის თუ არა წარმატების გარანტი სტაბილური შემადგენლობა?**

- რა თქმა უნდა. ეს ჩემი მოგონილი არ არის, უდიდესი მწვრთნელების მონაყოლი და დაწერილია. რაც უფრო დიდხანს არის ერთი და იგივე ჯგუფი მოთამაშეების გუნდში, უსიტყვოდ გესმით ერთმანეთის, შეთამაშების ფაქტორიც უდიდეს როლს თამაშობს. შევინარჩუნე გუნდი და „დინამოსთან“ მოგება სწორედ ერთსულოვნების ხარჯზე მოხდა. „დინამოს“ კარგი შემადგენლობა ჰყავს, მაგრამ გუნდიდან 12 კაცი წავიდა და 12 ახალი მიიყვანეს, და ვფიქრობ, შეთამაშება აკლიათ, თორემ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია პირობებითა და ინფრასტრუქტურით საქართველოში. გავიხსენებთ, წელიწად-ნახევრის წინ დიდი დამცირება გადავიტანე, როდესაც დაიწყეს ლაპარაკი, რომ ბურდულმა ბოლნისში ძმაკაცები და მეგობრები მიიყვანა.

**- ჩემი შემდეგი შეკითხვა სწორედ ამას ეხება - ის ფეხბურთელები, რომლებიც დღეს ბოლნისში თამაშობენ, არის თუ არა სწორედ იმის დამსახურება, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი ლადო ბურდულია?**

- პირდაპირ ვამბობ, რომ - კი!. ვიცოდი, რომ აფციაური გამოშვებული იყო და იმის გამო დაიწუნეს, რომ ასაკი არ უწყობს ხელს. 33 წლის ვარ და ვინატრებდი ზუსტად ასეთივე მწვრთნელს. როდესაც აზერბაიჯანიდან საქართველოში დავბრუნდი, ძალიან ცუდად მომექცნენ გორში. მთავრობის წევრები წყვეტდნენ, ამიყვანდა თუ არა გუნდში მწვრთნელი, მიხვდებიან თქვენი გაზეთის მეშვეობით, ვისზეც მაქვს საუბარი. დამიბარა მწვრთნელმა, მითხრა, ლადო, მინდა, რომ გვერდში დაგიდგე, მაგრამ საშუალებას არ მაძლევენო. 31 წლის ბიჭს ბუცები კედელზე დამაკიდებინეს. ზუსტად ეს მიდგომა მაქვს, რომ 32-33 წლის ფეხბურთელებმა ფეხბურთს თავი არ დაანებონ. გოგობერიშვილი „დინამოსთან“ თამაშზე 37 წლის გახდა, თუ ვინმე მეტყვის, რომ საქართველოში ის ერთ-ერთი საუკეთესო არაა, საპირისპიროს დავუმტკიცებ. თუკი იტალიაში მალდინი 40 ნლამდე თამაშობდა, აქ რატომ არ შეიძლება ითამაშოს გოგობერიშვილმა?ქართველ მწვრთნელებს არასწორი ტენდენცია აქვთ. დავუდექი ამ ხალხს გვერდში და ისინი მიდგანან მე, წაუგებელ სერიას სხვაგვარად ვერ შევძლებდით.

**- „სიონმა“ სარელაგაციო ზონიდან ცხრილის ზედა ნაწილში შეძლო გადანაცვლება. განაპირობებს თუ არა გუნდის წარმატებას ერთიანობა და გუნდურობა, ის, რაც დღეს საქართველოში ბევრ გუნდს არ ეტყობა?**

- ყველა თამაშის და არამარტო თამაშის წინ, იცით, როგორ თემებზე გვაქვს ლაპარაკი? - რომ ჩვენ ერთი დიდი ოჯახი გვაქვს, შუაში თეთრი პური დევს და მის ნაწილს ვგლეჯთ ყველა, მიგვაქვს ოჯახებში, რათა ისინი გამოვკვებოთ. თუ ვინმე ამ პურს დააბინძურებს, უნდა მოიშორო. ერთმანეთთან თბილი დამოკიდებულება გვაქვს და „დინამოსთან“ მატჩი ამის ერთ-ერთი დასტური იყო. ბოდიშს მოვიხდი და „შე ჩემათი“ არ მივმართავთ ერთმანეთს, ამაზე ვლაპარაკობთ და ვთქვით, რომ მის ნაცვლად „შენ გენაცვალეთი“ ვიურთიერთოთ, ერმანეთის გასაჭირი ვიკითხოთ.

**- ამას სერიოზულად ამბობთ?**

- რა თქმა უნდა. „დინამოსთან“ თამაშის წინ, გასახდელში 40-წუთიანი თამაშის წინა დარიგება გვქონდა, აქედან 15 წუთი დაეთმო მხოლოდ ტაქტიკაზე ლაპარაკს, დანარჩენი იყო - მოდით, ერთი ოჯახი რომ ვართ, ყველას დავანახოთ, არავის დავაბინძურებინოთ ჩვენი თეთრი პური. ამაზე ფიქრობენ ის ადამიანებიც, რომლებიც 11-კაციან განაცხადში ვერ ხვდებიან. შეიძლება ამ დროს დაიბოღმო, მეც ვყოფილვარ ფეხბურთელი და ვიცი, ამიტომ ვერ გვიქნეს ვერაფერი. ჩვენი გუნდის პლუსი ის არის, რომ ყველა ძალიან გამოცდილია და სწორად იგებს ყველაფერს. მათ ბოლო შანსი აქვთ და ებღაუჭებიან ამას, რამდენიმე ახალგაზრდა კი, მათ მაგალითზე სწავლობს.

**- ის ფეხბურთელები, რომლებიც ახლა გუნდში არიან, უმეტესობა შენი თანატოლია, მათთან ერთად გითამაშია კიდეც. როგორ იცავს ზღვარს მწვრთნელი ლადო ბურდული მოთამაშეებთან მწვრთნელისა და მეგობრობის ბარიერს?**

- ამ გუნდით, უმოკლეს ხანში, ბოლო

**„არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ საქართველოთი, მოვუგოთ „დინამოს“, „ზუგდიდს“ და ამით დავკმაყოფილდეთ. ევროპაში სხვა სისწრაფეებია და დაახლოებით მაინც უნდა შეეჩვიონ სიტუაციას, ვიცოდეთ, რა დაბრკოლებები იქნება, თუკი ევროპაზე გავალთ“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რი მწვრთნელის პოსტს დატოვებს

**ლადო ბურდული:**

## „ძალიან ცუდად მომექცნენ გორში - მთავრობის ნევრები წყვეტდნენ, ამიყვანდა თუ არა გუნდში მწვრთნელი“

**„ივო შუშაკთან მქონდა მოლაპარაკება. ის უმაღლესი დონის მწვრთნელია“**

**„მწვრთნელი ლადო ბურდულის ყველაზე დიდი ოცნება იქნებოდა, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელობა. თუკი საკლუბოს ავირჩევ, ეს „დინამო თბილისია“**

**„დინამოსთან“ თუნდაც რომ წავაგო თამაში, გასაკვირი იქნება? აქამდე როდის მოუგია ეროვნულ სტადიონზე ბოლნისს „დინამოსთვის“? - არასოდეს“**

**„ჩვენი გუნდის პლუსი ის არის, რომ ყველა ძალიან გამოცდილია და სწორად იგებს ყველაფერს. მათ ბოლო შანსი აქვთ და ებღაუჭებიან ამას“**

EXCLUSIVE

ადგილიდან მეოთხე ადგილზე ამოვედით. ბედნიერი ვარ, რომ თუ ჩემს ძმაკაცებს, მოედანზე რამეს დავუყვირებ, იქიდან არავინ შემომეპასუხება. „დინამოსთან“ გამარჯვების შემდეგ, ჩვენ, არ დაგიმალავთ, გამარჯვება აღვნიშნეთ. იქ, მე მათი მეგობარი ვიყავი და ბარიერი არ ყოფილა, მაგრამ მოედანზე მე მწვრთნელი ვარ და ცეზურა რომ ვიხმარო, „თავზე გადავუარო“ ხმას არავინ ამოიღებს. ჩემს ძმაკაცებს ესმით და მიხარია, ასეთი მეგობრები რომ მყავს.

**- სანამ მწვრთნელი გახდებოდი, გუნდის გენერალური დირექტორი იყავი. რამდენად დაგეგმილად მოხდა მწვრთნელის რანგში გადასვლა და როგორ უთავსებ ამ ორ საქმეს ერთმანეთს?**

- რთულია. გიორგი კიკნაძესთან („სიონის“ ყოფილი მწვრთნელი მ.კ.) კარგი ურთიერთობა მაქვს, ის კარგი სპეციალისტია, მაგრამ წარუმატებელი პერიოდი იყო და რაღაც უნდა შეგვეცვალა. დავსხედით, საღ გონებაზე გადავწყვიტეთ, რომ დროებით ერთმანეთს დავმშვიდობებოდით. რადგან საბიუჯეტო გუნდი ვართ, ახალი მწვრთნელის ხელფასი ჩასმული არ გვქონდა. უხელფასოდ კი ვერავის მოიყვან. ისედაც სასაცილო ხელფასები აქვთ ჩვენთან მწვრთნელებს. პირველად თქვენთან ვამბობ, არასოდეს მითქვამს, მთავარი მწვრთნელობა შევითავსე, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე. უარი ვთქვი, მთავარი მწვრთნელის ხელფასზე. არც ჩემი ხელფასია დასამალი - 2 ათასი ლარი. გენერალურ დირექტორს კლუბში აქვს ეს ხელფასი, 2 ათას 500 ლარი მქონდა და ჩამოვიდა ამაზე. რაც შეეხება მწვრთნელობას, ლიცენზირებული სპეციალისტი ვარ, მაქვს, როგორც B, ისე A კატეგორიის ლიცენზია, ყველა ეტაპი გავიარე, პრივილეგიების გარეშე. PROლიცენზიის (ყველაზე მაღალი საფეხური სამწვრთნელო კატეგორიაში მ.კ.) გავლა მინდოდა, მაგრამ ლიცენზიების აღებაში, შუალედი 1 წელი უნდა იყოს. რაც შეეხება კითხვას, როგორ ვართმევ თავს, არაჩვეულებრივი სტაფი მყავს, კლუბის აღმასრულებელი დირექტორი, ნუგზარ ლომთაძე, სპორტული დირექტორი ზვიად სტურუა (ეროვნული ნაკრების ყოფილი მეკარე; მ.კ) მწვრთნელები - დავით ასლანაძე, ჯონი ჯაგიდისი, გიორგი ლოლაძე და არმაზ ჯელაძე. ეს ხალხი დაუღალავად მუშაობს და მიმსუბუქებს ტვირთს, მიადვილებენ საქმეს.

**„ნურავინ მიწყენს, მაგრამ უცხოელი რომ საქართველოში ასეთ დონეზე ჩამოხვალ, ე.ი. შენს ქვეყანაში არაფერს წარმოადგენ“**

ლის საკითხი თუ დადებითად გადაწყდება, შემდეგ ახალ მწვრთნელს წარვადგენთ.

**- მთავარი მწვრთნელის პოსტის დატოვებას აპირებ?**

- კი. ასე მქონდა დაგეგმილი. მინდა, ისევ დავუბრუნდე გენერალურ დირექტორობას. ვითავსებდი და სხვას გადავაბარებ. ბევრი რამეა მისახედი და მინდა გუნდს ყურადღება მივაქციო. ახალგაზრდული გუნდები მოდიან და დასალაგებელია ყველაფერი. ბოლნისის გამგეობას უნდა დაველაპარაკო და ერთხელ და სამუდამოდ ვკითხო, რა იქნება. დღეს რაც ხდება, ეს მხოლოდ ქართული ფეხბურთის გადარჩენის მცდელობაა. თუკი მთავრობის პროექტი განხორციელებას დაიწყებს, გონივრული გეგმა უნდა გაიწეროს, სწორი მიმართულება მიეცეს. ამას რომ მთავრობა მომცემს, ბოლნისის გამგეობას სტადიონს მოვთხოვ, შემდეგ წელს, სავარჯიშო მოედანს, ბაზას და ამას ლადო ბურდული არ მოიკიდებს ზურგზე და სახლში არ წაიღებს. ბოლნისს დარჩება და ბავშვებს აღზრდიან. ორ ფრონტზე ვერ ვიბრძოლებ, ერთი გზა უნდა ავირჩიო.

**- რადგან წასვლა გაქვს გადაწყვეტილი, შემცვლელის ძიებაც გექნება დაწყებული, ვინ იქნება შენი შემცვლელი?**

- არის რამდენივე ვერსია. ნუ დამაჩქარებთ თქმას. კარგად მინდა, რომ დასრულდეს. თუნდაც გუნდის მწვრთნელები რომ ავიღოთ, მათ იციან შიდა სამზარეულო, ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ ფეხბურთელებს. მათგან რომელიმეზე შეიძლება შევჩერდეთ. ვგეგმავდი უცხოელის ჩამოყვანას. მეტსაც გეტყვით, ივო შუშაკთან (ხორვატი სპეციალისტი; მ.კ) მქონდა მოლაპარაკება. ის უმაღლესი დონის მწვრთნელია, მის ხელში ჰქონდა ყველაზე კარგი შედეგი თბილისის „დინამოსა“ და ეროვნულ ნაკრებს. მას კარგად ესმის ჩვენი მენტალიტეტის და ის თანახმა იყო, აქ ჩამოსულიყო. სამწუხაროდ, ფინანსების გამო ეს ვერ მოხერხდა, მაგრამ ის ნებისმიერ დროს მზადაა, საქართველოში დაბრუნდეს და იმუშაოს.

**- მწვრთნელი ლადო ბურდული რომელ გუნდში ისურვებდა მუშაობას?**

- მწვრთნელი ლადო ბურდულის ყველაზე დიდი ოცნება იქნებოდა, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელობა. თუკი საკლუბოს ავირჩევ, ეს „დინამო თბილისია“. „დინამოსთან“ მოგების შემდეგ, პრეს-კონფერენციაზე აღვნიშნე, რომ მიუხედავად იმისა, რომ მათ მოვუგე, მაინც ვარ ამ გუნდის გულშემატკივარი. ბევრი წელი მაქვს გატარებული „დინამოში“ და იმ პერიოდში, როცა ყველაზე მეტად უჭირდა, ამან ჩვენ ზურგზე გადაიარა. ახლა „სიონის“ გულშემატკივარი ვარ და ამის შემდეგ „დინამოსი“, დასამალი არაფერია.

**- „დინამოსთან“ თამაშის წინ, ბევრი ხმა იყო, რომ ბოლნისელები ამ მატჩს მოიგებდნენ, რადგან თქვენ ექვსეულში შესვლა გჭირდებათ, სანაცვლოდ კი, ზედა ექვსეულში ორივე მატჩს დაუთმობ „დინამოს“. რას იტყვი ამ ხმებზე და ხომ არ მართებს „სიონს“ ახლა უფრო მეტი კონცენტრაციით და მოტივაციით თამაში „დინამოსთან“?**

- საქართველო ჭორებზეა აგებული, სხვის ცხოვრებაში თუ არ ჩავყავით ცხვირი, ისე ვერ მოვისვენებთ. იმის მაგივრად, რომ ჩვენ გავაკეთოთ რამე, სხვისგან ვითხოვთ. „დინამოსთან“ თუნდაც რომ წავაგო თამაში, გასაკვირი იქნება? აქამდე როდის მოუგია ეროვნულ სტადიონზე ბოლნისს „დინამოსთვის“? - არასოდეს. ფსიქოლოგიური მომენტი იყო. მოედანზე რომ გავედი, ჩემს მწვრთნელებს ვუთხარი, რამხელაა ეს დალოცვილი-მეთქი. ეს სტადიონი ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ვიფიქრე, რა გაძლებს აქ 90 წუთი-მეთქი. რა გგონიათ, მე არ ვნერვიულობ? მაგრამ მშიშრები არ ვართ, ნერვიულობაში თამაშის წაგებას, სჯობს, მოიტყუო, მიზეზი მოიგონო და საერთოდ არ გახვიდე თამაშზე.

**- რა გრძნობაა „დინამოს“ დამარცხება „ბორის პაიჭაძეზე“?**

- როგორი გრძნობაა იცით? - პირველად, რომ დავით ყიფიანმა „დინამოს“ მოედანზე გამიყვანა, 17 წლის ვიყავი, ყიფიანი იყო მაშინ მთავარი მწვრთნელი, ეს იყო ჩემი პირველი ნაბიჯი და როცა მისსავე მოედანზე ეთამაშები ასეთ აბბიციურ გუნდს, ბედნიერი ხარ. თამაშის შემდეგ პრესკონფერენციაზე რომ შევედი, ნუ გამკიცხავენ, მიხაროდა და არ მინდოდა, ძალიან შემტყობოდა. იტყოდნენ, აი, თავში აუვარდა. მსიამოვნებდა - როგორია პატარა ბიუჯეტით ასეთ გუნდს რომ მოუგებ.

**- აუცილებლად მინდა გკითხო ჩისკოს საქციელზე. ფეხბურთელს, რომელსაც პრიმერადივიონში აქვს ნათამაშები, როგორ შეიძლებოდა შეშლოდა და მისივე წაქცევის გამო გადაგდებული ბურთი თქვენს კარში შეეგორებინა. მისი ქცევა პროფესიონალური იყო?**

- მარტივ პასუხს გაგცემთ. ხომ თამაშობდა „ვალენსიაში“, რომ ყოფილიყო „ვალენსია“ „რეალის“ წინააღმდეგ, მიუტანდა ბურთს კასილასს, ბოდიშს მოუხდიდა და წამოვიდოდა, მაგრამ ჩისკო რომ არის საქართველოში, იმიტომ მოიქცა ასე. ასე ჩავთვალე იმ მომენტში, შეიძლება კაცს უცებ სულმა წაგძლიოს და შემდეგ ინანო, მაგრამ გატანილი გოლის შემდეგაც ამტკიცებდა, რომ ის მართალი იყო.

**- მან გამიზნულად გაიტანა ეს გოლი?**

- ეს იყო გააზრებულად კარში დარტყმული. დანარჩენ ფეხბურთელებსა და მწვრთნელს მინდა, მადლობა გადავუხადო, მათ გამოიჩინეს კაცობა და დაიცვეს FAIR PLAY-ს პრინციპი. ჩისკო როდესაც დაიმტვრა, ბურთს კი არ გადავაგდებდი, ვთხოვდი ჩემს ფეხბურთელებს, კოჭში ჩაერტყათ და საერთოდ გაასვენებდნენ მოედნიდან, ამ დავალების მიცემა შემეძლო, მაგრამ არ გამიკეთებია.

**- ზოგადად, ჩაწყობილი თამაშებზე მინდა გკითხო - როგორ უნდა ვებრძოლოთ და აღმოვფხვრათ ეს?**

- ყველაზე კარგი გადაწყვეტილებაა, რაც ახლა მოიფიქრეს - ქულა ფული ღირდეს. შენ გუნდს თუ ქულაზე ათი ათასი ლარი ექნება, სამზე უკვე 30 ათასი გამოგდის, 30-ზე კი - 300 ათასი. რა უნდა შესთავაზოს ფეხბურთელს სხვამ, რომ ამას დათანხმდეს, მაშინ 50 და 100 ათასები უნდა შესთავაზონ. გარიგებული თამაშების გამო ნახევარი იტალია დაიჭირეს, ვერ აღმოფხვრავ, მაგრამ ეს წინ გადადგმული ნაბიჯია. აუცილებელია მსაჯების გაკონტროლება. ვერ დავიჯერებ, რომ პრეზიდენტებმა იციან და ფეხბურთელებმა - არა. ეს პრინციპი რომ იქნება, ფეხბურთელს პრემიალური დაინტერესება, იმუშავებს ეს.

**- საქართველოში დიდი ხნის შემდეგ დაბრუნდი, ჯერ როგორც მოთამაშე, ახლა უკვე მწვრთნელი ხარ. ეს მცირე მონაკვეთიც რომ ავიღოთ შედარებისთვის, დაინია დონემ?**

- რომ არ მოგატყუოთ - დაეცა. ერთადერთი, რის დონემაც მოიმატა, ინფრასტრუქტურაა. სტადიონები, გასახდელები გვაქვს. გაგახსენებთ, ჩვენ დროს სად ვთამაშობდით, „დინამო“ რომ „დინამო“ იყო, ისიც კი არ ვარგოდა. ახლა „დინამო არენაა“, გორში, მცხეთაში, რუსთავში, ზესტაფონში, ქუთაისში არაჩვეულებრივი სტადიონებია, მაგრამ დონე დაეცა, წმინდა საფეხბურთო კუთხით. თუკი საფეხბურთო აკადემიები არ იარსებებს, თაობა არ წამოვა, დონე ვერ მოიმატებს.

**- ის ლეგიონერები, რომლებიც დღეს საქართველოში თამაშობენ, აღემატებიან ქართველ მოთამაშეებს კლასით?**

- პირადად, მომხრე ვარ, რომ მეტმა ქართველმა ითამაშოს და ლეგიონერები იყვნენ ცოტანი. ნურავინ მიწყენს, მაგრამ უცხოელი, რომ საქართველოში ასეთ დონეზე ჩამოხვალ, ე.ი. შენს ქვეყანაში არაფერს წარმოადგენ, არ გაქვს მაღალი დონე. „სიონს“ სამი ლეგიონერი ჰყავდა და აგიხსნით რატომ - მათ პოზიციაზე საქართველოში სხვა ვერავინ ვნახე. ყველა გუნდს 3-4 ფეხბურთელი ჰყავს ერთ ადგილზე, მას შეუძლია, გადაუხადოს ფული და სკამზე დასვას, შეინახოს. ჩამოვიყვანე პოლონელი ჰაიდუჩიკი, რომელსაც 1 500 დოლარს ვუხდიდი, მის პოზიციაზე ჯანელიძე რომ მყოლოდა, არ ჩამოვიყვანდი. აქ, გუნდებს ურჩევნიათ, სკამზე დასვას, ვიდრე შენ მოგცეს. ან გაანათხოვრებს, ოღონდ იმ პრინციპით, რომ მის წინააღმდეგ არ ითამაშებს, როგორც ამას „დინამო“ აკეთებს. თუ შენი გაშვებული ფეხბურთელის გეშინია, მაშინ რაღატომ უშვებ, რატომ ღუპავ?

**- რამდენი ხანი აპირებ ბოლნისში დარჩენას და რა გეგმები გაქვს?**

- ივნისის ბოლომდე მაქვს კონტრაქტი გუნდთან. სეზონის დასრულების შემდეგ მუნიციპალიტეტი შეაფასებს ჩემს მუშაობას და აქედან გამომდინარე გამოჩნდება, გამიგრძელებენ თუ არა კონტრაქტს. ისე, შემოთავაზებებიც მაქვს.

**- რომელ გუნდებზეა საუბარი?**

- საქართველოზეა ლაპარაკი. ორ გუნდზე. ალბათ, სხვებმაც დაინახეს რაღაც ჩემში. ბევრს არ ვილაპარაკებ, დამირეკეს, თბილად მომიკითხეს და შემომთავაზეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვის ევალება თბილისის მიწისქვეშა გადასასვლელების მოწესრიგება

**„მიწისქვეშა გადასასვლელი კი არა, ნაგვის ბუდეა. ათასი უბედურება ხდება. ამ მიწისქვეშა გადასასვლელში ადამიანი კი არა, ეშმაკიც მოიმტვრევს კისერს“**

თეონა ბოგვერაძე

**ანტისანიტარია, სიბნელე, გუბეები, არასასიამოვნო სუნი თბილისის ბევრი მიწისქვეშა გადასასვლელის მოუგვარებელი პრობლემაა. სწორედ ამიტომ უამრავი ადამიანი მიწისქვეშა გადასასვლელებით ვერ სარგებლობს და ქუჩას უადგილო ადგილას კვეთს, რაც თავისთავად ავარიული შემთხვევების მიზეზი ხდება.**

„20 წელია, ამ ქუჩაზე ვცხოვრობ და რაც თავი მახსოვს, სულ ასე მოუვლელია ეს მიწისქვეშა გადასასვლელი. ჩხუბია თუ აყალამაყალი, ყველაფერი აქ ხდება. მოფარებული ადგილია და აქ იკრიბებიან ხოლმე. მოფარებული ადგილი რომ არის, სწორედ ამიტომ საპირფარეშოდაც არის ქცეული. საშინელი მდგომარეობაა და პატრონიც არ გამოუჩნდა, რომ მოაწესრიგონ“. – აცხადებს ჩვენთან საუბარში კოსტავას ქუჩის მცხოვრები 56 წლის ქალბატონი ლია.

**ვერიკო, 20 წლის სტუდენტი, კოსტავას ქუჩის მცხოვრები:**

**– ვერიკო, რამდენად ხშირად სარგებლობ მიწისქვეშა გადასასვლელით. კერძოდ, გმირთა მოედანზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელით?**

– გააჩნია მიწისქვეშა გადასასვლელს. მაგ.: მეტრო „თავისუფლებასთან“ არსებული მიწისქვეშა გადასასვლელით ხშირად ვსარგებლობ. მოწესრიგებულია, ბევრი მაღაზიაა და ხალხი დადის. გმირთა მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელში კი არასოდეს ჩავდივარ, რადგან აქ საშინელი სუნია.

**– გმირთა მოედანზე გამუდმებით დიდი მოძრაობაა და აქ გზის ყოველი გადაკვეთისას საფრთხეს რომ უქმნი საკუთარ სიცოცხლეს, ამაზე არ დაფიქრებულხარ?**

– ვიცი, მაგრამ რა ვქნა, ამ მიწისქვეშა გადასასვლელშიც არ შემიძლია ჩასვლა. საშინელი სუნია, სიბნელე და საშიშიც არის. თუკი გააკეთებენ და დაალაგებენ, მერე მეც ვისარგებლებ ამ მიწისქვეშა გადასასვლელით.

სასტუმრო „რადისონთან“ მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში კი ნამდვილად საშინელი მდგომარეობაა. ირგვლივ ჯოჯოხეთური სიბნელე და სიბინძურეა გამეფებული.

„მიწისქვეშა გადასასვლელი კი არა, ნაგვის ბუდეა. ათასი უბედურება ხდება: საქმის გარჩევები, ჩხუბი, ყვირილი, ლოთობა. ამ მიწისქვეშა გადასასვლელში ადამიანი კი არა, ეშმაკიც მოიმტვრევს კისერს“, – აცხადებს „პრაიმტაიმთან“ საუბარში ახლომდებარე მაღაზიის მეპატრონე.

სახარბიელო მდგომარეობას ვერც ბარათაშვილის ხიდის გადასასვლელში ნახავთ, ტერიტორია გაუნათებელი და საშინლად დაბინძურებულია. მიუხედავად იმისა, რომ იქ არსებული საავტომობილო გზა საკმაოდ გადატვირთულია, ხალხი ამ გადასასვლელით ვერ სარგებლობს.

თბილისის მერიის განცხადებით, მიწისქვეშა გადასასვლელების ნაწილი იჯარით არის გაცემული და მათ არ ექვემდებარება.

გთავაზობთ იმ მიწისქვეშა გადასასვლელების ჩამონათვალს, რომელთა მოწესრიგება, პატრონობა მოიჯარეების ვალდებულებაა. ესენია:

1. დავით აღმაშენებლის ხეივანი, აგრარული უნივერსიტეტის მიმდებარედ;
2. დავით აღმაშენებლის ხეივანი, მუხათგვერდის ხიდის მიმდებარედ;
3. დავით აღმაშენებლის ხეივანი, სასტუმრო „უშბას“ მიმდებარედ;
4. სააკაძის მოედანი;
5. რძის კომბინატის მიმდებარედ;
6. მელაანის ქუჩა;
7. გმირთა მოედანი 1;
8. გმირთა მოედანი 2;
9. თამარ მეფის გამზირი და წინამძღვრიშვილის გადაკვეთა;
10. ჭავჭავაძის გამზ. №34;
11. ჭავჭავაძის გამზ. №41-43 (ვაკის პარკი);
12. ვ. გორგასლის ქ., წინდების ფაბრიკის მიმდებარედ;
13. თავისუფლების მოედნის კომპლექსი;
14. შს სამინისტროს წინ;
15. გორგასლის ქუჩაზე, გამგეობის მიმდებარედ;
16. მესამე მასივი №1;
17. მე-8 ლეგიონის დასახ. მიმდებარედ;
18. გორგასლის ქუჩაზე, ბალნეოლოგიურის მიმდებარედ;
19. ორბელიანის მოედანი;
20. დ. გურამიშვილის გამზ. კ/თ „საქართველოსთან“;
21. მესამე მასივი №3;
22. რკინიგზის სადგურის წინ;
23. ტერენტი გრანელის ქუჩა;
24. კონსტიტუციის ქუჩის ბოლოს;
25. ბუხაიძის ქუჩა;
26. რესპუბლიკის მოედანი, სასტუმრო „რადისონ-ივერიას“ წინ;
27. გურამიშვილის გამზ. ქარხანა „თემქის“ წინ;
28. მაიაკოვსკის ძეგლის მიმდებარედ;
29. ჯავახეთის ქ. №24, მეტრო „ვარკეთილი“;
30. რუსთაველის გამზ. №37;
31. გამსახურდიას გამზ. №9;
32. ჭავჭავაძის გამზ. №54-ის მიმდებარედ;
33. რუსთაველის გამზ., ოპერისა და ბალეტის თეატრის მიმდებარედ;
34. რუსთაველის გამზ., №1 გიმნაზიის წინ;
35. ჭავჭავაძის გამზ., ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპ. წინ;
36. ქეთევან წამებულის გამზ., მეტრო „ავლაბარის“ წინ;
37. შერვაშიძის ქუჩა;
38. მესამე მასივი №2;
39. ჭავჭავაძის გამზ., გალაკტიონის ძეგლის წინ;
40. ლეონიძის ქუჩა;
41. ჭავჭავაძის გამზირისა და ატენის ქუჩის გადაკვეთაზე;
42. კოსტავას ქუჩა, ტელევიზიის წინ;
43. ვაჟა-ფშაველას გამზირისა და ლ. ასათიანის ქუჩის გადაკვეთაზე;
44. ვაჟა-ფშაველას გამზ., რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარედ.

იჯარით გაცემული გადასასვლელები, ასე თუ ისე, მოწესრიგებულია, ხოლო ის გადასასვლელები, რომლებიც კომერციული საქმიანობისთვის არ გამოიყენება, სიბინძურის ბუდედ არის ქცეული, რომელთა მოწესრიგებასაც თბილისის მოსახლეობა მრავალი წელია ელოდება.

**„მეტრო „თავისუფლებასთან“ არსებული მიწისქვეშა გადასასვლელით ხშირად ვსარგებლობ. მოწესრიგებულია, ბევრი მაღაზიაა და ხალხი დადის. გმირთა მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელში კი არასოდეს ჩავდივარ, რადგან აქ საშინელი სუნია“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა ინტერესი დგას სავალდებულო ტექდათვალიერების უკან

**MY VIEW**
**ანა ბარბაქაძე**

**მსუბუქი ავტომობილების სავალდებულო ტექდათვალიერება მთავრობის დადგენილებით 2004 წელს დროებით გაუქმდა. მისი აღდგენა 2013 წლის 1 იანვარს უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ამ თარიღისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და კანონმდებლობა არ იყო მომზადებული, სავალდებულო ავტომობილების ტექდათვალიერების აღდგენა, მაშინდელი შსს-ს მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივითა და მთავრობის დადგენილებით გადავადდა ერთი წლით. მისი აღდგენის თარიღად 2014 წლის 1 იანვარი დასახელდა. სავალდებულო ტექნიკური დათვალიერების აღდგენამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია მოსახლეობაში. ხალხის გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ ტექდათვალიერების შედეგად მათ მანქანების გაჩერება მოუწევთ, რის გამოც ბევრს შემოსავლის წყარო გაუქრება. გადაწყვეტილების გაჟღერებისთანავე მას კოალიცია „საზოგადოებრივი ინიციტივა“ გამოეხმაურა, რომელიც პროცესს დასაწყისიდანვე უწევს მონიტორინგს და ამ დროის მანძილზე არაერთი კითხვა დაუგროვდა.**

# „ავტომობილების სავალდებულო ტექდათვალიერების აღდგენის ინიციატივის უკან, შესაძლოა კორუფციული და ბიზნესმონოპოლიური ინტერესები გამოიკვეთოს“

**ვასო ურუშაძე:** - 2013 წლის 15 მარტს შეიქმნა „საქართველოს ავტოსატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდულ ტესტირებაზე გადასვლასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი უწყებათაშორისი საბჭო. ჩვენ, კოალიცია „საზოგადოებრივი ინიციატივა“, პირველივე დღიდან ვუწევთ მონიტორინგს, როგორც აღნიშნული საბჭოს მუშაობის პროცესს, ასევე მიმდინარე მოვლენებს ავტომობილების სავალდებულო ტექდათვალიერებასთან დაკავშირებით. როგორც ჩვენთვის ცნობილია, უწყებათაშორისი საბჭო 2013 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ, 2 მაისს შეიკრიბა, სადაც საბჭოს წევრებს დაევალათ შეემუშავებინათ შესაბამისი გეგმა და სტრატეგია, თუ რა ფორმით უნდა მომხდარიყო ტექდათვალიერების აღდგენა. თუმცა ერთი წლის განმავლობაში არც ერთი გეგმა ან სტრატეგია არ გამხდარა საზოგადოებისთვის საჯარო. მეტიც, ჩვენი ინფორმაციით, 2 მაისის შემდეგ უწყებათაშორისი საბჭო არც კი შეკრებილა. კოალიცია „საზოგადოებრივი ინიციატივა“-ს 30 დეკემბერის წერილზე პასუხად შსს-ს სამინისტრომ დაგვიდასტურა, რომ საქართველოს პარლამენტმა შეიტანა ცვლილება კანონში „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“, რის საფუძველზეც ავტომობილების სავალდებულო ტექდათვალიერების აღდგენამ 2015 წლის 1 მარტამდე გადაინია.

კოალიცია და მისი წარმომადგენელი ვასო ურუშაძე, ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს იმ კრიტერიუმებსა და წინაპირობას, რის მიხედვითაც სავალდებულო ტესტირებების განმახორციელებელი კომპანია შეირჩა.

შეგახსენებთ, რომ ამა წლის 28 იანვარს, ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ, ნათია მიქელაძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდულ ტესტირებს განახორციელებს უცხოური კომპანია TUV Rheiland Group-ი.

**ვასო ურუშაძე:** - საინტერესოა რა პრინციპითა და კრიტერიუმებით მოხდა ამ კონკრეტული კომპანიის შერჩევა, როდესაც უწყებათაშორისი საბჭო 2013 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შეიკრიბა და არანაირი გეგმა ან სტრატეგია არ გამოუქვეყნებია. ასევე ქალბატონი ნათია თავის განცხადებაში გვეუბნება, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება, ყველა ავტომობილის ტექნიკური მდგომარეობა შეესაბამისობაში მოდიოდეს ევროკავშირის სტანდარტებთან, თუმცა არავინ საუბრობს კონკრეტულად რა სტანდარტებთან გვაქვს საქმე და რისთვის უნდა იყვნენ მზად ქართველი ავტომფლობელები.

დღეს საქართველოში რეგისტრირებული 900 000 ავტომობილისგან, უმრავლესობა მეორადი და ტექნიკურად გაუმართავია. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ საქართველოში დაახლოებით 70%-მდე ძველი ავტომობილია, ანუ ავტომობილები, რომლებმაც სხვა ქვეყანაში ექსპლუატაციის ვადა ამოწურეს და შემდეგ მოხდა მათი იმპორტი საქართველოში. ვინაიდან საქართველოში სოციალური ფონი არც თუ ისე სახარბიელოა, მთავრობა ძველი ავტომობილების იმპორტს ვერ აკრძალავს. თუ ამ ფაქტს გავითვალისწინებთ და აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირის მოთხოვნები საკმაოდ მკაცრია, საქართველოში არსებული ავტომობილების დაახლოებით 80% ევროპის საერთაშორისო სტანდარტებს ვერ დააკმაყოფილებს. ევროკავშირის სტანდარტებით, ავტომობილი სამასამდე კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს, რომ გაიაროს ტექნიკური დათვალიერება, თუმცა შსს-ს მომსახურეობის სააგენტოს დირექტორიმა ოთარ დანელიამ განაცხადა, რომ საქართველოში ავტომობილები მხოლოდ 50 კრიტერიუმით შემოწმდება.

**„როდესაც ავტომობილების სავალდებულო ტექდათვალიერება აღდგება, მძღოლებს მოუწევთ შეიძინონ კატალიზატორები, თუმცა ბაზარზე დეფიციტია, ხოლო ფასი 300-დან 500 ლარის ფარგლებში მერყეობს ავტომობილის მოდელის მიხედვით“**

ვასო ურუშაძის აზრით ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით მანიპულირება და ევროკავშირის მოთხოვნები რეალურად არ არის მთავარი მიზეზი ავტომობილების სავალდებულო ტექდათვალიერების აღდგენისა საქართველოში. კოალიციის და მოსახლეობის გარკვეული რაოდენობის განცხადებით ავტომობილების სავალდებულო ტექდათვალიერების შემოღება მძიმე ტვირთად დააწვებათ, სოციალურად დაბალი ფენის ავტომფლობელებს, რომელთათვისაც ავტომობილი, ხშირ შემთხვევაში, არსებობის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს.

**ვასო ურუშაძე:** - ამ 50 შემოწმების კრიტერიუმების ჩამონათვალშიც ხვდება ავტომობილის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აგრეგატი „კატალიზატორი“. როდესაც ძრავში მიმდინარეობს არასრული წვა, ძრავიდან წარმოიშობა განსაკუთრებულად მავნე ტოქსიკური აირები გამონაბოლქვის სახით, კატალიზატორი კი მდებარეობს მაყუჩის ბოლო ნაწილში, სადაც უნდა გაიაროს გამონაბოლქვმა და კატალიზატორმა უნდა მოახდინოს გამონაბოლქვის გაწმენდა განსაკუთრებით მძიმე, მომწამვლელი ტოქსიკური აირებისგან, იმ მიზნით, რომ ეს ნივთიერებები არ გამოიტყორცნოს ატმოსფეროში.

საქართველოში, ამ კუთხით, სამწუხაროდ, ძალიან სავალალო მდგომარეობაა, ავტომობილებისგან მძღოლებისა და მფლობელების უმრავლესობის მიერ კატალიზატორი ამოღებულია ხმარებიდან, რაც განაპირობა ორმა ფაქტორმა: 1. მოგეხსენებათ ძრავის მუშაობისას გამოიყოფა ენერგია, სიმძლავრე, რომელიც ხმარდება სხვადასხვა წინააღმდეგობების დაძლევას, ეს არის გადაცემათა კოლოფი, კარდანული გადაცემა და სხვა. საბოლოოდ საბურავამდე მიდის ძრავიდან გამოყოფილი 100% ენერგიის მხოლოდ დაახლოებით 40%. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ენერგიის გამომყენებელი არის სნორედ კატალიზატორი, რომელსაც ძრავიდან გამოყოფილი ენერგიის 5% ესაჭიროება, რისი მოხსნის მეშვეობითაც ვიღებთ დამატებით 5% ენერგიას, რაც ამცირებს საწვავის ხარჯს და გვაძლევს ეკონომიკურ შედეგს. 2. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი - კატალიზატორში გამოყენებულია ძვირად ღირებული ლითონი, რომელიც 1 კილოგრამი 100 ლარი ღირს, რის გამოც მძღოლები ამას ხსნიდნენ და აბარებდნენ. დღეს, როდესაც ავტომობილების სავალდებულო ტექდათვალიერება აღდგება, მძღოლებს მოუწევთ შეიძინონ კატალიზატორები, თუმცა ბაზარზე დეფიციტია, ხოლო ფასი 300-დან 500 ლარის ფარგლებში მერყეობს ავტომობილის მოდელის მიხედვით. გარდა კატალიზატორებისა, მძღოლებს მოუწევთ უპასუხონ კიდევ 49 გამოწვევას, ეს არის მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემა ABS-ი, აირბაგები, საქარე მინები და სხვა.

ეს ის საკითხია, სადაც ორი მხარე იკვეთება, ერთია სოციალურად რთული ეკონომიკური მდგომარეობა, მეორე კი ასევე რთული ეკოლოგიური მდგომარეობა ქალაქში. სწორედ ამ უკანასკნელს ემსახურება ევროკავშირის რეგულაციები. ევროპის მთელი რიგი ქვეყნები აქტიურად ფიქრობენ და ატარებენ ღონისძიებებს ქალაქებში არასასურველი გამონაბოლქვის შესამცირებლად და მათ მიერ წამოყენებული ეს მოთხოვნა საქართველოსთვის სავსებით გასაგებია. თუმცა ასევე გასაგებია იმ მძღოლების მდგომარეობა, რომლებიც ახალ ნაწილებს და მით უმეტესს ახალ ავტომანქანებს ვერ ყიდულობენ, ბევრ მათგანს კი ტექნიკურ დათვალიერებაში გადასახდელი 49 ლარიც არ ეზედმეტება. ამ უკანასკნელს სხვა უფრო რთულ სოციალურ-სახელმწიფოებრივ პრობლემებამდე მივყავართ.

სავალდებულო ტექნიკურ დათვალიერებასთან ერთად ქალაქში უკვე დიდი ხანია დადის ხმები ავტომობილების სავალდებულო დაზღვევის შემოღების შესახებ. 30 სადაზღვეო ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა, ლაშა ნიკოლაძემ განაცხადა, რომ სადაზღვეო ზედამხედველობის სამსახური მუშაობს ავტომობილების სავალდებულო დაზღვევის კანონპროექტზე, რომელიც უახლოეს მომავალში გადაეგზავნება პარლამენტს. კოალიცია „საზოგადოებრივმა ინიციატივამ“ ლაშა ნიკოლაძეს წერილობით მიმართა და მოითხოვა გასაჯაროებულიყო კანონროექტზე მომუშავე კომისიის შემადგენლობა, კანონპროექტის სავარაუდო პირველადი სახე და სხვა წვრილმანი.

ვასო ურუშაძე: - ჩვენ, როგორც დაინტერესებულმა მხარემ, მოვითხოვეთ გამჭვირვალობის მიზნით ჩავრთულიყავით კანონპროექტის შემუშავების პროცესში, რაზეც სრული იგნორი მივიღეთ. ბატონმა ლაშა ნიკოლაძემ მხოლოდ წერილობით დაგვიდასტურა, რომ ნამდვილად მიმდინარეობდა ავტომობილების სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონპროექტზე მუშაობა. ეს საკითხი დღეს არ დგას დღის წესრიგში და არ მიმდინარეობს საჯარო განხილვა ამ თემაზე, თუმცა ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არანაკლებ აქტუალური საკითხია, ვიდრე ტექდათვალიერება და არც ნაკლები ხარჯით იქნება გამორჩეული ავტომფლობელებისთვის. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ჩვენ დაგვიგროვდა ძალიან ბევრი პასუხგაუცემელი და ბუნდოვანი კითხვა.

„პრაიმტაიმი“ ავტომფლობელებსაც გაესაუბრა, ჩვენ გვინდოდა ჩაგვეტარებინა გარკვეული სახის შედარება და ტექდათვალიერების შესახებ პასუხებისთვის 2 მიზნობრივი ჯგუფი ავარჩიეთ. ერთი შედარებით ძვირადღირებული, ახალი ავტომობილების მფლობელები და მეორე უკვე „ვადაგასული“ ავტომანქანების პატრონები, რომელთაგანაც უმრავლესობისთვის ავტომობილი შემოსავლის ერთადერთი წყაროა. შედეგის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ახალი მანქანების მფლობელები არ მოელიან მათ ავტოსაშუალებებში ხარვეზების აღმოჩენას და არც ტექდათვალიერების 49 ლარის გადახდაში ხედავენ დიდ დანაკლისს, მათი გარკვეული ნაწილი საუბარში მაინც ამბობს, რომ ამით პრობლემა შეექმნება და დამატებითი, შესაძლოა იმ მომენტისათვის სასიცოცხლო ხარჯის გაწევა მოუწიოთ, მაგალითად, იმ ადამიანებს, რომლებიც ტაქსით ირჩენენ თავს. საზოგადოების ერთი ნაწილი კი ახალ პროექტს მიესალმება და თვლის, რომ სავალდებულო ტექდათვალიერება ხელს შეუწყობს კომფორტულ გადაადგილებას და ქალაქში შეამცირებს არასასურველ გამონაბოლქვს.

**„ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება, ყველა ავტომობილის ტექნიკური მდგომარეობა შეესაბამისობაში მოდიოდეს ევროკავშირის სტანდარტებთან, თუმცა არავინ საუბრობს კონკრეტულად რა სტანდარტებთან გვაქვს საქმე და რისთვის უნდა იყვნენ მზად ქართველი ავტომფლობელები“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ანორექსია, ანუ მომაკვდინებელი სილამაზე




სალი კიპაროიძე

**სილამაზე რომ მსხვერპლს მოითხოვს, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფრაზაა, სწორედ ამიტომ რა სახის მსხვერპლზე აღარ თანხმდებიან ქალები, სარკეში საკუთარი თავით ტკბობისა და მამაკაცების ყურადღების მისაპყრობად. თუ ადრე მანდილოსნები თავისი მრგვალი და ხშირად ზედმეტად ჩამრგვალებული ფიგურითაც კი იწონებდნენ ხოლმე თავს, ჩვენი დროის თანამედროვე ქალბატონების უმრავლესობას თავის მოსაწონებელ მთავარ „ატრიბუტად“ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი „ძვალი და ტყავი“ მიაჩნიათ. მიუხედავად ყველაფრისა, მსოფლიო მოდის სამყაროს ჭეშმარიტი სილამაზის არსი ჯერაც არ დაუდგენია, თუმცა ფაქტია, რომ დღეს საქმე სულ სხვაგვარადაა და რენესანსისდროინდელი ფერხორციანი ქალბატონების მსგავს მრავალ „ლედის“ ჩვენს ეპოქაში ნამდვილად აღარ უმართლებს, რადგან მსოფლიო მოდის პარამეტრები ნელ-ნელა იკლებს. თუ რამდენიმე წლის წინათ, იდეალური ქალის გარშემოწერილობის ფორმები 90/60/90 იყო, აგერ უკვე მეორე წელია, რაც ბრიტანული სამოდელო სააგენტოების ასოციაციების მიხედვით, იდეალური ფორმის პარამეტრები, საშუალოდ, ასე გამოიყურება – 86/61/86.**

ბოლო წლებში, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, საკმაოდ მომრავლდა მოდელი გოგონების ანორექსიით გარდაცვალების შემთხვევები. სწორედ ამიტომ მიიჩნევენ, რომ ზედმეტი კილოგრამების შიში უმთავრესად მხოლოდ მოდელ გოგონებს აწუხებთ, თუმცა ეს ასე არაა. ფაქტია, რომ სხვადასხვა დიეტების დაცვითა და წონაში კლების დაუოკებელი სურვილით, მოდელებთან და ჩვეულებრივ მოზარდებთან ერთად, ზრდასრული ქალბატონებიც არიან შეპყრობილნი. თუმცა მათი უმეტესობა მაინც ახალგაზრდა გოგონაა, რომლებიც დიდი მონდომებით ბაძავენ ტელევიზორიდან, სარეკლამო ბილბორდებიდან, ინტერნეტიდან და სხვადასხვა ჟურნალების პრიალა კარეკანებიდან მომზირალ, არანორმალურად გამხდარ მოდელებს. სინამდვილეში კი, რეალურისგან საკმაოდ შორსაა მათი გლუვი, გარუჯული კანი, არანაირი ცელულიტი, სხეულის იდეალური ფორმები, საოცრად ქათქათა კბილები და მბზინვარე თმა. ამის შემხედვარე მოზარდების თვითშეფასების ხარისხი საგრძნობლად იკლებს, რადგან მათი უმრავლესობა ვერ ხვდება, რომ მოდური ჟურნალის ყდაზე იდეალური ქალბატონის შესაქმნელად, როგორ მინიმუმ, რამდენიმე კვირა მუშაობდა პროფესიონალთა დიდი ჯგუფი – ვიზაჟისტი, სტილისტი და ფოტოგრაფი, რომელიც, თავის საქმიანობასთან ერთად, ფოტოშოპის უზადოდ მცოდნეა. ტელევიზიაში მყოფი ქალბატონის გარეგნობის ფასი კი ხანდახან რამდენიმეკარატიანი ბრილიანტის ფასებსაც კი უსწრებს ხოლმე. ასე რომ, საკუთარი თავის ასეთ ნამუშევრებთან შედარება არც ისე ჭკვიანურია. დაუზოგავ დიეტებს კი ზოგჯერ ყველაზე აუცილებლის, ჯანმრთელობის დაკარგვა მოსდევს. სწორად კვების გაუკუღმართების ყველაზე გავრცელებული ფორმაა ანორექსია. ესაა დაავადება, რომელიც ადამიანის მიერ საკვების შეზღუდვით ან სრულიად უარყოფით ხასიათდება, რაც დროთა განმავლობაში წონის არანორმალურ კლებას და უმეტეს შემთხვევაში სიკვდილსაც კი იწვევს. ანორექსიას ახასიათებს ავადმყოფური დამოკიდებულება სიგამხდრისადმი და საშინელი სიგამხდრის მიუხედავად ამ ფაქტის უარყოფა, რადგანაც ამ დაავადებით შეპყრობილ ადამიანებს უვითარდებათ დამახინჯებული წარმოდგენა საკუთარ სხეულზე. არარსებულ სიმსუქნესთან საბრძოლველად შემართულს კი კილოგრამი კილოგრამზე აკლდება და საბოლოოდ, ფაქტობრივად, ძვალი და ტყავი რჩება. სწორედ ამიტომ ხშირად ამ დაავადებას ნერვულ ანორექსიასაც უწოდებენ ხოლმე. პათოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია ნერვული სისტემის აშლილობა, მაგრამ ნევროპათოლოგს წონის კლების დაუძლეველი ჟინით შეპყრობილთა უმეტესობა, სამწუხაროდ, არ მიმართავს. მიზნის მისაღწევად მოზარდები თითქმის არაფერს ჭამენ, ფაქტობრივად, შიმშილობენ, იღებენ საფაღარათო და შარდმდენ აბებს და ჭამის შემდეგ ხელოვნურად იწვევენ ღებინებას. ანორექსიით შეპყრობილებს აზროვნებაც გაუკუღმართებული აქვთ და სწორედ ამიტომ მათ ხშირად ახასიათებთ ეგოიზმიც, რაც გამოიხატება იმაში, რომ აქტიურად ცდილობენ, სხვებს მაძღრად აჭამონ. რადგან იმის ყურება, თუ როგორ იმატებენ წონას მათი ახლობლები სიამოვნებას ჰგვრით. გარდა ამისა, უფუჭდებათ მეხსიერება და საგრძნობლად ეცვლებათ ხასიათი. უთხელდებათ თმა, ფრჩხილები კი მტვრევადი ხდება. ხშირია თმის გაძლიერებული ცვენაც, სამაგიეროდ სხეულის მანამდე მოშიშვლებული ადგილები თმით იფარება. კანი კი შრება და იოლად ღურჯდება.

ბოლო წლებში ამ საშინელმა დაავადებამ მსოფლიო მასშტაბით საგრძნობლად მოიმატა, რის გამოც დაიწყო კამპანია, რომელშიც მწვავე ანორექსიით დაავადებული ქალები საზოგადოებას თავიანთ არცთუ ისე სახარბიელო სხეულებს აჩვენებენ და ყვებიან საკუთარ ისტორიებს. ესაა მოწოდება იმისკენ, რომ მსგავსი შეცდომა ახალგაზრდებმა არავითარ შემთხვევაში აღარ გაიმეორონ. ერთ-ერთი მათგანია მსოფლიოში ყველაზე გამხდარი ადამიანი, ანორექსიით დაავადებული, 39 წლის ვალერია ლევიტინი, რომელიც 25 კილოგრამს იწონის. თუ ადრე ის წონას ებრძოდა, ბოლო 15 წელია, უკვე სიცოცხლისთვის იბრძვის. თავისი საშინელი გამოცდილების გამო კი მას სურს სხვები აარიდოს მსგავს შედეგს, სწორედ ამიტომ იგი საკუთარი, დღევანდელი

გარეგნობის მიუხედავად არ ერიდება ტელეეკრანებზე გამოჩენას, ინტერნეტი სავსეა მისი ფოტოებით. ამის შემხედვარე ქალბატონებს კი არა მგონია, ავადმყოფური შიმშილის სურვილი კვლავ გაუჩნდეთ.

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ანორექსია არც მანიაა და არც ცუდი ჩვევა. ესაა ფსიქიკური დაავადებაა. ამ კვებითი აშლილობის დიაგნოზის დასმა არცთუ ისე იოლია, კიდევ უფრო რთული კი მისი მკურნალობაა, რაც პირველ რიგში გაჯიუტებული ადამიანის გადარწმუნებას, ფსიქოთერაპიას გულისხმობს. ამერიკაში არსებობენ, საკუთარი „ენის“ უბადლოდ მცოდნე ადამიანები, რომლებიც ფსიქიკას მხოლოდ და მხოლოდ საუბრით ცვლიან. საქართველოში კი, დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ამ პათოლოგიას დაავადებული ადამიანები ანტიდეპრესანტების საშუალებით თავადვე უმკლავდებიან. ანტიდეპრესანტები კი არცთუ ისე სახარბიელო შედეგებს იძლევა. ასეა თუ ისე, ანორექსია საკმაოდ მძიმე დაავადებათა ნუსხაში შედის და შესაბამისად, მას კვალიფიციური მკურნალობა სჭირდება. მისი მკურნალობა საკმაოდ რთულია, უფრო რთული, ვიდრე დეპრესიის ან პანიკის შეტევების განკურნება.

მიუხედავად იმისა, რომ 1689 წელს, ექიმმა მორტონმა საჭმლის მიღებაზე ნებაყოფლობით უარის თქმა ავადმყოფობად მიიჩნია, ანორექსიის პირველი შემთხვევები ოფიციალურად მაინც XIX საუკუნეში ფიქსირდება, თუმცა ფაქტები მეტყველებს, რომ დაავადება მანამდეც არსებობდა. თავიდან მას ჯერ შიზოფრენიის გამოვლინებას უკავშირებდნენ, შემდეგ – ენდოკრინულ დაავადებებს, შემდეგ კი ისევ ცალკე ფსიქიკურ დაავადებად განიხილავდნენ. მართალია, 1988 წელს ნერვულ ანორექსიას საბოლოოდ დღემდე არსებული სახელი დაარქვეს, მაგრამ მას მანამდე ბარბის სინდრომს უწოდებდნენ. 1920 წელს კი, მაშინ როცა სილამაზის ახალი სტანდარტი შემოვიდა მოდაში – პატარა მკერდი და წვრილი თეძოები, დაავადება უკვე ექიმებისთვისაც კარგად გახდა ცნობილი. აქედან მოყოლებული მსოფლიო მოსახლეობის მოზარდების უმეტესობა დღემდე ამ დაავადებას ებრძვის. ასე რომ, ანორექსია ჩვენი დროის დაავადებებს მიეკუთვნება. ამ საუკუნის ავადმყოფობით კი, სტატისტიკის მიხედვით, მსოფლიო მოსახლეობის ქალბატონების 5% ცხოვრების რომელიმე ერთ პერიოდში მაინც იყო დაავადებული ასეთი აშლილობით. მიუხედავად იმისა, რომ ანორექსიის შესახებ დღეს უკვე ზღვა ინფორმაცია გვაქვს ტელევიზიიდან, პრესიდან თუ ინტერნეტსივრციდან, პარადოქსია, მაგრამ გოგონები მაინც მიდიან რისკზე და ირჩევენ შიმშილს – მომაკვდინებელ სილამაზეს.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „Cartier“ - LA PANTHÈRE პირველად საქართველოში

თამარ შარმიაშვილი

**„Cartier “-ს ახალი სუნამო „La Panthere“ საბედისწო ქალებისთვისაა შექმნილი. ახალი სუნამო თავისუფლების სიმბოლოა. იგი წარმოადგენს ქალს, რომელიც დამოუკიდებელი, მოხდენილი და მეამბოხეა.**

საფრანგეთში, პარიზში „Cartier“ -ს უზარმაზარ სათაო ოფისის ბოლო სართულზე „Cartier “ -ს მთავარი პარფიუმერი მატილდა ლორანი განუმეორებელ სურნელს ქმნის და მის მომხმარებელს განუმეორებელ სურნელს სთავაზობს.

კარტიეს პირველი სუნამო 1980 წელს გამოვიდა და მალევე დაიპყრო მსოფლიო. დროსთან ერთად ის ითხოვდა მუდმივ განახლებას და სწორედ ამიტომაც მატილდა ლორენმა, კარტიეს მთავარმა პარფიუმერმა, დაიწყო ფიქრი ახალ სასიამოვნო სურნელზე. ახალი სუნამო, ყვავილოვანი ციკი სურნელი, ულამაზეს ფლაკონშია მოთავსებული და მისი დახვეწილობით მნახველთა სასიამოვნო გაოცებას იწვევს. ეს არის ფლაკონი, რომელიც შიგნიდან არის დამუშავებული და პანტერას სახის ფორმა აქვს.

ახალ სუნამოს „La Panthere“ „ისი პარი“ მასპინძლობს და „La Panthere“ საქართველოში მსოფლიო პრეზენტაციამდე ორი კვირით ადრე შემოვიდა. „ისი პარი“-ს მაღაზიებში, ქართველი მომხმარებელი, მას 1 მარტიდან შეიძენს.

**ოლგა კოჩეგაროვა („კარტიეს“ წარმომადგენელი) :** „მსოფლიოში ფუნქციონირებს ხუთი პარფიუმერული სახლი, რომელსაც თავისი ექსკლუზიური ხაზი აქვს. „Cartier“ შედის ამ სახლების რიცხვში. ეს არის ნამდვილად არაჩვეულებრივი ქალის სურნელი, რომელიც ყველასთვის მიმზიდველია“.

**ხატია შამუგია („ისი პარის “საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი) :** „სიამაყით ვივსები, როდესაც ვითავისებ ამ ამბავს, რომ 15 დღით ადრე ქართველ მომხმარებელს ექნება საშუალება, მხოლოდ „ისი პარი“-ში გაეცნოს მსოფლიო სიახლეს, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია „Cartier“-ს პარფიუმერული სახლისთვის. ჩვენ ერთი წლით ადრე გვაცნობეს ამ სიახლის შესახებ, მაგრამ სუნამოს სახელზე არაფერი ვიცოდით. როდესაც პრეზენტაციაზე შევდიოდით, კონტრაქტზე მოგვაწერინეს ხელი, რომ ეს ინფორმაცია კონფიდენციალური იქნებოდა, მაგრამ სახელი მაინც არ გვითხრეს და კოდური სიტყვით იყო ცნობილი. შეხვედრაზე ცნობილი გახდა, რომ „Cartier“-ს პარფიუმერული სახლისგან იქნებოდა სიახლე. ჩვენ მათ ავუხსენით, რომ ქართველებს გვაქვს ორი მნიშვნელოვანი დღესასწაული, 3 მარტი და 8 მარტი, მათ გაითვალისწინეს ჩვენი თხოვნა და ჩვენ ვართ პირველები, ვისაც ორი კვირით ადრე გვექნება ეს სასიამოვნო სუნამო.

**- როგორ მიიღებს ახალ სუნამოს ქართველი მოხმარებელი?**

- ეს გამორჩეული არომატია, მძაფრი კონცენტრაციის პარფიუმია. მგონია, რომ ეს ბრენდი - „Cartier“ - ძალიან დიდი ფუფუნებაა. სუნამოს შეფუთვაც ძალიან საინტერესოა და ვინც იცის რა არის ძვირფასი, ის აუცილებლად სწორად მიიღებს და აღიქვამს ამ სუნამოს. ის არ არის ყოველდღიური არომატი, ძალიან ძვირფასი სურნელია, გავკადნიერდები და მას ჩემს სახელს დავარქმევ, ვიტყვი, რომ ეს არის საღამოს არომატი. ხარ გამორჩეული, ისეთივე როგორიც პანტერა, ძალიან ლამაზი, ყველა ცხოველისგან გამოირჩევა თავისი გრაციოზულობით“.

**ოთარ ქირია (ტელეწამყვანი):** „ მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალის სუნამოა, იქმნება იმისთვის, რომ მამაკაცი მიიზიდოს. ზოდიაქოთი ლომი ვარ და კატისებრთა მიმზიდველობა აშკარად აქვს. შემიძლია გითხრათ, რომ ის ნამდვილად ფრანგულია. „Cartier“ არა მხოლოდ ოდეკოლონებს, არამედ სხვა ჰიგიენურ საშუალებებსაც აწარმოებს და ეს არის ძალიან მაღალი ხარისხის პროდუქცია.“

# „შენთვის უსათაურად“- უსათაურო ლექსები და ჩანაწერები- უსარჩევო წიგნიდან

სანდრო ბარათელი

**„ადამიანებს გვზომავენ შეხედულებებით, ზომით, წონით, ქონებით, გვარიშვილობით, სოციალური და მატერიალური ყოფით, გამოთქვამენ ბევრ ვარაუდს და შესაძლებლობას. მაგრამ ვერასოდეს შეძლებენ გაგზომონ სულით, რადგან ასეთი ადამიანები შენს სულში უნდა ცხოვრობდნენ და უფლისაგან მოდიოდნენ. უფალი თავად სულია, ადამიანში დამკვიდრებული“, - ეს უსათაურო ჩანაწერი ცოტა ხნის წინ „ფეისბუქის“ უბრალო სტატუსი იყო, მერე კიდევ რამდენიმე დაემატა და ერთ პატარა კრებულში მოიყარა თავი. ყველაფერი ლექსების წერით დაიწყო. სამტრედიელი ფსიქოლოგი, ანტონ გაგუა, უკვე მეორე კრებულის ავტორია. მისი პირველი წიგნის „აკინძული გულისცემი“-ს პრეზენტაცია, გასულ წელს კინოთეატრ „ამირანში“ შედგა. რამდენიმე დღის წინ, ბახტრიონზე მდებარე „წიგნის სახლში“, ავტორმა მეგობრები მეორე კრებულის, „შენთვის უსათაუროდ“ პრეზენტაციაზე შეკრიბა.**



# ანტონ გაგუას მეორე კრებული

წინა კრებულისგან განსხვავებით, უსათაურო ლექსებმა და ჩანაწერებმა უსარჩევო წიგნში მოიყარა თავი.

**ანტონ გაგუა, პოეტი:** „უსათაურო ლექსები და ჩანაწერები ერთგვარად მკითხველის პატივისცემაა. მკითხველმა თავად დაარქვას სახელი ყველაფერს.

**- წიგნს სარჩევიც არ აქვს...**

- დიახ, არ აქვს. თუ ადამიანი გულით წვდება რაღაცას, იმ გვერდს დაიმახსოვრებს და როცა მოუნდება ნახავს. მკითხველს ბევრი საფიქრალი მივეცი.

**- ამ კრებულში შესული ლექსები და ჩანაწერები როდის დაიწერა?**

- ეს ერთი წლის შემოქმედებაა. წერა რასაც ჰქვია, დაახლოებით 2000 წელს დავინტერესდი. მე ძალიან ბევრ ადამიანს ვხვდები, ვინც ამბობს, რომ ვწერ, მაგრამ ჩემთვის ვინახავო. ვფიქრობ, რომ თუ წერ, უნდა ვიღაცას წააკითხო. თუ შენ შეგიძლია მინიმუმ ერთი ადამიანი მაინც გაახარო, რატომ უნდა დამალო? როგორც კი საშუალება მომეცა, რომ დამებეჭდა, დაუფიქრებლად, ერთ წიგნად გამოვეცი... ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი მხატვარ დავით ბაძაღუას, რომლის ნამუშევარიც ჩემი კრებულის ყდას ამშვენებს... ლექსების წერა უფრო ადრე დავიწყე, ვიდრე ჩანაწერების. ერთგვარი პასუხისმგებლობაც არის, როდესაც წერ და მკითხველს რაღაცას ანვდი, რაღაც მარაგი უნდა გქონდეს... ჩემი პოეზია არის ფრაგმენტები, სადაც ძირითადად საუბარია ადამიანის ბუნებასთან დამოკიდებულებაზე. ადამიანი, როგორც სამყაროს თანაარსი, ეს მომენტი აისახება და ჩანს. ადამიანი ხომ სამყაროს ერთ-ერთი შემადგენელი, ამ ყველაფრის თანაგანმცდელი და თანამზრახველია. აი, მაგალითად, ამ ლექსსაც მკითხველმა თავად უნდა შეურჩიოს სათაური.

***

**„გათენებამდე ვიცდიდი,**
**მზე წამომადგა სარკმელში,**
**კოცნას კოცნაში გიცვლიდი,**
**სათქმელს გიცვლიდი სათქმელში.**
**მთვარემ ლანდები არია,**
**მითვალთვალებდნენ ფლიდები.**
**წვიმს და აქ მაინც დარია,**
**მაინც გაზაფხულს გპირდები.**
**წუთებს მოვპარავ ამ ღამეს,**
**ვკარგავ, რაც რამე კარგია.**
**დაპირებებმა დამღალეს,**
**ახლა დუმილი მარგია“.**

**- ჩანაწერებს რაც შეეხება?**

- ჩანაწერები პოეზიის შემდეგ წამოვიდა. ვირტუალური სამყაროდან ქაღალდზე გადმოვიტანე სოციალურ ქსელში, „დაპოსტილი“ „სტატუსები“.

მოწვეულ სტუმრებს შორის რამდენიმე ცნობილ სახელსაც მოვკარი თვალი.

**ლაშა ღლონტი:** „ანტონი ჩემი მეგობარია. როდესაც მისი პირველი კრებული წავიკითხე, ძალიან მომეწონა. ამას გარდა, არაჩვეულებრივი პიროვნება, ჭეშმარიტი ქრისტიანი, ქართველი კაცია. ვულოცავ ახალი კრებულის გამოცემას და კიდევ არა ერთ წიგნის გამოცემას ვუსურვებ“.

**გოდერძი შარაშია, ჟურნალისტი:** „ანტონი კარგი პოეტია და სამწუხაროა, რომ მის შემოქმედებას ბევრი არ იცნობს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს თანამედროვეობაში, ანტონი ერთ-ერთი გამორჩეული პოეტია. ერთმანეთი სოციალური ქსელის მეშვეობით გავიცანით. ვკითხულობდი, მის ლექსებს, ჩანაწერებს და ძალიან მომწონდა. მერე როდესაც გადაწყვიტა, რომ პირველი კრებული გამოეცა, მთხოვა, რომ გამოცემის რედაქტორი ვყოფილიყავი, რაზეც სიამოვნებით დავთანხმდი. წარმატებები მინდა ვუსურვო“.

**მათე ტაკიძე, ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის, „მემკვიდრეობის“ დამფუძნებელი:** „დიდი ხანია ანტონთან ვმეგობრობ. შესაბამისად, დიდი ხანია ვიცნობ მის შემოქმედებას. კიდევ ერთხელ მინდა მივულოცო ახალი კრებული. ანტონი უნიჭიერესი ადამიანია და ნიჭიერებასთან ერთად, აქვს საოცარი შინაგანი ტკივილი, თავის სამშობლოს მიმართ, რაც თითოეულ ლექსში კარგად ჩანს. ასეთი პოეტების გვერდში დგომა, ალამაზებს ჩვენს სულიერებას, ცხოვრებას და თითოეული ადამიანის გაკეთილშობილებას უწყობს ხელს“.

**ზურაბ ცინცქილაძე, მსახიობი:** „ანტონს, ჩემდაგასახარად, შარშან შევხდი ქობულეთში. ძალიან მომეწონა მისი ლექსები. თვითონ კი ამბობს, პოეტი არ ვარო, მაგრამ აბა პოეტობა რა არის, თუ ანტონი პოეტი არ არის? ძალიან კარგი ლექსები აქვს, იცის ეს საქმე და წარმატებები მინდა ვუსურვო. მუზები მასთან“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ORBELI ორბელი

## ერისთავის ქ. N1

**ტელ: 2 14 75 75 / 595 60 90 13**

**100 ლარიანი**
**ვაუჩერი ორბელისგან**

წარმოადგინეთ ორბელის მაღაზიაში
და მიიღეთ 100 ლარის ფასდაკლება

**მის: ერისთავის ქ. N1 ტელ: 595 60 90 13**




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ირაკლი ჩარკვიანის ავტოგრაფი

მაგდა კლდიაშვილი

**გელა ჩარკვიანი, კოკო გამსახურდია, ილიკო სუხიშვილი, ლაშა თაბუკაშვილი, დათო ტურაშვილი, დათო ევგენიძე, ბასა ჯანიკაშვილი, ლაშა ბუღაძე, ნიკა რურუა - ეს იმ ავტორთა მცირე ჩამონათვალია, რომლებსაც ამიერიდან ერთი წიგნი გააერთიანებს. „ამბავი მეფეზე“ - ამ სახელწოდებით, გამომცემლობა „ავტოგრაფი“, ირაკლი ჩარკვიანს საზოგადოებას სხვა კუთხით დაანახვებს.**



„ირაკლი, თეონა, ადექით, ადექით!“ - დღესაც ჩამესმის დედას საოცრად მშობლიური ხმა (არც კი ვიცი, დედა რატომ დავწერე, მე და ირაკლის მისთვის დედა არასოდეს დაგვიძახია; ის ყოველთვის ნანა იყო - ჩვენთვისაც კი:). „კიდევ 5 წუთი“ - ვთხოვეთ ჩვენ და ისევ ვბრუნდებით სიზმრების სამყაროში, რომელიც ასეთი ტკბილია, განსაკუთრებით წვიმიან და ნისლიან ამინდში, როდესაც გვინდა საბანში კარგად გავეხვიოთ, (როგორც ირაკლი იტყოდა, „ღუნეში“ შევძვრეთ) და გავაგრძელოთ ფრენა ჩვენს მიერ შექმნილ ირეალურ, უკიდეგანო სივრცეში. თუმცა ძალიან მაღლა აფრენას ვერ ვასწრებთ, რადგან ისევ ჩაგვესმის „ადექით, დაგაგვიანდებათ“... აქ უკვე გვერთვება ცნობიერი, ვცდილობთ, თავი დავაღწიოთ ყოველდღიურობას და ვიპოვოთ თუნდაც მინიმალური ტკივილი სხეულის რომელიმე ნაწილში, ავწიოთ ტანის ტემპერატურა ისე, რომ იგი მიუახლოვდეს ნანატრ, წითლად მოელვარე 37-ს. ხანდახან ეს ჭირს და მაშინ შეგვიძლია გავშალოთ ფრთები და გავფრინდეთ იქ, სადაც სრულიად თავისუფალნი ვართ, სადაც იმდენი დრო გვაქვს, რამდენიც გვინდა.

**გელა ჩარკვიანი: „მეფესაც აქვს სიკვდილის უფლება, მაგრამ არა ასეთი სიკვდილის უფლება, რადგან, როცა ქვეყანაში მეფე კვდება, ამ ქვეყანაში ვიღაცამ მაინც უნდა თქვას ხმამაღლა, დანარჩენების გასაგონად - გაუმარჯოს მეფეს!...“**

თვალები გავახილე და ისევ აქ ვარ, ჩვენს პატარა ოთახში (რომელიც კარადით არის გადატიხრული - და ვრგძნობ, რომ ირაკლიმაც მოახერხა სახლში დარჩენა. მესმის მისი წყნარი სუნთქვა; ალბათ, ისიც მშვიდად დაცურავს ილუზიების ოკეანეში.

ოთახის ინტერიერი ასეთია: კედლებზე ჯიმი ჰენდრიქსის, ჯენის ჯოპლინის, ლედ ზეპელინის, როლინგ სთოუნსის პლაკატებია. წითელი საღებავით წერია „Blood Sweat and Tears" და „С красоты начинается ужас; каждый ангел ужасен“. (რ.მ. რილკე). ჭერზე კი ირაკლის, წითელ საღებავში ამოვლებული, ხელის ანაბეჭდებია. ეს ყველაფერი ირაკლის მხარესაა, ჩემთან კი თითქმის მთელი კედელი საღეჭი რეზინის შეფუთვიდან ამოღებული კომიქსების სერიებით არის სავსე, გვერდით „ბითლზის“ თეთრი ალბომიდან აღებული ფოტოებია.

ამ ყველაფრით მამა (არც გელასთვის დაგვიძახია მამა) გვანებივრებდა. ამერიკიდან ჩამოჰქონდა დისკები, პლაკატები, „ჟვაჩკები“, მოდური ტანსაცმელი, ჯინსები, ბენდენები, ზოლიანი გეტრები, გრძელი, ლამაზი კაბები... იმ დროს ეს ყველაფერი საქართველოში არ იშოვებოდა.

ოთახიდან გამოვდივარ. არავინ არის, სრული სიჩუმეა. ნანა და გელა, ალბათ, სამსახურში წავიდნენ (არაფერი სტკიოდათ და არც სიცხე ჰქონდათ). არ მიყვარს, როცა სახლში არავინ არის. ნანას გარეშე სახლში ყველაფერი ჩამქრალი და უსიცოცხლოა. მენატრება მისი ულამაზესი, სხივით მოელვარე თვალები და წყურვილი იმ სიცოცხლისა, რომელიც მას ასე უყვარდა. სახლში არც გელაააა, რომელიც უსაქმოდ მჯდომი თითქმის არ მახსოვს. ის ან წიგნებისა და ლექსიკონების ქარიშხალში ტრიალებდა ან პიანინოსთან იჯდა და თავისი როკ-ოპერების ჩემთვის ძალიან საყვარელ არიებსა და დუეტებს ქმნიდა.

ჩაი დავისხი და ჩვენთვის მომზადებული საუზმის შემდეგ (არ მახსოვს რითი ვსაუზმობდით მაშინ), არ ვიცი, რა გავაკეთო. (ტელევიზიას მხოლოდ 2 არხი ჰქონდა, ამიტომ არც ვრთავდი ხოლმე. არც სხვა გასართობი საშუალებები იყო - კომპიუტერი, აი-პადი). ვზიავარ და ვფიქრობ. უცებ გამახსენდა, რომ როდესაც სიზმარში, ბედნიერმა და ფრთაგაშლილმა ნიუ-იორკის ცათამბჯენს ჩავუქროლე, ნანას ხმამ ჩამძახა - „მაშინ მუსიკა იმეცადინე 2 საათიო“. მართლაც, იმ დღეს, მუსიკის გაკვეთილი მქონდა და დავჯექი სამეცადინოდ. ერთი საათი კარლ ჩერნის ეტიუდებს ვუმკლავდებოდი და როცა იოჰან სებასტიან ბახის ინვენციებს და ფუგების პოლიფონიურ ჟღერადობას ჩავუღრმავდი, უცებ ოთახის კარი გაიღო და ყვირილით - „ვკვდები, ვკვდები, ცუდად ვარ!“ - ირაკლი გამოვარდა, ტორნადოსავით დატრიალდა და ძირს დაეცა. წამოვხტი, მივვარდი, გაშეშებული იწვა, ხმას არ იღებდა. ძალიან შემეშინდა, ყვირილი დავიწყე - „ირაკლი, გაიღვიძე, ირაკლი, ადექი“, ის კი გაუნძრევლად იწვა. რა არ ვცადე: მასაჟები გავუკეთე, რომელიც ასე უყვარდა, წყალი დავასხი; არაფერი აღვიძებდა. ხელები მიკანკალებდა, ვკოცნიდი, ვეხვეწებოდი, გაიღვიძე-მეთქი. მარტო ვიყავი, მეშინოდა, უცებ გამახსენდა, რომ ღუტუნს ვერ იტანდა და სიცილს იწყებდა. დავუწყე ღუტუნი ნელ-ნელა და ტუჩებზე ღიმილი შევამჩნიე. გამიხარდა, ღუტუნს მოვუმატე და უცებ ხარხარი დაიწყო, ნამოჯდა და მითხრა, „ხომ მაგარი ვარ, ძალიან მაგარი“. ვფიქრობ, ბავშვობიდანვე აინტერესებდა, რა იყო სიკვდილი, რადგან ჩემთვის უსაყვარლეს მთელს მის შემოქმედებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სწორედ ამ თემას.



**გელა ჩარკვიანი - „როდესაც შენი სურვილის საწინააღმდეგოდ, შენი შვილი ირაკლი ჩარკვიანი ხდება, უნდა შეეგუო ამას და უნდა იამაყო“**

**გიგა კობალაძე: „გვინდოდა, შეგვექმნა წიგნი ირაკლი ჩარკვიანზე, მისი მთავარი გზავნილი კი ისაა, რომ საზოგადოებამდე მივიტანოთ ირაკლის დღემდე უცნობი მხარეები, ადამიანური, თუ როგორი იყო ის მეგობრებთან“**

გაკურთხოთ ღმერთმა და დამივიწყეთ,
დაე, სხვა გემები მორეკოს წყალმა,
გემუდარებით, იცინეთ, იცინეთ, როცა მე წავალ.

მას შემდეგ, ასე ხშირად ვთამაშობდით და ღუტუნი ყოველთვის მშველოდა. თუმცა ერთი გამონაკლისი მაინც იყო, როცა დაახლოებით, 30 წლის შემდეგ, ზუსტად იგივე ოთახში, იგივე ადგილას იწვა გაუნძრევლად. მარტო აღარ ვიყავი. უამრავი ხალხი ირეოდა. არასდროს დამავიწყდება ნანას აუტანელი ტკივილისგან ჩამქრალი და ცრემლით სავსე თვალები. გელას - გამოუთქმელი სევდისგან აკანკალებული ხმა და სიცარიელე, სიცარიელე და სიცარიელე.

ვცდილობდი, მასთან მარტო დავრჩენილიყავი. გამოგიტყდებით, სადღაც გულის სიღრმეში მეგონა, რომ ისევ შევძლებდი მის გაცინებას იგივე მეთოდით. ირაკლი ისევ წამოჯდებოდა და მეტყოდა, „ხომ მაგარი ვარ, ძალიან მაგარი“. ის კი მშვიდად იწვა და იღიმებოდა. ალბათ, ირაკლი უკვე იქ იყო, „სადაც მრგვალი მზე ელავს, სადაც ღმერთებიც ცას სთხოვენ შველას“. მე მჯერა, რომ ის ახლაც აგრძელებს მშვიდ ცურვას ჩვენთვის შეუცნობელ უსასრულობაში“, - ასე იწყება „ამბავი მეფეზე“.

წიგნის შექმნის იდეა გამომცემლობა „ავტოგრაფს“ გაუჩნდა. როგორც ფონდის ხელმძღვანელი, გიგა კობალაძე ამბობს, ეს მათთვის რიგით მეორე პროექტია, ირაკლი ჩარკვიანის შესახებ წიგნის გამოცემის სურვილი 6 თვის წინ გაჩნდა, ძირითადი მესიჯები კი ის იყო, რომ საზოგადოებას მუსიკოსი სხვა კუთხით გაეცნო.

„ეს „ავტოგრაფის“ მეორე პროექტია. იდეა 6 თვის წინ დაიბადა. გვინდოდა, შეგვექმნა წიგნი ირაკლი ჩარკვიანზე, მისი მთავარი გზავნილი კი ისაა, რომ საზოგადოებამდე მივიტანოთ ირაკლის დღემდე უცნობი მხარეები, ადამიანური, თუ როგორი იყო ის მეგობრებთან. ამ მიზნით, 80-მდე ადამიანს ვთხოვეთ, საკუთარი, სუბიექტური აზრი დაეფიქსირებინა და დაენერა ირაკლისთან დაკავშირებით. საკმაოდ საინტერესო გამოვიდა, საბოლოო ჯამში, ძალიან ბევრ ისეთ რამეს აღმოაჩენს მკითხველი, რაც მან აქამდე არ იცოდა“, - ამბობს „პრაიმტაიმთან“ საუბარში გიგა კობალაძე.

პროექტი „აჭარაბეთის“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა და ტირაჟი, პირველ ეტაპზე, დიდი არ არის, თუმცა შემდეგ, მოთხოვნილების მიხედვით, ის საქართველოს მასშტაბით გავრცელდება.

ირაკლი ჩარკვიანზე წერს მისი მეუღლეც. ქეთათოს თქმით, მისთვის საინტერესო იყო, როგორ აღწერდნენ და რა შეფასებები ექნებოდა მუსიკოსს.

„ირაკლის შესახებ წიგნიდან ისეთს ვერაფერს გავიგებდი, რაც არ შეიძლებოდა მცოდნოდა, მაგრამ თვითონ დამოკიდებულება, ვინ როგორ აღწერს ამ ადამიანს, როგორი შეფასებებია, საინტერესოა და მკითხველს დიდი სიამოვნება ელის. მე, ჯერ არ წამიკითხავს ყველას ნაწერი. თავადაც ვწერდი და არ მინდოდა სხვების გავლენის ქვეშ მოვქცეულიყავი. ცოტა ხანში წავიკითხავ“, - აცხადებს მუსიკოსის მეუღლე.

წიგნში ერთ-ერთი ავტორი ირაკლი ჩარკვიანის მამა, გელა ჩარკვიანია, თუმცა ის, სხვა ავტორებისგან განსხვავებით, ირაკლისთან დაკავშირებით არც ერთ ისტორიას არ იგონებს.

„პრაიმტაიმთან“ საუბარში გელა ჩარკვიანი ამბობს, რომ მისთვის რთული იყო ირაკლი ჩარკვიანის მამობა და ისიც, როგორც სხვა ყველა დანარჩენი მშობელი, შვილის სტაბილურობაზე ოცნებობდა. ჩარკვიანის თქმით, წიგნი კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ ირაკლის სრული სურათი შეიქმნას და პროექტის განხორციელებაც რთული იყო, რადგან სთხოვო ადამიანებს, დაწერონ და არა ილაპარაკონ, ძნელია.

„წიგნში პირველი მე ვწერ. ისტორია არ დამიწერია. ადვილი არ იყო მისი მამობა. არც დედობა იყო ადვილი ჩემი ნანასთვის, რომელიც დღეს აღარ არის. მშობლებისთვის ყოველთვის ძნელია ასეთი შვილი. შენ გინდა, რომ სტაბილური იყოს, სტაბილური სამსახური ჰქონდეს, ერთი ცოლი და ბევრი შვილი ჰყავდეს. ისეთი იყოს, რომ პრობლემები არ შეგიქმნას. რევოლუციები და ამბოხებები არ გინდა, როგორც მშობელს, მიუხედავად იმისა, რომ სხვებთან შეიძლება, ილაპარაკო რევოლუციაზე, მაგრამ შვილებთან დაკავშირებით ეს არ გინდა. მაგრამ, რას იზამ, როდესაც შენი სურვილის საწინააღმდეგოდ, შენი შვილი ირაკლი ჩარკვიანი ხდება. უნდა შეეგუო ამას და როგორც წიგნში ვწერ - უნდა იამაყო“, - ამბობს გელა ჩარკვიანი.

„პირადად ვიცნობ ადამიანებს, რომლებსაც ხშირად ძალიან აღიზიანებდა მისი გამომწვევი და არაორდინარული ქცევა, ცხოვრებასა და სცენაზე, მაგრამ არასოდეს მინახავს ირაკლი ჩარკვიანის მუსიკისადმი გულგრილი ადამიანები და ეს შეიძლება თავად კარგი მუსიკის ბრალია და კარგი მუსიკის თვისებაა - ეს ენა ესმის ყველას, ვისაც კარგი გემოვნება აქვს და თავისუფლება უყვარს. ირაკლი ჩარკვიანს კი თავისუფლების იმდენად მძაფრი და მოჭარბებული მოთხოვნილება ჰქონდა, რომ, ალბათ, გადაწყვიტა კიდეც - სიკვდილი, როგორც თავისუფლება, ისეთივე არჩევანია, როგორც სიცოცხლე.

რა თქმა უნდა, მეფესაც აქვს სიკვდილის უფლება, მაგრამ არა ასეთი სიკვდილის, რადგან როცა ქვეყანაში მეფე კვდება, ამ ქვეყანაში ვიღაცამ მაინც უნდა თქვას ხმამაღლა, დანარჩენების გასაგონად - „გაუმარჯოს მეფეს“!...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლელა მებურიშვილი ივლისში დედა გახდება - მსა

my View

თამარ გონგაძე

## ლელა მებურიშვილი: „თბილისში ცოტაა იმ კატეგორიის ბიჭი, როგორიც ბაჩოა და ამას მხოლოდ მე არ აღვნიშნავ. ვინც იცნობს, სხვათა შორის კი არ ამბობს კარგი ბიჭიაო, ამბობენ, ძალიან კარგი ბიჭიაო“

„ნიძლავი მოვუგე - ბიჭს ველოდებით! ბიძაჩემს, დათო საგანელიძეს, 15 იანვარს მესამე შვილი გაუჩნდა, ბიჭი და ჩვენი შვილები ერთ კლასში იქნებიან“

**ლელამ გადაწყვიტა, მოცემული პირობა შეესრულებინა და ქალისთვის ყველაზე ძვირფას მდგომარეობაში ინტერვიუ პირველად „პრაიმტაიმისთვის“ მიეცა. ოთხი თვის ორსულია. ეს გაცილებით ადრე გახდა მედიისთვის ცნობილი; პრესა თუ სააგენტოები უკვე თვეზე მეტია ინტერესდებიან ორსული ლელა მებურიშვილით. თუმცა მსახიობი აქამდე არ ადასტურებდა, რომ შვილს ელოდებოდა. ის უბრალოდ თავს არიდებდა საჯარო ყურადღებას მისთვის ყველაზე ძვირფას მომენტში. არც მეუღლესა და ქორწინებაზე უსაუბრია აქამდე. თუმცა, ზაფხულიდან მოყოლებული, მისი და ბაჩო საგანელიძის სიყვარულის ისტორია დიდი ინტერესის საგანია. მებურიშვილი დათო საგანელიძის ძმისშვილს ხვდებაო, ჭორაობდნენ ქალაქში. იმასაც ამბობდნენ, ბაჩო სუსტ სქესში დიდი პოპულარობით და კეთილგანწყობით სარგებლობსო. მას ბევრი მეგობარი ჰყავს შოუბიზნესში. სწორედ ერთ-ერთის წყალობითა და დახმარებით გაიცნო კიდეც ლელა. ამას ჩემი რესპონდენტებისგან შეიტყობთ. უყვარს სიმღერა, მოლხენა, მოკლედ, კომფორტული საურთიერთობო ბიჭია. ზუსტად იმ დროს გამოჩნდა კატოს როლი მებურიშვილის ცხოვრებაში, როცა ბაჩო. შეყვარებულ მსახიობს ვიზუალურად ძალიან დაეტყო „სიყვარულის ხელი“. სერიალშიც თვალებში სხივჩამდგარი კატო ვიხილეთ. მიუხედავად იმისა, რომ მათზე უკვე ბევრს საუბრობდნენ, წყვილმა შეძლო თავი საჯარო ყურადღებას აერიდებინა... და გაცნობიდან ექვს თვეში ჯვარიც მალულად დაიწერეს. მაშინ, როცა ლელასა და ბაჩოს ფოტოები გავრცელდა, ახლადდაქორწინებულები თაფლობის თვეს უკვე ევროპაში ატარებდნენ. ახლა ლელა თავს მშვიდად გრძნობს. ემოციურია, მაგრამ უკვირს ამ მდგომარეობაში სიმშვიდეს რომ ინარჩუნებს. შესაბამის ლიტერატურას კითხულობს, თუმცა დეტალურად ყველა წვრილმანზე ჩაღრმავება მაფრთხობსო, ამბობს.**

**„დარწმუნებული ვიყავი, რომ ბიჭი იქნებოდა“**

**ლელა:** - ორსულად რომ ვიყავი, კარგა ხანია არ გაგვიმხელია. ნებისმიერ თემას, რომელიც ჩემთვის ძალიან ძვირფასია, საჯაროდ განსახილველად არ ვყვები.

**ბაჩო:** - მეც საკმაოდ გვიან მითხარი:) სადღაც ვიყავით, ღამის სამ საათზე მოვედით სახლში. დასაძინებლად მოვემზადეთ და მეუბნება, შვილს ველოდებითო. დილის ხუთ საათამდე ვისხედით სამზარეულოში. ემოციას რომ გავმკლავებოდი, ვისკი გადმოვიღე და მარტომ დავლიე.

**ლელა:** - ერთად ვტიროდით... ვთხოვე, არავის უთხრა, სანამ კარგად არ დავრწმუნდებით, რომ ორსულად ვარ-მეთქი. მერე ნელ-ნელა ვუთხარით ახლობლებს. თბილისი უცნაური ქალაქია, შეიძლება ის დაიწეროს, რაც მხოლოდ მე ვიცი. და მერე ინტერნეტიდან გაიგოს ბაჩომ. „ფეისბუქზე“ ოფიციალური გვერდი არ მაქვს. ამ დროს ვკითხულობ, „ლელა მებურიშვილმა თავის ოფიციალურ გვერდზე გააკეთა განცხადება - ჩემო მეგობრებო, ახლობლებო, დიახ, ფეხმძიმედ ვარ“. რატომ იღებენ თავზე ასეთ რამეს, ვერ ვხვდები.

**ბაჩო:** - შვილი დიდი პასუხისმგებლობაა, ცხოვრება შემიცვალა. ჩვენ ოჯახს გაალამაზებს.

**ლელა:** - ჩვენ იმ ასაკში ვართ, უკვე კარგად ვაცნობიერებთ წინ რამხელა პასუხისმგებლობა გვაქვს. დიდი ბედნიერებაა. მეც და ბაჩოსაც სახალხოდ გვიჭირს ჩვენს გრძნობებზე და ემოციებზე საუბარი. ეს უახლოეს მეგობრებთანაც კი ჭირს. ჩემ გათხოვებაზეც იმიტომ არ ვაძლევდი ინტერვიუს, რომ, ხშირ შემთხვევაში, არასწორად ინტერპეტირებული ინტერვიუები იბეჭდება. პირველ გვერდზე გამოტანილი იმ „რაღაცნაირ“ სათაურებში ჩემი უთბილესი გრძნობების ნახვა არ მინდოდა. მინდა გამიგონ. რაც ჩემთვის მნიშვნელოვანია, იმაზე ლაპარაკს ვერიდები.

**- ბავშვის სქესი?**

**ბაჩო:** - ნიძლავი მოვუგე - ბიჭს ველოდებით! მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ბიჭი იქნებოდა, ლელა გოგოზე მენიძლავებოდა. მოვილაპარაკეთ, თუ გოგო იქნებოდა სახელს მე დავარქმევდი, ბიჭის შემთხვევაში ლელა. ერთი თვის წინ დუბაიში ვიყავით, საქმე არაფერი გვქონდა, ბიჭის სახელზე ვფიქრობდით, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ სქესი არ ვიცოდით.

**ლელა:** - მოვიფიქრებ, ჯერ დიდი დროა სახელის მოსაფიქრებლად.

**- ლელა რითი შეგცვალა ამ მდგომარეობამ?**

- არაფრით. არც ხასიათი შემცვლია, არც გულჩვილი გავმხდარვარ და უენერგიობასაც არ ვუჩივი. ორსულობის პირველი სამი თვე ისეთი დატვირთული მქონდა, სერიალი, ფილმი, სპექტაკლი, მაგრამ არ დავღლილვარ. ღამის 12 საათზე იმის ენერგიაც მქონდა, რომ სადმე წავსულიყავი ბაჩოსთან ერთად. მუცელი მეზრდება, თორემ არაფერი განსაკუთრებული. და ვიცი, რომ განსაკუთრებული კვებაა საჭირო და ამას ვითვალისწინებ. ბროწეულს ვჭამ დიდი დოზით.

**- კაპრიზები?**

**ლელა:** - ჩემზე მეტად ბაჩოს აქვს გამძაფრებული იმის შეგრძნება, რომ მომიაროს და რაც წამომცდება უცებ მომიტანოს. ახლა უკვე ვფიქრობ, აღარაფერი წამომცდეს. თავიდან უნებურად ვამბობდი... ღამის სამ საათზე ვთქვი, ბროწეული დამესიზმრა-მეთქი და ძილი გავაგრძელე. ბაჩო მაღვიძებს, ლელა, გაიღვიძეო, თვალი გავახილე და გარჩეული ბროწეული დამხვდა.

**ბაჩო:** - ჩვენ გარშემო ბევრი ელოდება შვილს, უმეტესობა ბიჭს. მიხარია, იმეგობრებენ... ჩვენ ივლისში ველოდებით. ბიძაჩემს, დათო საგანელიძეს 15 იანვარს მესამე შვილი გაუჩნდა, ბიჭი და ჩვენი შვილები ერთ კლასში იქნებიან.

**ლელა:** - მე შორს ვარ პოლიტიკისგან, პოლიტიკოსების სახელი და გვარებიც არ ვიცი. არ მაინტერესებს. დათო საგანელიძე ვიცოდი, ყოველ შემთხვევაში, სახით, შეიძლება სახელი და გვარი ვერ გამეხსენებინა. ახლა უკვე ძალიან მიყვარს, მეგობრული და მხიარული ადამიანია.

**გაცნობა**

ერთმანეთი აპრილში გაიცნეს, ბაჩოს სურვილითა და დაგეგმილი „შემთხვევითი“ შეხვედრისას. გაცნობისთვის მადლობას ეკო ფანგანს უხდიან. ბაჩოს ქალაქში დიდი სამეგობრო წრე ჰყავს, მათ შორის შოუბიზნესის წარმომადგენლებიც არიან. ლელას შორიდან იცნობდა და მოსწონდა. ერთხელაც ეკოს დაურეკა, დაგეგმე და ლელა გამაცანიო.

**ბაჩო:** - ერთ-ერთ კაფეში შემახვედრა. სასაცილოდ მოიგონა ეს „შემთხვევითი“ შეხვედრა.

**ლელა:** - ასე მივედი და იქ „შემთხვევით“ აღმოჩნდა ბაჩო. მერე რამდენჯერმე ასევე „შემთხვევით“ აღმოვჩნდით ერთად.

**- როგორი წარმოდგენა გქონდა ლელაზე და როგორი აღმოჩნდა?**

**ბაჩო:** - ყველას, ვისაც მასზე ვეკითხებოდი, მხოლოდ დადებითად მიხასიათებდა. ამ ქების შემდეგ ძალიან დავინტერესდი. გავიცანი და რეალობა ბევრად აღემატება დახასიათებას. ძალიან ბედნიერი ვარ. სერიალს არ ვუყურებდი, უბრალოდ, შაბათ-კვირას სახლში არ ვიყავი. მერე ლელას ხათრით დავიწყე „ჩემი ცოლის დაქალების“ ყურება.

**ჯვრისწერა**

14 ოქტომბერს იქორწინეს, სვეტიცხოვლობას. ჯვარი ორმოცი სებასტიანელის სახელობის მონასტერში დაიწერეს, ჩუმად, არაპომპეზურად. ეს დღე ვიწრო წრეში აღნიშნეს.

**ლელა:** - ყველაფერი ისე ლამაზად გამოვიდა, ფოტოებით ვერავინ იფიქრებს, რომ უცებ გადაწყვეტილი ჯვრისწერა გვქონდა. ტორტთან ერთად ფოირვერკები რომ გაგვეშვა, ესეც ბოლო მომენტში გადაწყდა.

საქორწინო მოგზაურობაში პარიზსა და მადრიდში გაემგზავრნენ. ბაჩოს თავის საყვარელ ქალაქებში საყვარელ რესტორნებში დაჰყავს მეუღლე და საყვარელ კერძებს ასინჯებს.

**ბაჩო:** - მადრიდზე ვგიჟდები. განსაკუთრებით მიყვარს იქაური კერძები. ხორცს ბევრს არ ვჭამო, განაცხადა, მაგრამ რომ ნახა, მე რამდენი ვჭამე, მერე თვითონაც დააგემოვნა.

**ლელა:** - ვამბობდი, ვინც ბაჩოსთან ერთად არის, ძალიან გასუქდება-მეთქი. მაგრამ გამიმართლა და არ მოვიმატე.

**ბაჩო:** - ვვარჯიშობდი ადრე, მერე შევეშვი, ახლა ცურვაზე დავდივართ ერთად.

**ერთ ჭერქვეშ**

**- ბაჩო, ლელას ქართველებისთვის შედარებით თამამ კაბებში თამაშს უშლი?**

- არ ვარ ასეთი „აზიატი“.

**ლელა:** - მე ვწყვეტ, რას დავთანხმდე და რას - არა. ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. თუ რაიმე არ გსიამოვნებს, არც უნდა გააკეთო.

**ბაჩო:** - ძალიან თამამ სცენას არ დათანხმდება.

**ლელა:** - ზომიერებაა ყველაზე მნიშვნელოვანი.

**- ეჭვიანი რომელი ხართ?**

**ლელა:** - ზომიერად ეჭვიანი ორივე ვართ. ჯერჯერობით არ გვქონია ეჭვიანობის გამოვლინება. ბედნიერებაა, როდესაც წყვილი ერთმანეთისთვის კომფორტის შექმნას ცდილობს.

## ბაჩო საგანელიძე: „ღამის სამ საათზე დასაძინებლად მოვემზადეთ და მეუბნება, შვილს ველოდებითო. დილის ხუთ საათამდე ვისხედით სამზარეულოში... ემოციას რომ გავმკლავებოდი, ვისკი გადმოვიღე და მარტომ დავლიე“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ხიობის პირველი ინტერვიუ ქორწინების შემდეგ

## „ჩემი მოხიბვლა იმით მოახერხა, რომ თავი ბოლომდე თავისუფლად მაგრძნობინა. ბაჩოსთან არ გრძნობ, რომ შეზღუდული ხარ, ვალდებულებები გაქვს. ასეთი ადამიანის პოვნა ღვთის უდიდესი საჩუქარი და გამართლებაა“

EXCLUSIVE

**- ლელაზე ჭორი გსმენია?**

**ბაჩო:** - ბოლო დროს არა, ისე, ადრე, ალბათ, კი.

**ლელა:** - ძალიან მიხარია, რომ აღარ მესმის ჭორები. ალბათ, რამეს მოიგონებენ, მაგრამ ადრე ისეთ საოცრებებს იგონებდნენ, მეცინებოდა.

**- ბაჩო გღლის ის ყურადღება, რასაც ქუჩაში, კაფეში, ლელას გვერდით გრძნობ?**

- რაღაც დონეზე შეიძლება, მაგრამ დამღლელი არ არის. ვცდილობთ ისეთ ადგილებში არ ვიაროთ, სადაც ბევრი ხალხია.

**ლელა:** - ეს საქართველოში დისკომფორტს არ ქმნის. არავინ მოგახტება. ყურადღებას ეჩვევი.

**- როგორ მოხიბლე ლელა?**

**ლელა:** - ბაჩო, არ მოყვე შენი ხერხები...

**- ამბობენ, ბაჩო სუსტ სქესში პოპულარობით სარგებლობდა...**

**ლელა:** - ჩემი აზრით, ჩემი მოხიბვლა იმით მოახერხა, რომ თავი ბოლომდე თავისუფლად მაგრძნობინა. ბაჩოსთან არ გრძნობ, რომ შეზღუდული ხარ, ვალდებულებები გაქვს. პირიქით, ისე კომფორტულად ვგრძნობ თავს, რომ სულ მინდა მასთან ერთად ვიყო. ამ ადამიანის მიმართ თავიდანვე დადებითად განვეწყვე. მსიამოვნებდა მის გვერდით ყოფნა, კომფორტი შემიქმნა. ახლა უკვე გაფიქრებისთანავე ნებისმიერი სურვილის შესრულება შეუძლია.

**ბაჩო:** - გაცნობიდან არც ერთი დღე არ გასულა, რომ მასთან ერთად არ ვყოფილიყავი. ხომ იცით, რაჭველები დინჯები ვართ, მაგრამ ბოლომდე მიგვყავს საქმე.

**- შენი სიმღერის კადრები მაქვს „ფეისბუქზე“ ნანახი.**

- ბავშვობიდან ვმღერი. მიყვარს სიმღერა, ვმეგობრობ მომღერლებთან. ნაბახუსევზე ვმღერი ხოლმე.

**- როგორი აღმოჩნდა ერთ ჭერქვეშ ცხოვრება?**

**ლელა:** - შეგუების პერიოდი დასაძლევი არ მქონია. პირველივე დღიდან თავისუფლად ვარ, როგორც ჩემს სახლში ვიყავი. ძალიან პატარა პერიოდი ვიყავით შეყვარებულები, მაგრამ ყოველდღე ერთად ვატარებდით. კარგად ვიცნობდით ერთმანეთს. ამიტომაც ერთად ცხოვრების დაწყებისას სიურპრიზებიც არ დამხვედრია.

**ბაჩო:** - შეიცვალა ის, რომ სახლში დავიწყეთ ჭამა. საკვების მომზადებაში ერთნაირ დონეზე ვართ.

**ლელა:** - ჩემგან საჭმლის გაკეთება სიურპრიზია, მაგრამ ხანდახან ამ სიურპრიზებს ვაკეთებ ხოლმე.

**ბაჩო**: - მზარეული გვეხმარება და მისი მომზადებული კერძები გვიყვარს. რა თქმა უნდა, დედები გვეხმარებიან.

**„ყველაფერი ისე ლამაზად გამოვიდა, ფოტოებით ვერავინ იფიქრებს, რომ უცებ გადაწყვეტილი ჯვრისწერა გვქონდა. ტორტთან ერთად ფოირვერკები რომ გაგვეშვა, ესეც ბოლო მომენტში გადაწყდა“**

**„გაცნობიდან არც ერთი დღე არ გასულა, რომ მასთან ერთად არ ვყოფილიყავი. ხომ იცით, რაჭველები დინჯები ვართ, მაგრამ ბოლომდე მიგვყავს საქმე“**

**ეკონომისტი სიძე**

ბაჩო ეკონომისტია, თბილისში კავკასიის ბიზნეს სკოლა დაამთავრა, მაგისტრატურაზე დიდ ბრიტანეთში, კარდიფის უნივერსიტეტში საერთაშორისო ბიზნესის განხრით სწავლობდა. დიდი ხნის განმავლობაში დაზღვევის ინდუსტრიაში მუშაობს. ახლა მეგობრებთან ერთად ვაჭრობის სფეროში აპირებს ახალი საქმის წამოწყებას.

შარშან თებერვალში ვერც წარმოიდგენდა, რომ ერთ წელში ცოლიც ეყოლებოდა და შვილის მოლოდინშიც იქნებოდა. მშობლები ცალკე გადავიდნენ საცხოვრებლად, ბაჩომ სახლის რემონტი დაიწყო და წელინად-ნახევარში დიზაინერებთან ერთად გაარემონტა.

**ბაჩო:** - თებერვალში მოვრჩი რემონტის გაკეთებას, აპრილში ლელა გავიცანი და ახალსახლობა მასთან ერთად აღვნიშნე.

**კატო**

ლელას ორსულობა გაიგეს თუ არა, მაშინვე ატყდა ბჭობა - ალბათ, „ჩემი ცოლის დაქალებში“ კატოსაც „დაორსულებენო“. მაგრამ არა! სერიალი ისევ სამ მეგობარზეა. კატოს ხაზს კი ამ სეზონზე შედარებით ნაკლები დატვირთვა აქვს.

**ლელა:** - ფიქრობდნენ, კატო ყოფილიყო თუ არა ორსულად, მაგრამ მის გმირს არ მოუხდებოდა ეს მდგომარეობა. მუცელი რომ არ გამომიჩნდეს, ერთადერთი გამოსავალია ის, რომ ნაკლებად გამოვჩნდე. კატო დეპრესიაშია, მიდის ამერიკაში და სკაიპით ჩაერთვება მეგობრებს. როცა ვიმშობიარებ, სრული დატვირთვით გავაგრძელებ თამაშს. ფიქრობენ, რომ სერიალი იანვრამდე გაგრძელდება.

**- ბაჩო კატოს ქმრების და თაყვანისმცემლების რომელ კატეგორიას მიეკუთვნება?**

- არც ერთს. საერთოდ თბილისში ცოტაა იმ კატეგორიის ბიჭი, როგორიც ბაჩოა და ამას მხოლოდ მე არ აღვნიშნავ. ბევრისგან განსხვავებული და დადებითი ტიპია. ვინც იცნობს, სხვათა შორის კი არ ამბობს, კარგი ბიჭიაო, ამბობენ - ძალიან კარგი ბიჭიაო. სულ ასე ვაქებ...

**ბაჩო:** - ლელას წინასწარმეტყველების უნარი აქვს. რაღაცას რომ ვფიქრობ და მერე ხმამაღლა ვეტყვი, აღმოჩნდება, რომ იმასვე ფიქრობდა და ან უკვე გააკეთა.

**ლელა:** - ერთნაირად ვფიქრობთ. მუდმივად და მშვიდად ხარ, როცა იცი, რომ შენი იდეა გასაგები და მისაღებია. ახსნა რომ არ გჭირდება.

**სიყვარული - ღმერთის წყალობა**

**ლელა:** - ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა, როდესაც ბაჩოს ვანიჭებ სიამოვნებას. იგივე სიამოვნებას ვიღებ, როცა მისგანაც იმავეს ვგრძნობ. აი ეს არის უდიდესი ბედნიერება და სიყვარული. თუ ასე იცხოვრებს წყვილი, ეს არასდროს დამთავრდება. იშვიათია იპოვო ადამიანი, რომელიც შენნაირად ფიქრობს. ამიტომაც არ მიკვირს, რომ არ გვიკამათია, მშვიდად ვართ და ყველა სიტუაციაში კარგად ვგრძნობთ თავს. იცი, რომ შენიანია და შენნარად აზროვნებს. ასეთი ადამიანის პოვნა ღვთის უდიდესი საჩუქარი და გამართლებაა.

**ბაჩო:** - ბედნიერებაა, როდესაც გყავს ადამიანი, ვისთანაც ყველაფრის გაკეთება გინდა და გსიამოვნებს.

**ლელა:** - ვფიქრობ, ადამიანი თვითონ ქმნის თავის ბედნიერებას. პრობლემა ყოველთვის არსებობს, მაგრამ თუ ღმერთის მადლობელი ხარ და დადებით ენერგიას და ემოციას უშვებ კოსმოსში, უკან გიბრუნდება.

**ბაჩო:** - ჩვენ ორივემ ისეთი ცხოვრებით ვიცხოვრეთ, რომ ღმერთმა ერთმანეთი გვაპოვნინა. ყველაფერი უცბად მოხდა. ადრე სულ სხვა ცხოვრებით ვცხოვრობდი, სულ სხვა ინტერესები მქონდა, ვერთობოდი, ბევრს ვმოგზაურობდი. ლელას შემდეგ კი 180 გრადუსით შემომიბრუნდა ცხოვრება. შარშან ვერც ვიფიქრებდი, რომ ერთი წლის შემდეგ მამობისთვის დავიწყებდი მზადებას. ღმერთის წყალობით ასე მოხდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თამარ გონგაძე

# წყვილები მოგებისთვის უკვე ემზადებიან

**„ცეკვავენ ვარსკვლავების“ შემქმნელები ახალ მუსიკალურ შოუს უკვე იწყებენ. ერთ კვირაში „იმედის“ ეთერში „ორი ვარსკვლავი“ იწყება. პრინციპი ზუსტად ისეთია, როგორც „ცეკვავენ ვარსკვლავებში“, უბრალოდ, ერთი განსხვავებით - აქ ცეკვის ნაცვლად მღერიან, პროფესიონალებთან ერთად არაპროფესიონალები. ქართველი მომღერლების მეწყვილეები არამომღერლები არიან. პროდიუსერი ჯერჯერობით შოუს ეთერში გასვლის დღეს არ აკონკრეტებს. ცნობილია თორმეტივე წყვილისა და ჟიურის ორი წევრის ვინაობა, რომელიც ნოე სულაბერიძემ „პრაიმტაიმს“ გაანდო. ჟიურიში ია ნინიძესა და თეონა კონტრიძეს ვიხილავთ. ორ წევრთან ჯერ ისევ მიდის მოლაპარაკება. შოუს მუსიკალური ხელმძღვანელი რუსა მორჩილაძეა. რეპერტუარის შედგენასა და წყვილების რეპეტიციას მასთან ერთად ქეთი გაბისიანი და ნინო გულიაშვილი უძღვებიან. ცოცხალი კონცერტები გრიბოედოვის თეატრში ჩატარდება. ფასდება არა მომღერლის ნამღერი, არამედ მისი მეწყვილის. მომღერალი მას მხოლოდ დახმარებას უწევს. წყვილებს ჟიური შეაფასებს, ვინ დარჩეს და გავარდეს - ამას ისევ მაყურებელი წყვეტს. დიდია ინტერესი, თუ ვინ არიან მონაწილეები და როგორია მათი განწყობა შოუს დაწყებამდე. რეპეტიციები უკვე გახურებულ ფაზაშია, წყვილები - დამეგობრებული, რეპერტუარის ნაწილი - დაგეგმილი. შოუში მოვისმენთ ქართულ სიმღერებს, ფოლკს, მსოფლიო ჰიტებს, ფილმებიდან და მიუზიკლებიდან კომპოზიციებს...**

### წყვილები

წყვილები ასე გადანაწილდა: გოგოლა კალანდაძე და ნოდიკო ტატიშვილი, ნინა წკრიალაშვილი და ვახტანგ რჩეულიშვილი, ირინა ონაშვილი და გიორგი მახარაშვილი, ნინი ბადურაშვილი და კოტე თოლორდავა, სალომე ღვინიაშვილი და გიორგი ჩიქოვანი, ლევან ჯავახიშვილი და ნინი წიკლაური, ნინო გაჩეჩილაძე და ნიკო ბერიძე, სოფო გელოვანი და მიშკა ბაღათურია, ანრი ჯოხაძე და დალი ჩიტალაძე, მაკო კვიტაშვილი და გივი ბერიშვილი, ანი კეკუა და მიშკა ხუჯაძე, სოფო ბედია და მამუკა ლომაშვილი.

წყვილებს სიმღერებს მათი შესაძლებლობისა და ტემბრის მიხედვით ურჩევენ პედაგოგები. სულ 12 ტური იქნება. პირველად საჩვენებული კონცერტი ჩატარდება, პირველ საკონკურსო ტურს კი მსოფლიო ჰიტებით წარმოადგენენ.

### „ბაბულიკა“ აამღერეს

კოტე თოლორდავა - დიტო „ჩემი ცოლის დაქალებს“ გამოეთიშა. ეს მსახიობისთვის ცნობილი, იანვარში, ფილმის გადაღების დროს გახდა. „ფორმულა კრეატივთან“ კოტეს ხელშეკრულება დეკემბრამდე ჰქონდა გაფორმებული. ხელშეკრულება აღარ გაგრძელდა. მსახიობის კარიერაში „ბაბულიკას“ ეტაპი დასრულდა. ამბობს, რომ გულის დაწყვეტის მომენტი არ აქვს. „ზუსტ დროს დასრულდა ჩემი გმირის ხაზი. გახდა ყველასთვის საყვარელი და ამ რანგში დატოვა არეალი. მობეზრებას ასე სჯობდა“. განო მელითაურმა ბევრი იცინა ქმრის ამღერებაზე. მერე, როგორც იშხნელების შთამომავალმა, კოტეს სიმღერასთან დაკავშირებით რჩევები მისცა.

**კოტე თოლორდავა:** - მანამდე არასდროს მიმღერია, არც კი მიღიღინია. ღირს კი, რომ ამ პროექტში მივიღო მონაწილეობა-მეთქი, ვიკითხე. რუსა მორჩილაძემ „ჟუჟუნა წვიმა“ მამღერა - სმენა გაქვს, შეგვიძლია მოვსინჯოთო, დამამშვიდა. ისეთი მეწყვილე მყავს დარწმუნებული ვარ, რომ სცენაზე სიმღერის დროს გამათამამებს. შეუდარებელი, უნიჭიერესი, მზეთუნახავი ნინი. ჩემი მეუღლის ჯგუფელი იყო. მოგების „ჟილკა“ მაქვს უშველებელი. მაქვს მოგების სურვილი, თუმცა ოცნების სფეროა. მაგრამ მაიმედებენ და მეუბნებიან, რომ თუ ჩვენი ტანდემი შედგა და 30 პროცენტით მაინც ავყევი ნინის, ყველაფერი კარგად იქნებაო.

### ახალი ეტაპი გოგოლას ცხოვრებაში

გოგოლა კალანდაძეს ძალიან უნდოდა „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მონაწილეობა, მაგრამ როცა მესამე სეზონის წყვილები კომპლექტდებოდა, მსახიობს მესამე შვილი ჰყავდა ახალი გაჩენილი. ამბობს, თუ კიდევ ექნება ამ შოუდან შემოთავაზება, დათანხმდება.

**გოგოლა კალანდაძე:** - მიყვარს სიმღერა, ცეკვა, დიმპიტაურ-დამპიტაური. ჩემი მეწყვილე ნოდიკო ძალიან მაგარი ბიჭია, პროფესიონალია. ბევრ რამეს მასწავლის. ხუმრობა-ხუმრობაში მგონი რაღაც გამოვა. მე ყველა წყვილი მომწონს. ვფიქრობ, ახალი ეტაპია ჩემ ცხოვრებაში. არ ვიცი, შეიძლება ჩემი მონაწილეობა წარუმატებლადაც დასრულდეს, მიჭირს წინასწარ პროგნოზის გაკეთება. ხან მეუბნებიან, კარგად გამოგიდაო, ხან მეუბნებიან - საშინელებააო. ყველას უნდა ფინალში გასვლა, აბა, რატომ მონაწილეობ? ამ დროს ყველა ამისთვის იბრძვის.

### ნინა და ვახო - წყვილი „ასაკში“

მახსოვს, „ცეკვებმა“ ნინა წკრიალაშვილი ბოლოს უკვე ისე გადაღალა, პროექტიდან გავარდნას ნატრობდა. აუტსაიდერებში ქეთი ხატიაშვილთან ერთად რომ მოხვდა, ჩაფიქრებული ჰქონია, ქეთი თუ გავარდა, მე დავუთმობ ჩემს ადგილს და პროექტს მე დავტოვებო. ამ ახალ შოუს კი სიამოვნებით დათანხმდა, რახან აქ მხოლოდ დამხმარის ფუნქცია აქვს და კონკურსანტი არ არის.

## „ორი ვარსკვლავის“ ჟიურიში ია ნინიძესა და თეონა კონტრიძეს ვიხილავთ

**ნინა წკრიალაშვილი:** - ძალიან ნიჭიერი მეწყვილე შემხვდა. ვგიჟდები იმაზე, რომ ბატონი ვახტანგი თანამედროვე და მონდომებულია. ადვილად დავმეგობრდით. მომწონს რეპეტიციები, საერთოდ აღარ ვიღლები. ცეკვებზე ისე დავიღალე, უკვე ვეღარაფერი გადამღლის. ერთად ვაკეთებ სასიამოვნო და სასარგებლო საქმეს - კარგია ჩემთვის, როგორც მომღერლისთვის, გავიმღერებ. რაღაც რომ ხდება ჩემს ცხოვრებაში, უკვე გახარებული ვარ. მე და ვახო ვართ ცოტა „ასაკში“, დანარჩენები ბავშვები არიან :) ვფიქრობ, ჩვენ უფრო ტკბილი რეპერტუარი გვექნება, ჩაშაქრებული.

### კოტე კატოთი მოხიბლულია

ხშირად მესმის, სად დაიკარგა ნიკო ბერიძე, რატომ აღარ ჩანსო. „კოტე“ ბათუმში ცხოვრობს, „აჭარის“ ტელევიზიაში მუშაობს, თან მღერის... პროექტში მონაწილეობა რომ შესთავაზეს, წონის დაკლებაზე დაიწყო ფიქრი. ერთი კვირაა შიმშილობს.

**ნიკო ბერიძე:** - „აჭარის“ ტელევიზიაში მუსიკალური პროდიუსერი ვარ და შემოთავაზება რომ მივიღე, ვიფიქრე სამსახური შემაფერხებს-მეთქი. მაგრამ არხმა ხელი შემიწყო და დროებით გამათავისუფლეს. ჩემს მეწყვილეზე ვგიჟდები. დუეტებს იშვიათად ვმღერი. ხელზე ჩამოსათვლელად მაქვს დუეტში ნამღერი. საერთოდ ადამიანებს ძნელად ვეგუები. იშვიათად არის, რომ ერთი შეხედვით ადამინი ისე დავამუღამო, როგორც ნინო გაჩეჩილაძე. ვერ გეტყვით რითი მომეწონა. ალბათ, აურით. მაშინვე მომეწონა და პირველივე რეპეტიციაზე ვიმღერეთ. რომ მოვუსმინე, ვერ ვიფიქრე, რომ ნინო არ არის მომღერალი. სასიამოვნო ხმა აქვს. ლამაზად და გემოვნებით მღერის, ამან მომხიბლა. ვცდილობ, გვერდში ამოვუდგე. ვთვლი, დახმარება არც სჭირდება. მოგებისთვის ვიბრძოლებთ.

### ღვინიაშვილი რისკავს

სალომე ღვინიაშვილის ბოლო პერიოდის გატაცება ტელევიზიაა. მახსოვს, ორი წლის წინ ამბობდა, მინდა გადაცემა წავიყვანოო. შარშან სატელევიზიო პროექტ „ტოპგოგოში“ ვიხილეთ. ახლა კი ამღერება სცადა.

**სალომე ღვინიაშვილი:** -სიმღერით დიდ სიამოვნებას ვიღებ და დიდი ხანი მინდა პროექტში ვიყო. ბევრ რამეს ვსწავლობ. ყველამ იცის, რომ აქამდე არ მიმღერია და ეს ერთგვარი ექსპერიმენტი და რისკი იქნება ჩემთვის. გიორგი ჩიქოვანს კარგად გავუგე. ეს მნიშვნელოვანია. ჩვენი მუსიკალური გემოვნებაც დაემთხვა ერთმანეთს. გაგვიმართლა ორივეს. გიორგი ძალიან პოპულარული არ არის და საინტერესო დუეტი გამოგვივა. ვეცდებით საინტერესო შოუ შევთავაზოთ მაყურებელს. მინდა ყველა ტურში ის სიმღერა ვიმღერო, რაც მე ძალიან მიყვარს.

### მაკო კვიტაშვილი და დრედებიანი მორაგბე

მაკო კვიტაშვილი „ახალი ხმის“ კონკურსანტია. თავი მაყურებელს თავისი განსხვავებული, ექსტრავაგანტური სტილით დაამახსოვრა. ის ჟურნალისტ ეკა მიშველაძის ქალიშვილია. ძალიან ამსგავსებენ დედას. მისი მეწყვილე მორაგბე გივი ბერიშვილია, დრედებიანი ბორჯღალოსანი, რომელიც „ლოკომოტივის“ ნაკრების წევრია.

**მაკო კვიტაშვილი:** - გივის აქამდე არ ვიცნობდი. ისეთი ადამიანია, ადვილად მიუდგები და კარგად გაიცნობ. თვითონაც ამბობს, სადმე რომ გამეცანი, შენი მეგობარი ვიქნებოდიო. ადვილად გავუგეთ ერთმანეთს, გემოვნებაც ერთი გვაქვს. მუშაობაც ადვილია. საკმაოდ ძლიერი კონკურენტები გვყავს. თუმცა არც ჩვენ ჩამოვუვარდებით, ჩვენი ხიბლი გვაქვს. ყოველდღე გვაქვს რეპეტიციები. ჯერჯერობით ვერ ვგრძნობთ კონკურენციას. ჩვენ გვინდა სანახაობრივი შოუ დავდგათ. სცენაზე ერთმანეთს ვუხდებით, თვითონაც ისეთი ტიპია, რომ შოუს დადგმა კარგად გამოგვივა. იმედი მაქვს, რომ ეს ყველაფერი მაყურებელზე გაჭრის.

## შესაძლოა ქართულ „X Factor“-ში Simon Cowell-ი ვიხილოთ

**მუსიკალური მეგა პროექტის „X Factor“-ის დაწყებას ქართველი მაყურებელი უკვე დიდი ხანია ინტერესით ელოდება. პროდიუსერები ბევრს არაფერს გვიმხელენ შოუს დეტალებზე. ჟიურის ვინაობაც გასაიდუმლოებული აქვთ. თუმცა გავიგეთ, რომ ისინი მოლაპარაკებას Simon Cowell-თან აწარმოებენ, დიდი ბრიტანეთის სატელევიზიო სივრცის ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენელთან, პროდიუსერთან და ისეთი მეგა შოუების შემქმნელთან როგორებიც არის „ნიჭიერი“ და „X Factor“-ი. ცოტა ხნის წინ ლონდონში ყოფნისას გიორგი ხაბურზანია და დემნა ჯაფარიძე ბრიტანელ პროდიუსერებს შეხვდნენ, მათი მეშვეობით კი საიმონ ქოუელს.**

**გიორგი ხაბურზანია:** „მან კომპლიმენტი გვითხრა, რომ ყველაზე რეიტინგული „ნიჭიერი“ კეთდება საქართველოში. „ნიჭიერის“ მეოთხე სეზონს ამხელა რეიტინგი მარტო საქართველოში აქვს. აქვთ იმის მოლოდინი, რომ „X Factor“-იც ასეთივე წარმატებით გამოგვივა. საიმონის საქართველოში ჩამოყვანა ძალიან გვინდა, თუმცა ეს ჯერ თეორიული ალბათობაა. თუ ის ჩამოვა, მხოლოდ ერთჯერადად. შეხვდება კონკურსანტებს და შესაძლოა ვორკშოფი ჩაატაროს. საიმონი მსოფლიოს შოუბიზნესში გავლენიანი პიროვნებაა. საიმონს ასევე მოეწონა დემნას შლაპა, მაგარი შლაპა გაქვსო ":).

შოუ აპრილის პირველ რიცხვებში იწყება. ახლა პროდიუსერები აპარატურას ელოდებიან.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# თეონა დოლენჯაშვილი სასტიკ და მტკივნეულ რომანს უშვებს

**„ეს ის შემთხვევაა, როდესაც მე პირადად, როგორც ავტორს, მომწონს ის, რასაც ახლა ვწერ. ეს არის რომანი ადამიანებზე, ცოცხალ ადამიანებზე, რეალურ ცხოვრებაზე და ამიტომ ის მტკივნეული რომანია, შეიძლება ითქვას, სასტიკი, გამოუვალი“**

**EXCLUSIVE**

**„ფიგარო არა ვარ, მაგრამ რაღაცნაირად გამომდის და ასე თუ ისე ყველაფერს ვასწრებ. როგორ, ეგ უკვე სხვა საქმეა და წიგნი რომ გამოვა, მკითხველმა განსაჯოს“**

**„ბევრ ქათინაურთან ერთად მითხრეს, რომ აქ ბევრი ეროტიკული სცენაცაა. მე არ ვარ ეპატაჟისტი მწერალი, მაგრამ თუკი ამ ტექსტში რამდენიმე, ასე ვთქვათ „სკანდალური“ სცენა იქნება, ეს პერსონაჟების ბრალია და არა ჩემი“**

თამარ გონგაძე

**აპრილის ბოლოს თეონა დოლენჯაშვილი ახალი რომანის წაკითხვის საშუალებას მოგვცემს. დიდი ხანია გვპირდება, მაგრამ ხან რამ შეუშალა ხელი, ხან - რამ. დედა გახდა, ეს ყველაზე საპატიო მიზეზია წიგნის გვერდზე გადასადებად და დროებით გასაჩერებლად. მერე ახალი თანამდებობა გახდა „ხელისშემშლელი“ - კულტურის მინისტრის მრჩეველი გახდა. როგორც იქნა მოიცალა „რეალური არსებებისთვის“. მტკივნეული, სასტიკი და გამოუვალი რომანიაო, ასე აფასებს. ძალიან მაინტერესებს... მწერალი წიგნის პრეზენტაციის მოწყობას გეგმავს. ახლა ფინალზე მუშაობს.**

**თეონა დოლენჯაშვილი:** - ისე მოხდა, რომ რომანი, რომლის წერაც ჯერ კიდევ ორი წლის წინ დავიწყე, გვერდზე გადავდე. ასე ვთქვათ, დავაკონსერვე, ან შესაძლოა საერთოდ დავივიწყე და არც აღარასდროს მივუბრუნდე. ეს იყო ერთგვარი ექსპერიმენტი, რომანი - ანტიუტოპია, თითქმის დასრულებული ტექსტი, რომლის გაგრძელებაც აღარ მომინდა და თაროზე შემოვდე. და, მას შემდეგ, სულ რაღაც ერთი წელია დავიწყე ახალ რომანზე მუშაობა. უკვე ვასრულებ. ეს გახლავთ „რეალური არსებები“. ვისაც ახსოვს მოთხრობა „რეალური არსებები“, ეს რომანი ამ მოთხრობის ერთგვარი გაგრძელებაა, სადაც მოქმედება უკვე 15 წლის შემდეგ ხდება. სქელტანიანი რომანები დღეს აღარ იწერება. თანამედროვე რომანის ფორმატისაა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც, მე პირადად, როგორც ავტორს, მომწონს ის, რასაც ახლა ვწერ. მე კმაყოფილი ვარ იმით, რაც გამოვიდა. მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში სრულად მოვახერხე პერსონაჟებისგან ემოციური დისტანცირება. ეს არის რომანი ადამიანებზე, ცოცხალ ადამიანებზე, რეალურ ცხოვრებაზე და ამიტომ ის მტკივნეული რომანია, შეიძლება ითქვას, სასტიკი, გამოუვალი... როდესაც რომანის ფრაგმენტები „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა, ბევრ ქათინაურთან ერთად მითხრეს, რომ აქ ბევრი ეროტიკული სცენაცაა. მე არ ვარ ეპატაჟისტი მწერალი, მაგრამ თუკი ამ ტექსტში რამდენიმე, ასე ვთქვათ, „სკანდალური“ სცენა იქნება, ეს პერსონაჟების ბრალია და არა ჩემი:)

**- რა კატეგორიის მკითხველზეა შენი ახალი რომანი გათვლილი?**

- მკითხველის კატეგორიებზე წიგნებს არ ვთვლი. ვფიქრობ, რომ ინტელექტუალური და მოაზროვნე მკითხველისთვისაა, ანუ იმათთვის, ვინც წიგნებს კითხულობს. მაგრამ ამავე დროს ძალიან მინდა ამ წიგნმა ისინიც დაინტერესოს, ვინც წიგნებისთვის ვერ ან არ იცლის. რადგან ეს წიგნი, პირველ რიგში, მათზეა. არ უნდათ საკუთარ თავზე დაწერილი ამბები წაიკითხონ? საკუთარი თავი დაინახონ? მერე რა, თუ ეს თავები არც ისე მოეწონებათ. სამაგიეროდ, იმდენ საინტერესო რამეს გაიგებენ და იქნებ ცხოვრების შეცვლის, მისი კორექტირების და ურთიერთობების გადახედვის სურვილიც გაუჩნდეთ...

**- ვის აკითხებ გამოქვეყნებამდე?**

- ის დრო წავიდა, როდესაც ჩემს ტექსტებს ვინმეს ვაკითხებდი და მერე მათ აზრს ინტერესით ვისმენდი. ასეთი ადამიანები არ მყავს და სურვილიც არ მაქვს მყავდეს. ეს მხოლოდ იმის ნიშანი იქნება, რომ არ გავზრდილვარ და მოსწავლესავით ველოდები შეფასებას. ვიდრე წიგნად იქცევა, საკუთარი ტექსტების მკითხველი მხოლოდ მე ვარ. ზემოთ ვთქვი, რომ ეს წიგნი ჩვენზეა. ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, ჩემზეც! მიუხედავად იმისა, რომ პერსონაჟები სულ სხვა ცხოვრების წესის და წყობის არიან, მათში ჩემი ნაწილიცაა. ეს წიგნი, პირველ რიგში, ჩემი პროცესია. ჩემი, ჩვენი კრიზისი... ამიტომ თუკი ჭრილობებს ვიხსნი და ისე ვწერ, თუკი საკუთარ თავს არ ვინდობ, ამ თავზე უკეთ ვინ უნდა მითხრას რამდენად გულწრფელი ვარ, რამდენად შევძელი ეს.

**- როდის ველოდოთ რომანს?**

- წიგნს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ გამოსცემს. იმედი მაქვს, რომ აპრილს არ გადავაცილებთ. მე უკვე რომანის ფინალზე ვმუშაობ და თუ ჩემი ცხოვრების დაძაბული გრაფიკი ამის საშუალებას მომცემს, იქნებ უფრო მალეც დავასრულო.

**- როგორია თქვენი ცხოვრება კულტურის სამინისტროში მუშაობის შემდეგ?**

- დროის ქრონიკულ უკმარისობას თუ არ ჩავთვლით, ჩემს ცხოვრებაში სხვა ბევრი, ალბათ, არაფერი შეცვლილა. ჩემი კოლეგა მწერლები დამეთანხმებიან, რა რთულია, როდესაც შეზღუდული გაქვს დრო, როდესაც დილიდან საღამომდე კაბინეტში უნდა იჯდე და წერის საშუალება მხოლოდ ღამის თერთმეტი საათის მერე გეძლევა, მაშინ, როდესაც მორიგი დღე დილის რვაზე იწყება... მოკლედ, ჩემმა სამსახურმა წერისთვის განკუთვნილი დრო შეიწირა, მაგრამ მე არც მახსენდება ჩემს ცხოვრებაში, თუნდაც მოკლე პერიოდი, როდესაც არ ვმუშაობდი და მხოლოდ მუზების მოლოდინში და წიგნების წერაში ვიყავი. ასე რომ, ამისგან დრამებს არ ვქმნი. მთავარია, დროის ორგანიზება, განაწილება შეძლო და ერთ საქმესაც გაართმევ თავს და მეორესაც. დილის 10 საათიდან საღამოს 7 – 8 საათამდე მაინც სამინისტროში ვარ. მერე უკვე სახლში გავრბივარ. შვილებთან ურთიერთობისთვის მხოლოდ შაბათ-კვირა საკმარისი არ არის. ამიტომ ძალიან მინდა უფროს ბიჭს მოვუსმინო, გავიგო, როგორ ჩაიარა მისმა არანაკლებ რთულმა და საპასუხისმგებლო დღემ სკოლაში. ხომ არ სჭირდება ჩემი რჩევა და დახმარება. ან პირიქით, რადგან მეც არანაკლებ მჭირდება მისი რჩევა და დახმარება. ჭკვიანია და თან სრულებით განსხვავებულ, სულ სხვა თვალით დანახულ რამეს მეტყვის. ისეთს, რომ არც მომაფიქრდება. პატარა, 2 წლის ელენეს უნდა ვეთამაშო, ვაჭამო, დავაძინო, იავნანა ვუმღერო. რადგან ამის გარეშე ფერად სიზმრებს ვერ ხედავს:) მერე უკვე საკუთარ ოთახში ვიკეტები და ვწერ. ვწერ, სადამდეც გავუძლებ... დრო მეგობრებისთვისაც მრჩება, გასართობადაც. კინოში, თეატრსა თუ კლუბში წასასვლელადაც. მოკლედ, ფიგარო არა ვარ, მაგრამ რაღაცნაირად გამომდის და ასე თუ ისე ყველაფერს ვასწრებ. როგორ, ეგ უკვე სხვა საქმეა და წიგნი რომ გამოვა, მკითხველმა განსაჯოს.

**- რა გაკეთდა ლიტერატურის დარგში იმ პერიოდში, რაც შენ სამინისტროში ხარ?**

- ყველაზე სასიხარულო და მნიშვნელოვანი ეს ახალი ამბავი გახლავთ, რომ 27 თებერვალს ბერლინში ხელი მოეწერა 2018 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით მონაწილეობას. გილოცავთ და აქვე მინდა მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ მნიშვნელოვან და ქვეყნისთვის ძალიან სასარგებლო საქმეში. წინ მართლაც გრძელი, შრომატევადი, მაგრამ ძალიან საინტერესო გზა გველის, რომელიც, იმედია, სასურველ შედეგამდე მიგვიყვანს და შევძლებთ, ოთხ წელინადში, ჩვენი ქვეყნის ლიტერატურა და კულტურა ღირსეულად წარვადგინოთ საერთაშორისო საზოგადოების წინაშე.

ამ გზაზე ბევრი რამაა გასაკეთებელი. უნდა ითარგმნოს და საზღვარგარეთ გამოიცეს როგორც ჩვენი კლასიკური ლიტერატურის ნიმუშები, ასევე თანამედროვე ავტორთა წიგნები. ამისთვის უნდა შეიქმნას ექსპერტთა საბჭო, რომელიც შეარჩევს ლიტერატურას, დაუკავშირდება უცხოელ აგენტებს, გამომცემლობებს... ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა მხოლოდ ჩვენი ლიტერატურის ექსპორტი არ არის. ეს არის ევროპის ცენტრში ერთი წლის განმავლობაში მთლიანად ქართული კულტურის, სამზარეულოს, ტურიზმის, მთლიანად ქვეყნის გაცნობა და პრეზენტაცია. და ეს, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ძალიან მნიშვნელოვანი რამაა.

**- როგორ ფიქრობ, „საბას“ ნომინანტი ისევ იქნები?**

- „საბას“ ნომინანტობა რთული არ არის. შედარებით რთულია გახდე გამარჯვებული, მაგრამ პრემიები ჩემი მიზანი არ არის. სხვა პრიზებთან ერთად უკვე მაქვს ორი „საბა“ და კოლექციას არ ვაგროვებ. ჩემთვის მთავარია, წიგნი, რომელსაც დავწერ, იყოს კარგი, მნიშვნელოვანი, გაუძლოს დროს და მკითხველი არასდროს მოაკლდეს. არც აქ და არც ქვეყნის გარეთ. არც დღეს, არც ხვალ და არც ასი წლის შემდეგ. აი, ასეთი ამბიციური მიზნები მაქვს:)

**- როგორია მწერალი ქალი და ქართული საზოგადოება შენთვის...**

- ქართული საზოგადოება ჩემთვის მტკივნეული თემაა. ბევრი იმედგაცრუება მქონია და დარწმუნებული ვარ, მომავალშიც მექნება. სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებას სწორედ წიგნი აკლია და ამიტომაა ასეთი ნაკლული, აგრესიული, უსიყვარულო... მაპატიეთ, თუ რამეს ვაჭარბებ და ზედმეტად მკაცრი ვარ, მაგრამ მწარე სიმართლე ყოველთვის სჯობს ტკბილ, სუფრულ მითებს იმასთან დაკავშირებით, რომ „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ!“, ვიდრე მართლა კარგები გავხდებით, ბევრი უნდა ვისწავლოთ, ვიკითხოთ, ვიფიქროთ და ამის მიხედვით ვილაპარაკოთ, ვიცხოვროთ და ვაშენოთ, ბევრი მწერალი ქალი და კაცი უნდა გვყავდეს, ბევრი სიმართლისმთქმელი და ნონკონფორმისტი ადამიანი, მეტი, უფრო მეტი კულტურული და ინტელექტუალური რესურსი უნდა გაგვაჩნდეს და, პირველ რიგში, მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ იმას, რასაც ვაკეთებთ თუ რასაც ვაფუჭებთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N8 (258) ორშაბათი, 3 მარტი, 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

# ლელა მებურიშვილი ივლისში დედა გახდება - მსახიობის პირველი ინტერვიუ ქორწინების შემდეგ

**ბაჩო საგანელიძე:** „ღამის სამ საათზე დასაძინებლად მოვემზადეთ და მეუბნება, შვილს ველოდებითო დილის ხუთ საათამდე ვისხედით სამზარეულოში...“

EXCLUSIVE

## ირაკლი ჩარკვიანის ავტოგრაფი

EXCLUSIVE

## „ორი ვარსკვლავის“ ჟიურიში ია ნინიძესა და თეონა კონტრიძეს ვიხილავთ

EXCLUSIVE

## თეონა დოლენჯაშვილი სასტიკ და მტკივნეულ რომანს უშვებს

# ლადო ბურდული „სიონის“ მთავარი მწვრთნელის პოსტს დატოვებს

EXCLUSIVE

ISSN 1987-7404

9 771987 740005



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება